პროლიტარიებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

სიმონ ხუნდაძე

თანამედროვე იმპერიალიზმის პრობლემები

წიგნი პირველი

იმპერიალიზმი ნავთის საკითხში

სახელმწიფო გამომცემლობა.

ტფილისი.
1923.

ს. ვ. ო. ს. პოლიგრაფიული გიმნ. მე-5-ე აცალმეა. ლენინის ქუჩა № 8.

იმპერიალიზმი ნავთის საკითხში.

თავი პირველი.

რკინის, ნახშირისა და ნავთის იმპერიალისტური პოლიტიკა.

„ვერსალის ხელშეკრულება და ერთა ლიგა ამწვავებს ომის ყოველ საბაბს. საერთაშორისო კაპიტალიზმი, თავისი ეკონომიური შეჯიბრებითა და სავაჭრო შეტაკებებით, გამარადისებული და ნაკურთხია. იქმნებიან წინასწარი პირობები მდიდრებისა და ძლიერთაგან სუსტთა ექსპლიატაციისათვის. ასეთ მდგომარეობას შეუძლია მიგვიყვანოს მხოლოდ რევოლიუციამდე და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლამდე—ერთის მხრით, და თვით ლიგის წევრთა შორის საშინელ კონფლიქტამდე—მეორეს მხრით. ლიგა აკანონებს გამომწვევ ომს. მისი საშუალებით ზავი სათუოა, შეუძლებელია; ის უმზადებს მთელ რიგ თაობას სისხლის ღვრასა და დანგრევას. ლიგა ლოგიური შედეგი არის იმ ძალების, რომლებმაც გამოიწვიეს უკანასკნელი ომი და ის შეიქნება არაჩვეულებრივ მნიშვნელოვანი იარაღი ახალი ომის გამოსაწვევად...

„ვერსალის ხელშეკრულება წარმოადგენს მხოლოდ დროებით ზავს—დროებით შეწყვეტას საომარ მოქმედებისას მანამდე, სანამ მებრძოლი მხარეები მოიკრებენ ძალღონეს. ყოველი თავი ხელშეკრულებისა, ყოველი პუნქტი ერთა ლიგის სტატუტისა – არის ომი, ომი მთელს მსოფლიოში, ომი დაუ-

სრულებლივ, ომი მანამდე, სანამ გაგრძელდება არსებობა იმ პირობების, რომლებმაც წარმოშვეს ასეთი დოკუმენტები*).

როდესაც ამ ციტატას ბოლომდე წაიკითხავს პატივცემული მკითხველი, იგი, ალბათ, სრული დარწმუნებული იქნება, რომ მე ეს ამონაწერი რომელიმე კომუნისტის წერილიდან მოკიყვანე. ჩვენ სავსებით ვეთანხმებით მკითხველს, რომ ვერსალის ზავისა და ერთა ლიგის ასეთი შეფასების ქვეშ დიდი სიამოვნებით მოაწერს ხელს ყოველი კომუნისტი და გულწრფელი რევოლიუციონერი: თავიდანვე, ამ ორი დოკუმენტის წარმოშობის დღიდანვე, კომუნისტურმა აზროვნებამ სწორეთ ამგვარი შეფასება გაუკეთა ერთა ლიგასა და ვერსალის ზავს, რომელიც ნაყოფია ომში გამარჯვებულ იმპერიალისტურ ავაზაკების და მასთანვე უდიდესი საწინდარი ახალი, უფრო უარესი საერთაშორისო შეტაკების წარმოსაშობად. მაგრამ მკითხველი ძლიერ შესცდება, თუ ამ ციტატას რომელიმე კომუნისტს მიაწერს. იგი არ ეკუთვნის არც კომუნისტს, არც რევოლიუციონერსა და, წარმოიდგინეთ, არც რეფორმისტული ყაიდის სოციალისტს: ამ ციტატის ავტორი არის მემარცხენე ლიბერალი ამერიკელი სენატორი რ. ფ პეტიგრუ, რომელსაც 50 წლის პოლიტიკური სტაჟი და გამოცდილება აქვს მიღებული ამერიკის სახელმწიფოებრივ დაწესებულებებში. მან იცის ყოველი დეტალი, ყოველი წვრილმანი ამერიკის პლუტოკრატიის პოლიტიკური მოღვაწეობისა. იცის, თუ როგორ გადამჭრელსა და პირველ როლს თამაშობენ ამერიკის პოლიტიკურ ცხოვრებაში, და მაშასადამე ყველა სხვა სახელმწიფოებშიაც, ერთი მუჭა კაპიტალისტებისა თავიანთი ჯიბეების გასამდიდრებლად. ამ მაგნატების ინტერესებმა გამოიწვია საერთაშორისო ომი და მათვე მოინდომეს საერთაშორისო ბუნებრივ-დობიანობის აღდგენა.

პეტიგრუმ, როგორც გულწრფელმა ლიბერალმა და საერ-

*) Р. Петигру: „Торжествующая плутократия" გვ 351 6, — 1922 წ.

თაშორისო ყაჩაღების პოლიტიკის საუკეთესო მცოდნემ, მეორე დღესვე (1920 წელში) კრიტიკულად შეაფასა იმპერიალისტების ზავი და მასში მეტად სამწუხარო მომავლის წინასწარი პირობები დაინახა. იმპერიალისტებმა იარაღით ხელში მოინდომეს მსოფლიო დოვლათის ხელმეორედ გადაყოფა და კვლავ აწარმოებენ ახალ ეკონომიურ უპირატესობის მისაღწევად გაცხარებულ ბრძოლას, რაც იწვევს ახალ საერთაშორისო კონფლიქტებს.

პეტიგრუ სწერს: „ამჟამად ყოველი წევრი ამ „დიდ ხუთეულიდან“ დაინტერესებულია იმავე ეკონომიური ბრძოლებით, რომელნიც წინ უსწრებდენ 1914 წლის ომს. ინგლისელები და ამერიკელები აშკარათ აწარმოებენ ბრძოლას ნავთისათვის; იაპონელები ცდილობენ გამოდენონ დასავლეთის ბანკირები ჩინეთიდან; საფრანგეთი და იტალიელები სასტიკი მოქიშპეები არიან ხმელთა შუა ზღვაზე; ინგლისი და საფრანგეთი იბრძვიან შუა ევროპის მადნებისათვის და ახლო აღმოსავლეთში. გარდა ამისა მხედველობიდან არ უნდა გავუშვათ ისიც, რომ ფლოტისა და არმიისათვის თანხის გადადება ამ „დიდ ხუთეულთა“ შორის დღეს უფრო მეტია, ვინემ ეს იყო ომამდე.

„ყოველი ამ ბრძოლის საგანს შეუძლია მიგვიყვანოს ომამდე მოკავშირეთა და რუსეთს შორის, მოკავშირეთა და ცენტრალურ სახელმწიფოთა შორის, მოკავშირეთა და მათი ექსპლოატაციის მსხვერპლთა შორის და ბოლოს თვით მოკავშირეთა შორის. ერთი ან უფრო მეტი ომი აუცილებლად მოხდება 10 წლის განმავლობაში, თუ ხელშეკრულება და ერთა ლიგა გატარებული იქნება ცხოვრებაში. ერთა ლიგა არის ომის ლიგა, მისი დღევანდელი ფორმა, მისი არსებობა ხმაურობს როგორც ომი“ (იქვე გვ. 354).

ლიბერალმა პეტიგრუმ მეტად საინტერესო შეფასება გაუკეთა ვერსალის ავტორების ნამოღვაწარსა და ერთა ლიგის სტატუტებს. იგი სწორია თავიდან ბოლომდე.

როგორც ვიცით, საერთაშორისო ომის ძირითად ამოცანას შეადგენდა კოლონიების ხელახალი გადაყოფა და ახალი

კაპიტალისტური სწორ-წონაობის შექმნა მსოფლიოში. თანამედროვე ფინანსიურ კაპიტალიზმის პერიოდში ჩამორჩენილი, განუვითარებელი ეროვნული ერთეული აუცილებელ წყაროს შეადგენს კაპიტალისტური მეურნეობის ექსპანსიისათვის. ამ სფეროების გარეშე კაპიტალიზმისათვის შეუძლებელი ხდება ინტენსიური განვითარება. ამიტომ დაპყრობა კოლონიებისა და თავის გავლენის ქვეშ დაყენება მდიდარი სამეურნეო ერთეულების, ეს არის კაპიტალისტური მეურნეობის ძირითადი ამოცანა. ამ ამოცანის გადაწყვეტა შეუძლებელი შეიქმნა გარეშე შეიარაღებული ძალისა. ახალი კაპიტალისტური ქვეყნები (გერმანეთი, ამერიკა, იაპონია), რომელნიც დაახლოვებით 20—30 წლის წინად გამოვიდენ სამოღვაწეო ასპარეზზე კოლონიების დასაპყრობად, მეტად სამწუხარო ფაქტის წინაშე დადგენენ: მთელი მსოფლიოს მნიშვნელოვანი ტერიტორიალური სამეურნეო რაიონები დაკავებული აღმოჩნდა ძველი იმპერიალისტური სახელმწიფოებისაგან. ასეთს პირობებში ამ ახალგაზრდა კაპიტალისტურ სახელმწიფოთა სასიცოცხლო ინტერესები დაჟინებით მოითხოვდა კოლონიების ხელახლა გადაყოფასა და ახალი სწორ-წონაობის შექმნას მსოფლიოში. მაგრამ, რადგან ეს შეუძლებელი შეიქმნა მშვიდობიანის გზით, ამიტომ იარაღმა მოიპოვა პირველი ადგილი ასეთი დიდი ცვლილების მოხდენის საქმეში.

ომის წინა ხანებში იმპერიალისტურ სახელმწიფოთა მთავარი ყურადღება უმთავრესად თავს იყრიდა ახლო აღმოსავლეთის, შუა აზიის, წყნარ ოკეანესა და აფრიკის პრობლემებსა გარშემო. ეს ტერიტორიალური ერთეულები შეადგენდენ იმპერიალისტური სახელმწიფოების პოლიტიკის მთავარ ამოცანას და აქ ცდილობდენ ისინი ახალი გადაყოფის საშუალებით განემტკიცებიათ თავიანთი ბატონობის შეურყეველი საფუძველი.

ომი გათავდა. დიდ სახელმწიფოთა რიგებიდან გამოაკლდა რამოდენიმე იმპერიალისტური მპყრობელი (გერმანეთი, რუსეთი, ავსტრო-ჰუნგრეთი) და დაირღვა ძველი სწორ-წო-

ნაობა კაპიტალისტური ქვეყნებისა. მთელი კაპიტალისტური მსოფლიო გამარჯვებულ მოკავშირეთა განკარგულებაში გადავიდა, მაგრამ მშვიდობიანობისა და მტკიცე სწორ-წონაობის აღდგენა მაინც შეუძლებელი შეიქმნა. იგივე პრობლემები, იგივე კოლონიალური ამოცანები მთელი თავიანთი სიგრძე-სიგანით თვით მოკავშირე სახელმწიფოთა შორის წამოიჭრა და ერთ დროს გერმანეთის იმპერიალიზმის წინააღმდეგ თითქოს შეთანხმებულად მებრძოლი ანტანტის ქვეყნები დღეს ერთმანეთს უპირდაპირდებიან.

მსოფლიო ომმა თუ, ერთი მხრით, საერთაშორისო რუქიდან ამოშალა რამოდენიმე დიდი სახელმწიფო, მეორეს მხრით, მან დასცა ეკონომიურად და პოლიტიკურად ძველი იმპერიალისტური მპყრობელები (საფრანგეთი, ინგლისი, იტალია) და ძლიერ ასწია საერთოდ ახალი კაპიტალისტური ქვეყნები (ამერიკა, იაპონია). ომის ზეგავლენით მსოფლიოს ეკონომიური და პოლიტიკური ცენტრი ევროპას კონტინენტიდან თანდათან გადავიდა წყნარ ოკეანეს ბასეინისაკენ და მის რაიონში იზრდებიან და მაგრდებიან ახალი იმპერიალისტური ძალები, რომელთა ეკონომიური და პოლიტიკური მდგომარეობა დაეინებით მოითხოვს ახალი სწორ-წონაობის შექმნას მსოფლიოში. იგივე ძირითადი ამოცანები, რომელნიც ასე მძლავრათ ამოძრავებდენ იმპერიალისტურ სახელმწიფოებს ომის წინა დღეებში, იგივე ახლო აღმოსავლეთის, შუა აზიის, აფრიკისა და წყნარ ოკეანეს პრობლემები მსოფლიოს ახალი სისხლის ღვრით ემუქრება.

მაგრამ ამ ტერიტორიების გადაყოფის საკითხთან ერთად არის გადაჯაჭვული სხვა მნიშვნელოვანი სამეურნეო დარგებიც, რომელნიც დიდ შეხლა-შემოხლას და ინტერესთა დაპირისპირებას იწვევენ სახელმწიფოთა შორის. ფრანგი ეკონომისტი ფ. **დელეზი** ამ საკითხის შესახებ სწერს: „დღევანდელ პირობებში ერები ერთმანეთს ეცილებიან რკინის მადნებსა და ნავთის რაიონებს ისე, როგორც მათი მმართველები წარსულში იყოფდენ ერთმანეთის შორის პროვინციებს; რურის ან სილე-

ზიის ქვანახშირის მაღაროები, ლორენის მადნები, მოსულის ნავთი,—აი იმ უზარმაზარ თამაშის მიმართებანი, რომელიც იმართებოდა დიპლომატიურ მაგიდებზე სანერემოსა და სპაში. დიდ ომში გამარჯვებულნი, დასუსტებულნი დახარჯულ ენერგიით იძულებულნი ხდებიან ხელი აიღონ მომხიბლავ ოცნებებზე დაჩაგრულ ერთა განთავისუფლების შესახებ და ამის ნაცვლად ერთმანეთს ართმევენ იმ სათბობს, რომელიც მიუცილებელია მათთვის მანქანებისა. და სახლების გასათბობათ". (იხ. ფ. დელეზი—„ნავთი" გვ. 5, 1923 წ.)

აქ არის გამოთქმული კვინტ-ესენცია თანამედროვე იმპერიალისტური ამოცანების.

რური და მოსული - დიდი ხნის განმავლობაში იპყრობდა მთელი კაცობრიობის ყურადღებას. ამ რამდენიმე თვის განმავლობაში საფრანგეთის იმპერიალიზმის სულის ჩამდგმელი და ერთი უდიდესი მტერი საერთაშორისო მშვიდობიანობისა —„პუანკარე—ომი" მთელი თავისი ენერგიით გაემართა რურისაკენ და ეს სამეურნეო რაიონი თავის გავლენის ქვეშ დააყენა; მეორეს მხრით, არა ნაკლები ომის აპოლოგეტი და იმპერიალიზმის იდეოლოგი ლორდ კერზონი მთელი თავისი ძალღონითა და ინგლისური პოლიტიკის მეთოდებით იცავდა მოსულის ვილაიეტს როგორც ლოზანის კონფერენციაზე, ისე იარაღით ხელში აჯანყებულ მცხოვრებლებისაგან.

ამ ორი სამეურნეო რაიონის გარშემო კი თავმოყრილია მეტად მნიშვნელოვანი საერთაშორისო კითხვები: რურის ბასეინი ქვანახშირის დაუშრეტელ წყაროს წარმოადგენს, მოსულის ვილაიეტი-კი—ნავთით მდიდარი რაიონია. ორივე ეს სათბობი პროდუქტი კაპიტალისტური მეურნეობის აუცილებელი საკრო ელემენტებია; ამიტომ დაპყრობა ამ სათბობით მდიდარი რაიონებისა წარმოადგენს კაპიტალისტური პოლიტიკის აუცილებელ მოთხოვნილებას. მაგრამ ქვანახშირისა და ნავთის როლი მარტო ამით არ ამოიწურება.

როდესაც პუანკარეს ჯარებმა რურის ოლქი დაიჭირეს, მთელი ევროპის პრესა ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ ევროპაში

დაიწყო საფრანგეთის ბატონობის პერიოდი. ინგლისის ერთი ჟურნალი სწერდა: „მთელმა მსოფლიომ შეიგნო ბოლოს და ბოლოს ის, რაც მას დიდი ხნის წინათ უნდა სცოდნოდა: საფრანგეთი მიილტვის არა სარეპარაციო გადასახადების მიღებისაკენ, არამედ გერმანეთის დარღვევისა და ევროპაში ჰეგემონიის მოპოებისაკენ". მეორე ინგლისური გაზეთი „მანჩესტერ გარდიენი" აღნიშნავდა, რომ „რურის ბასეინის დაპყრობა ნიშნავს გამომჟღავნებას იმ შესაძლებლობის, რომელიც მიგვიყვანს საფრანგეთის ფოლადისა და რკინის დამმუშავებელ მრეწველთა ჰეგემონიამდე ინგლისისა და გერმანეთის მრეწველობაზე, რასაც შეუძლია დააყენოს საფრანგეთი ამერიკასთან ერთად ერთ დონეზე. ეს შესაძლებელია მოხდეს ან როგორც შედეგი გერმანეთის მრეწველობის სრული განადგურებისა, ან როგორც რეზულტატი საფრანგეთ-გერმანეთის ფოლადის ტრესტის შექმნის".

ეს ამონაწერები ჩვენ გვიხსნის საფრანგეთის პოლიტიკის მთავარ ამოცანას ევროპაში. საფრანგეთის იმპერიალისტებს სურთ გახდენ სრული ჰეგემონი ევროპისა, ამისათვის მათ უნდა დაიპყრონ და თავის გავლენის ქვეშ უნდა დააყენონ რკინისა და ქვანახშირის სამრეწველო რაიონები.

საქმე იმაშია, რომ კაპიტალისტური მეურნეობა და მთელი იმპერიალისტური სახელმწიფო ეყრდნობოდა რკინისა და ნახშირის წარმოებას უმთავრესად. ეს ორი ფაქტორი შეადგენენ მთავარ ბაზას სახელმწიფოთა ბატონობის საქმეში. რომელ სახელმწიფოს ხელშიაც იქნებოდა ეს ელემენტები თავმოყრილი, მისი საერთაშორისო მდგომარეობა და იმპერიალისტური წონა მსოფლიოში დიდ წარმატებაში იყო.

რამოდენიმეთ ეს ორი სამეურნეო ფაქტორი შეიქნა საერთაშორისო ომის მიზეზი. საფრანგეთის ცნობილი მწერალი და პოლიტიკური მოღვაწე სენატორი ანრი ბერანჟე ომის დროს სწერდა თავის წერილში — „ომის გასალები" — რკინის მნიშვნელობის შესახებ შემდეგს: „არ არის არც ერთი ჯარის კაცი ან სამოქალაქო პიროვნება, რომელსაც გაგებული არ

ჰქონდეს დიდი ხანია, რომ რკინა წარმოადგენს მეფეს თანამედროვე ომში. რკინისაგან კეთდება ზარბაზნები, სნარიადები, მიტრალიეზები, ლიანდაგი, ყოველგვარი საომარი იარაღი. შეიქმნე რკინის მეფედ—ნიშნავს შენარჩუნებას თავისთვის ყოველგვარი საშუალებების, რომელნიც იძლევა შესაძლებლობის გამარჯვების მოსაპოებლად. დაკარგვა. რკინისა,—გამოიწვევს სულ მცირე დროში დაკარგვას იმ წყაროების, ურომლისოდაც ყველაზე უფრო უდიდესი ვაჟკაცობაც უშედეგოთ რჩება".

მეორეს მხრით გერმანიის იმპერიალისტები არა ნაკლების დიფირამბებით ამკობდენ ქვანახშირს. ცნობილი სტინესი ამბობდა: „სუფველაფერი დაყრდნობილია ქვანახშირზე. ქვანახშირისაგან წარმოსდგება რკინა და ფოლადი,—რკინისა და ფოლადისაგან—იარაღი და ზარბაზანი,—საზღვაო ფლოტი და რკინის გზები". ასე შემუშავდა ჯერ კიდევ ომის წინა ხანებში ქვანახშირისა და რკინის იდეოლოგია, რომელმაც საერთაშორისო ომის პროცესში თავის კულმინაციურ წერტილს მიაღწია და იმპერიალისტურ ბატონობის ქვაკუთხედათ გადაიქცა.

გენ. ლუდენდორფი თავის მოგონებებში სწერს: „ქვა-ნახშირი და რკინა წარმოადგენს მთელი სამხედრო მრეწველობის საფუძველს" *). ამ საფუძველით ამაგრებენ მილიტარისტები თავიანთ იმპერიალისტურ პოლიტიკას.

რკინისა და ქვანახშირის როლმა საერთაშორისო ომის პროცესში გარკვეული შეხედულება და პროგრამა შეუმუშავა იმპერიალისტურ სახელმწიფოებს. ამ პროგრამის ფილოსოფია 1916 წელს შემდეგნაირად გამოხატა „ტემპსის" ერთ-ერთმა რედაქტორმა: „უშედეგოთ შეეცდებით თქვენ. განაცალკევოთ რკინა ნახშირისაგან. უკანასკნელნი თავის თავად გაიწევენ ერთმანეთისაკენ. მიუხედავათ იმისა, აღმართავთ თქვენ თუ არა საზღვრებზე ბარიკადებსა და სადამოენო კედლებს, მიწის ნიადაგს ეს ორი ელემენტი ოდესმე მაინც შეუერთდებიან ერ-

*) იხ. Людендорф: „Мои воспоминания о войне 1914—1918 г.г." ტომი პირველი, გვ 276, 1923 წ.

ომანეთს, და ეს ლტოლვა რკინისა ნახშირისადმი, და პირ-უკუ —ნახშირისა რკინისადმი, ხელმეორედ დააჯახებს ხალხებს ერთი მეორეს საწინააღმდეგოთ და შეიქმნება სისხლის მდინარეების მიზეზათ“ *).

ამგვარად იმპერიალისტურმა სოციოლოგიამ გარკვეული კანონი აღმოაჩინა ქვანახშირისა და რკინისათვის კაპიტალისტურ მეურნეობის პერიოდში, რომლის ძალით ეს ორი სამეურნეო ფაქტორი ბუნებრივათ მიიწევენ ყოველგვარ პირობების გარეშე შეუღლებისაკენ.

სწორეთ, ქვანახშირისა და რკინის ეს ბუნებრივი ლტოლვა შეუღლებისაკენ იყო ერთ-ერთი მიზეზი საერთაშორისო ომისა და იმ დაუსრულებელი ანარ'ის წყაროთ გადაიქცა, რომელსაც ადგილი აქვს ეხლა ევროპის კონტინენტზე.

გეოლოგიურმა პირობებმა იმგვარად მოაწყო ევროპის ცხოვრება, რომ თითქმის მთელი ქვანახშირი ევროპის კონტინენტზე თავმოყრილი იყო ომის წინადროინდელ გერმანეთის სამფლობელოში, ხოლო უმეტესი ნაწილი რკინის მადნისა — საფრანგეთის ტერიტორიაზე.

1871 წლის საფრანგეთ-პრუსიის ომი ერთ-ერთ მიზნათ ისახავდა ქვა-ნახშირისა და რკინის ახალ გადანაწილებას ევროპის ფარგლებში. ომის შედეგებმა საფრანგეთს ჩამოაშორა ელზას-ლორენის სამეურნეო რაიონი, რომელიც მდიდარია რკინის მადნებით. და ამგვარად გერმანეთი ქვანახშირთან ერთად უდიდესი მეპატრონე შეიქნა რკინის სამეურნეო რაიონებისაც. მიუხედავათ ამისა, პროპორციის მიხედვით ქვანახშირი და რკინა მაინც არ იყო მიზანშეწონილად განაწილებული საფრანგეთსა და გერმანეთს შორის.

აქ ინტერესს არ იქნება მოკლებული გავითვალისწინოთ ნახშირისა და რკინის ძალთა განწყობილება იმ სახელმწიფოთა შორის, რომელნიც გადამჭრელ როლს თამაშობდენ საერთა-

*) იხ. М. Павлович: „Империализм“ გვ. 198, 1923 წ.

ბორისო ომის პროცესში. (ცნობები 1913 წლისა. მილიონი ტონით).

	რკინ. მად. მარაგი	თუჯის ჩამოსხ.	ფოლად. წარმ.	ქვანახშირ. მარაგი	ქვანახშ ამოღება.
კერძ:ნეთი	3.600	19	18,6	423.556	191
ინგლისი	2.254	10	7,6	189.533	287.4
საფრანგეთი	3.300	5,1	2,4	17.583	40,8
ამერიკა	—	—	—	3.838.657	508

ამ ცხრილიდან ჩვენ ვხედავთ, რომ რკინისა და ნახშირის საკვეში ომის წინადროის საფრანგეთში სჭარბობს რკინის მადანი და ძლიერ მცირე აბის ქვანახშირი, გერმანეთში კი წინააღმდეგ და რადგან ეს ორი ელემენტი ყოველგვარ შემაფერხებელ და მის წინააღმდეგ აღმართულ ბარიკადების მიუხედავად მაინც მიილტვიან ურთიერთ შეუღლებისაკენ, ამიტომ საფრანგეთის და გერმანეთის იმპერიალისტებს ამ გრძნობის აღტყინების პროცესში ბუნებრივათ დაეზადათ სურვილი თავიანთ ბრანდიოზული გეგმების შესრულებისათვის გარკვეული პოლიტიკის წარმოების: საფრანგეთი რომ გადაქცეულიყო ნახშირის უდიდესი მპყრობელი, ხელში უნდა ჩაეგდო და თავის რკინის მადნებისათვის დაემორჩილებინა ელზას-ლორენთან ერთად საარისა და რურის ქვანახშირის რაიონები. გერმანეთი კი სრულიად გარკვევით მიილტვოდა წაერთმია საფრანგეთისათვის მისი ყველაზე უფრო მდიდარი რკინის მადნების რაიონი—ბრიეისა და ლონგვის ბასეინები (იხ. პაველოვიჩი „იმპერიალიზმი“ გვ. 215).

1870—71 წლის ომიდან გერმანეთის სამრეწველო დაწინაურება და მისი პირველხარისხოვან სახელმწიფოთ გადაქცევა აჩქარებული ნაბიჯით მიდიოდა წინ. დაქსაქსული, რამოდენიმე სამეფოდ დაყოფილი გერმანეთი, რომლის შინაურ ცხოვრებაში აფათურებდენ ხელს მეზობელი სახელმწიფოები, ორიოდე ათეული წლის განმავლობაში პირველი რანგის სახელმწიფოთ გადაიქცა და საპატიო ადგილი მოიპოვა საერთა-

შორისო პოლიტიკაში. სხვა მიზეზებთან ერთად გერმანეთის ასეთს დაწინაურებას ხელი შეუწყო ქვანახშირისა და რკინის მადნების თავის მოყრამ მის ხელში. გერმანეთის მეტალურგია შეიქმნა გერმანეთის იმპერიალიზმის მთავარი საფუძველი. 1916 წელში კანცლერი ბეთმან-ჰოლვეგი ამბობდა რეიხსტაგში: „ჩვენი ინდუსტრიის გარეშე, ჩვენ დიდი ხნის წინად წავაგებდით ომს. ჩვენი მსხვილი ინდუსტრია თავის სიმაღლეზე დასდგა და ომის ყოველი ზეადამიანური მოთხოვნილება შეასრულა“.

როგორც ვიცით, გერმანეთის მძიმე ინდუსტრია, რომელსაც პირველი ადგილი უჭირავს მთელს ევროპაში, ხოლო მეორე — მთელს მსოფლიოში, უწინარეს ყოვლისა გაძლიერდა რკინისა და ნახშირის მიზანშეწონილი შეუღლებით. ეს გარემოება კარგათ ესმოდათ გერმანეთის იმპერიალისტებს — აგრარიებს და კაპიტალისტურ მაგნატებს. ამიტომ ისინი ომის დროს შეუწყვეტლათ აგონებდენ მთავრობას, რომ „გერმანეთის ნაციონალური სიმდიდრე, მისი ეკონომიური და სამხედრო ძალა დამოკიდებული არის უწინარეს ყოვლისა მისი მძიმე წონის ქვა-ნახშირისა და განსაკუთრებით მეტალურგიული მრეწველობის მდგომარეობისაგან“. (დაწერილებით მ. პავლოვიჩის: „Железный вопрос в современном мировом конфликте“. გვ. 21—22).

აქედან წარმოსდგა ახალი პროგრამა გერმანეთის იმპერიალისტებისა: საფრანგეთის ხარჯებზე გაფართოება თავისი რკინის მარაგისა და მეტალურგიის მრეწველობის. ერთ-ერთ დოკუმენტში ეკითხულობთ: „გერმანეთის იმპერიის უზრუნველყოფა მომავალ ომში დაჟინებით მოითხოვს დაპყრობას საფრანგეთის ნთელი „მინეტის“ რაიონების, სიმაგრეების ლონგვისა და ვერდენის შეტანით, ურომლისოდაც ამ ოლქის დაცვა შეუძლებელია. ჩვენ უნდა მოვახდინოთ ბრიეს რკინის ბასეინის ანექსია“, უწინარეს ყოვლისა „ჩვენ უნდა უზრუნველვყოთ ჩვენი სამხედრო ინდუსტრია აუცილებელი მასალებით და წავართვათ ლუანასკნელი მტრებს. საჭიროა ბრიეს და ლონგვის რკინის რაიონების დაპყრობა“... ასეთი იყო

ის მთავარი ლეიტმოტივი, რომლითაც გამოდიოდა გერმანეთის იმპერიალიზმი ევროპის კონტინენტზე საფრანგეთის მიმართ: ამ პოლიტიკის მთავარი ეკონომიური მიზანი იყო რკინის მადნებით უზრუნველყოფა გერმანეთის ინდუსტრიის.

ეს იყო ერთი უმთავრესი მუხლი გერმანეთის იმპერიალისტების პროგრამისა. იტალიის ყოფილი პრემიერი ფრ. ნიტტი თავის წიგნში („ევროპა უზავოდ") აღნიშნავს, რომ გერმანეთის მრეწველები ომის წინა ხანებშიაც „დაუფარავად ლაპარაკობდენ საფრანგეთის ლოტარინგიის რკინის მადნების დაპყრობის აუცილებლობის შესახებ; **მათთვის ომი იყო სამრეწველო ბრძოლის ეპიზოდი. გერმანეთი ფლობდა ქვანახშირსა და მიილტვოდა რკინისაკენ, და მძიმე ინდუსტრიის მთელი პრესა ეწეოდა ომის იდეიის პროპაგანდას**" *).

მაგრამ თუ გერმანეთის კაპიტალისტები ასეთს იმპერიალისტურ გეგმებს ისახავდენ საფრანგეთის ტერიტორიის მიმართ, თვით საფრანგეთის კაპიტალისტებსაც არა ნაკლები მადა აღმოაჩნდათ და არა ნაკლებ სურდათ გერმანეთის მდიდარი ქვანახშირის რაიონები შეეუღლებინათ თავიანთი ბატონობის ქვეშ ბრიეს რკინის მადნებისათვის. როგორც აღვნიშნეთ ზემოთ, ქვანახშირის მხრით საფრანგეთი ყველაზე უფრო ღარიბი ქვეყანა იყო ევროპაში. ამიტომ უზრუნველყოფა ქვანახშირითა და განადგურება გერმანეთის მეტალურგიულ ინდუსტრიისა, მორიგ ამოცანათ გადაიქცა საფრანგეთის იმპერიალისტებისათვის. „საფრანგეთი უნდა შეიქმნეს ქვა-ნახშირის უდიდესი მპყრობელი".—აი პროგრამა, რომელსაც აყენებდენ საფრანგეთის იმპერიალისტები. (იხ. მ. პავლოვიჩი „იმპერიალიზმი" გვ. 213).

1916 წელს გაზ. „ლ-ენფორმასიონ"-ის რედაქტორმა, **შავენონმა**, შემდეგ სიტყვებში გადაშალა საფრანგეთის-იმპერიალიზმის პროგრამა:

„თანამედროვე ომი ან საბოლოოდ სანქციას უზამს სა-

---

*) იხ. Ф. Нитти: „Европа без мира". გვ. 22—3, 1923 წ.

ფრანგეთის მდგომარეობას, როგორც პირველ ხარისხოვან მპყრობელს და მისცემს მას რესურსებს, რომელნიც უზრუნველ ჰყოფენ მრავალ საუკუნეთა განმავლობაში მის ლტოლვას, ან საფრანგეთი დაეცემა მესამე რიგის სახელმწიფო მდგომარეობამდე და დამოკიდებული იქნება ავაზაკ სახელმწიფოების ბოროტი და კეთილი სურვილებისაგან. ასეთს პირობებში ბასეინ ბრიესა და ელზას-ლორენის ფლობას ექნება უდიდესი მნიშვნელობა. დაიუფლებს რა ამ ოლქის რკინის მადნებსა და ფოლადის ჩამომსხმელ ქარხნებს და აგრეთვე საარის ბასეინის ქვანახშირს, საფრანგეთი შეიქმნება პირველ ხარისხოვანი ინდუსტრიალური მპყრობელი, მას ექნება ყოველი აუცილებელი პირველი საჭიროების მასალები ეკონომიური ბრძოლისათვის, და თუ მისი სურვილის წინააღმდეგ მას თავს მოახვევენ ომს, საფრანგეთი შესძლებს დაამარცხოს ყოველი თავხედი, რომელიც გაბედავს გამოიწვიოს იგი ბრძოლაში". (იგივე გვერდი 197).

საფრანგეთის იმპერიალისტებს ყველაზე კარგათ ეცმოდათ, რომ გერმანეთის იმპერიალიზმის სიძლიერე მისი მეტალურგიის სიძლიერეზე იყო დაყრდნობილი. „მეტალურგია იყო გერმანეთის არმატურა. სახელდობრ, მეტალურგიის წყალობით გერმანეთმა ომამდე შესძლო არსებობა და კონკურენციის გაწევა სხვა სახელმწიფოებისათვის: ომის შემდეგ გერმანეთი თავის მეტალურგიაში დაიწყებს საშუალებების ძებნას აღდგენისა და საგრძნობი ჭრილობების მოსარჩენათ. გერმანეთის დამარცხება თავის მეტალურგიაში — ნიშნავს ყველაზე უფრო სწორი გზით მის დამარცხებას სასიკვდილოთ და ეს უნდა იყოს აუცილებელი შედეგი მოკავშირეთა გამარჯვებისა და განსაკუთრებით საფრანგეთის გამარჯვების.

„გამოააშკარავა რა მეტალურგიის სიძლიერე, ომმა გვიჩვენა, რომ ყველაზე უფრო ნამდვილი გარანტია მშვიდობიანობისა გერმანეთისათვის მეტალურგიის სიძლიერის წართმევაში მარხია. წართმევა რეინის გადალმა მხარის მეტალურგიის სუპრემაციისა კონტინენტზე და დამორჩილება გერმანეთის

მეტალურგიისა სხვა ქვეყნების სიდერურგიულ მრეწველობისაგან შეიქმნება კანონი ევროპის ახალი წონასწორობის განსაგტკიცებლად" (გვ. 200).

მაგრამ რა სახით უნდა დამარცხდეს გერმანეთის მეტალურგია და მისი სიძლიერე? ამის გასაღებიც ხელთ უპირავთ საფრანგეთის იმპერიალისტებს. პუბლიცისტი ენჟერანი სწერს: „რა კი საქმე უნდა გადასწყდეს მახვილით, ჩვენ წავართმევთ მათ (გერმანელებს) არა მარტო ელზას-ლორენს, თავისი მდიდარი რკინის მადნებით, აგრეთვე საარის ~~ბასინი~~ ქვანახშირის ბასეინსაც, რომელიც ეკონომიური დამატებაა ჩვენი რკინის რაიონების... უნდა წაერთვას გერმანეთს არა მარტო ელზას-ლორენი, არამედ ყველა თავისი პროვინციები რეინსა და მოზელამდე, რომ დაკარგოს გერმანეთმა არა მარტო რკინა, არამედ ქვანახშირიც, ეს ორი საძირკველი თავისი მეტალურგიის მრეწველობისა,— ეს საფუძველი მისი სიძლიერისა და აღდგენის".

ჟურნალი „ლინფორმასიონი" შემდეგნაირ პროგრამას აყენებდა ამ საკითხის შესახებ: „წავართმევთ რა გერმანეთს რკინასა და ქვანახშირის ნაწილს, რომელიც აძლევს მას საშუალებას მოახდინოს რკინის უტილიზაცია, ჩვენ წავართმევთ გერმანეთს თუ საბაბს არა, ყოველ შემთხვევაში საშუალებას განაგრძოს შეიარაღება, ან შეიარაღდეს ჩვენ წინააღმდეგ და დაარღვიოს საერთაშორისო მშვიდობიანობა". (იხ. „რკინის საკითხი"... გვ. 28),

ომის დამთავრების შემდეგ საფრანგეთის იმპერიალისტებმა გარკვევით წამოაყენეს თავიანთი პროგრამა. ფრ. ნიტტი აღნიშნულ წიგნში სწერს: „ზავის შეკვრის შემდეგ, როდესაც მოვლენათა შედეგების გამო, რომლის გადავალისწინება არ შეეძლო მას (გერმანეთს), საფრანგეთმა დაინახა გერმანეთი დამცირებული და მოკლებული სამხედრო თავდაცვის საშუალებას, განმეორდა იგივე ისტორია. **ამ ჟამად მძიმე ინდუსტრია მაგრდება საფრანგეთში: ის ფლობს რკინასა და სურს ქვანახშირი.** დაპყრობა ქვანახშირისა—ეს ნიშნავს გერმანეთის მრეწველობის განადგურებას. გერმანიისათვის ზემო სილეზიის

წარმოადგენდა—ნიშნავს მისი წარმოების სიკვდილს, მას შემდეგ, რაც მისი განვითარების მთავარი საფუძვლები დაშლილია". (იქვე—გვ. 23).

როგორც ვხედავთ, ომის პროცესში საფრანგეთის იმპერიალისტებმა უკვე გარკვეული პროგრამა წამოაყენეს იმის შესახებ, თუ რა გზით და როგორი მეთოდებით გაენადგურებიათ გერმანეთის იმპერიალიზმი. ვერსალის ზავმა გამანადგურებელი მახვილი ჩასცა ბრძოლის ველზე დამარცხებულთ და მთელი ძალა-უფლება გადასცა ანტანტის მოკავშირეებს. თუ როგორი პირობები შეიქნა ვერსალის ზავისა და ანტანტის ბატონობის პერიოდში, ამის საუცხოო სურათს გვაძლევს იგივე იტალიის ყოფილი პრემიერი ფრანჩესკო ნიტტი თავის ამ ერთი წლის წინათ გამოცემულ მეორე წიგნში „ევროპის გადაშენება". ავტორი სწერს: „ომის დამთავრების შემდეგ დამარცხებულთ დაადვეს ყველაზე უფრო საშინელი გადასაწყვეტი, დაიმსხვრა ძველი აღთქმანი და გაბატონდა ყველაზე უფრო საშინელი—გაკოფებული ნაციონალიზმი, წინანდელი და ახალი. გამოიღვიძა ყველა ძველმა მტრობამ და შურისძიებამ. დამარცხებულთ წაართვეს არა მარტო მათი ტერიტორიების ფართო ნაწილები ყოველგვარ საჭიროების გარეშე, ყოველგვარ ნაციონალურ თვითგამორკვევის პრინციპების დარღვევით, არამედ აგრეთვე მათ დააკისრეს შეუსრულებელი მოვალეობანი და კოლოსალური გადასახადები, რომელნიც, როგორც ეს ნათელია ყველასთვის ვისაც ჯერ კიდევ ჰკუა არ დაბნელებია ცრუმორწმუნეობითა და უვიცობით, შეუძლებელია სისრულეში მოყვანილი იქმნეს"*).

ჩვენ აქ არ შეუდგებით ფართოდ განხილვას იმ შედეგების და ეკონომიური დარღვევის, რომელიც გამოწვია ვერსალის ხელშეკრულებამ განსაკუთრებით ევროპის კონტინენტზე. ამ პოლიტიკის შემუშავებაში გადამჭრელ როლს თამაშობდა საფრანგეთის იმპერიალისტებისა და მრეწველობის ინტერესე-

*) იხ. ფრ. ნიტტი: „Вырождение Европы" გვ. 17—18.

ბი. როგორც ვიცით, საფრანგეთის პოლიტიკოსებმა მიზნად დაისახეს არა მარტო გერმანეთის იმპერიალიზმის განადგურება, არამედ გერმანეთის ხალხის ფიზიკური დაუძლურებაც. ამ პოლიტიკას სისტემატიურად ატარებენ ცხოვრებაში გამარჯვების შემდეგ საფრანგეთის ბანკირები და კაპიტალისტები. აქაც გადამჭრელ როლს თამაშობს ქვანახშირისა და რკინის ინტერესები. ნიტტი, აღნიშნავს რა თავის წიგნში ქვანახშირის, რკინისა და ფოლადის დიდ როლს ევროპის პოლიტიკაში, სწერს: „თუ გერმანეთის მეტალურგია იყო ერთი მიზეზთაგანი ევროპის საშინელი ომისა, საფრანგეთის მეტალურგია წარმოადგენს ცუდი ზავის უმთავრეს მიზეზს... საჭიროა დაუბრუნდეთ საშუალო საუკუნეების ფეოდალიზმის ყველაზე უფრო გადაშენებულ ფორმებს, რომ შესძლოთ იპოვოთ მსგავსი იმ ძალდატანებისა და ცინიზმის, რასაც წარმოადგენს ამჟამად ახალი მეთოდები საერთაშორისო ძარცვისა და კერძო საკუთრების წართმევის, რომელიც დაწყებდა ომის შემდეგ. გერმანეთის ყველაზე უფრო ძვირფასი რესურსები თანდათან ირღვევა და ევროპის ბაზრის დეზორგანიზაცია უფრო და უფრო ფართოვდება“. (იხ. გვ. 67, 70).

ერთი იმ პიონერთაგანი, რომელსაც მიზნად აქვს დასახული გერმანეთის ფიზიკური განადგურება და მის ნანგრევებზე საფრანგეთის ბედნიერების აშენება, არის რაიმონდ პუანკარე, რომელსაც მეტს სახელად კომუნისტურმა აზროვნებამ „პუანკარე—ომი“ უწოდა. ომის დამთავრების შემდეგ პუანკარე გაცხარებულ ბრძოლას აწარმოებდა კლემანსოსა და ბრიანის წინააღმდეგ იმ მოსაზრებით, რომ ეს ორი ყოფილი პრემიერი ვერ აწარმოებდენ მიზანშეწონილ (საფრანგეთის იმპერიალიზმის საზომით) პოლიტიკას გერმანეთის განადგურების საქმეში. პუანკარეს გამარჯვებას ევროპის ლიბერალური აზროვნებაც კი დიდი შიშით უყურებდა. ცნობილი ლიბერალი ეკონომისტი **ჯონ მეინარდ კეინსი**, რომელმაც კრიტიკის ჭარცეცხლში გაატარა ვერსალის ზავი, ჯერ კიდევ 1921 წ. პუანკარეს გამარჯვებას შემდეგ პერსპექტივებს უკავშირებდა ევროპაში:

„Разрыв переговоров привел бы к отставке Бриана и появлению у власти диких людей, Пуанкаре и Тардье; если публичные заявления этихъ людей следовало принимать всерьез, если они не были только хитрым маневром с целью добиться министерских портфелей, то их появление у власти нарушило бы мир Европы, прежде чем они были бы принуждены отказаться от нее"*).

კეინსის პროგნოზი სავსებით გამართლდა და პუანკარეს საფრანგეთის ტახტზე ასვლამ ევროპის ისედაც დარღვეული წონასწორობა და საერთაშორისო ურთიერთობა უფრო გაამწვავა და დაუსრულებელი ანარქია შექმნა. აიწყვიტა თუ არა ამ მხეცმა და ჩაიგდო თუ არა ხელში სახელმწიფოს პოლიტიკური აპარატი, მყისვე გაექანა შეიარაღებული ძალით რურისაკენ განცხადებით: „ჩვენ ვეძებთ რურში ქვანახშირსა და სხვას არაფერს". რურის დაპყრობით „პუანკარე—ომმა" 1914 წ. ომი კვლავ გააგრძო. მართალია, ფორმალურათ არ ყოფილა აქ ომი გამოცხადებული, მაგრამ ფაქტიურათ რურის ამბები აშკარა ომი არის გერმანეთის ერის ფიზიკური განადგურების მიზნით: რურის დაკავებით საფრანგეთმა გერმანეთს ხელიდან გამოაცალა ყველაზე უფრო უდიდესი წყარო და საფუძველი მისი ეკონომიური წარმატებისა და ინდუსტრიის სიძლიერის. ასეთი პოლიტიკით გერმანეთის ეკონომიკა თანდათან იშლება, საერთაშორისო ბაზრები ირღვევა და გერმანეთის ხალხს ერთ-მეორე საშუალება რაიმე აქტიური მოქმედებისათვის.

ჩვენ თანახმად იმ საკითხის გამორკვევისა, თუ როგორი ურთიერთობა შეიქმნა ევროპის კონტინენტზე ნახშირისა და რკინის საკითხის გადანაწილების შემდეგ, მოვიყვანთ უკანასკნელ ცნობებს დასახელებულ კეინსის ჟურნალიდან: „აღდგენა ევროპაში" (№ 10). თანახმად უკანასკნელ ხანებში გამოქვეყნებულ ცნობებისა, ვერსალისა და საფრანგეთის პოლიტიკის

*) იხ. Дж. М. Кейнс: „Пересмотр мирного договора", გვ. 17. 1922 წ.

შედეგათ საფრანგეთმა პირველი ადგილი მოიპოვა მთელს ევროპის კონტინენტზე კრეინის მარაგის საქმეში:

საფრანგეთი	4.369	მილ. ტონი	35,2%
ინგლისი	2.254	„	18,2 „
შვეიცია	1.548	„ „	12,5 „
გერმანეთი .	1.374	„ .	11,1 „

ამ ცხრილიდან ჩვენ ვხედავთ, რომ მადნის მარაგის საქმეში ელზას-ლორენის, საარისა და სხვა რაიონების დაპყრობით საფრანგეთმა ლდიდეს გამარჯვებას მიაღწია.

შემდეგი ცხრილი ჩვენ გადაგვიშლის სურათს იმის შესახებ, თუ რა დაკარგა გერმანეთმა თუჯის, ფოლადისა და ქვანახშირის ამოღების საქმეში:

გერმანეთის დანაკარგი:

	თუჯი.	ფოლადი.	ქვანახშირი.
	ტ ო ნ ე ბ ი თ		მილ. ტონით.
რეინის ვესტფალია .	8,209,157	10,112,042	114,5
ზემო სილეზია .	994,602	1,407,304	43,5
ზიგერლანდ-ნასაუ . . .	994,927	388,297	15
გერ. ჩრდ.-ალმ. ცენტ. ნაწ.	1,001,321	740,859	
საქსონიის ნაწილი . .	—	331,125	
გერმანეთის სამხრ. ნაწილი .	320,456	258,020	
საარის ბასეინი	1,370,980	2,079,825	13,25
ელზას-ლორენი	3,869,866	2,286,354	3,75
ლუქსემბურგი	2,547,861	1,336,263	—
	19,309,170	18,935,089	190 *)

ამ ცნობებიდან მკითხველი ნათელ წარმოდგენას იქონიებს, თუ რა სურს საფრანგეთის იმპერიალიზმს და როგორ ეკონომიურ მდგომარეობაში აყენებს არა გერმანეთის კაპიტალისტებს, არამედ გერმანეთის მთელს მშრომელ მასას. ის რაც გერმანეთმა დაკარგა ქვანახშირის, რკინის, თუჯისა და ფო-

*) ცნობები ამოღებულია სტოკლიცკის წიგნაკიდან: „От войны к войне“ გვ. 51—2, 1923 წ.

ლადის სამეურნეო ფაქტორების სახით, ფაქტიურად უდრის გერმანეთის მრეწველობის განადგურებას.

ამგვარად ჩვენ ვხედავთ, რომ საერთაშორისო ომის პროცესში, ზავის შემუშავების დროს და თანამედროვე საერთაშორისო პოლიტიკის ვითარებაში, ქვანახშირი და რკინა მეტად დიდ როლს თამაშობდენ. ომის დამთავრების შემდეგ ამ სამეურნეო ფაქტორებს ახალი ფაქტორიც მიემატა, რომელიც არა ნაკლები სიძლიერით ამოძრავებს სახელმწიფოთა პოლიტიკას და იწვევს საერთაშორისო კონფლიქტებს. ეს არის — ნავთი.

დღეს ბევრისათვის გაუგებარი ხდება ნავთის საკითხისა და პოლიტიკის დაკავშირება. ბევრი ეპვში შედის და არ სჯერა ასეთი კავშირი პოლიტიკასა და ნავთს შორის. მკითხველი საზოგადოება, მოკლებული უტყუარსა და ნამდვილს ცნობებს თანამედროვე ვითარების შესახებ, ვერ ხედავს იმ დიდ როლს, რომელსაც თამაშობს ნავთი საერთაშორისო პოლიტიკის საქმეში.

უკანასკნელი ათეული წლების ისტორია და ეკონომიკა ჩვენ გვეუბნება, რომ ნავთმა, რომელსაც დღემდე მეტად მცირე ადგილი ჰქონდა მიჩნეული სახალხო მეურნეობაში, დიდი წარმატება მოიპოვა და მეტად დიდი ადგილი დაიკავა მსოფლიოში. სათბობი მასალის მხრივ დღემდე პირველი ადგილი დათმობილი ჰქონდა ქვანახშირს და როგორც დაკინახეთ; საერთაშორისო იმპერიალისტები ამ მასალის ხელში ჩასაგდებად დაუცხრომლად ებრძოდენ ერთი მეორეს. თანამედროვე ტექნიკამ და განსაკუთრებით კი საერთაშორისო ომმა დაამტკიცა, რომ ნავთი ბევრად უფრო სასარგებლო და ნაყოფიერი სათბობი მასალა არის, ვინემ ქვანახშირი... აქედან იწყება ნავთის პირველ ადგილზე დაყენება და ბრძოლა. იმპერიალისტურ სახელმწიფოთა შორის ნავთით მდიდარი ტერიტორიების ხელში ჩასაგდებად. პოლიტიკა, დიპლომატია, სტრატეგია დიდტანიან სახელმწიფოებისა ერთნაირის ინტერესით ამოძრავდა; ნავთის გარშემო; მდიდარი კაპიტალისტური ტრეს-

ტები, სხვადასხვა გვარი საზოგადოებანი და ეკონომიური ორგანიზაციები გვერდში ამოუდგენ თავიანთ სახელმწიფოებს და ხმაშეწყობილად იბრძვიან თავიანთი ნაციონალური წარმოებისათვის ამ მეტად მიმზიდველი სიტის მოსაპოებლად. ბრძოლა ნავთისათვის,—აი რით ხასიათდება უმთავრესად თანამედროვე საერთაშორისო პოლიტიკა. არ მოწვეულა არც ერთი მნიშვნელოვანი საერთაშორისო კონფერენცია, სადაც არ დასმულიყო ნავთის საკითხი კონფერენციაზე თუ არა, მის კულისებში მაინც და არ ეთამაშოს მას (ნავთს) ესა თუ ის როლი დიდ სახელმწიფოთა ურთიერთობის საქმეში.

ომმა ძირითადი გარდატეხა მოახდინა მსოფლიო ეკონომიკაში და მას ახალი პრობლემები წამოუყენა გადასაწყვეტად. როგორც ომის გამოცდილებამ დაამტკიცა, ნავთი მეტად დიდი მნიშვნელობის სათბობს წარმოადგენს.

ამ ბოლო ხანებში გამოქვეყნებულ ცნობებიდან მტკიცდება, თუ როგორი დიდი როლი ითამაშა ნავთმა ომის წარმოებაში. ომის შემდეგ გენ. ფრში ამბობდა: „ჩვენი გამარჯვება გერმანეთზე იყო, გამარჯვება „გრუზაეიკისა“ ორთქლმავალზე“.

1918 წელში, როდესაც იწყებოდა შეტაკებანი გერმანეთის წინააღმდეგ, საფრანგეთის მაშინდელი პრემიერი კლემანსო ისტორიული წერილით მიმართავდა ვილსონს ნავთით დახმარების შესახებ, რომელიც „უფრო აუცილებელია გამარჯვებისათვის საერთო მტერზე, ვინემ სისხლი“. ლორდ კერზონმა თავის ერთ სიტყვაში (1918 წ) ისტორიული ფრაზა გადმოსროლა ნავთის მნიშვნელობის შესახებ. საერთაშორისო ომში „მოკავშირეები გამარჯვებისაკენ მისცურავდენ ნავთის ტალღებზეო“. ცნობილი დიპლომატები და ეკონომისტები დაბეჯითებით აღნიშნავდენ, რომ 1914 წლის საერთაშორისო ომმა აღმოაჩინა ნავთი. ეს მართალია იმდენად, რამდენადაც ომმა გამოააშკარავა ნავთის უპირატესობა ქვანახშირთან შედარებით და მისი ტექნიკური ღირებულება როგორც ომის წარმოების საქმეში, ისე მრეწველობაში უდავო გახადა. ტექნიკურად ნავ-

თის ეკონომიური ღირებულება ცხადი შეიქმნა მას შემდეგ, რაც დიზელის მოტორები გახდა ერთ-ერთ დიდ ტექნიკურ მიღწევად, ომმა მეცნიერულად აღმოჩენილი და დამტკიცებული ახალი ტექნიკის მიხედვით ნავთის გამოყენების მხოლოდ რეალიზაცია მოახდინა. ამგვარად, ნავთი ეკონომიური პრობლემის პირველ რიგში დგება. ეს სისხლზედ უფრო აუცილებელი სითხე საჭირო შეიქმნა არა მარტო საერთაშორისო ომის დროს, არამედ მშვიდობიანი ცხოვრებისათვისაც; ნავთი ეკონომიურ ცხოვრების წარმატების ერთი ფაქტორთაგანი შეიქმნა: საერთაშორისო პოლიტიკა დღეს ნავთისკენაც არის მიმართული.

1921 წ., სერიოზულ ეკონომიურ ჟურნალის „რეიუე ეკონომი ინტერნაციონალის“ რედაქტორი ამ საკითხზე სწერდა შემდეგს: „იმ ეკონომიურ პრობლემათა შორის, რომელიც უშუალო გავლენას ახდენენ სახელმწიფოთა პოლიტიკაზე, ნავთს საკითხმა ომის დასაწყისიდანვე მოიპოვა პირველ ხარისხოვანი მნიშვნელობა. ხშირად გვესმის, რომ ჩვენ ვდგევართ ახალი კონფლიქტის წინაშე. „სტანდარტ ოილის“ „როიალ დეჩ“-თან ერთად, რომლებმაც ხელახლად გაჩაღეს მსოფლიო ომად, შეუძლიათ მიგვიყვანონ ინგლის-ამერიკის ომამდე“. ეს არის ბურჟუაზიული ჟურნალის რედაქტორის აზრი; ასე მწვავედ სდგას ომის შემდეგ ნავთის საკითხი არა მარტო დიდ მონოპოლიურ ტრესტებს, არამედ დიდ სახელმწიფოთა შორისაც.

ნავთის გამო, რასაკვირველია, ომამდისაც არსებობდა ბრძოლა, მაგრამ ამ ბრძოლას უმთავრესად ნავთის ტრესტები აწარმოებდენ და თვით სახელმწიფონი იშვიათ შემთხვევაში ერეოდენ მათ საქმეებში. წინააღმდეგ, იყო შემთხვევები, როდესაც სახელმწიფო ძალდატანებას ახდენდა ნავთის ტრესტებზე და სდევნიდა მათ, როგორც, მაგალ., ეს მოხდა ამერიკაში „სტანდარტ ოილი“ ს კამპანიის მიმართ რუზველტის პრეზიდენტობის დროს. ომამდე ტრესტებს უმთავრესად ბრძოლა უხდებოდა ნავთის გასასაღებელ ბაზრების დაპყრობის გარშემო. ომმა

რადიკალურად შესცვალა ასეთი დამოკიდებულება და პოლიტიკა: ერთის მხრით მან თვით სახელმწიფოსა და ნავთის ტრესტების ინტერესები ერთი-მეორეს დაუახლოვა და შეაუღლა, მეორეს მხრით, ნავთის საკითხში აღნიშნულ ორგანიზაციების მთავარ ამოცანად წამოაყენა არა **ნავთის გასასაღებელი ბაზრების ძებნა, არამედ თვით ნავთიანი რაიონებისა და ახალი ჭების დაპყრობა.**

ზემოდ ნათქვამიდან ნათელი ხდება ყველასათვის, თუ როგორ დიდ როლს თამაშობს ნავთის საკითხი დიდ-ტანიან სახელმწიფოთა საგარეო პოლიტიკაში. ეს განსაკუთრებით გამოაშკარავდა საერთაშორისო კონფერენციაზე. ვაშინგტონის კონფერენციის მოწვევისას, საფრანგეთის მექარხნეების ორგანო „ლატურნე ინდუსტრიელ“ (1921 წ. ნოემბრის 17 ნომერში) აქვეყნებდა წერილს წყნარ ოკეანეს კონფლიქტის ეკონომიურ მიზეზების შესახებ. წერილის ავტორი დასკვნაში სწერდა: „ორი უმთავრესი საკითხი—ნავთისა და ქვანახშირის შესახებ—ითამაშებს დიდ როლს ვაშინგტონის კონფერენციაზე. უეჭველია, რომ არც შეერთებული შტატები, არც იაპონია არ გადახსნიან თავიანთ ფარულ ზრახვებს ამ საკითხების გარშემო, არ გამოსთქვამენ ხმამაღლა თავიანთ დაფარულ სურვილებს, მაგრამ ეს საკითხები შეიქმნება მათი პოლიტიკის ხელმძღვანელი“ ეს დასკვნა მართალი გამოდგა ორივ მხრივ, რომ ნავთისა და ქვანახშირის საკითხი რეგულიატორის როლში გამოვიდა არა მარტო ამერიკისა და იაპონიის დიპლომატების პოლიტიკის მხრით, არამედ კონფერენციის ყველა მონაწილეთა მიმართ.

ყველას კარგად ახსოვს, ის როლი, რომელიც ითამაშა გენუას კონფერენციაზე ნავთის საკითხმა. ინგლისის გაზეთების აზრით, ვერსალის მოლაპარაკებანი თუ 40—50 პროც. იყო მოლაპარაკება მსოფლიო ნავთის წყაროების გადაყოფის შესახებ, გენუას კონფერენცია ამ მხრივ 90 პროც.-ით ნავთის პრობლემებს შეეხებოდა. კავკასიის ნავთის წყაროები შეიქნა უმთავრესად გენუის კონფერენციის სადავო საგნად.

ამერიკისა და ინგლისის ინტერესები ძირიანად დაუპირისპირდა ამ საკითხში ერთი მეორეს. დიპლომატებთან ერთად გენუაში გადამჭრელ როლს თამაშობდენ ნავთის საერთაშორისო ტრესტების წარმომადგენლებიც. ცნობილი გაზეთი „ტაიმსი“ სწერდა მაშინ ამ საკითხის შესახებ: „ნავთის სუნი სჭარბობს მთელს კონფერენციაზე და ნავთის საწყობების მეპატრონეებს სიამოვნებით სჯერათ ის კურიოზული მოსაზრება, რომ რამდენიც არ უნდა იმსჯელონ დელეგატებმა კონფერენციაზე, მსოფლიოს ბედის ნამდვილი გადამწყვეტელი მაინც საერთაშორისო ფინანსისტების მეფეები არიან.“ გენუას დიპლომატია სიამოვნებით იკვებებოდა ნავთის სუნითა და დიდი მპყრობელების წარმომადგენლები შეუწყვეტლად აწარმოებდენ მოლაპარაკებას, როგორც ურთიერთ შორის, ისე ნავთის ტრესტებთან ამ სითხის წყაროების გადანაწილების შესახებ.

როგორც გვახსოვს, ჩვენს ემიგრანტებსაც განეითარებული ყნოსვა აღმოაჩნდათ და ნავთის არომატმა ინტენსიურად აამოძრავა მათი პოლიტიკაც. მთელ რიგ წერილებსა („თავისუფალ საქართველოში“) და ნოტებში მოკავშირეთა მიმართ ისინი მათდა სასარგებლოდ საქართველოს კითხვის გადაჭრას ნავთის საკითხს უკავშირებდენ...

ნავთმა თავისი გაიტანა. საბჭოთა რუსეთი არ დასთანხმდა წამოყენებულ პირობებს; თვით კაპიტალისტურ სახელმწიფოთა შორის ნავთის საკითხის გარშემო გარდუვალი ჭლუტე აღიმართა და მათ ვერ შესძლეს ერთ, საერთო ენის გამოძებნა. ამერიკის კაპიტალისტების ინტერესებმა ჩაშალა გენუას კონფერენცია.

მოკავშირენი იძულებული შეიქნენ მორიგი კონფერენციაც მოეწვიათ ახლო აღმოსავლეთის საკითხის შესახებ. თუ გენუას კონფერენციას ბაქოს ნავთის სუნი აღრჩობდა, ლოზანას კონფერენციაც ვერ ასცდა ამ მეტად მიმზიდველი სითხის სუნსა და აქაც წამოიჭრა ოსმალეთის ნავთის საკითხი და ნავთის საშუალების გარეშე შეუძლებელი შეიქნა მრავალი

სხვა საკითხების განათება. ლოზანას კონფერენციის მთავარი განსახილველი საკითხი იყო ოსმალეთის პრობლემა. ნავთმა აქაც ამოყო თავი და მოსული ვილაიეთი, ნავთის მდიდარი სამეფურნეო რაიონი შეიქნა გაცხარებული დიპლომატიური ვარჯიშობის ობიექტი.

1916 წელს ინგლისმა და საფრანგეთმა ფარული ხელშეკრულებით ოსმალეთის სხვა ტერიტორიასთან ერთად ეს რაიონიც გაიყვეს: მესოპატამია წილად ხვდა ინგლისს, მოსსული კი წაიღო საფრანგეთმა. ომის შემდეგ საფრანგეთსა და ინგლისს შორის უკმაყოფილება კვლავ განვითარდა ამ საკითხის გარშემო.

1920 წელში მილიერანმა სანა-რემოში ხელი მოუწერა ინგლისს მოსულის რაიონის დათმობის შესახებ. ასეთი გაუაზოფის წინააღმდეგ ამერიკამაც ხმა მოიღო და ენერგიული პროტესტი განაცხადა. ამ საკითხების გარშემო ინგლის-ამერიკის შორის დიდი დიპლომატიური წინააღმდეგობა განვითარდა, რომელიც კონფლიქტით ემუქრებოდა მათი ურთიერთობის საქმეს. შემდეგში ნავთის ტრესტებმა რამოდენიმეთ შეანელეს წინააღმდეგობა და დროებით ჩამოაგდეს ეგრედ წოდებული „ნავთის მშვიდობიანობა“ ინგლის-ამერიკის შორის. კერძოს ჟურნალი „ევროპის აღდგენა“ (1922 წ. 6 ივლისი) საუბლოვოდ გვიხსნიდა ნავთის პოლიტიკის ძირითად მიზნებს: „ნავთის მშვიდობიანობა დამყარებულია და სან-რემოს ხელშეკრულება დროებით დავიწყებულად უნდა ჩაითვალოს. საუბედუროთ, ეს არაოფიციალური ნავთის ზავი არ იყო გამაგრებული რაიმე ოფიციალურ ხელშეკრულებით ამერიკასა და მის მოკავშირეთა შორის. შეთანხმება კი, რასაკვირველია, შესაძლებელი იყო მიღწეულიყო. საფრანგეთმა და ინგლისმა უნდა აღიარონ ყალბად ის დოქტრინა, რომლის თანახმად ნავთის კომერციული კანტროლი აუცილებელია ომის მოსავზადებლად. ნუ თუ არ გვაჩვენა ომმა, რომ კანტროლს აქვს მნიშვნელობა ომის და არა მშვიდობიანობის დროს? განსაკუთრებული კანტროლი რუმინიის ნავთის წყაროებზე შეიქნე-

ბა საფრანგეთისთვის უსარგებლო, თუ ის არ იქნება ომის დროს ხმელეთისა და ზღვების მპყრობელი რუმინიასა და ბოსფორში. კანტროლი „ინგლის-სპარსეთის კომპანიაზე“ შეიქნება უსარგებლო ინგლისისათვის, თუ ის არ გახდება საზღვაო ჰეგემონი სპარსეთის ზღვის ყურესა და სატრანსპორტო გზებზე. სწორია ამის წინააღმდეგიც, რომ ნავთი ვერ უზრუნველჰყოფს ხმელეთისა და საზღვაო ბატონობას“ (იხ. «სოციალისტური მეურნეობა» № 1 1923 წ. გვერ. 158). ავტორის უკანასკნელი სიტყვები შეიძლება შეტრიალებულ იქნეს შემდეგნაირად, რომ საზღვაო ფლოტის, ავტომობილებისა და ავიაციის წარმატების საქმე შეუძლებელი არის უნავთოთ; მაგრამ ეს ციტატა ბურჟუაზიული ორგანოსა ჩვენ გარკვევით გვიხსნის, თუ რა უდევს საჩინულად ნავთის თანამედროვე პოლიტიკას, რომ იმპერიალისტურმა სახელმწიფოებმა უზრუნველჰყონ თავისთვის ნავთის რაიონები, ამისათვის საჭირო არის ძლიერი საზღვაო ფლოტი, მაგარი მილიტარისტული მუშტი და მნიშვნელოვანი სტრატეგიული პუნქტების დაპერა. თავის მხრივ კი ნავთი დაუშრეტელ ენერგიას იძლევა სამხედრო ყოველგვარი დარგის გასაფართოებლად. ამ მხრივ ეს ფაქტორები საკუთრივ შეწონილი არიან ერთმანეთთან. ცხადია, სან-რემოში გამარჯვებით ინგლისმა დიდ უპირატესობას მიაღწია ახლო აღმოსავლეთის საკითხში. როგორც აღვნიშნეთ, საფრანგეთის და ამერიკის ინტერესები ამაში ვერ შეურიგდებოდა და აჭიტომ მათი პოლიტიკაც მიმართული იქნა ინგლისის გამოსადენად აღნიშნულ ნავთის რაიონებიდან. ეს გვარად ლოზანას კონფერენციაზე სხვა კითხვებთან ერთად ახლო აღმოსავლეთის პრობლემის გადაწყვეტის დროს დიდი ადგილი ჰქონდა დათმობილი ნავთის საკითხსაც. ჩვენ ოსმალეთის ნავთისათვის ბრძოლას იმპერიალისტურ სახელმწიფოთა შორის და ამის შესახებ წარმოებულ დიპლომატიურ ბრძოლას ლოზანას კონფერენციაზე უფრო ვრცლად შეეხებით ქვემოთ; ახლა მოვიყვანთ ნავთის პოლიტიკის დასახასიათებლად ხელოლად ერთს მომენტს; საფრანგეთის გაზეთ „ტანი-

ადგილოკემით გენერალი ტაუმსენი შემდეგნაირად ხსნიდა ლოზანას პირველ კონფერენციის ჩიხში მომწყვდევის საკითხს:

საჭიროა ინგლისის საზოგადოებრივი აზროვნება დარწმუნდეს იმაში, რომ ლოზანას კონფერენცია მოემწყვდა ქუჩაბანდში განსაკუთრებით მოსულის (ნავთის) საკითხის გამო და კაპიტულიაცია აქ არაფერ შუაშია".

როგორც ვხედავთ, ნავთის საკითხმა მეტად დიდი ადგილი დაიჭირა საერთაშორისო პოლიტიკაში; იგი პირველ ხარისხოვან საკითხს წარმოადგენს კაპიტალისტურ მსოფლიოსათვის.

აღსანიშნავია აგრეთვე ის გარემოებაც, რომ იმპერიალისტების პოლიტიკის ენერგიულ ბრძოლას თან მოყვა ლიტერატურული კომპანია ამ დარგის სასარგებლოდ. ბურჟუაზიული იდეოლოგია და პუბლიცისტიკა ყოველთვის ერთგული მსახური იყო კაპიტალისტური მაგნატების. ამ მხრივაც ბურჟუაზიის მსახურები არ ჩამორჩენ ცხოვრების პროგრესს და ისინი დაბეჯითებით არკვევენ ბოლო რიგ შრომებში ნავთის საკითხსა და მის ღირებულებას. 1917 წლიდან იმპერიალისტური ლიტერატურა მრავალი შრომებით გამდიდრდა ნავთის საკითხის შესახებ; მათი მთავარი შინაარსი მჭიდროდ არის დაკავშირებული იმპერიალისტურ პოლიტიკასა და ინტერესებთან: „ნავთი და საფრანგეთი", „კეროსინის პოლიტიკა" (ხენატორი ბერანჟე), „ნავთი" (დელეზი) „კეროსინის იმპერიალიზმი" (ლუი ლეპაჟი), „ნავთის საერთაშორისო პოლიტიკა" (ენეერარი), „ნავთის საკითხის პოლიტიკური მხარე" (კეინსი) და სხვ.

მეცნიერების სხვა დარგიც არ ჩამორჩა ამ საერთო გატაკებას. განსაკუთრებით გეოლოგები გულმოდგინეთ. არკვევენ მიწის სიღრმის სიმდიდრეებს და მზის სინათლეზე გამოაქვთ იქ დამარხულ უამრავ დოვლათის სიდიადე და რაოდენობა. თითქმის უკვე გამორკვეული არის გეოლოგების მიერ თუ სად რამდენი მარაგი ნავთისა არის დაგროვილი და რომელ ტერიტორიალურ ერთეულს რამდენი ნავთის მოცემა

შეუძლია განსაზღვრულ დროის განმავლობაში. ამ მხრივ თავი ისახელეს ამერიკის გეოლოგებმა, რომლებმაც 1919 და 1920 წლებში დაახლოებითი სურათი გადაშალეს ამერიკის ნავთის ჭების მდგომარეობისა და იქ დაგროვილი მარაგის შესახებ. მათი ანგარიშით, ამერიკას 15—20 წლის განმავლობაში თუ ეყოფა თავისი ნავთის მარაგი. ამ გარემოებამ და გამოკვლევებმა უნუგეშო მდგომარეობაში ჩააგდო ამერიკის პოლიტიკოსები და გააორკეცა მათი იმპერიალისტური საერთაშორისო პოლიტიკა ნავთის საკითხში. დღეს უკვე დამთავრებულია შედარებით გამოკვლევანი იმის შესახებ, თუ სად რაოდენი ნავთის მარაგი არის შენახული მიწის სიღრმეში და გეოლოგების მიერ შემუშავებულ სტატისტიკურ ცნობების მიხედვით, იმპერიალისტები ამუშავებენ თავიანთ ნავთის პოლიტიკას. ამის შესახებ დაწვრილებით ცნობებს ჩვენ ქვევით მოვიყვანთ.

როგორც ვხედავთ, მეცნიერების ყოველი დარგი: ეკონომიკა, გეოლოგია, პოლიტიკა, სტრატეგია, ტეხნიკა დღეს ნავთის საკითხით არის უაღრესად დაინტერესებული. ეს აიხსნება მით, რომ თვით კაპიტალისტური მეურნეობა არის უშუალოდ დაინტერესებული ნავთით. წარმოიდგინეთ, მხატვრული ლიტერატურაც კი ხოტბას ასხამს ამჟამად ამ მეტად მიმზიდველი არომატის მქონე სითხეს. მაგრამ საფრანგეთის ცნობილ სენატორმა ანრი ბერანჟემ თავის პოლიტიკურ პანეგირიკაში ნავთის მიმართ ყველას გადააჭარბა. 1920 წელში აღნიშნულმა ბერანჟემ შემდეგი სიტყვებით აღწერა ნავთის მნიშვნელობა: „ვის ხელშიაც იქნება ნავთი, ძალა-უფლებაც მას ექნება ხელში. ბატონობა ზღვებზე შესაძლებელია მძიმე ნავთის საშუალებით, ბატონობა ცაში—ბენზინის წყალობით, ბატონობა კონტინენტზე—გაზოლინისა და მსუბუქი ნავთის წყალობით, ბატონობა მთელს მსოფლიოზე—ამ ნივთიერების ფინანსიური სიძლიერის დახმარებით —ნივთიერების, რომელიც უფრო ძვირფასია, უფრო იმორჩილებს თავისთვის ყოველივეს, უფრო გაბატონებულია მთელს პლანეტაზე, ვინემ თვით ოქროს.

თავი მეოთხე.

ნავთის როლი მსოფლიო მეურნეობაში.

Вопрос о нефти является в настоящее время одной из труднейших проблем капиталистического хозяйства.

М. Павлович.

1. ნავთის ტექნიკური მნიშვნელობა.

წინა მიმოხილვაში ჩვენ დავინახეთ, თუ ნავთმა როგორ დიდი ადგილი დაიჭირა საერთაშორისო პოლიტიკაში. მაგრამ ჩვენ არსებითი პასუხი არ გაგვიცია იმისათვის, თუ როგორი ეკონომიური ფუნქციებით არის აღჭურვილი ეს სითხე და როგორია მისი ტექნიკური ღირებულება. ამ თავში ჩვენ განსაკუთრებით ყურადღებას მივაქცევთ ამ მხარეს, რომ შემდეგ გაგვიადვილდეს ყოველი იმპერიალისტური სახელმწიფოს პოლიტიკისა და მოქმედების ახსნა ამ საკითხში.

„მთელი მსოფლიო სდგას ახალი ტექნიკური გადატრიალების წინაშე, რომელიც გამოიწვევს მეტად სერიოზულ ეკონომიურსა და პოლიტიკურ შედეგებს. **ჩვენ ამ უამად გადავდივართ ნახშირის ეპოქიდან ნავთის ეპოქაში.** ორივე ეს ძაწვავი მასალა გადაიქცა დიდ მყრობელად. არც ერთს განვითარებაში მყოფ სახელმწიფოს არ შეეძლო არსებობა უნახშიროდ, და მომავალში გვერდს ვერ აუვლის ნავთს. თუ ინგლისი ნახშირის წყალობით პირველ რიგში გამოვიდა როგორც მრეწველობის სატრანსპორტო ქვეყანა, აწი სახელმწიფოთა პოლიტიკური და ეკონომიური ბედი დამოკიდებული იქნება ნავთისაგან". ასე სწერს პროფ. ერნესტ შულცე თავის წიგნში „მსოფლიო

ბეურნეობის დაშლა". *) ეს მოსაზრება არ ეკუთვნის მარტო შულცეს. მთელი რიგი ეკონომისტებისა და პოლიტიკოსებისა აღნიშნავენ ნავთის უდიდეს როლს მსოფლიო მეურნეობის საქმეში. ამბ. ლიხვილ პავლოვიჩი ერთ თავის წიგნში შემდეგს სწერს ნავთის შესახებ: „ნავთი, როგორც მაძრი ძალისა (двигательная сила) და სათბობის წყარო, თანდათან უფრო აძლევებს ნახშირს წარმოებიდან. განსხვავებით გასულ საუკუნეებთან, რომელიც ორთქლის მანქანებისა და ნახშირის საუკუნე იყო, მე-20-ე საუკუნე ხდება შიდაწვის ძრავებისა (двигателей внутреннего сгорания) და ნავთის საუკუნედ".**)

მე-19-ე საუკუნე ხასიათდება მრეწველობის უდიდეს განვითარებითა და სამრეწველო კაპიტალიზმის სამოქმედო სარბიელის გაფართოებით. ეკონომიური ცხოვრების ასეთ წარმატებაში გადამჭრელ როლს თამაშობდა რკინა და ორთქლის მანქანები; სათბობი მასალის მხრით უპირატესობა მოპოებული ქონდა ქვანახშირს, რომლის შესაძებად და თავიანთი მეურნეობისათვის დასამორჩილებლად მრავალი სისხლი იღვრებოდა იმპერიალისტურ სახელმწიფოთაგან. დამახასიათებელია მე-19-ე საუკ. ისტორიისათვის სწორედ ის, რომ გერმანეთის ასეთი დიდი დაწინაურება და მისი პირველ ხარისხოვან სახელმწიფოდ გადაქცევა გამოწვეული იყო რკინისა და ქვანახშირის მდიდარი სამეურნეო ერთეულების ფართოდ თავის მოყრითა და შეუღლებით გერმანეთის კაპიტალისტების ხელში. როგორც აღნიშნული გვქონდა, ელზას-ლორენის მდიდარმა რკინის მაღაროებმა დაუშრეტელი წყარო შესძინა გერმანელის მძიმე ინდუსტრიას, ხოლო რურის ქვანახშირის დოვლათიანმა რაიონებმა მომაძრავებული ცეცხლი შთაბერა ელზას-ლორენის რკინასა და მძიმე ინდუსტრია უმწვერვალეს ხარისხამდე განავითარა. ამ ნიადაგზე აღმოცენდა უმთავრესად

*) Э. Шульце: „Развал мирового хозяйства" გვ. 160, 1923 წ.

**) იხ. М. Павлович: „Советская Россия и капиталистическая Америка" გვ. 81, 1922 წ.

გერმანეთის იმპერიალიზმი და მისი კაპიტალისტური მეურნეობა.

მე-19-ე საუკუნის ეკონომიურ ცხოვრების ასეთ კოლონიალურს განვითარებაში ნავთს ი.ითქმის არავითარი როლი არ უთამაშია. იგი დღიდან ამ წარმოების დაწყებისა, 50 წ. განვალობაში ყველაზე უფრო მშვიდობიან სამეურნეო დარგს წარმოადგენდა და სპეკულიაციის ობიექტი უფრო იყო, ვინემ კაპიტალისტური მეურნეობის წარმატების ფაქტორი.

ნავთსა და მის წარმოებას თავისი წარსული აქვს, მაგრამ დღემდე ის არ გამოდიოდა მეურნეობაში გადამჭრელ როლის სახით. ნავთის არსებობა იცოდენ ძველმა ბერძნებმა და რომაელებმა, ჰეროდოტი და პლიუნიუსი მას უწოდებენ **პიტოლიუმს**. ისინი—ძველი ბერძნები და რომაელები -ნავთს ხმარობდენ ხან როგორც სამკურნალო საშუალებას, ხან კი როგორც გამანათებელ მასალას, სიცილიის ზეთის სახელწოდებით. ერთი სიტყვით, ნავთი ცნობილი იყო ძველად, მაგრამ მისი რაციონალური მოხმარა არ იცოდენ. ძველათვე იცოდენ აგრეთვე ბაქოს ნავთის არსებობა. მე-ს-ე საუკუნეში ქრისტეს დაბადებამდე აფშერონის ნახევარ კუნძულზე წარმოიშვა ცეცხლის თაყვანის მცემელთა კულტი, რომელთა წყალობითაც აშენებულ იქმნა ტაძრები „ჩაუქრობელი წმინდა ცეცხლით განათებული“, რომლის მასალას შეადგენდა ნავთი. ბოლოს, ერთი არაბელი ისტორიკოსის ცნობით, 10-საუკ. წინეთაც დღევანდელ ბაქოს რაიონსა და მის მიდამოებში მცხოვრებლებმა უკვე იცოდენ ნავთის არსებობა, ისინი იღებდენ ნავთს არა ღრმა ჭებიდან და ხმარობდენ წაქლობისა და განათების მიზნით. აგრეთვე 200 წლის წინად ქალ გენუა განათებული იყო ნავთით.

ამ ცნობებიდან ჩვენ ვხედავთ, რომ წარსულში ნავთის არსებობა იცოდენ და მას ხმარობდენ როგორც სამკურნალო და განათების საშუალებას. მაგრამ ნავთის დიდი ეკონომიური ღირებულება, რასაკვირველია, მათ არ ესმოდათ და არც საშუალება ქონდათ მისი რაციონალური ამოღებისა მიწის სი-

ღრმიდან. განსაკუთრებით ნავთის მრეწველობის ისტორია იწყება მე-60-ცე წლებიდან, როდესაც ამერიკაში,—პანსილვანიის რაიონში,—აღმოჩენილი იქმნა ნავთის წყაროები; ამ ხნიდან ნავთის გავრცელებას ხელი შეუწყო ნავთის „ლამპების“ გაჩოგონებამაც გერმანეთში. ნავთმა ამ პერიოდიდან მოიპოვა სრულიად განსაზღვრული და მშვიდობიანი დანიშნულება: სახლეებისა და სოფლის ქოხების განათება და ძლიერ იშვიათ შემთხვევაში ბუხრების გათბობა. ნავთის რაიონების მქონე ქვეყნებისათვის ის შეიქმნა სპეკულიაციის მთავარი საგანი.

ამერიკაშივე მყისვე შესდგა ნავთის კომპანიები, აგრე წოდებული ტრესტები, რომლებიც უმთავრესად იმის ცდაში იყვენ, რომ ფართო საზოგადოებისათვის გაეცნოთ და გაეგებინებიათ ნავთის ღირებულება ოჯახური ცხოვრებისათვის და ამით მოთხოვნილება ნავთზე გაეფართოებიათ. ბრძოლა ნავთის გასასაღებელ ბაზრების დასაპყრობათ და ფართო საზოგადოების დაინტერესება ნავთის მოხმარით,—აი რა შეადგენდა უმთავრესად თითქმის ომის დაწყებამდე აღნიშნულ კაპიტალისტურ კომპანიების მთავარ საზრუნავ საგანს. ევროპის, აზიის, აფრიკის ბაზრები გაივსო უმთავრესად ამერიკის ნავთით, რომელსაც განსაზღვრულ შემთხვევებში კონკურენციას უწევდა რუსეთის ნავთი. ევროპის კონტინენტიდან ამერიკის ნავთი შეიჭრა იაპონიასა, ჩინეთსა, სპარსეთსა და ინდოეთში. ყველა ამ ქვეყნებში ამერიკული ტრესტი (სტანდარტ—ოილი) აგიტაციის ჩვეულებრივ ამერიკულ სისტემას ჰიმართავდა და ხალხს აჩვევდა ნავთის ჴოხმარას. ჩინეთში, მაგ. სტანდარტ ოილი სასულიერო წიგნებიდან და ბუდდას გამოთქმებით უმტკიცებდა ხალხს ნავთის განათების უპირატესობას სხვა განათებასთან შედარებით. შემდეგ უფასოთ ურიგებდა ხალხს რამოდენიმე ხნის განმავლობაში ნავთს, რომ ამით ხალხი დაინტერესებია ნავთით და აუცილებელ მოთხოვნილებათ ვაეხადა იგი. რასაკვირველია ეს აგიტაცია და ასეთი სახის პროპაგანდა პირველ ხანებში დიდ ხარჯებს იწვევდა, მაგრამ რამოდენიმე ხნის შემდეგ მას (კომპანიას) საშუალება ეძლეოდა ჩინელი გლეხების ზურგიდან

უფრო მეტი აეღო ფასების აწევით ნავთზე, რაკი ხალხი ნავთის მოხმარას უკვე შეეჩვეოდა.

ამგვარად დიდი ხნის განმავლობაში ნავთი უმთავრესად ამერიკული და რუსული ტრესტების სასპეკულიაციო საგანს შეადგენდა და მისი უმთავრესი სამოქმედო ასპარეზი იყო მოხმარის სფერო და მთავარი დანიშნულება ქოხების განათება.

მე 19-ე საუკუნის მიწურულებში ამ სფეროებშიაც ნავთს დიდი კონკურენცია გაუწია გაზმა და ელექტრონმა. ტექნიკურმა დაწინაურებამ განათების სფეროში დიდი უპირატესობა მიანიჭა გაზსა და ელექტრონს: დიდი ქალაქები ელექტრონის ლამპებით მოიკედა და მისმა შუქთა ფრქვევამ მოხიბლა მოქალაქის მხედველობა. ელექტრონის განათებამ გამოდენა მრავალ ოჯახიდან ნავთის ლამპები და ამით ნავთის კომპანიებს შეაერთვა განსაკუთრებით ქალაქის დიდძალი მომხმარებელი. ნავთზე ფასი დაეცა, რადგან მისი მოთხოვნილება და ბაზარი შემცირდა. ამ გარემოებამ თავის მხრით დააფიქრა ნავთის კომპანიონები და ისინი უკვე შეუდგენ ნავთის ამოღების შემცირებას.

მაგრამ, შემდეგმა ტექნიკურმა განვითარებამ ძარიანად გადაატრიალა ასეთი ურთიერთობა: 1900 და 1910 წლებში აღმოჩენილ და მოძრაობაში მოყვანილ იქმნა შინაწვის მატორები და დაიწყო შეუჩერებელი განვითარება ავტომობილების მოხმარისა. ჩვენი ეპოქის ამ დიდმა ტექნიკურმა რევოლიუციამ დაარღვია ძველი სწორწონაობა საჰეურნეო ცხოვრების სათბობი მასალის საკითხში და უდიდესი უპირატესობა მიანიჭა ნავთის პროდუქტებს. **ნავთი მოხმარების სფეროდან წარმოების სფეროშიც გადავიდა და ეკონომიური ცხოვრების წარმატების უდიდესი ფაქტორი შეიქმნა.** სიკვდილის პირზე მისული ნავთი, რომელსაც ქოხებიდანაც კი უპირებდა გაზი და ელექტრონი გამოდენას და რომლის არასიმპატიური სუნი ბურჟუაზიის მყნოსველობას აღარ ხიბლავდა, დიად მეცნიერულ აღმოჩენის წყალობით მეტად მიმზიდველ სითხეთ გადაიქცა, რომლის არამატი რამოდენიმე ათასეული კილომე-

ტრზე იტაცებს კაპიტალისტების ამჟამად ამ დარგში მეტად განვითარებულ ყნოსველობას. მიუხედავათ ასეთი დიდი რევოლიუციისა ტეხნიკაში, რამაც ნავთის ღირებულება როგორც მნიშვნელოვანი ეკონომიური ფაქტორის მეტად ასწია, ნავთის მნიშვნელობა მაინც საერთაშორისო ომის მიერ არის აღმოჩენილი. 1914 წლის ომმა ხაზგასვით აღნიშნა ნავთის ღირებულება, როგორც გამარჯვების ერთი უმთავრესი პირობის და სამხედრო წარმოებაში მას უდიდესი უპირატესობა მიანიჭა, ვინემ ქვანახშირს. ამ საკითხს ჩვენ უფრო ვრცლად ცოტა ქვევით შეკვეხებით და იქ დავახასიათებთ ნავთის როლს საერთაშორისო ომის პროცესში.

მაგრამ დროებით თავი რომ დავანებოთ. იმ დიად ტეხნიკური მიღწევების გათვალისწინებას, რომლებმაც გამოიწვიეს ნავთის, როგორც სათბობი მასალის, დიდი მოთხოვნილებანი, მაგ. შინაგანი წვის მატორებში, ჩვენ თანამედროვე მეურნეობის სტატისტიკური ცნობებიდანაც შეგვიძლია დავამტკიცოთ, თუ როგორ გაიზარდა ნავთის მოთხოვნილება. ამ თავში ჩვენ შეეადარებთ მხოლოდ ქვანახშირისა და ნავთის წარმოებისა და ამოღების განვითარების საქმეს. განვითარება ამ ორი მნიშვნელოვანი სათბობი მასალისა—ქვანახშირისა და ნავთის-

კის ნავთის წარმოების განვითარებიდან ავღნიშნავთ მხოლოდ, რომ 1860 წ. ამერიკას ამოქონდა ერთი მილიონი ბარელი ნავთი, 1921 წ.—470 მილიონამდე.

ეს მშრალი ციფრები ჩვენ გვეუბნება იმას, რომ ნავთის მოთხოვნილება მსოფლიო მეურნეობისათვის დღითი დღე იზრდება და იგი ეკონომიური ცხოვრების წარმატებაში მეტად მნიშვნელოვანი ფაქტორი ხდება. ნავთი მეტად სწრაფი ნაბიჯით საპატიო ადგილს იკერს მსოფლიოში და საერთაშორისო იმპერიალისტთა მთელი გულის ყური უმთავრესად მისკენ არის მიმართული.

მაგრამ ნავთის დიდ ეკონომიურ ღირებულებას ამტკიცებს არა მარტო ზემოთ მოყვანილი მშრალი ციფრები, არამედ ის დიდი გარდატეხაც, რომელიც მოხდა ტეხნიკურ მეცნიერებაში და რომელმაც ნავთს დიდი გასავალი მიანიჭა, როგორც სათბობ მასალას. გერმანეთის ცნობილ ტეხნიკოსის დიზელის გამოგონებამ და შინაგანი წვის მატორების ფართოდ გამოყენებამ სამხედრო დარგებში, სატრანსპორტო და სამრეწველო უწყებებში, ავტომობილების ფართოდ გავრცელებამ ნავთი აიყვანა უმწვერვალეს ხარისხამდე.

რაში გამოიხატება ნავთის ტეხნიკური ღირებულება? ჯერ კიდევ გასული საუკუნის ოთხმოციან წლებში რუსეთის დიდმა მეცნიერმა მენდლეევმა აღნიშნა ნავთის მნიშვნელობა, როგორც მაძრი ძალისათვის დაუშრეტელი ენერგიის მომცემის. მაგრამ ეს იყო მხოლოდ სათუო ღებულება, რომელსაც მეცნიერული დასაბუთება მიეცა 1900—1910 წლებში, როდესაც მოხდა პრაქტიკული სპეციალიზაცია ინჟ. დიზელის სისტემის შინა-წვის მატორების. 1893 წ. გერმანელმა ინჟ. დიზელმა გამოიგონა და მოაწყო შინაწვის მატორები, რომლის სისტემამ მთელი ტეხნიკური რევოლიუცია გამოიწვია შემდეგში და ნავთს პირველმა მოუპოვა წარმატების საქმე. ამ მატორს დაერქვა მისი გამომგონის სახელი—დიზელ-მატორი. 1900 წლიდან ხდება დიზელ-მატორების სპეციალიზაცია და მის სისტემაზე აგებული მანქანები თან და თან პრაქტიკულ ცხოვ-

რებაში შედიან. 1900—1910 წლები არის შინაწვის მატორების სპეციალიზაციისა და ავტომობილების ფართოდ გავრცელების ხანა. ავტომობილიზმის გავრცელებამაც გამოიწვია ნავთის სითხის დიდი მოთხოვნილება. ტეხნიკის ასეთმა წარმატებამ დიდი ინტერესი გამოიწვია ნავთისადმი, რაც გამოიხატა იმაშიც, რომ ნავთის ტრესტები და კომპანიები გაცხოველებულ ბრძოლის წარმოებას შეუდგენ მექსიკის მიდამოებსა, ცენტრალურ ამერიკასა და ბირმაში (ინდოეთი) ნავთის ახალი წარმოების ხელში ჩასაგდებად.

მაგრამ დიზელ-მატორმა მეორე მხრითაც გამოიწვია რევოლიუცია. ამდენ ხანს არსებული მატორები მოძრაობდენ განსაკუთრებით ბენზინის, ბენზოლისა და კეროსინის საშუალებებით. ამ ელემენტების დამზადება კი თავის მხრით მოითხოვს მიღებული ნედლი ნავთის 60—75%-ს. ნარჩის ნაწილიდან კეთდება საცხები ზეთი და პაროფინი. დიდი ნაწილი კი მაზუთის სახით რჩებოდა გამოუყენებელი თავისი უმაღლესი ტემპერატურის გამო. ამგვარად მაზუთი დიდი ხნის განმავლობაში ტეხნიკურად გამოუყენებელი იყო. ამიტომ, მეორეს მხრით, ბენზინის წარმოება ძლიერ ძვირი ჯდებოდა (იხ. ფ. დელეზის წიგნი „ნავთი", გვ. 7—9, 1923 წ.). დიზელის სისტემამ ამ დარგში საგრძნობი რევოლიუცია მოახდინა და მისი საშუალებით შეიქნა შესაძლებელი მაზუთის გამოყენება. დიზელ-მატორის მოძრაობაში მოყვანა ძლიერ დიდ ტეხნიკურ გარდატეხას იწვევს წარმოებაში და ამასთანავე მეტად საგრძნობი ეკონომია მისცა ყოველ დარგს.

სათბობი ენერგია ნავთისა ზედარებით ქვანახშირთან დიდი არის. მაშინ, როდესაც ორთქლის მანქანები იყენებენ სათბობში ენერგიის მხოლოდ 15-18%-ს, დიზელის მატორები კი ადიდებენ ამ %-ს 30-დე. ამ გვარად, სათბობი ენერგია მიღებული ნავთისაგან ჯდება ბევრად უფრო იაფი, ვინემ ენერგია მიღებული ნახშირისაგან. ამასთანავე ორთქლის მანქანები თხოულობენ ჯერ უფრო მეტ ნახშირს, ვინემ მატორები.

მაზუთის მოხმარა იძლევა 70% მეტ სითბოს, ვინემ ქვანა—

ხშირის. სათბობი ეფექტი ნავთის ელემენტებისა ამ გზით ეტად იზრდება: ერთი კილოგრამი ნავთისა აწარმოებს ისეთსავე მუშაობას, როგორც 1,7 კილოგრამი ქვანახშირისა. ნავთის სათბობი ენერგიის უპირატესობა შედარებით სხვა სათბობ მასალებთან სჩანს შემდეგ ცხრილიდან, თბომტარობა (теплопроводность) ერთი ფუთი ნავთისა უდრის:

მურა ნახშირის	1,84 ფუთს
ანტრაციტის	1,47 „
შეშის . .	3,22
წანახშის (ტორფი).	3,03 „
კიზიაკის . ,	4,20*) „

ნავთისაგან მიღებული სათბობი ენერგიის ასეთი დიდი რაოდენობა (შეტი ქვანახშირზე 70%-ით) შედეგად იძლევა დიდ ეკონომიას ყოველის მხრით. ნავთის გამოყენება იწვევს სათბობი მასალის $^5/_6$-დით შემცირებას, ჯდება უფრო იაფი, ითხოვს უფრო მცირე შრომას, ამასთანავე ამცირებს ტვირთს ტრანსპორტზე.

აღსანიშნავია ერთი მეტად-დიდი გარემოება, რომელსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სამხედრო გემებისათვის საომარი მდგომარეობის დროს. მაშინ, როდესაც ქვანახშირით დატვირთულ გემს ზღვაზე შეუძლია გაჩერდეს მხოლოდ 15 დღე, და შემდეგ ხელმეორედ უნდა მიიღოს ახალი სათბობი მასალა—ქვანახშირი, ნავთით დატვირთული გემი, მოწყობილი დიზელის მატორით—57 დღის სათბობი მასალით არის მომარაგებული და ამ ხნის განმავლობაში თავისუფლად შეუძლია თავისი მოქმედება აწარმოოს ახალი სათბობის მიუღებლად. ასეთი მდგომარეობა იწვევს იმას, რომ ნახშირით დატვირთული საეკრო გემი, მიმავალი შორეულს ქვეყნებში, იძულებული ხდება ხშირ-ხშირად მიიღოს სათბობი მარაგი ა. წ. ქვანახშირის სადგურებზე, რომლებიც გაშენებულია ზღვების სხვა და სხვა წინასწარ გამოანგარიშებულ პუნქტებ-

* იხ. ბერზინის წიგნი: „Мировая борьба за нефть“ გვ. 6, 1922 წ.

ში. გემების ასეთი ხშირი დატვირთვა იწვევს დროის დაკარგვასა და დიდ ხარჯებს. ამასთანავე, თუ რა დიდი დეფექტია ეს სამხედრო მდგომარეობის დროს, ამის წარმოდგენა თავისთავად შესაძლებელია. ნავთმა ამ მხრივაც დიდი ცვლილება შეიტანა საქმის ვითარებაში. უპირველეს ყოვლისა ნავთით დატვირთვა დიდი ოკეანეს გემების თხოულობს მხოლოდ 12 საათსა და 12 კაცს, მაშინ როდესაც ქვანახშირით დატვირთვისათვის საჭიროა 500 მუშა ხელი და 5 დღე. მეორეს მხრით, მეტად ადვილი ხდება სათბობი მასალით მომარაგება. როგორც ავღნიშნეთ, ნავთით დატვირთული გემი ორმოცდაორი დღით მეტი რჩება ზღვაზე, ვინემ ქვანახშირით დატვირთული. ჰამბურგიდან იაპონიაში მიმავალი გემი, რომლის ტეობა უდრის 8.000 ტონს, იმარაგებს 700 ტონ ნავთს და ეს საკმარისია, რომ დაბრუნდეს უკანვე ჰამბურგში. ორთქლის მანქანებით მოწყობილ გემზე ამავე მანძილის გასავლელად საჭირო ხდება 8 ჯერ მეტი ქვანახშირისა, თითოეულ მიღების დროს კი-650 ტონი. აღსანიშნავია აგრეთვე ისიც, რომ ნავთის სისტემაზე გადასვლა ამცირებს ორი მესამედით მოსამსახურე პერსონალს გემზე.

ევროპის ეკონომისტები შემდეგ უპირატესობას აძლევენ დიზელის მატორს ორთქლის მანქანებთან შედარებით: *)

	დიზელის მატორები	ორთქლის მანქანები
მძლეობა (ცხენის ძალით)	21,500	21,000
მაძრის სიმძიმე ყველა დამატებითი აპარატით (ტონებით)	1.000	34.000
კიდევ დღიური მოხმარა სათბობისა (ტონებით) .	100 (ნავთი)	360 (ნახშ.)

ჯკვე დასახელებული ფრანგი ეკონომისტი დელეზი თავის წიგნში დიზელის მატორების შესახებ დაასკვნის, რომ მაზუთის მოხმარა ამ მატორის საშუალებით იძლევა 70%-ზე

*) იხ. „ზარია ვოსტოკა“ № 107.

მეტს სითბოს ვინემ ქვანახშარი, უკანასკნელზე უფრო იაფი ჯდება და იპერს ნაკლებ ადგილს. მასთანავე იძლევა შესაძლებლობას უმაღლეს სიჩქარის გასავითარებლად, ახდენს პერსონალის ეკონომიას და მოხმარაც ადვილია. ამგვარად დიზელის მატორი იძლევა ადგილის ეკონომიას 33%-ით, გემის მოქმედების რაიონი ფართოვდება 50%-ით და სათბობის ეკონომია აღწევს 30%-ზე მეტს. აქედან სრულიად ადვილი წარმოსადგენია, თუ როგორ რევოლიუციას გამოიწვევდა ნავთის სათბობით მოწყობილი მატორების სისტემა ეკონომიური ცხოვრების ყოველ დარგში. დიზელი შეიჭრა ყველგან და გამოდენა ორთქლ-მატორები (პარავიკები), მაგრამ განსაკუთრებული სიძლიერით ის შეიჭრა ნავიგაციაში, დიზელის სისტემის უპირატესობას და ნავთის სათბობს დიდი მნიშვნელობა აქვს კრეისერებისა და დრედნოუტებისათვის, რაც საშუალებას აძლევს გადიდებულ იქმნას მათზე ზარბაზნები და ბრონი. პირველად წვრილი კაბოტაჟური გემები, შემდეგ კი უფრო დიდი ორთქლმავალები თანდათან გადავიდენ ნავთის მოხმარებაზე. როგორც სავაჭრო, ისე სამხედრო გემები თანდათან ეწყობა ნავთის სათბობზე ინგლისსა და ამერიკაში. ამერიკის სამხერო ფლოტი, რომელიც ცოტათი ადრე შეუდგა ნავთის მოხმარას, საესებით გადასხვაფერდა ამ ცელილებებით. „როგორც სამხედრო, ისე საზღვაო ფლოტზე მაზუთი ემუქრება ქვანახშირს ტახტიდან ჩამოგდებას“, ამბობს დელეზი (იქ. გვ. 9.).

2. ნავთის როლი საერთაშორისო ომში.

ამ მიმოხილვიდან ჩვენ ვხედავთ, რომ 1900-1910 წლებში მეცნიერების და ტეხნიკის განვითარებამ მეტად დიდი მნიშვნელობა მოუპოვა ნავთის პროდუქტებს მსოფლიო მეურნეობაში და იგი კაპიტალისტური წარმოების უდიდესი ფაქტორის როლში წამოიჭიმა. მაგრამ ნავთის პრაქტიკული ღირებულება და სამრეწველო მნიშვნელობა საერთაშორისო ომმა აღმოაჩინა: 1914 წლის ომი უწინარეს ყოვლისა იყო

ტეხნიკის ომი; რკინა —ფოლადი, ქვანახშირი და ტეხნიკური დაწინაურება სწყვეტდა არსებითად ამა თუ იმ სახელმწიფოს გამარჯვების საქმეს. ვინც ტეხნიკურად ძლიერი და დაწინაურებული იყო, გამარჯვების შანსებიც მას ეპირა ხელში. გამოყენება თანამედროვე მეცნიერებისა და ტეხნიკის მიღწევათა და თავის სომარი აპარატის ასეთ ნიადაგზე აგება,—აი რას მოითხოვდა გამარჯვების ღმერთი. თანამედროვე მეცნიერებამ კი დაბეჯითებით დაამტკიცა და დიზელის მატორებმა პრაქტიკულად განახორციელეს ის დებულება, რომ ნავთის პროდუქტები მეტად დიდ ტეხნიკურ ღირებულებას შეიცავს ქვანახშირთან შედარებით და გამოყენება ამ სითხისა ომის პროცესსა და წარმოების სხვა დარგებში დიდ უპირატესობას უმზადებდა მებრძოლ მხარეს. არ არის საჭირო იმის მტკიცება, რომ ავტომობილისა და ჰაერპლანების წარმოების განვითარება შეუძლებელი ხდება ნავთის გარეშე. ორივე ამ მანქანამ მეტად საპატიო ადგილი დაიჭირა ომის ვითარებაში. თანამედროვე საუკუნე არის ავტომობილების ბატონობის ეპოქა. ეს დარგი წარმოებისა კოლოსალური სიძლიერით ვითარდება მთელს მსოფლიოში, განსაკუთრებით კი ამერიკაში. მაგრამ მსოფლიო ავტომობილიზმის ტრანსპორტი განსაკუთრებით გაიზარდა ომის პროცესში და ავტომობილმა მთელ რიგ ბრძოლებში გადამჭრელი როლი ითამაშა. როგორც ვიცით, გერმანეთმა დაარღვია და დაშალა ჩრდილოეთ საფრანგეთის რკინის გზები, რომლის აღდგენა შეუძლებელი შეიქნა ომის დროს. ამიტომ საფრანგეთის მთავრობამ მიმართა სამხედრო ავტომობილების გამოყენებას. მთელი პოლკები და დივიზიები ფრონტის ერთი რაიონიდან გადაყავდათ „გრუზავიკების“ საშუალებით მეორე რაიონში. უნდა გავიხსენოთ, რომ ომის წინა ხანებში საფრანგეთს ჰქონდა თავის განკარგულებაში 110 სამხედრო გრუზავიკი, 50 ტრაქტორი, 132 ჰაეროპლანი. 1918 წელს კი საფრანგეთის განკარგულებაში იყო 70 ათასი გრუზავიკი და 12 ათასი ჰაეროპლანი, დამატებით ამერიკისა და ბრიტანეთის არმიას ქონდა საფრანგეთის ტერიტორიაზე 100 ათა-

სი გრუზავიკი და 1. ათასი ჰაეროპლანი. ამიტომ მხოლოდ ბენზინის მოხმარა დიდ შეტაკებების პერიოდებში აღწევდა 12 ათას ტონს დღეში. აქედან ცხადია, თუ როგორ როლს თამაშობდა ავტომობილი ომის პროცესში. ცნობილია მაგ., რომ ვერდენის დაცვა შესაძლებელი შეიქმნა განსაკუთრებით რაცდა ათი ათასი ავტომობილის გამოყენებით, რამაც შესაძლებელი გახადა რკინის გზის ტრანსპორტის დეფექტის გამოსწორება. დელეზი სწერს: „არმიამ ავტომობილებზე შესძლო ვერდენის დაცვა 1916 წელს“. იგივე დელეზი აღნიშნავს, რომ გადაჭრელ ბრძოლების დროს ადმირალ ფოშმა გამოიყენა რა ფართო მაშტაბით ავტომობილის ტრანსპორტი, გაანადგურა გერმანეთის ჯარიო. ამიტომ სრულის უფლებით ამბობენ: მოკავშირეთა გამარჯვება გერმანეთზე ეს არის „ვრუზავიკის“ გამარჯვება ორთქლმავალზეო (იხ. დელეზის წიგ. გვ. 18). მაგრამ თუ ნავთი ავტომობილებისა და ჰაეროპლანებისათვის აუცილებელ საქიროებას წარმოადგენდა, თითქმის ასეთივე აუცილებელი საქირო ხდება იგი სამხედრო ფლოტისთვის, როგორც დრედნოუტების, ისე წყალქვეშა ნავების ასამუშავებლად. აღსანიშნავია ერთი მომენტიც. ქვანახშირის სათბობი იმ ფარუოფით თვისებით არის დაჯილდებული, რომ კვამლი ამოსული გემის მილიდან დიდ სამსახურს უწევს წყალ ქვეშა ნავებს საკავშირო და სამხედრო გემების გამოსაცნობად. ამ მხრივ ნავთის სათბობი შეუდარებულია, რადგან უკვამლოდ იწვის; ეს უპირატესობა ნავთისა შეიქმნა ომის დროს მოკავშირეთა სამხედრო და საკავშირო გემების ნავთის სათბობზე გადასვლის მიზეზი (იხ. სულთან-ზადეს წერილი: „Мировая нефтяная промышленность“ გვ. 83).

ამგვარად ნავთი შეიქმნა გამარჯვების ერთი მთავარი ფაქტორთაგანი: ხმელეთზე ტანკების, ჯავშნოსანი ავტომობილების, მატორებისა და გრუზავიკების წარმოებაში, ზღვებზე— წყალქვეშა ნავების და დრედნოუტებისათვის, ჰაერში კი—საჰაერო ფლოტისათვის ნავთმა მოიპოვა უდიდესი მნიშვნელობა.

ხმელეთის, საჰაერო და საზღვაო ომები ნავთის დახმარების გარეშე შეუძლებელი შეიქმნა.

ეს გარემოება საესებით აღნიშნული და დადასტურებულია მოკავშირეთა ოფიციალურ წარმომადგენელთა დოკუმენტებით: ეს დოკუმენტია კლემანსოს ნოტა და კერზონის სიტყვა 1918 წ. ლონდონის ბანკეტზე.

პრეზიდენტ ვილსონისადმი გაგზავნილ ნოტაში კლემანსო 1917 წ. 15 დეკ. სწერდა: „თანამედროვე ომის გადამჭრელ მომენტში, როდესაც მომავალ 1918 წ. დაიწყება გადამჭრელი სამხედრო ოპერაციები საფრანგეთის ფრონტზე, საფრანგეთის ჯარები ერთი წუთითაც არ უნდა დარჩენ უბენზინოთ. რომელიც საჭიროა ავტომობილებისა, მფრინავი აპარატებისა და საველე არტილერიის ტრაქტორებისათვის. ბენზინის ყოველგვარ დანაკლისს შეუძლია დაუყონებლივ დააუძლურაოს ჩვენი არმია და გვაიძულოს ჩვენ ისეთს ზავზე, რომელიც მიუღებელია მოკავშირეებისათვის... აუცილებელი ზარაგი (ნავთისა) ამჟამად შემცირდა და იმუქრება ახლო დროში დავიდეს ნულამდე, თუ შეერთებული შტატები არ მიიღებენ—დაუყონებლივსა და განსაკუთრებულს ზომებს. ეს ზომები. აუცილებელია მოკავშირეთა საერთო გადარჩენისათვის, შესაძლებელია და უნდა იქმნეს მიღებული დაუყონებლივ... პრეტენდენტი კლემანსო პირადი თხოვნით მიჰმართავს პრეზიდენტ ვილსონს მოკავშირეობის აუცილებელ ნაბიჯების გადასადგმელად, რათა დაუყონებლივ გამოგზავნილი იქნეს გემი—ცისტერნები (ნავთით) საფრანგეთის ნავთსადგურებში. ეს საკითხი არის მოკავშირეებისათვის საერთო გადარჩენის საკითხი. თუ მოკავშირეებს არ სურთ წააგონ ომი, მათ უნდა იზრუნონ იმისათვის, რომ მეომარმა საფრანგეთმა, გერმანეთის გადამჭრელ შემოტევის მომენტში, მიჩილოს ბენზინი, აუცილებელი მისთვის, როგორც სისხლი მომავალს შეტაკებებში" (იხ. დელეზის წიგნი 73—4).

ლორდ კერზონი ომის დამთავრებისას ლონდონის ბანკეტზე ამბობდა: „ომმა გვაიძულა გვეზრუნა სხვადასხვა პრობლემების გადასაწყვეტად, რომლითაც აქამდე არასოდეს არ

ყოველა მთავრობა დაინტერესებული; სახელმწიფო ძალა —უფლებას დასჭირდა მიემართა განსაკუთრებული ზომებისათვის, აიღო რა თავის ხელში კონტროლი მრავალ პროდუქტებზე, რომლებსაც არსებითი მნიშვნელობა ქონდათ ნაციის არსებობისათვის. **ნაციონალურსა და საერთაშორისო პროდუქტთა შორის უველაზე მნიშვნელოვანი აღმოჩნდა ნავთი.** ომამდეც ნავთი ითვლებოდა სახალხო მეურნეობის ერთ მნიშვნელოვან დარგად. ის თანდათან პოულობდა ფართო გასავალს კერძო ტრანსპორტის სფეროში. მაგრამ **ომის დაწყებიდან ნავთი და მისგან მიღებული ელემენტები შეიქმნა უმთავრესი პროდუქტები, რომელთა დახმარებით შესაძლელი ხდებოდა ომის წარმოება და მისი მოგება.** ამ დარგში ომმა განამტკიცა თანამშრომლობა არა მარტო სხვადასხვა უველაზე მნიშვნელოვან ნაციონალურ ინდუსტიის შორის, არამედ ჩვენსა და ჩვენი მოკავშირეთა შორისაც, რომელებმაც აღმოგვიჩინეს ჩვენ აქტიური დახმარება, და ასეთს დახმარებას ჩვენ აგრეთვე მომავალშიაც მოველით. განა უნავთოთ ჩვენ შეგვეძლო უზრუნველგვყო ჩვენი ფლოტის მოძრაობა? როგორ შეიძლებოდა მოგვეწესრიგებინა გადასხმა ჩვენი ჯარებისა და დაბზადება ზოგიერთ სნარიადების? როგორ შეგვეძლო უნავთოთ გაგვეხორციელებინა აუცილებელი გადასხმა ჯარისა, გადატანა სნარიადების ომის თეატრის სხვადასხვა ადგილებში? (მართალია, მართალია) ნავთის ყველა პროდუქტები—საწვი ზეთი, ბენზინი ჰაეროპლანებისა. და ავტომობილებისათვის, საცხები ზეთი და სხვა ერთნაირად მნიშვნელოვან როლს თამაშობდენ ომის დროს. ჭეშმარიტად მომავალი იტყვის, რომ **მოკავშირეები გამარჯვებამდე მიიყვანა ნავთის ტალღებმა.** (ტაში).. ყველა, ვინც კი იყო ფრონტზე, არ შეიძლება არ გაკვირვებულიყო მით, თუ როგორი სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა მაშინ ნავთს. ერთი ყველაზე საინტერესო ფენომენთაგანი, რაც შეგეძლო გენახათ საფრანგეთსა და ფლანდრიაში, იყო ვებერთელა არმია ავტომობილებისა, რომელნიც შეადგენდენ უზარმაზარ ორგანიზაციის

ნაწილს და რომელიც აუცილებელი იყო ომის წარმოებისათვის. საჭიროა შეუწყვეტლივ გამეორება იმის, რომ **უნავთოდ მოკავშირეთა არმიას ან შეეძლო მიეღწია ომის გამარჯვების ბოლომდე.**" (იხ. დელეზის წიგ.—73, 74, 75.)

აღნიშნული ნოტა და სიტყვა ჩვენ მარტო იმისათვის არ მოგვიყვანია, რომ ისინი გარკვეულ შუქს ფენენ ახლო წარსულის ისტორიულ მოვლენას, საერთაშორისო ომსა და მის პროცესში ნავთის როლს, არამედ იმიტომაც, რომ ეს ორი დოკუმენტი ერთგვარ გასაღებს გვაძლევს იმ საიდუმლოების, თუ რატომ მიიღტვიან ნავთის წარმოების შესაძენად იმპერიალისტური სახელმწიფოები. ომმა მთელი თავისი პრაქტიკით დაამტკიცა, რომ ნავთის პროდუქტები აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს მებრძოლი სახელმწიფოსათვის. ამას გარკვევით ღაღადებს აღნიშნული დოკუმენტები. მაგრამ ომის ახალ შესაძლებლობის წინაშე კვლავ სდგას კაცობრიობა და ამიტომ იმპერიალისტური სახელმწიფოები ენერგიულ მზადებაში არიან ახალი შეტაკების დროს საკმაო მარაგი ნავთისა ქონდეთ თავიანთ განკარგულებაში.

ნავთს რომ დიდი როლის თამაში შეეძლო ომის პროცესში, ეს გარემოება ჯერ კიდევ ომის წინა წლებშიაც ქონდათ გათვალისწინებული იმპერიალისტებსა და მილიტარისტებს. 1912 წელში ინგლისის მთავრობას დაებადა აზრი შეესყიდა ნავთის წყაროები მას შემდეგ, რაც დანიის გემი „ზელანდია" აზიიდან თავისი პირველი მგზავრობის უკან გამობრუნების დროს მოვიდა ინგლისში. ამ მგზავრობის დროს გემი არ დატვირთულა არც ერთხელ ახალი სათბობით. ცნობილ მილიტარისტს ვუისტონ ჩერჩილს, რომელმაც დაათვალიერა ეს გემი, დაებადა აზრი უახლოეს დროში გადაეყვანა ბრიტანეთის სამხედრო ფლოტი ნავთის სათბობზე. 1913 წლის 17 ივლისში ჩერჩილმა განაცხადა: ჩვენი პოლიტიკის ერთი მნიშვნელოვანი ამოცანა იქნება, გადავაქციოთ ჩვენი სახელმწიფო ნავთის წარმოების განსაზღვრულ ნაწილის მფლობელად, რომელიც მას ძლიერ ესაჭიროებაო. ერთი წლის შემდეგ ჩერ-

ჩილეა შეიტანა ქვედა პალატაში წინადადება, შეეძინათ 2 ნა-ხევარი მილიონი გირვანქა სტერლინგის ინგლის-სპარსეთის ნავ-თის საზოგადოების აქციები. (იხ. შულცეს წიგნი—გვ. 162.)

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ნავთის წყაროების შე-ძენის შესახებ ყველაზე მეტს ზრუნავს მხოლოდ ინგლისის სამ-ხედრო ორგანიზაცია; ჩერჩილი, ლორდ კერზონ ოფ-კელსტო-ნი ცნობილი მილიტარისტები არიან ინგლისში და მათი პოლიტიკა გადაჭრით მიმართული იყო დიდი ბრიტანეთის სამხედრო, ეკონომიურსა და პოლიტიკური უპირატესობის შე-ნარჩუნებისაკენ. დიზელის სისტემის მიერ აღმოჩენილმა ნავთ-ი ჩერჩილისა და კერზონის მილიტარისტურ ყნოსვამდეც მიაღწია და ისინიც დაბეჯითებით მოითხოვდენ სახელმწიფო-საგან ნავთის წყაროებს შეძენას და ნავთით მომარაგებას; მა-სთანვე მუშავდებოდა ფართო გეგმები სამხედრო ფლოტის ნავთის სათბობზე გადაყვანის შესახებ. ყოველივე ამ გეგმას საჭიროდ ედვა საომარი პროგრამა და სტრატეგიული მო-საზრებანი.

1914 წელში მრავალი წლის განმავლობაში მოსალოდ-ნელი ომი უკვე დაიწყო გერმანეთის კოალიციასა და ინგლი-სის მოკავშირეთა შორის. ომის მიმდინარეობამ და გამოყე-ნებულ ტექნიკურ საშუალებებმა (ტანკები, დრედნოუტები, ჰაეროპლანები, წყალქვეშა ნავები, ავტომობილები) არა მარ-ტო საკვლევით გაამართლეს მეცნიერებისა და სტრატეგების მოსაზრებანი ნავთის მნიშვნელობის შესახებ ომის პროცესში, არამედ, როგორც ავღნიშნეთ, ბევრად უფრო გადააჭარბეს და ვადამკრელი როლი მიანიჭეს ამა თუ იმ სახელმწიფოს გამარ-ჯვების საქმეში.

მოკავშირეების უპირატესობა ნავთის საკითხში მეტად დიდი იყო გერმანეთთან შედარებით. გერმანეთსა და მის მო-კავშირეებს ნავთის წარმოება მეტად მცირე ქონდათ. (იხ. ქვე-მოდ ცხრილი ნავთის მსოფლიო წარმოების შესახებ).

ომის წარმოების პროცესში მოთხოვნილება ნავთზე მე-ტად გაიზარდა და ავსტრო-ჰუნგრეთი, ბულგარეთი და ოსმა-

ლეთი ამ მხრივ დიდ კრიზისს განიცდიდენ. ცენტრა ლური კოალიცია მოსწყდა ნავთის წყაროებს, ანტანტის მოკავშირეებმა მათ სამხედრო რკალი შემოარტყეს და არ აძლევდენ საშუალებას საზღვარგარეთის ბაზრებითა და საქონლით ესარგებლათ. ნავთის წყაროები ცენტრალურ კოლიციისათვის დახშული აღმოჩნდა. ვალიციის ნავთის მრეწველობას კოლომოსა და ბორისლავში (ზემო გალიჩინა) არ შეეძლო მუშაობა, რადგან შეუწყვეტლად ომის წარმოების რაიონში მოხდა. ომის გამო აქ წარმოება მეტად შემცირდა. ასევე. კრიტიკული მდგომარეობიდან ავსტრო-გერმანეთის კოალიციამ ორი გზით მოიწადინა გამოსვლა: ერთის მხრივ მან ყველავ მიმართა იმპორტს: სკანდინავიის ქვეყნები კონტრაბანდის საშუალებით აწვდიდენ გერმანეთს ნავთის პროდუქტებს, მაგრამ მეტად უმნიშვნელოს. აგრეთვე რუმინიიდან მათ რამოდენიმე წლის განმავლობაში (1916 წლ.) ეძლეოდათ საშუალება შემოეზიდათ ნავთი, მაგრამ რუმინიის იმპორტმაც ვერ დააკმაყოფილა მეტად გაფართოებული მოთხოვნილებანი ცენტრალური სახელმწიფოებისა. კეროსინი, ბენზინი, საცხები ზეთი და სხვ. მეტად დიდ კრიზისს განიცდიდა. ინგლის-რუსეთმა, გერმანეთს რუმინიაშიაც ინტრიგები მოუწყო და 1916 წლიდან რუმინიამ ომი გამოუცხადა მას. ასეთ პირობებში გერმანეთის მრეწველობა იძულებული შეიქმნა ნავთის ეკონომიისათვის მიემართა და ნავთის პროდუქტების დეფექტები სუროგატებით შეეცვლა. გერმანეთმა თავისი ტექნიკა და ულმალესი ცოდნა აქაც გამოიჩინა და ნაკლებობა საცხები ზეთისა და კეროსინის მურა ნახშირისაგან (ბური უგოლ) გამოყვანილ სუროგატებით აინაზღაურა; მაშინ, როდესაც გერმანიაში ქვანახშირის წარმოება რაციონალურად დაეცა ომის პროცესში (1913 წ.—191,6 მილ. ტონი; 1916 წ.—158,7:, 1918 წ. —160,6) მურა ნახშირის წარმოება გადაიქცა დამკვრელ ამოცანად. გერმანიაში მურა ნახშირი ამოქონდათ: 1913 წ.—84.4 მილ. ტონი, 1914—84,0, 1915 87,4 1916— 94,3, 1917—95,6, 1918—100,7 მილ. ტონი (იხ.

А. Сухов: „Экономическая география“ вып. 3. გვ. 137.) მურა ნახშირის ასეთი ზრდა ამცლავნებს მეტად საინტერესო პროცესს. მიუხედავათ იმისა, რომ თბობითი ენერგია მურა ნახშირსა უდრის 72,6%/0 ქვანახშირის სათბობი ენერგიისას, მისი ამოღება საკმაოდ იზრდებოდა გერმანიაში. ეს გარემოება აიხსნება მით, რომ ამ მინერალური სათბობისაგან შესაძლებელი გახდა მისი რამოდენიმე ელემენტების მშრალად გამოხდის (სუხაია პერეგონკა)საშუალებით, მიეღოთ კოროსინი, საცხები ზეთი, აგრეთვე პარაფინი და სხვა. (იქ. გვ. 137)

ამგვარად ნავთის მოთხოვნილების დაკმაყოფილება გერმანეთმა სუროგატებით შესძლო რამოდენიმედ, მაგრამ მისი კრიზისი ამით არ განელდა: ინგლისის ინტრიგების წყალობით რუმინეთი ომის პროცესში ჩაება და ამ გარემოებამ შესწყვიტა ნავთის იმპორტი რუმინეთიდან. რუმინეთის ნავთის იმპორტის შეჩერებამ მეტად მწავე კრიზისი გამოიწვია. ამ წლიდან, ერთის ხრით, გააფართოვეს მურა ნახშირის ამოღება გერმანეთში, მეორე მხრით კი შეუდგენ ნავთის მოხმარის ეკონომიას. 1916 წლის აგვისტოდან აკრძალეს კეროსინის გაყიდვა კერძო ბინების გასანათებლად. (იქ. გვ. 138) ნავთის კრიზისის გამო შექმნილი მდგომარეობის გათვალისწინების შემდეგ, ადვილი ასახსნელია, თუ რატომ გერმანეთმა და ავსტრო-უნგრეთმა დაუყონებლივ გადაასხეს დიდძალი არმია რუმინეთის ფრონტზე: აუცილებელი საჭირო შეიქმნა დაებრუნებინათ რუმინეთის ნავთი თავიანთ წარმოებისათვის და სამეფო-ნეო ფრონტზე მოსალოდნელი კატასტროფა, ნავთით გამოწვეული, თავიდან აეცილებინათ. (იქვე).

აქ ზედმეტი არ იქმნება მოვიყვანოთ ცნობები გერმანელ გენერლის ლუდენდორფის მემუარებიდან, რომელიც ომის შემდეგ იქმნა გამოქვეყნებული. ეს მემუარები გერმანეთის იმპერიალიზმის ავტორიტეტული პირისა მრავალ საინტერესო საკითხს ფენს ნათელს და სხვათა შორის გვიხსნის იმ გარემოებასაც, თუ როგორი გავლენა იქონია „ნავთის კრიზისმა“ გერმანეთზე ომის წარმოების საქმეში. ცნობილი გენერალი

თავის მოგონებებში სწერს: „გერმანეთში ნავთის მოთხოვნილება მეტად დიდი იყო... ქვანახშირთან, რკინასთან და ფოლადთან ერთად მეტად სერიოზული მნიშვნელობა ჰქონდა ომის საერთო მიმდინარეობისათვის საწვავ მასალას (ნავთს) წყალქვეშა ნავებისა, გრუზავიკებისა და ჰაეროპლანებისათვის. აგრეთვე საცხებ მასალებსაც. ამ მხრივ ჩვენ დამოკიდებული ვიყავით ავსტრო-უნგრეთისა და რუმინიისაგან“ (იხ. მისი მოგონებები—გვ. 277—8) შემდეგ გენერალი აღნიშნავს, რომ ავსტრო—გერმანეთის ძრვიის არა სათანადო მომარაგებამ ნავთით გალიციიდან სტრატეგიულად აუცილებელი გახდა რუმინეთის დაპყრობა, მაკრამ რადგან რუმინეთის ნავთი საკმარისი არ აღმოჩნდა, ხოლო ბრესტლიტოვსკის ზავმა ფაქტიურად არ გაუხსნა ჭეები გერმანეთს რუსეთის ნავთისაკენ, გერმანელები იძულებული შეიქნენ ნავთი და ბენზინი შეეცვალათ სუროგატებით, რასაც შედეგად მოყვა ავტომობილის ტრანსპორტისა და საჰაერო ფლოტის ჩქარი დაშლა. ლუდენდორფის აზრით, მოკავშირეების სამხედრო უპირატესობის მნიშვნელოვან ელემენტს შეადგენდა მათი უპირატესობა ნავთის საქმეში. „დასავლეთის ფრონტზე, ამბობს ის მეორე ადგილას, — დაიწყო საგრძნობი შემცირება ნავთის პროდუქტებისა ჰაეროპლანებისა და ავტომობილისათვის და, რადგან ამ ფრონტზე გამოლეული იყო ნავთის ყველა მარაგი, ჩვენ იძულებული შეეიქნენით ამ ნივთიერების ყოველი ლიტრის ეკონომია გვეწარმოებინა და ვერ ვფარავდით შემდეგში მ. თზე გაფართოებულ მოთხოვნილებებს. ასეთს პირობებში დაწყებული იყო ოპერაციები საქართველოში, რომელსაც მიზნად ქონდა ინგლისელების გამოდევნა ბაქოდან.“ გერმანეთის დასავლეთ ფრონტზე ნავთით გამოწვეულ კრიზისს მოკავშირენიც გრძნობდენ. საფრანგეთის გენერალური შტაბის ოფიცერი დანტენე ამბობდა ომის დამთავრებისას: „1918 წლის მაისის ამბების დროს გერმანეთს რომ ქონდა ისეთივე ავტოტრანსპორტის ორგანიზაცია, როგორიც გვქონდა ჩვენ, არასოდეს მისი შემოტევა არ იქნებოდა შეჩერებული“ (იხ. მიხ. პავლოვიჩი: „სამ. რუსეთი და კავ. ომი“

რიკა" გვ. 82—83) ჩვენ დავინახავთ ქვევით თუ რაში გამოიხატება მოკავშირეთა ეს უპირატესობა: ვილსონის გულუბვლობამ გადამჭრელ ბრძოლის დროს საფრანგეთსა და მთელს მოკავშირეებს ფართოდ გაუხსნა ამერიკის ნავთის დაუშრეტელი წყაროები და მოკავშირეებმაც შესძლეს „ნავთის ტალღებით გაჭარბებების კუნძულისაკენ გაქანება",—„გერმანეთის დამარცხება ანტანტასთან ბრძოლაში თავისი მნიშვნელოვანი ნაწილით აიხსნება გერმანეთის ნავთის ნაკლებობით",—სწერს ამბ. მ. პავლოვიჩი (იქვე გვ. 82).

ლუდენდორფის მემუარებმა მრავალ მოვლენას ახადა ფარდა და ნათელი გახადა დაინტერესებულ საზოგადოებისათვის ის, რაც მცირე რიცხოვან კასტის საიდუმლოებას შეადგენდა. ბევრი გულბრყვილო პოლიტიკოსი ჩვენში გერმანელების დამოკიდებულებას საქართველოსადმი 1918 წ. ხსნიდა გერმანელი პოლიტიკოსების პატარა ერებისადმი სიყვარულის გრძნობებით. მაგრამ, როგორც ვიცით, ცივი გერმანელის მოღვაწეობას გრძნობათა მღელვარება ასე ადვილად არ ამოძრავებს. ლუდენდროფის მემუარებმა გამოარკვიეს და ნათელი გახადეს, რომ გერმანეთი საქართველოს საშუალებით სცდილობდა ნავთის დიდი დეფექტის შევსებას და ბაქოს ნავთის ხელში ჩაგდებით გადამჭრელი უპირატესობის მოპოვებას. ლუდენდორფი სწერს: „1918 წელში კავკასიის (ნავთის) მარაგებმა მეტად სასიამოვნო პერსპექტივები გადაგვიშალეს წინო" (იქვე—გვ. 277).

მაგრამ გერმანეთს მარტო ნავთის პოლიტიკა არ ამოძრავებდა ამ მიმართულებით. მაშინ, როდესაც გერმანეთის მილიტარიზმი უკვე თავდაცვით პოლიტიკაზე იყო გადასული დასავლეთის მიმართულებით, მათ მეტად ფართო გეგმები დაისახეს მიზნად თავისი საზღვრების აღმოსავლეთის გასწვრივ.

ოქტომბრის დიდმა რევოლიუციამ ძირიან-ფესვებიანად დაშალა ძველი რუსეთის სახელმწიფოებრივი აპარატი მთელი თავისი შინაარსით და ნაცვლად ნახევრად ფეოდალურ-ბიუროკრატიულ ბანდებისა, ძალაუფლება აიღო რევოლიუციის ქარცეცხლში გამოწრთობილმა რუსეთის მუშებმა და გლეხებმა;

გერმანეთის იმპერიალისტებს დიდი გეგმები გადაეშალათ წინ. ამათ მოინდომეს იარაღით ხელში მუშურ-გლეხური ხელისუფლების ჩაღრჩობა და მთელი რუსეთის მეურნეობის თავის გავლენის ქვეშ დაყენება. გერმანეთის სამხედრო პარტია გენ. ლიუდენდორფის პირით აშკარად აცხადებდა: „ჩვენ ხელში არის იარაღი. ამ იარაღით ჩვენ დავიპყარით რუსეთი და ჩვენ მას უკანახებთ ისეთ ზავს, რომელიც ჩვენთვის არის საჭირო“ (იხ. კ. რადეკი: „საბჭოთა რუსეთის საგარეო პოლიტიკა“ გვ. 16). ახლად აღმოცენებული მუშურ-გლეხური სახელმწიფო ჯერ კიდევ უძლური იყო რაიმე აქტიური წინააღმდეგობა გაეწია გაუმაძღარ გერმანეთის იმპერიალიზმისათვის და ამიტომ იძულებული შეიქმნა ხელი მოეწერა ბრესტის ზავისათვის, რომელიც შემდეგში თავისი შედეგებით მართლაც გენიალური აღმოჩნდა. გერმანეთის იმპერიალიზმი სცდილობდა პირველ ხანებში დიპლომატიური ძალდატანებისა და მუქარის საშუალებით საბჭოთა რუსეთი გადაექცია თავისი საექსპლოატაციო ობიექტად, სანამ გერმანეთის აგენტები არ შექმნიდენ სამხრეთით კონტრ-რევოლუციონურ ცენტრს, რომლის დახმარებითაც გერმანეთი ფიქრობდა სისხლის მორევში ჩაეღრჩო საბჭოთა რუსეთი შემდეგში.

გერმანეთის ამ დიდ სამხედრო გეგმებს მეტად დიდი ეკონომიური და პოლიტიკური პროგრამა ქონდა დასახული. გერმანეთის იმპერიალიზმს სურდა კოპიტალისტური წესწყობილების აღდგენით შეექმნა ფინლიანდიიდან დაწყებული კავკასიამდე ხიდი რუსეთის ბურჟუაზიასთან დასაკავშირებლად; ისინი ფიქრობდენ, რომ რუსეთის ბურჟუაზია ძალა-უფლების დაბრუნებისათვის გასწყვეტდა კავშირს მოკავშირეებთან, შეეიდოდა გერმანეთის კოალიციაში და ამ გვარად გერმანეთის იმპერიალიზმს საშუალება ექნებოდა გაერღვია ინგლის—ამერიკის შიერ შემოვლებული წრე და გამოვიდოდა იზოლიაციიდან, ხელს გაუწოდებდა იაპონიის კაპიტალიზმს და ამ სახით შექმნიდა ინგლისის კაპიტალიზმის წინააღმდეგ გაერთიანებულ

ფრონტს არა მარტო ჰამბურგიდან ბაღდადამდე, არამედ ჰან-ბურგიდან ტოკიომდეც (იხ. გვ. 21).

ამ დიდ პოლიტიკურ პროგრამას, რომლითაც ხელმძღვანელობდა გერმანეთის მილიტარიზმი საბჭოთა რუსეთის მიმართ განსაკუთრებულ შინაარსს აძლევდა თავისი ეკონომიური მხარე: გერმანიას სურდა თავი დაეხწია ეკონომიურ კრიზისისათვის, გამოსულიყო იზოლიაციიდან და რუსეთის დოვლათიანი, სამეურნეო ტერიტორიები გამოეყენებია თავისი სამხედრო და სამრეწველო კაპიტალის ინტენსიური მომარაგებისათვის: სახლრეთ რუსეთი ნედლი მასალისა და სურსათ-სანოვაგის დაუშრეტელ ბელელს წარმოადგენს, ნედლი მასალა და სურსათ-სანოვაგე კი აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენდა გერმანეთისათვის. მაგრამ იყო ერთი მასალა, რაც არ იყო უკრაინაში და რასაც დაჟინებით მოითხოვდა გერმანეთის მილიტარიზმის ლმერთი, ეს იყო ნავთი. ბაქოს ნავთის მდიდარი წყაროები, როგორც ლუდენდორფის მემუარებიდანაც სჩანს, ის მიმზიდველი ძალა შეიქნა, რომელმაც ენერგიულად მიიზიდა საქართველოს გზებითაც გერმანეთის იმპერიალიზმი. მან სურდათ ბაქოს ნავთის ტალღებით გამარჯვებისაკენ გაეცურათ თავიანთ დასავლეთის ფრონტზე.

ნავთი იყო ერთ-ერთი ძალათაგანი, რომელმაც გამოიწვია გერმანეთის იმპერიალიზმი ამიერ-კავკასიაში. გერმანეთი სცდილობდა, საქართველოს მენშევიკური მთავრობის დახმარებით და მათი ცნობით განეხორციელებინა თავისი გეგმები ამიერ-კავკასიაში და გამოედევნა ბაქოდან ინგლისელები. ამ მიზნით მათ, ერთის მხრით, საქართველოს ტერიტორიაზე გადმოასხეს შეიარაღებული ძალა, მეორე მხრით კი აიძულეს საბჭოთა რუსეთი ბრესტლიტოვსკის ხელშეკრულებაში ახალი დამატებითი მუხლი შეეტანა საქართველოს დამოკიდებლობის ცნობის შესახებ. აბზ. ბ. პავლოვიჩი სწერს: „კავკასიაში თავისი შესვლით ოსმალეთის ჯარებთან შესაერთებლად, რომელნიც უტევდა ბაქოსაკენ, გერმანეთი ხელმძღვანელობდა განსაკუთრებით იმ მიზნით, რომ ხელში ჩაეგდო ბაქოს ნავთი და გა-

ბოესწორებინა მისი საშუალებით გამარჯვება, რომელიც უკვე იხრებოდა ანტანტის მხარეზე“ (იხ. პავლოვიჩის წიგნი გვ. 81-82). მიუხედავად ასეთი გამარჯვებისა—აღმოსავლეთის მიმართულებით, გერმანეთის იმპერიალიზმმა ომი წააგო და თვით შეიქმნა უფრო უარესი ექსპერიმენტის ობიექტი, რომლის მთავარი კონტურები პირველად თითონვე მოხაზა ბრესტში და თვითონვე უჩვენა მოკავშირეებს, თუ როგორ უნდა მოჰყრობოდენ ისინი დამარცხებულ მოწინააღმდეგე ძალას.

რამ გამოიწვია გერმანეთის ასეთი სასტიკი დამარცხება? ამბ. რადეკი ამ კითხვაზე უპასუხებს: „ინგლის-ამერიკის კაპიტალის უპირატესობამ გერმანეთის კაპიტალთან შედარებით, —მატერიალურმა უპირატესობამ“. (იქ. გვ. 24). ერთ-ერთი უპირატესობა მოკავშირეთა კაპიტალიზმისა გამოიხატებოდა მათ ხელში ნავთის წყაროების მოყრაში. ამ სითხემ თითქმის გადამჭრელი როლი ითამაშა მოკავშირეთა გამარჯვების საქმეში.

ჩვენ უკვე დავინახეთ, თუ როგორი კატასტროფული მდგომარეობა გამოიწვია დასავლეთის ძიმართულებით ნავთის კრიზისმა გერმანეთის საბრძოლო ოპერაციების საქმეში და როგორ გაცხოველებით ამოძრავდა გერმანეთის იმპერიალიზმი ამ სითხის წყაროების ხელში ჩასაგდებად როგორც რუმინიის მიმართულებით, ისე ამერკავკასიაში. ეხლა ჩვენ შევეხებით ნავთისადმი დამოკიდებულებას გერმანეთის მოწინააღმდეგე ქვეყნების მხრით და მის როლს მოკავშირეთა სამხედრო ოპერაციების წარმოებაში. როგორც აღნიშნული გვქონდა, ნავთის უმთავრესი წყაროები ცენტრალურ კოალიციის გარეშე მოექცა და მათ არ ქონდათ საშუალება ესარგებლათ ამ წყაროებით. სამაგიეროდ, მოკავშირეებს საშუალება ეძლეოდათ გამოეყენებიათ თავისუფლად ნავთის წყაროები თავისი საჭიროებისათვის. დაახლოებით მოკავშირეთა ხელში იყო ნავთის მსოფლიო წარმოების 90% მეტი, გერმანეთის კოალიცია კი 2% საც ვერ ღებულობდა. (დანარჩენი ნავთის ამოღება ნეიტრალური სახელმწიფოების ხელში იყო). როგორც

ჯერ ეწერდით, დასავლეთ ფრონტზე სამხედრო ავტომობილების დახმარებამ და დანგრეულ რაინის გზის ტრანსპორტის დეფექტების ავტომობილების საშუალებით ანაზღაურებამ მეტად გადამჭრელი როლი ითამაშა ომის წარმოების საქმეში. და ვერდენი გადაარჩინა გერმანეთის იმპერიალიზმის ბატონობას. მაგრამ ნავთს ითხოვდა არა მარტო სამხედრო ავტომობილების გაფართოება, არამედ თხრილების გაკრა ტრაქტორების საშუალებით, ავიაცია და ამაფეთქებელი ნივთიერებანი

მოკავშირეთა ერთად ერთი უმთავრესი მომარაგებელი ნავთის პროდუქტებით შეიქნა ამერიკის მდიდარი ნავთის წყაროები. ინგლისის ნავთის ტრესტი (შელ ტრანსპორტი) ძლივს აკმაყოფილებდა ბრიტანეთის არმიის მოთხოვნილებას, ამიტომ მოკავშირენი იძულებული შეიქნენ გამოეყენებიათ როალ დიტშისა და სტანდარტ ოილის დახმარება.

ნავთის მეტად დიდი მოთხოვნილებები იყო საფრანგეთში. ეს იქიდანაც სჩანს, რომ ომის დროს იქ შესდგა სპეციალური ნავთის კომიტეტი ე. წ. ათეულის კარტელი, რომელიც ამარაგებდა ნავთით საფრანგეთს და სწყვეტდა ნავთის საკითხებს, მის თავმჯდომარედ დანიშნული იყო ცნობილი სენატორი ანრი ბერანჟე, როგორც ნავთის საქმეების მთავარი კომისარი. აღსანიშნავია ის, რომ ერთი წლის განმავლობაში საფრანგეთმა მოიხმარა თავისი ჯარისა და ფლოტის საქმეებისათვის ერთი მილიონი ტონი ნავთი, რომელიც შეძენილი იყო ამერიკაში და ამ გარემოებამ გადამჭრელი ფაქტორის როლი ითამაშა გერმანეთზე გამარჯვების საქმეში. გენერალური შეტევის წინა დღეებში მოკავშირენი კრიზისს განიცდიდენ ნავთის მხრით. სენატორ ბერანჟენისა და დელეზის ცნობით 1917 წლის დეკემბერში ეგრედ წოდებულმა „ათეულის კარტელმა“ განაცხადა, რომ მას არ მოეპოვება ნავთის საკმაო მარაგი, და რაც აქვს, ის ეყოფა მხოლოდ 1918 წლის მარტამდე ე. ი. გადამჭრელ ბრძოლის მომენტამდე. მაშინ კლემანსომ სასწრაფოთ მიმართა ნოტით ვუდრო ვილსონს: და სთხო-

ვა. მას ვოეხდინა გავლენა სტანდარტ ოილზე. ამ ნოტის შინაარსი ჩვენ უკვე ვიცით.

ვ. ვილსონის ჰუმანიური შეგნება გაჟივრებაში ჩავარდნილ საფრანგეთის მდგომარეობამ მეტად ააღელვა და თანახმად თავისი ცნობილი „14 მუხლისა" დააკმაყოფილა კლემანსოს მუდარა. ნავთის მიწოდების საქმეს ხელი მოკიდა სამხედრო ნავთის კომისიამ ამერიკის ინდუსტრიის მსხვილი წარმომადგენლისაგან შემდგარმა. საფრანგეთის განკარგულებაში გადავიდა ამერიკის **მდიდარი ნავთის მარაგი.** საერთოდ ომის უკანასკნელ წლებში ამერიკამ მიაწოდა მოკავშირეებს 80% თავისი ნავთის წარმოებისა. ამერიკის ნავთის საშუალებით მარშალ ფოშმა უდიდესი წინააღმდეგობანი გაუწია გერმანეთის შემოტევებს. მან ელვის სისწრაფით გადაასხა ავტომობილებით ჯარის ნაწილები ერთი რაიონიდან მეორეში და ამ რიგად შესცვალა ომის მიმდინარეობა. ომის შემდეგ ფოში ამბობდა: „ჩვენი გამარჯვება გერმანეთზე ეს არის გამარჯვება გრუზავიკისა ორთქლმავალზეო". ამით საფრანგეთის მილიტარიზმის ბურჯმა ნათლად აღნიშნა ის როლი, რომელიც ითამაშა ნავთმა მოკავშირეთა გამარჯვების საქმეში.

ამ გარემოებას ლუდენდორფიც აღნიშნავს თავის მემუარებში. იგი სწერს: „თავის გრანდიოზული მრეწველობის წყალობით, ანტანტას ყოველთვის ქონდა შესაძლებლობა არა მარტო მიეყვანა „გრუზავიკებზე" რეზერვები, არამედ ფართო მაშტაბით გადაესხა ჯარი საცხოვრებელ ბანაკებიდან ბრძოლის მრეფანზე და უკანვე წაეყვანა. ეს იძლეოდა არმიის ფიზიკური და სულიერი ძალის უდიდესს ეკონომიას. ჩვენ კმაყოფილი ვიყავით იმითაც, თუ ყველაზე უფრო საჩქარო შემთხვევაში შეძლება მოგვეცემოდა გადაგვესხა ჯარი გრუზავიკებით. გრუზავიკების ორგანიზაციის საქმეშიაც,—სწერს ლუდენდორფი,—ჩვენ წავაწყდით შეფერხებას მატორებისათვის საწვავი მასალების (ნავთის) უქონლობის გამო". (იქვე—271)

„მოკავშირენი მარტო ამით არ დაკმაყოფილებულან: მათ შეადგინეს იმოკავშირეთა ნავთის კონფერენცია", რომელმაც

ხელთ აიღო მთელი ნავთის მარაგის ანგარიში და განაწილება. არა მარტო დასავლეთის ფრონტი, არამედ ყველა ფრონტები და ბრძოლის ასპარეზები შეიქნა ამ „კონფერენციის“ საზრუნავის საგანი. ამერიკის ნავთმა საშუალება მისცა მოკავშირეებს თავდაცვითი სტრატეგია გაეფართოებინათ საფრანგეთსა, იტალიასა და სალონიკზე და შემდეგ თავდაცვიდან გენერალურ შეტევაზე გადასულიყვენ. ამ საქმის მოწესრიგება ხელთ ქონდა მოკავშირეთა ნავთის საბჭოს. კერზონმა თავის უკვე აღნიშნულ სიტყვაში, რომელშიაც მან მოკლე მიმოხილვა გააკეთა ნავთის ისტორიისა ომის დროს, აღნიშნა ამ ორგანიზაციის დიდი ისტორიული მნიშვნელობა მოკავშირეთა გამარჯვების საქმეში. ორატორი ამბობდა: **„ჩვენ მივაღწიეთ გამარჯვებას მათი** (ნავთის ტრესტების) **ხაუცხოვო ორგანიზაციის, პატრიოტიზმისა და კარგი დამოკიდებულებების წყალობით, რომელიც არსებობდა ყველა მოკავშირეთა შორის.** მოკავშირეებმა გამარჯვების კუნძულისაკენ ნავთის ტალღებით გასცურეს“. სენატორმა ანრი ბერანჟემ თავის წიგნში „ნავთი და საფრანგეთი“ აგრეთვე ხაზგასმით აღნიშნა ნავთის დიდი როლი ომის პროცესში და ის დიდი მოკალეობა რომელიც შეასრულა აღნიშნულმა ნავთის საბჭომ ამ სითხის მომარაგებით. „უნავთოთ ჩვენ ვერ მივაღწევდით ბერძანეთზე გამარჯვებას,“—სწერდა ბერანჟე.

ანტანტამ გერმანეთთან ბრძოლის საქმეში დიდ. ი გამოიყენა ამერიკის ძალა და დოვლათი. შეერთებული შტატებს უმაღლესად განვითარებული ინდუსტრია, ფინანსები და დაუშრეტელი ბეღელი სურსათ-სანოვაგისა და ნედლი მასალის უდიდეს დახმარებას უწევდა მოკავშირეებს ომის პროცესში. ამერიკა კვებავდა რკინის, ქვა-ნახშირის, ფოლადისა და საერთოდ ძვირფასი ინდუსტრიის მთავარი დარგებით მოკავშირეთა გაფართოებულ მოთხოვნილებებს; ამერიკის პური და სურსათ-სანოვაგე კვებავდა მათ არმიას; ამერიკის ფინანსები ავსებდა მოკავშირე სახელმწიფოების ბიუჯეტის დეფიციტს. მაგრამ ამერიკის არა მარტო ტანკები, ზარბაზნები ჰაეროპლანები, ტყვიის

ფრქვეველები და უმთავრესად ავტომობილები შეიქმნა მოკავშირეების დანაკლისის შემავსებელი, არაჰედ მისი ნავთის პროდუქტებიც შეიქმნა უმთავრესი მასაზრდოებელი წყარო, რომელსაც მოძრაობაში მოყავდა ამერიკაშივე გაკეთებული სამხედრო ავტომობილები, სათხრელი ტრაქტორები, ჰაეროპლანები, ტანკები და ამით გადამჭრელი უპირატესობა მიანიჭა მოკავშირეებს გერმანეთთან გამარჯვების საქმეში. ანტანტამ ომში უმთავრესად ამერიკის კაპიტალითა და დახმარებით გაიმარჯვა.

3. ნავთი ომის შემდგომ წარმოებაში

ზემოდ მოყვანილ ცნობებიდან მკითხველი ნათელ წარმოდგენას იქონიებს იმის შესახებ, თუ ნავთმა როგორ დიდი უპირატესობა მოიპოვა წარმოების ყოველ დარგში და როგორ დენის იქიდან ქვანახშირს. ომის პროცესში ნავთი შეიქმნა გამარჯვების ერთი უმთავრესი ფაქტორთაგანი.

მაგრამ ომის გამარჯვების შემდეგაც ნავთის მოთხოვნილება არ შეწყვეტილა და იგი დღითი დღე იზრდება. მშვიდობიან პერიოდშიაც ქვანახშირმა ვერ აღადგინა თავისი პირველი საპატიო მდგომარეობა. დიზელის მატორები ომის ლიკვიდაციის შემდეგ უფრო დიდ მოთხოვნილებაში შედის და როგორც საერთო მეურნეობის, ისე სამხედრო წყობილებაში პირველ ადგილს იკერს.

სენატორი ბერანჟე თავის აღნიშნულ წიგნში „ნავთი და საფრანგეთი“ დაწვრილებით იკვლევს ნავთის მნიშვნელობას საფრანგეთის ეკონომიური ცხოვრების განვითარების საქმეში. ჯერ კიდევ 1917 წელს მან შეადგინა კანონ-პროექტი ამის შესახებ და წარუდგინა სენატს. თავის დასაცავ სიტყვაში ბერანჟე სენატის ყურადღებას აქცევდა იმ გარემოებას, რომ თანამედროვე ომმა ცხადჰყო დიდი ღირებულება სახელმწიფოს დაცვის საქმეში, როდესაც შესაძლებელი ხდება საჭირო მომენტში მშვიდობიანი მრეწველობის გამოყენება სამხედრო საქმეებისათვის. ამისთვისაც საჭირო არის მოქნილი ორგანიზა-

ცია, აუცილებელი მასალების მომარაგებისათვის. „ყოველგვარი ინდუსტრიის მთავარ ბაზას შეადგენს სათბობი მასალა“ — აღნიშნავს ბერანჟე. აქედან ცხადია: ის ქვეყანა, რომელსაც არა აქვს შინ აუცილებელი მარაგი სათბობისა და რომელიც არ ვიიღებს ზომებს მშვიდობიანობის დროს სათბობი მასალების მოსამარაგებლად, საშიშ მომენტების დროს კრიტიკულ დგომარეობაში ჩავარდება. საფრანგეთის ერთად ერთ ნაციონალურ სათბობ ფონდს დღემდე შეადგენდა ქვანახშირის მაღაროები, მაგრამ ქვანახშირი უნდა იხმარებოდეს განსაკუთრებით ქიმიური მრეწველობის საჭიროებისათვის. დანარჩენ დარგებში კი ყურადღება უნდა ეიქცეს სითხის სათბობს (ნავთს). ის მრავალის მხრით სდგას ქვანახშირზე მაღლა და მისი გამოყენება საფრანგეთში ძლიერ ჩამორჩა დაწინაურებულ საშრეწველო ქვეყნებთან შედარებით. შემდეგ ბერანჟე აღნიშნავს ყველა ის სასარგებლო მხარეებს, რომლითაც დაჯილდოებულია ნავთი და ხაზს უსვამს იმას, რომ ყველა ქვეყნების სამხედრო ფლოტი თანდათან გადადის სითხის სათბობზე, რომ ამერიკის სამხედრო ფლოტი საბოლოოდ უარყოფს ქვანახშირის მოხმარას თავის ახლად აშენებულ ყველა გემებისათვის; კომერციულ ფლოტზედაც ასეთ მოვლენებს აქვს ადგილი; ბერანჟეს აზრით საფრანგეთის ფლოტი, თუ მას სურს წარმატებით ებრძოლოს ყველა თავის კონკურენტ ქვეყნებს, ამავე გზას უნდა დაადგეს.

საფრანგეთის მთავრობამ და სენატმა მოიწონა ბერანჟეს მოსაზრებანი და მისი პროექტების მიხედვით მთელი რიგი პრაქტიკული ზომებისა გადადგა ნავთის სათბობის შესაძენად და მოსაწესრიგებლად.

ამგვარად ნავთი ეროვნული დოვლათის უდიდესი წყარო შეიქმნა. ომის დამთავრების შემდეგ ნავთის საკითხი მთელი თავისი სიმძიმით დადგა დიდ სახელმწიფოთა წინაშე. ბონუას კონფერენციის მოწვევის წინა დღეებში, საფრანგეთის დეპუტატი ერნესტ უტროი სწერდა: „**ამა თუ იმ ერის კეთილდღეობა დამოკიდებულია ამ ერის ნავთის პოლიტიკაზე**. ჩვენ კარგად გვახსოვს, თუ რა დიდი როლი ითამაშა

„ნავთის ფაქტორმა“ გაელილ ომის უკანასკნელ თვეებში ლ. არა ნაკლებ როლს თამაშობს იგი მშვიდობიან დროსაც, თუ მხედველობაში მივიღებთ თანამედროვე ეპოქის განვითარებულ მაშინიზმსა და ინდუსტრიას.“

ნავთი რომ დღეს დიდ მოთხოვნილებაშია ამას ნათლად გვიჩვენებს, როგორც უკანასკნელი სტატისტიკური ცნობები ნავთის მსოფლიო ამოღების შესახებ, ისე ნავთის მოხმარაზე გადასულ სამხედრო ფლოტის, ავტომობილების, ჰაეროპლანების ზრდა და აგრეთვე მისი წარმოებაში გამოყენება.

ნავთის მსოფლიო ამოღების ზრდა გვიჩვენებს ჩვენ, რომ აქ სითხის პროდუქტების მოხმარა წარმოებაში პარალელურ ზრდას განიცდის. თანამედროვე კაპიტალიზმი ომის და რევოლიუციის ზეგავლენით მეტად დიდ კრიზისში იმყოფება. საერთაშორისო ომმა იმდენად დაშალა მისი შინაგანი სტრუქტურა, იმდენად დაარღვია სხვადასხვა სამეურნეო ერთეულებს შორის არსებული დამოკიდებულებანი და გაამწვავა კლასთა შორის ურთიერთობა, რომ თანამედროვე კაპიტალიზმმა ვერ შესძლო აღედგინა თავისი ომის წინა დროის მდგომარეობა და დღესაც საგრძნობ კრიზისს განიცდის თითქმის ყველა თავის დარგებში. მიუხედავად კაპიტალისტური მეურნეობის ასეთი საერთო კრიტიკული მდგომარეობისა, ნავთის მრეწველობა თავისუფალი არის ამ პირობებისაგან და იგი დღითი დღე წარმატებას განიცდის.

ჩვენ მოვიყვანთ აქ უნგრეთის ცნობილ კომუნისტის პროფ. ე. ვარგას სერიოზულ წიგნიდან „Закат капитализма“ სამთო მრეწველობის დარგის უკანასკნელი ათეული წლების ცნობებს, საიდანაც მკითხველს საშუალება ეძლევა დაახლოებით წარმოიდგინოს, თუ როგორ მდგომარეობაშია არის, ერთის მხრით, ქვანახშირის, თუჯის, ფოლადის—და, მეორეს მხრით, ნავთის წარმოება.

სამთო მრეწველობის პროდუქტები

	1912	1913	1914	1915	1916	1917	1918	1919	1920	1921
	მ ი ლ ი ო ნ ი. ტ ო ნ ი.									
ქვანახშირი	1877	1178	1346	1310	1390	1345	1331	1158	1300	1100
ტყვია . .	47	52	55	56	62	67	67	80	90	100
ოქრო .	73	78	59	62	71	67	—	—	61	40
ბოლადი	—	75		—	—	—	—	—	68	41*)

ამ ციფრებიდან მრავალს დაახლოებითი ხასიათი აქვს, მაგრამ ის მაინც საკმარისია მეურნეობის სხვადასხვა მნიშვნელოვან დარგების განვითარების ტენდენციების გამოსარკვევად.

მაგრამ ნავთის დიდი მოთხოვნილებას ამტკიცებს არა მარტო ეს მშრალი სტატისტიკური ცნობები, არამედ ის დიდი პროგრესიც, რომელიც მოხდა დიზელის მატორის შემოღებით წარმოების სხვადასხვა დარგებში, და ამ სისტემაზე აგებულ მანქანების ზრდაც.

ერნესტ შულცე თავის დასახელებულ წიგნში სწერს: „ნავთზე მოთხოვნილება დიდი სისწრაფით იზრდება. **მრეწველობა, ხმელეთის ტრანსპორტი და ნაოსნობა რევოლუციას განიცდის, რომლის დასასრულის გათვალისწინება ჯერაც შეუძლებელია.** სატრანსპორტო საქმის უახლოეს დარგს, აკიაციას, არ შეუძლია გამოიყენოს როგორც მაძრი ძალა ორთქლის მანქანები. **ნავთის ხათბობს და ნავთის მაძრს ეკუთნის მომავალი**“ **).

განსაკუთრებით საინტერესოა სამხედრო მანქანებისა და ფლოტის გადასვლა ნავთის მოხმარაზე. უკანასკნელი ათეული წლების განმავლობაში, როგორც უკვე ვქონდა ნათქვამი წინა თავში, როგორც წყალქვეშა ნავები, ისე წყალსზედა და საჰაერო ფლოტი დიდ უპირატესობას ღებულობს ნავთის ხათბობზე გადასვლით. მაგრამ მარტო ამით არ შემოიზღუდება ნავთის მოხმარების სფერო. ხმელეთის საომარი ორგანიზაციაც ვერ ასცდა ამ სიოხეს. კაპიტალისტურ მაშინიზაციას

*) იხ. E. Varga: „Закат капитализма“ გვ. 15,1923

**) იხ. შულცე: „მსოფლიო მეურნეობის დაშლა“. გვ. 160-61.

ვერ ასცდა არმიაც და იქაც შეიტრა მაშინების პირველ რიგში დაყენება, მაშინიზაცია კი ასეთს პროცესებში მოიოხოვს უმთავრესად ნავთის პროდუქტებს.

როგორც ვიცით მიუხედავათ იმისა, რომ ომი გათავდა და დამარცხებული გერმანეთის კოალიცია ვერსალის ავანაკერი ზავით იარაღ აყრილია, მსოფლიოს შეიარაღების საქმე მაინც დიდის წარმატებით მიდის წინ და კაცობრიობა კვლავ ახალი ომის გზა-ჯვარედინზე სდგას. განიარაღების პრობლემა მრავალჯერ დაისვა მორიგ საკითხად კონფერენციებზე. მაგრამ დიდ-ტანიანი სახელმწიფოები ნაცვლად განიარაღებისა უფრო და უფრო ახალი მეთოდებით იარაღდებიან და ტეხნიკის მიღწევებს იყენებენ საომარი ორგანიზაციის საქმეებში. თანამედროვე კაპიტალისტურ მეურნეობისა და იმპერიალიზმის გაცხოველების ხანაში შეუძლებელი ხდება განიარაღება და მშვიდობიანი ცხოვრება. თანამედროვე ეპოქის პირველი შვილი არის—იმპერიალიზმი და მილიტარიზმი. ასეთი გაცხოველება მილიტარიზმისა, როგორც ხმელეთის, ისე საზღვაო საომარი ძალების წარმატებაზე ზრუნვა, უმთავრესად გამოწვეული არის, ერთის მხრით, კაპიტალისტური მეურნეობის წინააღმდეგობით სხვა-დას-ხვა სახელ-წიფოთა შორის, რომელიც აუცილებელს ხდის საერთაშორისო ომებს, მეორე მხრით კი კაპიტალისტურ საზოგადოებაში გამოწვეულ კლასიურ წინააღმდეგობით, რომელიც იწვევს რევოლიუციონურ ქარტეხილებსა და ღიად სოციალურ გარდატეხებს.

მაგრამ არმიის შეიარაღებაზე ზრუნვა და მისი სათანადო დონეზე დაყენება პირდაპირ დამოკიდებულია შებრძოლ სახელმწიფოს სამრეწველო ძალთა და წარმოების განვითარებაზე. ფრიდრიხ ენგელსი ამ საკითხის შესახებ თავის „ანტი-დიურინგში“ გადაჭრით ამბობდა შემდეგს: „შეიარაღება, შემადგენლობა, ორგანიზაცია, ტაქტიკა და სტრატეგია უწინარეს ყოვლისა დამოკიდებული არის აღნიშნულ მომენტებში წარმოების განვითარებისა და გზათა მიმოსვლის მიღწეულ საფეხურებზე“.

რამდენადაც წინ მიიწევს წარმოებაში მიღწეული ტექნიკური გაუმჯობესება, იმდენად სამხედრო ორგანიზაციის საქმის მოწესრიგება ფართოვდება. კაპიტალისტური მეურნეობა და იქ შექმნილი სტრუქტურა. თავის დაღს ასვამს სამხედრო ორგანიზაციას. დიდი ხანია, რაც მოხდა მეურნეობის მაშინიზაცია. ეს უკანასკნელი თავის მხრით შეიჭრა არმიაში და იქ უკვე ხდება თანამედროვე არმიის მაშინიზაცია. ახლო წარსულის ტექნიკურმა გამოკვლევამ აღმოაჩინა ნავთი და იგი ეკონომიკის უდიდეს ფაქტორად გადაიქცა; ნავთი სამხედრო ორგანიზაციაში შეიჭრა და ყოველი მისი უმთავრესი დარგი თავის გავლენის ქვეშ დააყენა.

თანამედროვე არმიის მაშინიზაციის სურათს გვაძლევს შემდეგი ცნობები საფრანგეთის სამხედრო ცხოვრებიდან. საფრანგეთი დღეს ყველაზე მეტს ფიქრობს შეიარაღების შესახებ და მისი ბიუჯეტის დიდი ნაწილი სამხედრო მზადებისათვის იხარჯება. „პუანკარე—ომი“ ერთხელ კიდევ უმზადებს მსოფლიოს საერთაშორისო ომს.

— უკანასკნელი ცნობებით საფრანგეთს 1914 წელს ყავდა 985.000 ჯარის-კაცი; 1923 წ. მშვიდობიანობის დროს მას ყავს 900.000, ომის დროს კი გამოიყენანს—3.000.000. ამ გვარად ომის დროს მისი არმია იზრდება 2.100.000 კაცით. ასეთივე სისწრაფით იზრდება ჯარის შეიარაღება, ან უკეთ „არმიის მაშინიზაცია“. (იხ. ცხრილი 63. გვ).

მოყვანილი ცხრილი ეხება მხოლოდ ხმელეთის სამხედრო-ორგანიზაციას და საჰაერო ფლოტს. ცნობებს შევსება ესაჭიროება იმ მხრით, რომ საკმარისი არ არის მარტო იარაღების რაოდენობის აღნიშვნა, საჭიროა აგრეთვე მათი ხარისხის გათვალისწინებაც. სამხედრო ტექნიკამ უმწვერვალეს გამარჯვებას მიაღწია ამ მხრივ და არმიის ორგანიზაციის ტექნიკურ მიღწევებზე გადაყვანა შეუჩერებლივ სწარმოებს. მაგ. არტილერიის დარგში კოლოსალური გაუმჯობესებანი არის მიღწეული: **აქ ცხენის ძალა შეცვლილია მექანიკურით, ცოცხალ ძალას ცვლის მექანიკური მატორი.** არტილერიის

ნატორიზაციამ საგრძნობ შედეგებს მიაღწია. საფრანგეთშიც ეამოიგონეს მცურავი ტანკები წყალ-ქვეშა ნავების მსგავსად. ავიაციის დარგშიაც გაუჯობესება შეუჩერებლივ მიდის წინ. ამჟამად საჰაერო ფლოტში ავიო-ტეხნიკა განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს მის ტვირთ-ზიდაობას. სამხედრო აზროვნება დაინტერესებულია ავიაციის მაძრის მძლეობის გაძლიერებით.

ხალმარი მანქანები საფრანგეთის არმიას აძვს:

	1914 წ.	1923 წ.		გაიზარდა:
	ომის დასაწყისის.	შეიარაღებ-ნობის დროს.	ომის დროს.	ომის დროს.
ზარბაზანი	4.487	10.500	40.500	35.513
ნალმტყორცნელი	—	500	20.000	20.000
ტყვიისმფრქვ.	1.242	50.000	200.000	198.758
ტანკები	—	3.000	20.000	20.000
ჯავშნოსანი ავტომობილი	—	100	2.000	2.000
ჯავშნოსანი მატარებელი	—	50	500	500
ეამანადგურებელი	—	140	—	140
ბულ ჰაეროპლანი	300	2.000	60.000	59.700*)

საჰაერო ფლოტი იმდენად განვითარდა, რომ თანამედროვე ინგლისი შესაძლებლად სთვლის დაკისროს მას მეტად ვრცელი ტერიტორიის მესოპოტამიის, სირიისა და პალესტინის რაიონების დაცვა. გარნიზონი კი დაეხმარე როლში გამოყავს. თვით ეს გარნიზონი საჰაერო ფლოტის დახმარებით გადაყავთ ერთი რაიონიდან მეორეში. როგორც გვახსოვს მოსულის რაიონში უკანასკნელი აჯანყების დროს ინგლისმა მეამბოხეთა წინააღმდეგ განსაკუთრებით საჰაერო ფლოტი აამოძრავა და მათი საშუალებით ჩააქრო მუსლიმანური მოძრაობანი.

*) იხ. „Коммунистическая революция" № 1 (4 0)1923 წ.

თანამედროვე ბურჟუაზიული მეცნიერება მეტად ბევრს მეშაობს ომის ახალ მეთოდებით წარმოების შესახებ და შეუჩერებლივ იგონებს ახალ-ახალ საშუალებებს მსოფლიოს გასანადგურებლად. ცნობილი სტრატეგიები და მილიტარისტები საუცხოოდ იყენებენ მეცნიერების მიხწევებს ომის წარმოების საქმეში.

მოყვანილი ცნობები ნათელ წარმოდგენას იძლევა იმის შესახებ, თუ როგორი სიძლიერით ხდება თანამედროვე არმიის მაშინიზაცია. **მაგრამ მაშინიზაციის გაფართოება თავის თავად იწვევს ნავთის პროდუქტების მოთხოვნილების გაძლიერებასაც. არმიის საომარი იარაღებისა და საშუალებების მძიმე მანქანებზე გადასვლა, მათი მექანიზაცია დაჟინებით მოითხოვს შინაწვის მატორების გამოყენებას. ეს კი შეუძლებელი არის გარეშე ნავთის პროდუქტებისა.** მძიმე არტილერია, ტანკები და სხვა მანქანები, რომელთაც ველარ ერევა ცოცხალი ძალა (ადამიანი და ცხენი) დაჟინებით მოითხოვს მექანიკურ ენერგიაზე გადასვლას. უკანასკნელი კი შესაძლებელი არის მიღებულ იქმნას აღნიშნულ სამხედრო დარგებში მხოლოდ შინაწვის მაძრის გამოყენებით. ამგვარად ფაქტიურად არმიის მაშინიზაცია რამოდენადმე ნიშნავს — **არმიის პეტროლიზაციასაც**, ნავთის შეპრას საომარ ორგანიზაციაში, საომარ დარგებში და მეტად მძლავრ ფაქტორად გადაქცევას.

მართლაც უნაყოფო და უსიცოცხლო არის ჯავშნოსანი გრუზავიკები, ავტომობილები, ჰაეროპლანები, ავტო-არტილერიები, უზარმაზარი ტანკები, ჯავშნოსანი მატარებლები და სხვა, თუ მათ თავისი სული არ შთაბერა და შინაგანი ცეცხლით არ აამოძრავა მათი ენერგია ამ ჟამათ მეტად სიმპატიური სითხის (ნავთის) პროდუქტებმა-ბენზინმა და მაზუთმა; ნაკლებად ნაყოფიერია დრედნოუტები და წყალქვეშა ნავები, თუ მათ არ მოაწყვეს ნავთის სითხეზე აგებული დიზელის შინაწვის მატორები. ყოველივე ეს ერთად აღებული ნათლად

ამტკიცებს ნავთის დიდ უპირატესობას საომარ ორგანიზაციის საქმეში.

ამგვარად სავსებით მართლდება ფრ. ენგელსის დებულება: შეიარაღება, სტრატეგია და ომი სავსებით დამოკიდებულია წარმოებაში მიღწეულ გამარჯვებებზე; კაპიტალისტურმა განვითარებამ გამოიწვია მანქანების, ნავთის და შინაწვის მატორების მოხმარა მეურნეობაში. დღეს ეს ელემენტები მთელი თავისი სიმძიმით შეიჭრა სამხედრო ორგანიზაციებში და მათი წარმატების მთავარ ფაქტორებად გადაიქცა.

ამდენხანს ჩვენ მხედველობაში გვქონდა უმთავრესად ხმელეთისა და ავიაციის ორგანიზაცია; მაგრამ თუ ჩვენ ამას დავუმატებთ იმ დიდ როლს, რომელსაც მიაღწია ნავთმა საზღვაო ფლოტში, მაშინ ჩვენს წინ სრული ილიუსტრაცია იქნება ნავთის მნიშვნელობის შესახებ საერთოდ მრეწველობასა და კერძოთ სამხედრო წარმოებაში.

როგორც ვიცით, დღეს თანამედროვე იმპერიალისტურ სახელმწიფოთა შორის გაორკეცებული ბრძოლა არის საზღვაო ფლოტის შექმნაში. განსაკუთრებით ერთმანეთს ებრძვის ამერიკა და ინგლისი. ინგლისმა თავის პოლიტიკურს, ეკონომიურსა და სამხედრო ჰეგემონიას მიაღწია უმთავრესად თავისი ძლიერი სამხედრო და სავაჭრო ფლოტის საშუალებით. ამ ტრანსპორტის დახმარებით მან გადასცურა დიდი ზღვები და ოკეანები და მსოფლიოს სამეურნეო ერთეულების დიდი ნაწილი დაუმორჩილა თავის ბატონობას. ინგლისის კოლონიალური სიძლიერე აგებული იყო მისი ფლოტის სიძლიერეზე. სამხედრო ფლოტი უმასპინძლდებოდა ტყვიებითა და ზარბაზნებით მტრებს შორეულ ქვეყნებში, ხოლო სავაჭრო ფლოტი ეკონომიურ ურთიერთობას აბამდა ჩამორჩენილ ქვეყნებთან და ენერგიულად ეზიდებოდა იქ დაგროვილ უხვ დოვლათს თავის მეტროპოლიაში. ომამდე ინგლისის ჰეგემონიას განადგურებას უქადდა გერმანეთი, ომის შემდეგ გერმანეთის ადგილი უფრო მძლავრმა კონკურენტმა დაიჭირა; ეს არის კაპიტალისტური ამერიკა,

რომელიც სცდილობს გამოდენოს ინგლისი თავის ბატონობის სფეროებიდან და თავისი ჰეგემონია დაამყაროს იქ.

სამხედრო და სავაჭრო ფლოტი ინგლის—ამერიკის კონფლიქტის საქმეში გადამჭრელ ფაქტორის როლს თამაშობს. მეურნეობის სხვადასხვა დარგებში ამერიკამ წინ გაუსწრო ინგლისს, ხოლო საზღვაო ტრანსპორტში კი თანდათან ეწევა მას. ამერიკის პროგრამით, იგი მალე მსოფლიოს ჰეგემონი შეიქმნება ამ დარგშიაც. ინგლისელ ეკონომისტის ცნობილ კეინსის კრებულში „ევროპის აღდგენა“ (№ 2), აბელი არკვევს ამერიკა—ინგლისის კონკურენციას ამ დარგში. ამ საკითხს უფრო ვრცლად ჩვენ ვეხებით ცალკე წერილში; (იხ. „ამერიკის იმპერიალიზმი“ ჟურ „კომუნიზმის დროშა“ № 6-9) აქ მხოლოდ ორიოდე სიტყვით დავკმაყოფილდებით. აბელის ცნობით 1914 წელში მსოფლიო გემების ტონაჟი 1.500 ტონზე მეტს უდრიდა 37,413 მილ. ტონს, აქედან ინგლისს ეკუთვნოდა—47,7%, ხოლო ამერიკას—4,3% მსოფლიო ტონაჟისა. ომის შემდეგ გემების მშენებლობა ძლიერ გაიზარდა, მაგრამ ინგლისის მდგომარეობა მსოფლიოში პროცენტების მხრით დაეცა. 1921 წელს მსოფლიოში იყო 49,780 მილ. ტონი გემებისა, აქედან ინგლისს ეკუთვნოდა 39,3%, ამერიკას კი—22,7%. მაგრამ თუ ჩვენ ავიღებთ 100 ტონიან გემებსაც, მაშინ ინგლისის წილი უდრის 35%-ს, ხოლო ამერიკის—დაახლოებით 30%-ს. ეს კოლოსალური ზრდა ამერიკის საზღვაო ტრანსპორტისა მომასწავებელი არის იმის, რომ ამერიკას კურსი მსოფლიო ჰეგემონიისაკენ უპირავს და ჩქარი ნაბიჯითაც მიექანება მოწინააღმდეგის იქედან გამოსადენად.

მაგრამ ომის დროს და მის შემდეგაც გაიზარდა არა მარტო საზღვაო ტრანსპორტის რაოდენობა, არამედ ნავთის მოხმარაც ტრანსპორტზე. ქვემოდ მოყვანილი ცხრილი გვიჩვენებს ნავთის მაძრის ძალით მოწყობილ მსოფლიო ტონაჟის ზრდას.

წლები	მსოფლიო ტონაჟი ნავთის მაძრი ძალით:
1914 წ. (ივლისი)	1.310.000
1919	5.337.000
1920	9.359.000
1921	12.797.000*)

ამ ცხრილიდან დიდი უმეტესობა ეკუთვნის ამერიკას. შემდეგ კი ინგლისს. 1922 წ. აპრილის 26-ს ამერიკის მთავრობისადმი ინგლისის მთავრობის სახელით გაგზავნილ ნოტაში ვარეშე საქმეთა მინისტრი კერზონი აღნიშნავდა, რომ დიდი ბრიტანეთი ამერიკის შემდეგ ყველაზე უდიდესი მომხმარებელი არის ნავთის პროდუქტებისა მსოფლიოში. ნავთის მატარებზე გადაყვანილი არის 90%-ზე მეტი ინგლისის სამხედრო გემებისა, წინააღმდეგ, 45%-სა ომამდე. ასეთივე პროპორციით გატარებულია ნავთის მოხმარა საავაჭრო გემებზედაც,—დასძენდა კერზონი.

ზემოდ მოყვანილ ცხრილიდან სჩანს, რომ 1914-21 წლების პერიოდში ნავთის მოხმარა საზღვაო ფლოტზე გაიზარდა 10 ჯერ. ლოიდ რეგისტრის მიერ გამოქვეყნებულ ცნობით, 1920-21 წლებში პირველი მაგალითი მოხდა, რომ ერთი წლის განმავლობაში აშენებული გემები ნავთის სათბობით მეტი იყო ქვანახშირით სათბობ გემებზე. ამ წლებში აშენებული იყო 353 გემი მოწყობილი ნავთის სათბობით. (იქვე-გვ. 156) ამერიკის საავაჭრო ფლოტზე ნავთის მოხმარა გაიზარდა 1919-1920 წ. 1,89-დან 34,44 მილიონ ბარელამდე; ხოლო სამხედრო ფლოტზე, რომელიც წინად იყო გადაყვანილი ნავთის მოხმარაზე,- 27,10-დან 44,50 მილიონამდე**). ამგვარად ნავთი დიდ კონკურენციას უწევს ქვანახშირს სამხედრო და საავაჭრო ფლოტზე და ემუქრება მას აქედანაც გამოდენით.

---

*) იხ. М. Павлович: „Империализм и борьба за великие железнодорожные и морские пути будущего“, ნაწილი პირველი, გვ. 155.

**) იხ. შულცეს წიგნი—161.

აღსანიშნავია აგრეთვე ომის შემდეგ მატორიანი ნავების ტონაჟის ზრდა, რომელშიაც ნავთი იწვის არა ქვაბების გასახურებლად, არამედ შინაწვის მაქრის ასამოძრავებლად; მატორიანი ნავები ომის დასაწყისიდან გაიზარდა შემდეგნაირად:

	წლები:	რიცხვი	ტონაჟი	
ივლისი	1914 წ.	297	234.000	ბრუტტო ტონი
	1919	912	753.000	„ „
	1920	1.178	956.000	„ „
	1921	1.473	1.248.000	„ „ *)

სურათის შესავსებათ საჭიროა აღინიშნოს როგორც რიცხვი, ისე ტონაჟი იმ გემებისა, რომელიც სპეციალურად ნავთის ტრანსპორტისათვის არის აშენებული. ამის ნათელ ილუსტრაციას იძლევა ქვემოდ მოყვანილი „ლოიდ რეგისტრის“ ცნობებიდან ცხრილი სპეციალურად ნავთისა და კეროსინის გადასაზიდ გემებისა და მატორიანი ნავების რიცხვისა და ტონაჟის შესახებ:

	31 დეკ. 1913 წ.		31 დეკ. 1919 წ.		31 დეკ. 1921 წ.	
	რიცხვი გემების	ტონაჟი	რიცხვი გემების	ტონაჟი	რიცხვი გემების	ტონაჟი
ბრიტანეთის იმპერია	163	682.975	268	1.206.004	319	1.530 360
შეერთებული შტატ.	54	192.353	237	1.304.282	409	2.526.688
მთელს მსოფლიოში	333	1.245.339	620	2.894.866	881	4.618.835 [1]

ამ ცხრილიდან სჩანს როგორც ზრდა ნავთის გადასატანი გემებისა, ისე უპირატესობა ამერიკის ამ დარგში; მაშინ, როდესაც ინგლისმა შესძლო გადიდება თავისი ტრანსპორტის ტონაჟისა მხოლოდ 2 ნახევარჯერ, ამერიკამ 1913 წლიდან გაადიდა ასეთი გემების რიცხვი დაახლოებით 12 ჯერ.

1921 წლის ცნობით ამერიკას აქვს 2,527,000 ტონი სპეციალური ნავთის ტრანსპორტისა, რაც შეადგენს მთელი

*) პავლოვიჩი—156.

[1]) იხ. სტოლიცკის წერილი: „Перепроизводство мирового тоннажа“ „эконом. жизнь“ № 131, 1922 წ.

მსოფლიო ტონაჟის ნახევარზე მეტს. ასეთი ზრდა ნავთისა და კეროსინის სპეციალური ტრანსპორტის ამეღავნებს აგრეთვე იმ ფაქტს, თუ ნავთმა როგორი დიდი ადგილი დაიჭირა საერთაშორისო მეურნეობის საქმეში. ნავთის პროდუქტების მოთხოვნილების ზრდამ გამოიწვია ამ სითხის ერთი რაიონიდან მეორეში გადატანის გაცხოველება, მისი სამეურნეო ბაზრებთან და წარმოებასთან მჭიდროდ დაკავშირება, ნავთის სხვადასხვა ქვეყნებიდან ექსპორტისა და იმპორტის გაფართოება. ასეთი ოპერაციების შესასრულებლად კი საჭირო შეიქმნა სპეციალურ ფუნქციებით აღჭურვილ სანავთე ტრანსპორტის შექმნა სათანადო მოთხოვნილების მიხედვით.

ვფიქრობთ ზემოდ მოყვანილი მიმოხილვა ნათელს სურათს გადაუშლის მკითხველს ნავთის მნიშვნელობის შესახებ საერთოდ წარმოებასა და კერძოთ სამხედრო ორგანიზაციების საქმეში. მიყრუებულ ქოხებსა და ქუჩების განათებიდან ნავთი გამოვიდა და დიდი ფუნქციებით აღიჭურვა; დიზელის მატორისა და ომის წარმოების წყალობით იგი შეიპრა მსოფლიო მეურნეობის ყოველ დარგში და დღითიდღე დენის იქედან იქ გაბატონებულ ქვანახშირს. ნავთი ეკონომიური წარმატებისა და პოლიტიკური ბატონობის უძლიერეს ფაქტორად გადაიქცა: მსოფლიო ჰეგემონიის საკითხი ნავთის საკითხთან არის დაკავშირებული, ერის აღორძინებას ნავთის პრობლემას უკავშირებენ:

„ვის ხელშიაც იქნება ნავთი, მის ხელში იქნება მსოფლიოს ბატონობა“, აჭბობდა ბერანჟე პრემიერ კლემანსოს გასაგონად და მთელი საფრანგეთის იმპერიალისტურ წრეების საყურადღებოდ. „ამა თუ იმ ერის კეთილდღეობა დამოკიდებულია ამ ერის ნავთის პოლიტიკაზე“, ბანს აძლევდა ბერანჟეს დებულებას გავლენიანი ფრანგი დეპუტატი ერნესტ უტროი; —„აწი სახელმწიფოთა ეკონომიური და პოლიტიკური ბედი დამოკიდებული იქნება ნავთზე“,—თითქოს ლოლიკურ დასკვნას უკეთებდა ფრანგი პოლიტიკოსების ნათქვამს გერმანელი ეკონომისტი პროფ. ერნესტ შულცე; —„ნავთი არის მსოფლიოს ეკო-

ნომიური ბატონობის ფუნდამენტი", ამბობდა ამერიკის პრეზიდენტი გარდინგი;—„ნავთი ისევე საჭიროა მომავალ ბრძოლაში, როგორც სისხლი",—ეს სიტყვები კლემანსოს ეკუთვნის, რომელმაც ომის გამოცდილებით შეიგნო ნავთის ღირებულება.

ნავთი სდგას დღეს მსოფლიო პოლიტიკის ცენტრში. ნავთისათვის იბრძვიან დიდ-ტანიანი იმპერიალისტური სახელმწიფოები, როგორც საერთაშორისო კონფერენციებზე დიპლომატიური კორპუსების საშუალებით, ისე მექსიკის, სპარსეთის, ოსმალეთის, სახალინის, ეგვიპტის მიდამოებში სამხედრო კორპუსების დახმარებით.

ასე შეიქმნა ნავთის პერიოდი: პერიოდი ნავთის იმპერიალისტური პოლიტიკისა.

თავი მესამე

იმპერიალისტურ სახელმწიფოთა პოლიტიკა ნავთის საკითხში.

1. ინგლის-ამერიკის კონფლიქტი.

1920 წლიდან იწყება გაცხოველება ნავთის საერთაშორისო პოლიტიკისა. ის, რაც ამდენხანს ფარულად ხდებოდა ნავთის ტრესტების საშუალებით და ძლიერ იშვიათ შემთხვევაში ნავთის პოლიტიკას მიმართავდენ ხოლმე მთავრობები, დღეს საჯაროზე გამოვიდა და ნავთის პრობლემა შეიქმნა საერთაშორისო ურთიერთობის ერთ დიდ ფაქტორად.

ამბ. პავლოვიჩი სწერს: „რამდენადაც მსოფლიო ომამდე ევროპის მრავალ სახელმწიფოს არ ქონდა არავითარი ნავთის პოლიტიკა, იმდენად, წინააღმდეგ, ახლა ნავთის პოლიტიკის საკითხები წარმოადგენენ ყველა პირველ ხარისხოვან სახელმწიფოსათვის ძირითად საკითხებს“. (იხ. „საბ. რუსეთი და კაპ. ამერიკა“ გვ. 83). როგორც დავინახეთ, ომის უკანასკნელ წლებში ამერიკასა და ევროპის მოკავშირეთა შორის მეტად მჭიდრო კავშირი იქმნა განმტკიცებული როგორც სხვა დარგებში, ისე ნავთის საკითხშიაც. მაგრამ ასეთ მჭიდრო კონტაკტს მოითხოვდა ძლიერი საერთო მტერის არსებობა. სანამ არსებობდა უტეხ ჰოვენცოლერნთა იმპერიალიზმი — კლემანსო, ლოიდ ჯორჯი და ვილსონი შეთანხმებულად მოქმედებდენ და მიზანშეწონილ დახმარებას უწევდენ ერთმანეთს. საერთო მტრის დამარცხებამ კი მოკავშირეთა შორის მთელ რიგ საკითხებში ჩამოაგდო განხეთქილება და წინააღმდეგობანი, მათ შო-

რის ნავთის საკითხმაც მეტად დააშორა მოკავშირე სახელმწიფოები ერთი მეორეს.

ომის შემდეგ დასრულდა ინგლის-ამერიკის თანამშრომლობა ნავთის საქმეში და ისინიც ერთი მეორეს დაუპირისპირდენ, როგორც მოსისხლე მტრები. დელეზი თავის ზემოთ დასახელებულ წიგნში ამბობს, რომ გამარჯვების შემდეგ არც ინგლისელები და არც ამერიკელები არ ფიქრობდენ ნავთის საკითხში პირველობა ვისმესთვის დაეთმოთ და სრულს თავისუფლებას იტოვებდენ მოქმედებისათვის. (დელეზი—19).

ამგვარად ამერიკა და ინგლისი ერთი მეორეს დაუპირდაპირდა ნავთის საკითხშ. ამ დაპირისპირებამ მეტათ მწვავე ხასიათი მიიღო და ძლიერ ხშირად ომითაც ემუქრებოდა კაცობრიობას. მაგრამ ინგლის-ამერიკის კონფლიქტის შინაარსს ჩვენ ვერ გავიგებთ სავსებით, თუ არ გავითვალისწინეთ სხვა ფაქტორებიც, რომელთაც ადგილი აქვს საერთაშორისო ცხოვრებაში და რომელნიც გარკვეულ შინაარსს აძლევენ ამა თუ იმ სახელმწიფოს საერთო პოლიტიკას. უწინარეს ყოვლისა ჩვენთვის საჭირო არის გავითვალისწინოთ, თუ როგორი არის თვითოეულ მოქიშპე სახელმწიფოს მდგომარეობა ნავთის ამოღების საკითხში, რამდენი მარაგი ნავთისა აქვთ მიწაში და მასთანვე როგორი არის მათი მოთხოვნილებანი.

ნავთის წარმოების საქმეში დღეს-დღეობით ამერიკას უპირავს პირველი ადგილი და ის სრული ბატონია ამ დარგში. ნავთის წყაროები თვით ამერიკის ტერიტორიაზე არის მოქცეული და ბუნებამ ის მეტად მდიდარი დოვლათით დაჯილდოვა. ამერიკის შემდეგ მეორე ადგილი უპირავს მექსიკას. ამ ორ მხარეს ერთად ეკუთვნოდა 1916 წელს 90% მთელი მსოფლიო ნავთის ამოღებისა. შემდეგი ცხრილი ნათელს მოფენს ნავთის ამოღების საკითხს მსოფლიოში.

———

ზრდა ნავთის ამოღებისა მსოფლიო მაშტაბით

(ამერიკის გეოლოგიურ კომიტეტის ცნობა.)

(ათასი ბარელით.)

ქვეყნები.	1870 წ.	1910	1914	1917	1918	1919	1920	1921	1922 (ტონ.)
შეერთებული შტატები.	5261	209557	265763	335315	335928	377719	443102	469639	73309
მექსიკა.	—	3634	26235	55293	63828	87073	163540	195064	26500
რუსეთი.	204	70336	67020	69960	40456	34284	25439	28500	4882
ჰოლანდიის ინდოეთი.	—	11031	11835	12929	13285	15780	17529	18000	2288
სპარსეთი	—	—	—	6856	7200	6290	12362	14600	2900
ბრიტან. ინდოეთი.	—	6136	7410	8079	8000	8454	7500	8347	1100
რუმინია	84	9724	12827	3721	8730	6518	7432	6864	1400
გალიცია.	—	12674	5033	5965	5592	6255	5606	3665	600
პერუ.	—	1330	1918	2533	2596	2561	2817	3568	550
იაპონია და ფორმოზა.	—	1931	2738	2882	2449	2120	2139	2600	300
ტრინიდადი.	—	143	644	1602	2062	2760	2083	2354	300
არგენტინა.	—	21	375	1145	1321	1504	1665	1747	290
ეგვიპტე.	—	—	777	1009	2080	1662	1042	1181	170
ვენესუელა.	—	—		128	190	321	457	1078	225
გერმანეთი.	—	1032	996	996	711	925	212	200	30
კანადა.	250	316	215	214	305	220	197	190	25
იტალია.	—	51	40	41	36	38	34	35	5
სხვა ქვეყნები.	—	20	20	19	—	—	1411	1398	
ს უ ლ.	5799	327938	403746	508687	514729	554505	684851	759030	115143

ამ ცხრილიდან სჩანს, რომ ამერიკა სრული ბატონ-პატრონი არის ნავთის ამოღების საქმეში. თუ მივიღებთ მხედველობაში იმას, რომ ამერიკას ეკუთვნის მექსიკის ნავთის დიდი ნაწილი, მაშინ ჩვენ გვექნება სრული წარმოდგენა ამერიკის ნავთის დღევანდელ მდგომარეობის შესახებ. ინგლისი ამერიკასთან შედარებით ამ მხრივ ერთობ ღარიბია. თავის მეტროპოლიაში მას მხოლოდ შოტლანდიის ნავთი მოეპოება, რომელიც ერთობ მეტად მცირე ნაყოფს იძლევა. 1920 წელში შოტლანდიაში ამოიღეს 234 ათასი ტონი. ინგლისი აგრეთვე აწესებს თავის კანტროლს ბირმის, ნიდერლანდიის ინდოეთის, ეგვიპტის, ტრინიდადის, კანადის და. მესოპოტამიის ნავთის წყაროებზე. მიუხედავათ ამისა, ინგლისს ეს ნავთი არ ყოფნის და ის იძუ-

ლებული ხდება გარედან შემოზიდოს ნავთის პროდუქტები. მისაღებია მხედველობაში ის გარემოებაც, რომ ზოგიერთ კოლონიიდან ინგლისს არ შეუძლია გამოიტანოს ნავთი: მაგ. ინდოეთის წარმოება თვით საჭიროებს ნავთს და მისი იქიდან ექსპორტი შეუძლებელი ხდება. ამ გვარად ამერიკის მეტოქე ინგლისი მოკლებული არის საკუთარ ნავთის წყაროებს და ნავთის წარმოებას. „ტიმესი“ 1921 წელს სწერდა: „ერთად ერთი წყარო ნავთისა, რომელიც აქვს ინგლისს შინ, ეს არის შოტლანდიის წყაროები. ის შეადგენს უმნიშვნელო ნაწილს ინგლისის მოთხოვნილებისას, რომლის დასაკმაყოფილებლად მან უნდა შემოზიდოს გარედან ნავთი. 1920 წელს ინგლისში შეზიდულ ნავთიდან 61% შეტანილი იყო ამერიკიდან; 37% სხვა ქვეყნებიდან და მხოლოდ 2% ბრიტანეთის კოლონიებიდან“. ამგვარად ბრიტანეთის უდიდესი კოლონიები ამ მხრივ ერთობ ღარიბი აღმოჩდენ და სრულიად უმნიშვნელო პროცენტი ნავთისა მიაწოდეს თავის მეტროპოლიას, რომლის მოთხოვნილებანი ამ დარგში მეტის მეტად იზრდება. ნავთის საქმეშიაც ინგლისი დამოკიდებული შეიქმნა ამერიკისაგან. ნავთის კრიზისი, აი რა აშინებდათ და აფიქრებდათ ინგლისის პოლიტიკოსებს. ამერიკის მონოპოლია ნავთზე, აი რა იყო ინგლისის მთავარი სატკივარი. ინგლისს სურდა თავი გაეთავისუფლებინა ამერიკის დამოკიდებულებისაგან და თვით გამხდარიყო ნავთის ბატონ-პატრონი. ამიტომ იყო, რომ ის გაორკეცებული ენერგიით იბრძოდა ნავთის წყაროებისათვის სპარსეთში, ოსმალეთში და თვით ამერიკის კონტინენტზედაც. ინგლისმა რამოდენიმეთ შესძლო ამერიკის მდგომარეობის შერყევა. ამას ჩვენ დავინახავთ შემდეგ ფაქტებიდან.

პირველი იმპერიალისტური სახელმწიფო, რომელმაც ნათლად შეიგნო ნავთის რეალური ღირებულება, როგორც წარმოების, ისე სამხედრო ორგანიზაციების საქმეში, იყო ინგლისი. რაკი ინგლისის იმპერიალისტებისათვის ნათელი შეიქმნა, რომ ნავთის მსოფლიო ამოღება ხელში ეპირა უმთავრესად ამერიკას და თვით ინგლისი სითხის სათბობის საკით-

ხში დამოკიდებული იყო ამერიკისაგან,—ინგლისმა გადასწყვიტა მშვიდობიანი—ეკონომიური გზით შეეძინა მსოფლიოში არსებული ნავთის სამეურნეო რაიონები. ომის განმავლობაში ინგლისი ამერიკისაგან ფარულად შეიჭრა ყველა მნიშვნელოვან ცენტრებში და გახდა მონაწილე ნავთიანი ადგილებისა. არ დარჩენილა არც ერთი ნავთიანი ტერიტორია, სადაც ინგლისი არ შეჭრილიყო და მისი მონაწილე არ გამხდარიყო. მასთანვე ინგლისმა შესძლო ნავთის კომპანიების თავის გავლენის ქვეშ დაყენება და მათი საშუალებით ფართო ეკონომიური მოღვაწეობის გაჩაღება. ომის დამთავრების შემდეგაც ინგლისმა კვლავ განაგრძო თავისი მოღვაწეობა ამ მიმართულებით. ამერიკა, რომელსაც მდიდარი ეგონა თავის თავი ნავთის მარაგით და ნავთის ამოღების საქმეში პირველი ადგილი ეჭირა, ნაკლებ ყურადღებას აქცევდა ნავთის საგარეო ბაზრებს. ამერიკის ასეთი უმოქმედობაში ყოფნის დროს, ინგლისმა თავის მიზანს მიაღწია და ნავთის მრავალი სამეურნეო ერთეულები თავისი გავლენის ქვეშ დააყენა.

ინგლისის ნავთის პოლიტიკის შედეგები საუცხოოდ გადაგვიშალა 1920 წ. „ტაიმსის“ ფურცლებზე სერ მაკეი ედგარმ„. ამ წერილმა გამოაშკარავა მთელი სიიდუმლოება ინგლისის პოლიტიკისა ნავთის საკითხში და ის დიდი საფრთხე, რომელიც ამ პოლიტიკით განუმზადა ამერიკას ინგლისმა. ედგარი სწერდა თავის წერილში:

„მე შემიძლია დავამტკიცო, რომ ორი მესამედი ცენტრალურ და სამხრეთ ამერიკაში დამუშავებულ ნავთიანი მიწებისა იმყოფება ინგლისის ხელში. დიდი უმეტესობა კონცესიებისა გვატემალაში, გონდურას, ნიკარაგუასა, კოსტარიკოს, პანამას, კოლუმბიას, ვენეცუელასა და ეკვადორში ეკუთვნით ბრიტანეთის ქვეშევრდომებს და მომავალში დამუშავებული იქნება ჩვენი კაპიტალის საშუალებით.

„ამერიკის არც ერთი მოქალაქე, ამერიკის მწარმოებელთა არც ერთი ჯგუფი არასოდეს არ ფლობდენ და ვერც მომავალში შესძლებენ მიაღწიონ იმ მდგომარეობას ცენტრალურ

ამერიკაში, რომელიც უზრუნველჰყო თავისთვის მ. ალრესმა თავისი პირადი ხარისხითა და შექმნილი წარმოების საშუალებით. თუ დავიწყებთ ჩვენ ყველაზე უფრო მსხვილ ნავთის ორგანიზაციიდან „შელის ჯგუფიდან"—ის ფლობს საკუთრების უფლებით ან კონტროლს უწევს ნავთის წარმოებას მსოფლიოს ყველა მხარეებში: შეერთებულ შტატებში, რუსეთში, მექსიკაში, ნიდერლანდიის ინდოეთში, რუმინეთში, ეგვიპტეში, ვენეცუელაში, ტრინიდადში, ინდოეთში, ცეილონში, მალაიის სახელმწიფოებში, ჩრდილოეთსა და სამხრეთ ჩინეთში, სიამასა და ფილიპინზე". ამ სურათის გადაშლის შემდეგ ავტორი ერთგვარ პოლიტიკურ დასკვნას უკეთებს ინგლისის მოღვაწეობას ნავთის საკითხში:

„რასაკვირველია, ასეთი მდგომარეობის სარგებლიანობის რეალიზაცია შესაძლებელი იქნება მხოლოდ რამოდენიმე წლების შემდეგ, მაგრამ ყოველგვარ ეჭვს გარეშეა მეტად დოვლათიანი მოსამკელი იქნება. **გავა რამოდენიმე დრო და ამერიკა იძულებული შეიქნება გადაიხადოს ნავთში, ურიგოლისოდაც მას არ შეუძლია არსებობა და რომელსაც ის ველარ ამოიღებს თავის საკუთარ წყაროებიდან,** ყოველ წლიურად მილიონი გირვანქა სტერლინგი ინგლისის კომპანიების სასარგებლოდ და თან დაამატოს მსხვილი თანხა დოლარებით. მე ვფიქრობ, რომ თუ მოხმარა ნავთისა გაგრძელდება ასეთივე ტემპით, ათი წლის შემდეგ ამერიკელები იძულებული იქნებიან შეიტანონ თავიანთ მეტროპოლიაში ხუთას მილიონი „ბოჭკა" ნავთი წელიწადში, რაც უდრის წლიურ გასავალის ერთ მილიარდ დოლარს, რომლის უმეტესი ნაწილი ჩარიჩხინდება ინგლისელების ჯიბეში.

"მექსიკისა და ცენტრალურ ამერიკის მცირეოდენი ნაწილის გამოკლებით, მთელს მსოფლიოში ამერიკელების გენერალურ შემოტევის წინააღმდეგ აღმართული არის ბარიკადები: მათ (ამერიკელებს) შეუძლიანთ გააკეთონ ჩვენს წინააღმდეგ ხან აქ, ხან იქ ხვრელები, მაგრამ უძლური იქნებიან მოახდინონ სერიოზული შემოტევა. **ინგლისელების მიერ დაპერილი**

პოზიციები მიუვალია... მათ და საუბედუროთ და ჩვენდა საბედნიეროდ ამერიკელებმა თვალები ერთობ გვიან გაახილეს",— დასძენს ედგარი.

აქ არის ჩამარხული მეორე მთავარი მომენტი, რომელიც ძლიერ აღრმავებს ინგლის-ამერიკის კონფლიქტს ნავთის საკითხში. საქმე შემდეგშია: როგორც აღნიშნული გვქონდა ნავთის ამოღების საქმეში ამერიკას მთელს მსოფლიოში პირველი ადგილი ეჭირა და ამიტომ დიდ ყურადღებას არ აქცევდა ნავთის გარეშე რაიონების შეძენას. მაგრამ ამერიკას თავის ტერიტორიაზე მიწის სიღრმეში, ნავთის წყაროები როგორც შემდეგში (1919—1920) ამერიკისავე გეოლოგებმა გამოარკვიეს, შედარებით მცირე აღმოაჩნდა მაშინ, როდესაც მისი მოთხოვნილებანი ნავთზე დღითი დღე იზრდებოდა.

თანახმად ამერიკის გეოლოგიურ კომისიისა, ნავთის მარაგი მიწის სიღრმეში შემდეგნაირად არის განაწილებული სხვადასხვა ქვეყნებს შორის:

სამხრეთ ამერიკა . .	9,28 მილიარ.	ბარელი	ან 72,38	მილიარ.	ფუთი
შეერთებული შტატები	7,00 „	„	„ 54.60	„	„
რუსეთი	6,75 „	„	„ 52,65	„	„
სპარსეთი და მესოპოტ.	5,82 „		„ 45,40	„	„
მექსიკა	4,52 „		„ 35,25	„	„
ჰოლანდიის ინდოეთი	3,01 „		„ 23,48	„	
რუმინია .	1,13		„ 8,89	„	

ეს ცნობა არ არის სრული. თუ ამას დავუმატებთ სხვა ქვეყნებსაც, მაშინ სურათი სხვა გვარ სახეს მიიღებს: იმავე გეოლოგიურ კომისიის ცნობით ამერიკის ხელში არის მხოლოდ 7 მილიარდი ბარელი ნავთის მარაგისა, მაშინ, როდესაც დანარჩენი ქვეყნები ფლობენ 53.000.000.000 ბარელამდე. ამათ შორის მნიშვნელოვანი ნაწილი ეკუთვნის ინგლისს. ამერიკის შეერთებული შტატების 7 მილიარდ მარაგს თუ დაეუმატებთ ოთხ ნახევარ მილიარდ მექსიკის ნავთისას, მაშინ მივიღებთ სულ 11 ნახევარ მილიარდს, რომლითაც სარგებლობა შეუძლიანთ ამერიკის კაპიტალისტებს. ინგლისის ბატონობის ქვეშ

ან მისი გავლენის ზონაში აღმოჩნდა შემდეგი მარაგი ნავთისა: სპარსეთი და მესოპოტამია—5. 820 მილ. ინდოეთი 1000 მილ. ოსტ—ინდია—3.000 მილ. კანადა—1.000—სულ 10. 800. მილ. ბარელი ეს არის მინიმუმი იმ ნავთის მარაგისა, რომელიც ინგლისის განკარგულებაში იმყოფება.

ამგვარად თუ ამერიკას ნავთის თანამედროვე ამოღების საქმეში პირველი ადგილი უჭირავს მიელს მსოფლიოში, სამაგიეროდ ნავთის მარაგის მხრივ საუკეთესო მდგომარეობაში იმყოფება ინგლისი.

მაკრამ ამერიკის კრიზისი მარტო ამით არ ამოიწურება. 1920 წელში ამერიკის გეოლოგების მიერ გამოქვეყნებულმა ცნობებმა მეტად სამწუხარო პერსპექტივები გადაუშალეს თვალწინ ამერიკის კაპიტალისტებს. მაშინ, როდესაც ყველა სხვა ქვეყნები ხმარობენ წლიურათ ორას ბილიონ ბარელს და მათი წყაროები ეყოფა ასეთი მოხმარით 250 წლის განმავლობაში, შეერთებული შტატები ხარჯავენ ოთხას მილ. ბარელზე მეტს წელიწადში და მათი წყაროების მარაგი იკმარებს მხოლოდ 15—18 წლის განმავლობაში (იხ. დელეზი—28 გვ.).

საქმე შემდეგშია: საერთაშორისო ომის პროცესში და მის შემდეგაც ამერიკის მრეწველობა მეტს მეტად გაიზარდა და თავისი ინტენსივობით ევროპის დაწინაურებულ ქვეყნებს გადაუსწარა. საერთაშორისო ომის და მისი შედეგების ერთი დამახასიათებელი თვისება არის ის, რომ ცენტრი მსოფლიო მეურნეობისა ევროპის ქვეყნებიდან წყნარ-ოკეანეს გადაღმა სამყაროში გადავიდა. უკეთ, მსოფლიოს ეკონომიური ცხოვრების ძარღვები თავს იყრის ახლა უმთავრესად ამერიკის ხელში. (იხ. აქის შესახებ ჩემი წერილი: „ამერიკის იმპერიალიზმი"). ამერიკის მეურნეობის ყოველი დარგი სწრაფი ნაბიჯით ვითარდება და წინ უსწრებს თავის მეტოქე ევროპის ქვეყნებს: საზღვაო ფლოტი, ავტომობილები, მრეწველობის სხვა დარგებიც კი დაჟინებით მოითხოვენ ნავთის პროდუქტებს. დელეზის ცნობით, ავტომობილებსა, „გრუზოვიკებსა" და ჰაეროპლანებზე იხარჯება ამერიკის ნავთის პროდუქტის 85%—ი. მრეწველობის, ფლოტ-

ტისა და ექსპორტისათვის საზღვარ გარედ რჩება ძხოლოდ 15%, რაც ვერ აკმაყოფილებს ამ დარგების მოთხოვნილებებს. ამ გვარად ამერიკის მრეწველობის განვითარებამ გამოიწვია ნავთის დიდი მოთხოვნილება, მაგრამ თავის მხრივ ნავთის ამოღება ამერიკაში სათანადოთ ვერ მისდევს მრეწველობის განვითარებას და აქედან წარმოსდგა ნავთის კრიზისი.

ამას ჩვენ დავინახავთ შემდეგი ცხრილიდან, რომელიც გვაძლევს ავტომობილების ზრდის რაოდენობას ამერიკაში ყოველწლიურად და მასთანვე ნავთის პროდუქციის ზრდას. იგივე ცხრილი ჩვენ გვიჩვენებს ნედლი ნავთის პროცენტულ ზრდასა და რაოდენობას, რომელიც მოდის ერთ ავტომობილზე ყოველ წლიურად.

წლები	ავტომობილების რიცხვი წლის ბოლოს	პროცენტიული ზრდა წინა წელთან შედარებით	ნედლი ნავთის, წლიური პროდუქცია ბარელ-ით	პროც. ზრ. წინა წელთა შედარებით	ყოველ წლიურ. რამდ. ბარელი მოდის თითო ავტომ.
1911	700000	—	220449000	—	314
1912	1020000	45	222935000	1	218
1913	1280000	25	248446000	11	194
1914	1711000	34	265762000	7	155
1915	2446000	42	281104000	5	115
1916	3545000	45	300767000	7	85
1917	5086000	43	335316000	11	66
1918	5945000	17	355928000	6	60
1919	7559000	27	377719000	6	50
1920	9984000	32	402626000	7	40
1921	12000000	30	430809000	7	85
საშუალო ზრდა		33	—	7	—
გაზრდა 1919 წ. შედარ.		ავტომობ.	—	977	—
1911 წელთან		პროდუქციის	—	71	— *).

ეს ცხრილი ორივ მხრით არის საინტერესო. ერთის მხრით ის გვიშლის თვალწინ ამერიკის ავტომობილების ზრდის სურათს. თანამედროვე ეპოქა არის ავტომობილიზმის ეპოქა;

*) იხ. А. Султан-Заде: „Мировая нефтяная промышленность“ გვ. 88.

ამერიკამ ამ დარგში პირველობა მოიპოვა და დღეს თვითოეულ ავტომობილზე მოდის ამერიკაში დაახლოვებით 8 კაცი. მეორეს მხრივ აქ ჩვენ ვხედავთ ნავთის ამოღების ზრდასა და მის დამოკიდებულებას ავტომობილის. ზრდასთან. მოყვანილი ცხრილიდან ნავთის ნაკლებობა თვალსაჩინო ხდება.

თითქმის ასეთივე მდგომარეობაში არის ამერიკის მრეწველობის სხვა დარგებიც. მრეწველობის მოთხოვნილებას ნავთის ამოღება ველარ აკმაყოფილებს. ეს ნათლად სჩანს შემდეგი მეტად მნიშვნელოვანი ცხრილიდან, სადაც მოყვანილია ცნობები ნავთის ამოღების, იმპორტის, მოხმარისა და ნედლი ნავთის მარაგის შესახებ ამერიკაში.

წლები და თვეები.	ამოღება ნედლი ნავთისა მილიონ. ლ.	ექსპორტი ნედლი ნავთისა მილიონ. ლ.	ნავთის ნედლი ნავთისა ბარელი	მარაგი ნედლი ნავთისა ბარელი	მოხმარება ნავთისა ბარელ.	ამერიკის ნავთის ბაზრის ღირებულ.
1911—13 წ.						
საშუალო თვეებ.	19,2	0,8	—	109,5	19,5	—
1921. წ. იანვარი	37,9	13,2	0,7	124,3	48,3	1.832
„ მარტი	41,0	12,3	0,7	238,2	45,2	1.452
„ ივნისი	40,4	10,2	0,6	161,0	42,8	1.471
„ აგვისტო	41,0	3,4	0,9	168,2	42,8	952
„ ოქტომბერი	35,6	11,6	0,7	172,6	45,2	752
„ ნოემბერი	37,8	13,0	0,9	176,0	46,5	903
„ დეკემბერი	42,0	13,8	0,5	183,9	47,8	1.110
სულ 1921 წელ.	470,0	125,8	8,9	183,9	525,4	15.012
„ 1920 წელში	448,4	106,1	8,8	123,3	530,5	24.222*

გაითვალისწინა რა ყოველივე ეს ამერიკის გეოლოგიურმა კომისიამ და გამოარკვია რა ნავთის მარაგი ამერიკის მიწის სიღრმეში და მასთანავე ნავთის მოთხოვნილების ინტენსიური ზრდა, მათთვის ნათელი შეიქმნა, რომ ამერიკა უახლოეს დროში მეტად საგრძნობ კრიზისის წინაშე დადგებოდა. საკუთარი ნავთის მარაგი ამერიკას არ ეყოფოდა დიდი ხნის განმავლობაში, თუ შესაფერისი გზები არ იქნებოდა გამონა-

*) იხ. Р. Берзин: „Мировая борьба за нефть“ გვ. 33

ხული ახალი წყაროების შესაძენად, ან ნავთის მოხმარ ს შესამცირებლად.

ამერიკის გეოლოგიური ბიუროს გამოანგარიშებით, უმთავრეს ქვეყნებს დღევანდელი ამოღებ.ს და მოხმარის მიხედვით ნავთი ეყოფათ:

ამერიკას	15 წელი
რუსეთს	75 „
სპარსეთს .	390 „
მექსიკას . . .	23 „
ჰოლანდიის ინდ.	167 „
რუმინეთს	160 „

ასეთ კატასტროფიულ მომავლის წინაშე მდგარი ამერიკა იძულებული შეიქნა გადაელახა მონროეს კონტინენტალური პოლიტიკა და ძთელს მსოფლიოში დაეწყო ნავთის წყაროების ძებნა. ასე დაიწყო ამერიკის ნავთის იმპერიალიზმი. მაგრამ ამერიკა აქაც მის წინაღ დეგ ამართულ ზღუდეებს წააწყდა მაშინ როდესაც ვილსონი ალტრუიზმის ,მოც.ნებით იყო გატაცებული და თავისი 14 მუხლიანი პაციფიური „ერთა ლიგის“ პროექტებს სთავაზობდა კაცობრიობას, ინგლისმა, ამერიკისაგან ნასესხ ბი მ ლიარდებით შეიძინა მსოფლიოში მნიშვნელოვანი ნავთის წყაროები, რითაც ამერიკა თითქმის გარდუვალ ზღუდეების წინაშე დააყენა და მოუსპო საშუალება ნავთიანი საგარეო წყაროებით სარგებლობისა. როგორც აღნიშნული გვქონდა, ინგლისის კაპიტალისტებმა, ნავთის ტრესტებმა და თვით მთავრობამ შეიგნეს რა ის დიდი კრიზისი, რომელსაც მას უმზადებდა ნავთის ნაკლებობა და ამ დარგში ამერიკისაგან დამოკიდებულება, ინტენსიური მუშაობა გააჩაღეს საგარეო ურთიერთობაში და ამ მხრით დიდ შედეგებს მიაღწიეს. დიპლომატიური საშუალებებით, ეკონომიურ-ფინანსიური დახმარებებითა და ლონის ძიებით ინგლისმა დიდი ნაწილი მსოფლიო-ნავთის მარაგისა და ჭების თავის გავლენის ქვეშ მოაქცია და ამით ამერიკას დიდი საფრთხე განუმზადა. აქ არის დამარხული ინგლის-ამერიკის გამწვავებული ურთიერთობის ერთი მთავარი მიზეზთაგანი. შეიძლება ითქვას,

რომ ამ საქმეში ინგლისის გაქნილმა პოლიტიკოსებმა და ეკონომისტებმა მოატყუილეს ამერიკელები და მათგან ნასესხები მილიარდებით შეიძინეს აღნიშნული ნავთის წყაროები. ამას არ მალავენ არც ამერიკელები და არც თვით ინგლისელები. გარდინგი ამბობდა: „მაშინ როდესაც ჩვენ მთელს ჩვენ დროს ვხარჯავდით იმაში, რომ მიგვეცა მთელ კაცობრიობისათვის ალტრუიზმის გაკვეთილები, სხვა სახელმწიფოები, განსაკუთრებით კი დიდი ბრიტანეთი, იტაცებდენ ნავთის მსოფლიოს სიმდიდრეს, ამ ფუნდამენტს მსოფლიო ეკონომიური ბატონობისას“. (იხ. პავლოვიჩის წიგ. „საბ. რუსეთი და კაპ. ამერიკა“ გვ.—89—90).

ამერიკელმა სენატორმა მაკ. კელარმა 1921 წელს 6 ივნისს სენატში შემდეგნაირად დაახასიათა ინგლისის პოლიტიკა ნავთის საკითხში: „დიდი ბრიტანეთი ღებულობს შეერთებული შტატებიდან ნავთის 8%- თავისი სამხედრო და სავაჭრო ფლოტისათვის უფრო დაკლებულ ფასებში, ვინემ თვით ბრიტანეთი აძლევს ამერიკის გემებს ახლო აღმოსავლეთში. ამერიკა ფლობს ერთ მეექვსედს ნავთის მარაგისას მაშინ, როდესაც მის წილს შეადგენს ამ პროდუქტის მსოფლიო ამოღების სამი მეოთხედი“.

შემდეგ ორატორი აღნიშნავს: „ნავთის ახლანდელი ამოღების განაწილების მიხედვით ამერიკის მარაგი დაიწურება 15—30 წლის განმავლობაში, რადგან **ინგლისი განსაკუთრებული სიძლიერით ეტანება ამერიკის შემცირების პროცესში მყოფ ნავთის მარაგს მაშინ, როდესაც თავის საკუთარ ნავთს ინახავს.** შეერთებულ შტატებს აქვს აკმაო შესაძლებლობა ინგლისი კედელს მიაკრას და არ მისცეს შესაძლებლობა ამერიკის ნავთის შეძენისა. მაგრამ ინგლისი აცხადებს, რომ მას არ შეუძლია გადაიხადოს ასეთ პირობებში ამერიკის ვალის პროცენტები, იმავე დროს კი ყიდულობს მთელი მსოფლიოს ნავთის სამრეწველოებს“ *).

---

*) იხ. კომინტერნი № 17, ვარგას წერილი, „Экономический базис империализма С. III. С. А.“.

სენატორი მაკ კელარი ხაზგასმით აღნიშნავს ინგლისის ნავთის პოლიტიკის ერთს დამახასიათებელ თვისებას. ინგლისი მეტად დიდი ეკონომიას ეწეოდა თავისი ნავთის მარაგის დახარჯვაში. ამიტომ ის უმთავრესად უხვად სარგებლობდა ამერიკის ნავთით, როგორც ომის დროს, ისე ომის შემდეგაც. დღეს სხვისი ნავთით საკუთარი ტრანსპორტის ამოძრავება და საკუთარი ნავთის შენახვა ხვალისათვის,—ასეთი იყო ინგლისელი კაპიტალისტების ეკონომიკის შინაარსი ნავთის საკითხში. ამგვარად ინგლისის ნავთის პოლიტიკა უმთავრესად სარგებლობს ამერიკის ხარჯებით და მასთანვე ამერიკის საწინააღმდეგოთვე მოღვაწეობს. მაგრამ ამ ნავთის წყაროების შეძენას ინგლისი ახდენდა ამერიკის ფინანსიური დახმარებით. როგორც ვიცით, მთელი კაცობრიობა დღეს ამერიკისაგან არის დავალიანებული. თვით ინგლისმა ამერიკას უნდა მისცეს ოთხ მილიარდ დოლლარზე მეტი. ეს თანხა ნასესხები იყო ამერიკისაგან ომის ორგანიზაციების საჭიროების მოტივებით. გამოირკვა, რომ ინგლისმა ეს თანხა სხვადასხვა გვარი კომბინაციების საშუალებით ნავთის წყაროების შესაძენათ მოიხმარა. ამას დღეს აშკარად ამტკიცებენ როგორც ინგლისის, ისე ამერიკის პოლიტიკური მოღვაწენი. სენატორ მაკ კელარის სიტყვაში ეს გაკვრით იყო აღნიშნული. უფრო მკაცრად ამის შესახებ ამბობდა ამერიკის სენატის სხდომაზე მისტერ **პეანსი**, რომელმაც შემდეგნაირად დაახასიათა ინგლისელების ნავთის პოლიტიკა: „ომის დროს ინგლისელები მოტყვილებით ართმევედენ ფულს ამერიკელებს და ამ ფულით ყიდულობდენ ნავთის წყაროებს, სადაც კი შესაძლებელი იყო. მათ მიიღეს ჩვენგან სესხათ 4 მილიარდი დოლლარი, თითქოს ომის საქმეებისათვის. ჩვენი მილიარდების დახმარებით კი სცდილობდენ თავიანთ ხელში ჩაეგდოთ ნავთის მონოპოლია მთელს მსოფლიოში" (იხ. პავლოვიჩის წიგ. გვ. 90). თვით ინგლისელებიც არ უარყოფენ ინგლისის მთავრობის ასეთ პოლიტიკას ნავთის საქმეში. ინგლისელმა **ფილანმა** გარკვევით აღნიშნა ეს, როდესაც განაცხადა, რომ „ჩვენ, ინგლისელები, ვბაძავთ ჰუნებს: როდესაც

ომის დროს ჩვენ მოუწოდებდით ამერიკელებს დასახმარებლად, ვეუბნებოდით მათ, რომ ჩვენ კედელზე ვართ მიკრული; იმავ დროს კი დავიწყეთ შესყიდვა ნავთიანი რაიონების სხვადასხვა ქვეყნებში. მივიღეთ ამერიკისაგან 4 მილიარდი დოლლარი (ერთი მილიარდი გირვანქა სტერლინგი) სესხად და „მოვიხმარეთ საკუთარი თანხები ნავთის მსოფლიო წარმოების მონოპოლიის დასაპყრობად" (იხ. ვარგა „წერილი კომინტერნში). ასეთი გამწვავებული მდგომარეობა შეიქმნა ინგლის-ამერიკის შორის ნავთის საკითხის გამო. რასაკვირველია, ამ ორ სახელმწიფოს ინტერესთა წინააღმდეგობა მარტო ამ კითხვით არ ამოიწურება. ინგლის-ამერიკის ინტერესთა დაპირისპირება აღმოცენებული არის ამ ორი იმპერიალისტური სახელმწიფოს მსოფლიო ჰეგემონიის მისწრაფების ნიადაგზე: კაპიტალისტური მეურნეობა თავის განვითარების პროცესში უაღრესად აღვივებს წინააღმდეგობებს დიდ სახელმწიფოთა შორის, მათი შეთანხმება შეუძლებელია კაპიტალისტური მეურნეობის არსებობის დროს. წარსულში ინგლისის პოლიტიკურს, ეკონომიურსა და სამხედრო ჰეგემონიას ებრძოდა გერმანია. მისი დამარცხების შემდეგ ეს როლი იკისრა ამერიკამ.

ამერიკის შეერთებული შტატები იბრძვის მსოფლიო ჰეგემონიისათვის და ამ ნიადაგზე მას მთელ რიგ საკითხებში კონფლიკტი აქვს ინგლისთან. თავის მხრივ ნავთის საკითხიც უაღრესად ამწვავებს ამ კონფლიკტს და საშინელი მომავალით ემუქრება კაცობრიობას.

როგორც დავინახეთ ნავთის მარაგის საკითხში ამერიკა მეტად კრიტიკულ მდგომარეობაში იყოფება. მისი ინტერესი მოითხოვს გაარღვიოს ინგლისის ბიერ შეპორტყმული რკალი და თავის მეურნეობას, რომელიც ასეთი კოლოსალური წარმატებით მიექანება გაფართოებისაკენ, მოუპოვოს ნავთის დაუშრეტელი წყაროები ამერიკის გარეთაც. განადგურება ინგლისის ჰეგემონიისა ნავთის მარაგის საკითხში, ეს არის ერთი ძირითადი ამოცანათაგანი ამერიკის საგარეო პოლიტიკისა. ნავთის საკითხში ასეთი დაპირისპირების გამო ინგლის-ამერიკის შორის ორივე ქვეყნის ბურჟუაზიული გაზეთები ხშირად სწერდენ ომის შესაძლებლობის შესახებ. 1921 წლის თებერვლის 8 ს ნომერში ბურჟუაზიული გაზეთი „ნაციონ" გარკვეით ლაპარაკობდა ინგლის-ამერიკის ომის შესაძლებ-

ლობის შესახებ. ჩვენ უკვე გვქონდა მოყვანილი ცნობა ჟურნალ „რევუა ეკონომიე ინტერნაციონალიდან“, რომელშიაც აღნიშნული იყო ნავთის ნიადაგზე გამოწვეული ომის შესაძლებლობა ამ ორ სახელმწიფოთა შორის. სპარსელი კომუნისტი ამრ. სულთან-ზადე ერთ თავის წერილში ამბობს: „უველგან საერთაშორისო ბურჟუაზიის სხვა სურვილებთან ერთად საკითხი ნავთის დაპყრობისა და ნავთის წყაროების დაცვის შესახებ თამაშობს კოლოსალურ როლს, თუ ამჟამად ღლითი ღღე ძლიერდება სიძულვილი ამერიკის კაპიტალისტებისა ინგლისის მიმართ, ეს ნაწილობრივ იმითაც აიხსნება, რომ ის (ინგლისი) დაეუფლა უმეტეს ნაწილს ნავთის მსოფლიო წყაროებისას. **უახლოესი საერთაშორისო ომი, რომელიც მზადდება ახლა დიპლომატებისა და იმპერიალისტური ქვეყნების სამხედრო მინისტრების კულიხებს უკან იქნება ომი არა მარტო სამეურნეო ტერიტორიების გასაფართოებლად და ბაზრების დასაპყრობად, არამედ აგრეთვე ნავთის წყაროებისათვისაც**“*).

ასე შეიქმნა ნავთის ნიადაგზე მეტად სერიოზული კონფლიკტი ორ დიდ სახელმწიფოთა შორის.

2. ამერიკის ნავთის პოლიტიკა.

როგორც წინა მიმოხილვიდან დავინახეთ, **ნავთის თანამედროვე ამოღების საქმეში ამერიკას ჯერ კიდევ პირველი ადგილი უჭირავს მთელს მსოფლიოში**, მაგრამ ნავთის მარაგი მიწაში **შედარებით მცირე აღმოჩნდა ამერიკის ტერიტორიაზე** და ამ საქმეში სწორედ დიდი კონკურენცია გაუწ ა მას ინგლისმა, რომელმაც თავის გავლენის ქვეშ დაიყენა ნავთის მარაგიანი მნიშვნელოვანი რაიონები. ცხადია, ამერიკამ არ უნდა დაზოგოს არავითარი ძალა და საშუალება, რომ უზუნველყოს თავისი მეურნეობის ყოველი დარგი ამ მეტად დიდი მნიშვნელობის სითხით. ამიტომ იგი იძულებუ-

*) იხ. მისი „Борьба за мировые источники нефти“ „Народное хозяйство“ № 4, 1921 წ. გვ. 134.

ლი შეიქმნა განსაკუთრებული ენერგიით გამოსულიყო საერთაშორისო სარბიელზე და ინგლისის მზგავსად ეძებნა ნავთის წყაროები. აქ იწყება მეორე პერიოდი ინგლის-ამერიკის სასტიკი შეჯახებებისა საერთაშორისო სარბიელზე ნავთის საქმეში.

ნავთის საკითხში დღეს თითქმის იგივე მეორდება, რაც ამ ათეული წლების წინად, 20 საუკ. დასაწყისში მოხდა კოლონიების გადაყოფის საკითხში. ამხ. ლენინის გამოკვლევით, ამ საუკუნის დასაწყისში კოლონიები უკვე გადაყოფილი იყო მთელს მსოფლიოში დიდ სახელმწიფოთა შორის და არ იყო დარჩენილი არც ერთი თავისუფალი ადგილი. ახალგაზრდა გერმანეთის იმპერიალისტური გეგმების განხორციელებისათვის საჭირო შეიქმნა უკვე გადანაწილებულ კოლონიების ახალი გადაყოფა და ამ ნიადაგზე აღმოცენდა დიდი საერთაშორისო კონფლიქტი.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ გერმანეთიც სწორედ ისეთივე მეთოდებითა და საშუალებებით სარგებლობდა თავის კაპიტალისათვის ახალი ბაზრებისა და კოლონიების შეძენის საკითხში, როგორსაც ეხლა მიმართავენ იმპერიალისტური სახელმწიფოები ნავთის საქმეში.

უწინარეს ყოვლისა გერმანეთის კაპიტალისტებმა მოაწყვეს წარმოებისა და ვაჭრობის მშვენიერი ორგანიზაცია: კაპიტალისტური მონოპოლიური ტრესტები თამაშობდენ გადამჭრელ როლს გერმანეთის მრეწველობის ორგანიზაციის საქმეში. ამ მძლავრი ეკონომიური ორგანიზაციების საშუალებით გერმანეთის საქონელი და კაპიტალი შეიჭრა მთელი მსოფლიოს არა მარტო ჩამორჩენილ ქვეყნებში, არამედ მისი მთავარი კონკურენტების ინგლის-საფრანგეთ-რუსეთის მეტროლიაშიც და უდიდესი წინააღმდეგობა გაუწია ახალ ბაზრების დაპყრობაში თავის მოქიშპეებს. ეს იყო ეკონომიური ძალებისა და კაპიტალის გამოყენების მშვიდობიანი გზა.

მეორე საშუალება, რომელსაც მიმართავდა ბაზრების და კოლონიების შეძენის საქმეში გერმანეთი—იყო დიპლომა-

ტიურ-პოლიტიკური მეთოდი. მშვიდობიანი დიპლომატიური მოლაპარაკებისა და გავლენის საშუალებით, გერმანეთი მთელ რიგ კონფერენციებზე ცდილობდა თავისი მოწინააღმდეგეთა-თვის რაიმე ლუკმის ჩამორთმევას.

მესამე საშუალება—შეიარაღებულ ძალდატანებაში გამოიხატებოდა. გერმანეთის მილიტარისტები და კაპიტალისტები ორის მიმართულებით იყენებდენ თავის იარაღს. ერთის მხრივ ისინი შეიარაღებული ძალით იპყრობდენ მე-19-ე საუკუნის მიწურულებიდან აფრიკის ხალხებსა და გამუდმებული ხოცვა-ჟლეტის შიშის ქვეშ ყავდა თავისი კოლონიალური ქვეყნები, რომელნიც ვერ უძლებდენ ახალი ბატონის სისასტიკესა და ძლიერ ხშირად აჯანყებებით უმასპინძლდებოდა მას. მეორეს მხრივ, ეს შეიარაღებული ძალა მოწინააღმდეგე დიდ სახელმწიფოსაც კი ემუქრებოდა და მიზნათ ისახავდა ძალდატანების საშუალებით კოლონიების ახალ გადაყოფასა და თავისი საერთაშორისო ჰეგემონიის განმტკიცებას. ბოლოს ასეთმა იმპერიალისტურმა პოლიტიკამ ჩვენ მსოფლიო ომის წინაშე დაგვაყენა, რამაც რამოდენიმე ათეული მილიონი ხალხი შეიწირა მსხვერპლად და გააპარტახა საუკუნოების განმავლობაში შექმნილი დოვლათი.

ეს ძველი გამოცდილი იმპერიალისტური მეთოდები იმპერიალისტურმა სახელმწიფოებმა პირწმინდათ გადმოიტანეს დღეს ნავთის საკითხშიაც და ყოველი მათგანი თანამედროვე პირობებში ენერგიულად იყენებს ნავთის წყაროების შესაძენად თავის ეკონომიურ ორგანიზაციასა და კაპიტალს, სახელმწიფოს შეიარაღებულ ძალასა და დიპლომატიას.

ჩვენ უკვე გვქონდა მოყვანილი ცნობები იმის შესახებ, თუ როგორის სახით სდგას დღეს ნავთის საკითხი იმპერიალისტურ სახელმწიფოთა წინაშე. როგორც ბურჟუაზიული მწერლები, ისე კომუნისტები გადაჭრით აცხადებენ, რომ ბოლოს და ბოლოს ნავთის საკითხი კაცობრიობას მიიყვანს საერთაშორისო ომამდე. ამბ; ბერზინი თავის წიგნში სწერს: „ნავთი—ეს უმნიშვნელოვანესი წყარო მექანიკური ენერგიისა, რომლის შე-

საძენად ადრე თუ გვიან კაპიტალისტური ქვეყნები კვლავ გამოვლენ სისხლიან საერთაშორისო ბრძოლის ველზე: მშვიდობიანის გზით ძნელად შესძლებენ ისინი გადასჭრან ნავთის საკითხი, რადგან მშვიდობიანი გზით არც ერთი არ მოისურვებს დასთანხმდეს და უარი სთქვას თავის მოგებაზე და სარგებლიანობაზე მეორეს სასარგებლოთ, არც ერთი არ მოისურვებს იყოს სხვისგან დამოკიდებული ნავთის მომარაგებაში. ნავთის მრეწველობის საკითხში ერთმანეთს ებრძვიან არა ცალკე კაპიტალისტები, არამედ მთელი კაპიტალისტური სახელმწიფოები, რომლებმაც ამჟამად აქტიური მონაწილეობა მიიღეს ნავთისათვის მსოფლიო ბრძოლაში. ეს ბრძოლა ჯერ კიდევ არ მისულა თავის კულმინაციურ წერტილამდე, მაგრამ ის აუცილებლად გამწვავდება და გაიშლება საერთო ეკონომიურ პირობების ძალთა მიხედვით" (იხ. ბერეზინის წიგნი გვ.—56).

დღევანდელი პერიოდი ნავთის ბრძოლის შესახებ მხოლოდ მოსამზადებელი ხანა არის; დღეს მხოლოდ ნიადაგი ნოყიერდება, რომელზედაც აუცილებლად უნდა აღმოცენდეს ახალი საერთაშორისო ომი. ამ ომის ფალავანი იქნება არა ინგლისი და გერმანეთი, არამედ ინგლისი და ამერიკა, რომელნი გარშემო შემოჯგუფდებიან სხვა და სხვა უფრო წვრილი იმპერიალისტური სახელმწიფოები

ამ თავში ჩვენ შევეხებით ნავთის თანამედროვე ერთ უდიდეს ფალავანის—ამერიკის პოლიტიკას ნავთის საკითხში

რომ ნათლად წარმოვიდგინოთ მთელი ის პოლიტიკა და მახინაციები, რომელსაც ამიმართავენ ხოლმე იმპერიალისტური სახელმწიფოები ნავთის საკითხში, აუცილებელი საჭიროა იმ ორგანიზაციების გაცნობაც, რომელნიც ნავთის წყაროების მომწესრიგებლად გამოდის. დღემდე ნავთის პოლიტიკაში და მოწესრიგების საქმეში გამოდიოდა ცალკე კაპიტალისტური ტრესტები. დღეს-დღეობით პირობები შეიცვალა, სახელმწიფოებიც ჩაერევნენ ბრძოლაში. და მათ შორის სრული კონტაქტია დამყარებული. ეს ორი ორგანიზაცია ერთი მეორის დამ-

ხმარე ძალას წარმოადგენს: სახელმწიფო პოლიტიკაში, საგარეო საქმეების ურთიერთობის სფეროში იცავს ნავთის ტრე ტ-ების ინტერესებს; თავის მხრით ეს ტრესტები ეკონომიურ ცხოვ-რებაში ატარებენ მთავრობის დავალებებს. ამ მხრივ სრული სო-ლიდარობა და ძმობა არის დამყარებული მათ შორის.

არც ერთი დარგის წარმოება მსოფლიო მეურნეობაში არ სარგებლობს კონცენტრაციით ისე, როგორც ნავთის მრეწველობა, სადაც რამოდენიმე ცხვილი გაერთიანებული ტრესტი ფაქტიურათ ფლობს და კანტროლს უწევს დაახლოვებით 90%-ს არა მარტო ნავთის მსოფლიო ამოღებასა და გატანას, არამედ მსოფლიო ვაჭრობასაც. (იხ. სულთან-ზადე „ნავთის მსოფ-ლიო მრეწველობა“ გვ. 21). ნავთის საერთაშორისო ტრესტთა შორის მეტად ცნობილი არის სტანდარტ ოილი და ამბ. ეს ფირმა დაარსა 1870 წ. როკეფელერმა. პირველად ამ აქციონური საზ. ძირითად კაპიტალს შეადგენდა ერთი მილიონი დოლარი. ყო-ველწლიური მოხმარა ნავთისა კი უდრიდა—600 ბარელს, დაახლოვებით 4,500 ფუთს. 50 წლის შემდეგ მისი კაპიტალი გაიზარდა 1 მილიარდ დოლარამდე ე. ი. ათასჯერ, ყოველ-წლიური მოხმარა ნავთისა კი 200 მილ. ბარელამდე ე. ი. 300 ათასჯერ. ასეთი გრანდიოზული ზრდა ამერიკის ნავთის ტრესტისა გამოწვეულია იმ განსაკუთრებული ეკონომიური პოლიტიკით, რომელსაც დაადგა სტანდარტ-ოილი. ეს ტრეს-ტი უშუალოდ არ ღებულობს მონაწილეობას ნავთის ამო-ღების საქმეში და ამერიკის ნავთის ქარვასლების უმეტესობა მის ხელში არ არის. ამ კომპანიას განსაკუთრებით უჭირავს ხელში ორგანიზაცია ნავთის გადატანისა და ნაწილობრივ მი-სი გაწმენდის საქმეს აწარმოებს. ტრესტმა ჩაიგდო ხელში პირ-ველად მთელი რკინის გზის ტრანსპორტი და ნავთის მთელი გადაქაჩვის საქმე გამტარებლებში; შემდეგ დაეუფლა ნავთის გამოხდას და მის გასაღებას. ეს მომენტები, ნავთის წარმოებასა და მოხმარის შორის არსებული მომენტებია, მაგრამ ტრესტის პოლიტიკით ამ დარგების ხელში ჩაგდებით თვით წარმოებაც და მოხმარის საქმეც მისი კანტროლის ქვეშ მოყვა. დღემდე

სტანდარტ-ოილის გაელენის ქვეშ არის თითქმის 95% ამერიკის ნავთის ამოღებისა. და ეს შედეგია მხოლოდ იმის, რომ წვრილი მწარმოებელი საზოგადოებანი იძულებული ხდებიან კონტაქტი იქონიონ მხოლოდ სტანდარტ ოილის ტრესტთან *)

არა ნაკლებ საინტერესო არის ამერიკულ ტრესტის დასახასიათებლად ცნობები მისი ფინანსიური მდგომარეობის შესახებ.

1882—1910 წლების განმავლობაში კომპანიის წმინდა შემოსავალს შეადგენდა 1.130 მილიონი დოლარი; ამ კომპანიას 1870 წელში ძირითად კაპიტალი ქონდა ერთი მილიონი დოლარი, ხოლო როდესაც 1882 წელში ტრესტად გადაკეთდა—70 მილიონი; 1910 წლამდე ტრესტმა მოიგო 420 მილ. დოლლარი, თუ გამოვაკლებთ აქციონერებისათვის მიცემულ დივიდენდს.

1911 წელს ტრესტი ფორმალურად დაიშალა, რადგან კანონით დაშვებული არ არის ამერიკაში ტრესტების შემოსავლის ასეთი გადიდება; მაგრამ ეს მხოლოდ ფორმალურად, ფაქტიურად ამერიკა ცნობილია როგორც ბუდე უზარმაზარი მონოპოლიური ტრესტებისა. ამ წელს სტანდარტ-ოილი 33 კომპანიათ დანაწილდა, რომელთა შორის არ გაწყვეტილა კავშირი და დამოკიდებულება. 1911—20 წლები საინტერესოა მით, რომ საერთაშორისო ომმა ნავთის დიდი მოთხოვნილება წამოაყენა; მხოლოდ 1918 წელში სტანდარტ-ოილმა 1 მილ. ტონი ნავთი მიაწოდა საფრანგეთს სამხედრო საქმეებისათვის. ამ პერიოდში ამერიკის ნავთის კომპანიების შემოსავალი კოლოსალურათ გაიზარდა.

სტანდარტ-ოილის დასახასიათებლად ყურადღება უნდა მიექცეს იმ გარემოებასაც, რომ ტრესტის მთავარი ენერგია თავიდანვე მიმართული იყო მძლავრ სატრანსპორტო და საგაჭრო აპარატის შექმნისაკენ. მას ჰქონდა დიდძალი სარეზერვო კაპიტალი, რომელიც მეტი იყო ძირითად თანხაზე და რომე-

*) იხ. ა. მიხელსონი: „Мировая борьба за нефть“ ჟურნ. „Современные записки“ № IV გვ. 191—2, 1921 წ.

ლსაც ამუშავებდენ არა მარტო ნავთის საქმეებისათვის, არამედ სხვა წარმოების აქციების შესაძენადაც, რომ ამით თავის გავლენის ქვეშ დაეყენებია მრეწველობის სხვა მნიშვნელოვანი ტრესტები. როკფელერმა შეიძინა რკინის მადანის მაღაროების აქციები და მასვე ეკუთვნოდა ინიციატივა ფოლადის ტრესტის დაარსებაში. ამ ტრესტს აქვს საუკეთესო რკინის გზები, ნავთის გამტარებლები, ნავთის ფლოტი ყველა ქვეყნებში, მეტად მშვენიერი სავაჭრო ორგანიზაცია, ნავთის გამშენდი ქარხნები და სხვ. ამ გვარად სტანდარტ-ოილმა ხელში ჩაიგდო მთელი ორგანიზაცია ნავთის გაყიდვისა და მისი მონოპოლია. მან ხელშეკრულება დასდვა რკინის გზის კომპანიასთან, რომელსაც გადაქონდა უფრო იაფ-ფასებში ტრესტის ნავთი, ვიდრე კერძო პირების. ამით მან მთელს ამერიკაში მონოპოლია მოიპოვა და მთელს მეურნეობას ის უკარნახებდა ფასს ნავთზე.

ასეთი გზით ამერიკის ნავთის ტრესტი გაბატონდა შეერთებულ შტატებში ეკონომურად. ეკონომიურ ცხოვრების ისტორიიდან ჩვენ ვიცით, რომ ვის ხელშიაც არის ეკონომიური ჰეგემონია, პოლიტიკური ძალა უფლებაც ამა თუ იმ სახით მას უპირავს ხელში. ამერიკის კონსტიტუცია ცნობილია თავის დემოკრატიზმითა და ჰუმანიზმით, მაგრამ თანამედროვე ისტორიამ აშკარაჰყო, რომ არსად ეს პრინციპი ისე შელახული არ არის, როგორც ამერიკაში. აქ გაბატონებულია ერთი მუჭა მდიდრები, რომელთაც ხელთ უპყრიათ მთელი ქვეყნის სიმდიდრე და პოლიტიკური აპარატი. მე შემთხვევა მქონდა ჩემს წერილში „ამერიკის იმპერიალიზმი“ ვრცლად მომეკვანა ცნობები ამერიკელ ლიბერალ სენატორის პეტიგრუს წიგნიდან („Торжествующая плутократия“) რომელშიაც ავტორი ფაქტებით ხელში ამტკიცებს, თუ როგორ განაგებს ერთი მუჭა ექსპლოატატორთა ჯგუფი ამერიკის მთელს ცხოვრებას, „ერთი მუჭა მდიდრები ფლობს შეერთებულ შტატებს“, სწერს ავტორი, „ეს ერთი მუჭა ხალხი ხელმძღვანელობს ამერიკის მთელს პოლიტიკასო. (გვ. 113).

სტანდარტ-ოილი მონოპოლიურ მდგომარეობაში იყო არა მარტო ამერიკაში არამედ მთელს მსოფლიოში. ამერიკის ნავთის მთავარ კონკურენტათ გამოდიოდა რუსეთის ნავთი. სტანდარტ-ოილმა რუსეთის ნავთის ტრესტები სძლია და მონოპოლიური მდგომარეობა მოიპოვა მსოფლიო მასშტაბით ნავთის გასაღების საქმეში.

ნავთის გარშემო ატეხილ ბრძოლას თავისი ისტორია აქვს.

პირველი მნიშვნელოვანი შეტაკება ამერიკისა და ევროპის ნავთის ტრესტებს შორის დაიწყო 1903 წლიდან. ამ წელში გერმანეთის ბანკი შეუთანხმდა ინგლისის მრეწველობას და მათ შორის „შელსაც," იმ მიზნით რომ დაემარცხებინათ ამერიკის ნავთის ტრესტი.

1906 წ. გერმანეთ—რუსეთ—ინგლისისა და სხვათა ნავთის ტრესტები გაერთიანდენ ერთ მონოპოლიურ საერთო ევროპიულ კავშირში.

1907 წელში ბრძოლა გათავდა გერმანეთის ბანკის სრული დამარცხებითა და გამარჯვება წილად ხვდა როკფელერს. ასე დამთავრდა პირველი ბრძოლა ნავთის გარშემო ამერიკასა და ევროპას შორის. *)

ომის დამთავრებისას მდგომარეობა შეიცვალა და ჩვენ უკვე დავინახეთ, თუ როგორი პერსპექტივების წინაშე სდგას ახალგაზრდა დიდი იმპერიალისტური სახელმწიფო. ამერიკამ პირველ პერიოდში ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა ევროპასთან ბრძოლის დროს ნავთის გასასაღებელ ბაზრების დაპყრობის საკითხში. მეორე პერიოდი ევროპა-ამერიკის ბრძოლისა ნავთის წყაროებს შეეხება და ამ ბრძოლაში ჯერ-ჯერობით დამარცხებულის როლში ამერიკა იმყოფება. ამ ბოლო ხანებში მდგომარეობა რამოდენიმედ შეიცვალა და ამერიკა ენერგიულად იბრძვის ნავთის წყაროების მოსაპოყბლად. ეს არის მესამე პერიოდი, როდესაც ამერიკის ნავთის პოლიტიკოსები თავდაცვიდან უკვე თავდასხმაზე გადავიდენ და ენერ-

*) იხ. სულთან ზადე: «Борьба за нефтяные источники нефти» გვ. 127—8

გიულ ბრძოლას აწარმოებენ მნიშვნელოვან ცენტრებში. ამ ბრძოლის ხელმძღვანელებად შეთანხმებულად გამოდიან როგორც მთავრობა, ისე ნავთის ტრესტები. 1923 წლის 23 აპრილის რადიო საყურადღებო ცნობას გადმოგვცემდა ნიუიორკიდან: სენატორმა ლაფოლეტმა თავის საპასუხო სიტყვაში გარდინგის წინადადებაზე ერთა ლიგის ტრიბუნალში ამერიკის შესვლის შესახებ ბრალი დასდო საერთაშორისო ბანკირებს ევროპის ს ქმეებში ამერიკის ჩათრევის გამო. ლა-ფოლეტმა განაცხადა, რომ ამერიკის მთავრობამ მთელ რიგ კონცესიონერების დახმარებით, —მაგ. ჩესტერისა და სინკლერის, —იმდენი რამ გააკეთა ომის შესაძლებლობისათვის, რომ ვერავითარი საარბიტრო სასამართლო ვერ გამოასწორებს მდგომარეობასო.

კრიტიკულ მდგომარეობიდან თავის დასაღწევად ამერიკის მთავრობამ მიმართა ორგვარ ხერხს და ნავთის საკითხში წამოაყენა თავისი პოლიტიკის პრინციპები. თავისი მეტროპოლიის ტერიტორიისათვის ამერიკამ მიმართა **დახურული კარების** პოლიტიკას. 1920 წლის 28 აპრილის სენატის მიერ მიღებული კანონის თანახმად **საზღვაო საქმეთა სტატს-სეკრეტარს** სრული რწმუნებულება მიეცა გამოაცხადოს ხელშეუხებლად როგორც სახელმწიფო სათადარიგო, ისე ნავთის სხვა წყაროები, რომელსაც მიჩნევს საჭიროთ: მას შეუძლია აკრძალოს ნავთის გაყიდვა, ნავთის ქების იჯარით გაცემა და სხვა; ამ კანონის მიხედვით მთავრობასნება ეძლევა აკრძალოს ნავთის კონცესიების გაცემა. ამგვარად **ამერიკამ შემოიღო თავის ტერიტორიაზე დახურული კარების პოლიტიკა** (დელეზი—გვ. 27).

მაგრამ შინაური ნავთის წარმოების დახურვა არ იყო საკმარისი, გარეშე წყაროების დაპყრობა პირდაპირ აუცილებელი შეიქმნა ამერიკისათვის, და ამერიკამაც საგარეო პოლიტიკაში თავისი **საგარეო პრინციპი**—ღია კარების პოლიტიკა მოიმარჯვა და მოითხოვა ბაზრების გახსნა.

პრაკტიკულად ამერიკის კაპიტალისტები და მთავრობა მრავალ-გვარ საშუალებებს მიმართავდენ გარეშე ბაზრებისა და დოვლათის დასაპყრობათ. როგორც აღნიშნული გვქონდა ამერიკის კაპიტალი ასეთ შემთხვევაში ერთნაირად მიმართავს

როგორც თავის ეკონომიურ-ფინანსიურ დახმარებას, ისე შეიარაღებულ ძალასაც.

მთელი რიგი ნავთის მომცემი რაიონებისა შეიქმნა ამერიკის ყურადღების საგანი: ცენტრალური და სამხრეთი ამერიკა, ჰოლანდიის, ინდოეთის, სპარსეთის და ოსმალეთის ნავთის წყაროები; ევროპაში: რუმინია, ჩეხოსლოვაკია, გალიცია (პოლონეთი) და ამასთანავე თვით რუსეთიც,—აი ის მთავარი ცენტრები, საითაც მიმართა ამერიკამ თავისი ნავთის პოლიტიკა.

ამერიკის ნავთის პოლიტიკის ერთ მთავარ საშუალებას წარმოადგენდა მშვიდობიანი ეკონომიურ-ფინანსიური დახმარების მეთოდი. ფრანგი გეოგრაფი ა. **დემანჟონი** თავის წიგნში **„ევროპის ეკანომიური დაცემა“** სწერს ამერიკის ამ პოლიტიკის შესახებ შემდეგს: „გაფართოება ჩრდილოეთ ამერიკაში სწარმოებს უმთავრესად ორი საშუალებით: პირველად ხდება ფინანსიური დახმარება სამხრეთ ამერიკის რესპუბლიკებისათვის; შემდეგ მათში ფუძნდება ჩრდილოეთ ამერიკის საძრეწველო დაწესებულებანი; დიდძალი კაპიტალი შეერთებულ შტატებისა წარმოადგენს უმთავრეს იარაღს სამხრეთ ამერიკის ეკონომიური დაპყრობის საქმეში“*).

თანამედროვე ამერიკის კაპიტალის ყურადღება მიქცეული არის ცენტრალურ და სამხრეთ ამერიკის მდიდარ ტერიტორიებისაკენ. ამერიკამ მონროეს ცნობილი კონტინენტალური დოქტრინა მთელი ამერიკის კონტინენტზე გადაიტანა და ცდილობს თავის გავლენის ქვეშ დააყენოს ცენტრალური და სამხრეთი ამერიკა და კანადა.

ამერიკა ომის დაწყებიდან უდიდეს კონკურენციას უწევს სამხრეთ ამერიკაში ინგლისს და თავისი დიდძალი ეკონომიური და ფინანსიური კაპიტალისა და სატრანსპორტო გზების უპირატესობით რამდენადმე დაამარცხა იგი. დემანჟონი სწერს: „ყველგან სამხრეთ ამერიკაში ამერიკის კაპიტალისტებისა და ინჟენრების მეთაურობით ეწყობა ფართო გამოკვლევა და ექსპლოატაცია მინერალური დოვლათისა: კოსტა-

*) იხ. ა. დემანჟონი: „ევროპის ეკანომიური დაცემა“ გვ. 72, 1922 წ.

რიკოში-ოკრობსი, ნავთის—მექსიკასა, კოლუმბიასა, პერუსა და კოსტარიკოში. მადანის—ჩილისა და არგენტინაში. ნიკელის-ბოლივიაში. რკინის—ანდალუზიაში". (იხ. გვ 72).

ნავთის წყაროებით ცენტრალური და სამხრეთი ამერიკა მთელს მსოფლიოში ყველაზე უფრო მდიდარი ქვეყანაა. ამერიკის გეოლოგიური კომიტეტის გამოკვლევით მარტო სამხრეთ ამერიკაში არის 9,28 მილიარდი ბარელი ნავთის მარაგი; მექსიკაში-4,52 მილიარდი. ნავთის ამოღება დღეს-დღეობით სამხრეთ ამერიკაში ძლიერ მცირე არის, ტეხნიკისა და ტრანსპორტის უქონლობის გამო. მუხედავათ ამისა მსხვილი ნავთის ტრესტები ყოველგვარ ძალღონეს ხმარობენ, რომ თავის გავლენის ქვეშ დააყენონ ნავთიანი რაიონები კოლუმბიას, არგენტინის, ბოლივიის, პერუსა და სხვ. რესპუბლიკებში.

უკანასკნელ წლებში ამერიკის ნავთის ტრესტი ცდილობს გავლენა მოიპოვოს სამხრეთ ამერიკის ზემოთ დასახელებულ წყაროების ნავთის წარმოებაში. სულ ახლო წარსულში მან მოიპოვა კანტროლი პერუს სამს კომპანიაზე. პერუ დღეს-დღეობით ყველაზე უფრო დიდი მწარმოებელი არის სამხრეთ ამერიკაში: ნავთის ამოღებამ აქ მიაღწია 3 ნახევარ მილიონ ბარელს წელიწადში.

ნავთი დიდი ხნის წინად ცნობილი იყო პერუში, მაგრამ მისი ფართოდ დამუშავება შეუძლებელი ხდებოდა რკინის გზებისა და ტრანსპორტის უქონლობის გამო; წვრილი კომპანიები ზარალობდენ და ისპობოდენ; მსხვილი ტრესტებისათვის კი ფართო ასპარეზი არის გადაშლილი. ამის გამო ამერიკის ტრესტის შეპრა იძლევა დიდ შესაძლებლობას ნავთის ამოღების ფართოდ განვითარებისათვის (იხ. სულთან-ზადე-114).

შემდეგი ადგილი სამხრეთ ამერიკაში ნავთის ამოღების საქმეში დღეს-დღეობით უჭირავს **არგენტინას**. აქ უმთავრესი ადგილი უჭირავს „ინგლის სპარსეთის ნავთის კომპანია"-ს და გაერთიანებულ სამ მსხვილ ბრიტანეთის რკინის-გზის ამხანაგობას; ბოლო ხანებში ამერიკაც შეიპრა **არგენტინაში** და თავისი მოქმედება გააჩალა.

1918 წლიდან სტანდარტ ოილმა მიიღო დიდი კონცესიები კოლუმბიაში და შემდეგ სხვა შტატებშიაც. დიდი ხნის წინად ამერიკის სავაჭრო საბჭომ „ლათინ-ამერიკელთა სექციამ" დაწერილებით შეისწავლა ნავთის მრეწველობის მდგომარეობა კოლუმბიაში. გამოჩენილ გეოლოგების აზრით კოლუმბია მდიდარი არის ნავთის წყაროებით. ამერიკისა და ინგლისის მრავალი კომპანიები იღებდენ აქ კონცესიებს და განზრახული ქონდათ გამოკვლევა ნავთის წყაროებისა, მაგრამ მხოლოდ რამოდენიმე მათგანი ეწეოდა აქ პრაქტიკულ მუშაობას.

ამერიკის ტრესტის შეჭრა სამხრეთ ამერიკაში წარმოადგენს მეტად დიდ დაწინაურებას ამ ტრესტისათვის, რადგან ეს ტერიტორია ნავთის წარმოების გაფართოებაში დიდ პერსპექტივებს იძლევა.

მაგრამ განსაკუთრებით საინტერესოა და საყურადღებოა ამერიკის ნავთის პოლიტიკა **ნავთის წყაროებით** მდიდარ მექსიკის რესპუბლიკაში, ამ რესპუბლიკის მიმართ ამერიკამ მშვიდობიან ეკონომიურ ფაქტორებთან ერთად შეიარაღებული ძალა და „რევოლიუციონური პრაქტიკაც" დაიხმარა. როგორც ვიცით, ამერიკის იმპერიალისტები არა ერთხელ მიმართავდენ თავიანთ მეზობლების მიმართ შეიარაღებულ ძალებსა და „რევოლიუციონურ მეთოდს". დასახელებულმა პეტიგრუმ მთელი რიგი იმ ფაქტებისა გადაგვიშალა თვალწინ, როდესაც ამერიკა მიმართავდა „ხელოვნურ რევოლიუციებს", რათა ამ გზით ესა თუ ის ქვეყანა თავის გავლენის ქიეშ დაეყენებია. როგორც ინგლისი, ნავთის დაპყრობის მიზნით სპარსეთსა და ოსმალეთში სხვადასხვა ძალებს ამოძრავებდა ერთი მეორეს წინააღმდეგ, ისე მისი ყოფილი კოლონია ამ პოლიტიკას მოხდენილად იყენებს მექსიკის მიმართაც. ამ პოლიტიკას მეტად საინტერესო ისტორია აქვს.

ამერიკის გეოლოგების ცნობით მექსიკის ნავთის მარაგი მეტად საგრძნობ რაოდენობას წარმოადგენს. ამ უკანასკნელი ათეული წლის განმავლობაში მექსიკის ნავთის ამოღებამ მეტად

დიდი წარმატება განიცადა და ღღეს ამერიკის შემდეგ მეორე ადგილი უპირავს მთელს მსოფლიოში: მექსიკის ნავთი შეიქნა მსოფლიო მეურნეობაში პირველ ხარისხოვან ფაქტორად. 1921 წ. ნავთის მსოფლიო პროდუქცია შეადგენდა 759 მილ. ბარელს, მექსიკის წარმოება კი იძლეოდა 196 მილ. ბარელს, ე. ი. მსოფლიო ამოღების 25,6%.

ამ ცნობიდან მკითხველი ნათლად დაინახავს თუ რამდენად მიმზიდველ ძალას წარმოადგენს მექსიკის ნავთის წყაროები უცხო კაპიტალისტებისათვის, მაგრამ ეს ცნობა არ იძლევა სრულ სურათს მექსიკის ნავთის წყაროების პროდუქციის შესაძლებლობის შესახებ. გეოლოგების მიერ 1919 წლისათვის მექსიკის წყაროების პოტენციალური ამოღება გამოანგარიშებული იყო 547 მილიონი ბარელით, ხოლო 1921 წლისათვის —რგვალი ციფრით 1.000.000.000; ე. ი. იმ პირობებში, თუ მექსიკის ნავთის ქები შეუჩერებლათ იმუშავებდენ, მას შეეძლო მიეცა ისეთი რაოდენობა ნავთისა, რომელიც ბევრათ მეტი იქნებოდა თანამედროვე მსოფლიო ამოღებაზე. (იხ. სულთან-ზადე—გვ. 93).

ნავთის საქმეში მექსიკის ასეთი განსაკუთრებული მდგომარეობის გამო უკანასკნელ წლებში რესპუბლიკაში დაიწყო უცხოეთის კაპიტალის იმპორტი, განსაკუთრებით კი ამერიკიდან და ინგლისიდან. 1920 წლის 20 აპრილისათვის, მექსიკაში აღრიცხული იყო მექსიკის ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტროს მიერ 168 კომპანია, რომელნიც აწარმოებდენ ნავთის ამოღებას... 97% ყველა კაპიტალისა, რომელიც ჩადებულია ნავთის ამოღების წარმოებაში და რომლის რაოდენობა 1919 წელს შეადგენდა 660.000.000 დოლარს, ეკუთვნოდა უცხოელებს. (იქვე—94).

იმ კომპანიათა შორის, რომელნიც გადამჭრელ როლს თამაშობენ მექსიკის ნავთის წარმოებაში, უმთავრესი არის შემდეგი: 1) სტანდარტ-ოილის ჯგუფი, რომელიც შესდგება რამოდენიმე სხვა და სხვა ჯგუფისაგან. 2) ინგლის-ჰოლანდიის კომპანია, რომელიც აერთებს მთელ რიგ წვრილ კომპანიებს.

ფაქტიურად მთელი მექსიკის ნავთის წარმოება ამ ტრესტების ხელშია და ისინი განაგებენ რესპუბლიკის ბედს. ამ ტრესტების ბრძოლა ურთიერთ შორის და თვით მექსიკის მთავრობასთან ნათლად ამტკიცებს იმას; რომ ფორმალურად დამოუკიდებელი მექსიკა, ფაქტიურად წარმოადგენს კოლონიას, რომელსაც ყველაფს შეუბრალებლად ინგლისისა და განსაკუთრებით ამერიკის კაპიტალი.

ამერიკის კაპიტალი და მრეწველობა მკიდროთ გადაეჯაჭვა მექსიკის ნავთის მრეწველობას, გარდა იმისა რომ აქ ამერიკის კაპიტალის დიდი რაოდენობა მუშაობს, ამერიკა ფაქტიურად დიდად დამოკიდებული არის მექსიკის ნავთის ექსპორტისაგან.

1913 წლიდან 1920 წლამდე ნავთის ამოღება გაიზარდა მექსიკაში 552%-ით, ამერიკაში კი ზრდა შეადგენდა 5%-მდე, აგრეთვე შემოტანა მექსიკიდან იზრდებოდა უფრო ჩქარა, ვიდრე ნაციონალური ამოღება ნავთისა შეერთებულ შტატებში. 1920—20 წლებში 60% მექსიკაში ამოღებულ ნავთისა გატანილი იქნა ამერიკაში; მექსიკის ნავთის საერთო ექსპორტის რიცხვიდან ამერიკის წილს შეადგენს 78%, ბრიტანეთის ნავთის სადგურების—4%, სამხრეთ ამერიკის—9%, სხვა მომხმარებლების—9%.

ამ ცნობებიდან ნათლად სჩანს, თუ როგორი მაგარი ჯაჭვებით არის გადაბმული მექსიკის ნავთი გარეშე ბაზრებთან.

მაგრამ მექსიკის ნავთის მთავარი მომხმარებელი და მისი ექსპლოატაციის მწარმოებელი არის ამერიკა და მისი ნავთის ტრესტები. ამერიკამ ასეთი უპირატესობის მიღწევა მექსიკაში შესძლო, როგორც თავისი ეკონომიურ-ფინანსიურ დახმარებით, ისე პოლიტიკურ-სამხედრო ძალდატანების გზით.

მექსიკა თავისი გეოგრაფიული მდგომარეობით და ბუნებრივი დოვლათით მეტად მიმზიდველ ძალას წარმოადგენს ამერიკის კაპიტალისათვის. დიდი ხნიდან ამერიკა შეუჩერებლივ მიიწევს სამხრეთისაკენ და ტერიტორიებს ტერიტორიებზე იპყრობს. პირველი სამხედრო შეტაკება, რომელიც მოუხდა ამე-

რიკას რევოლიუციის შემდეგ და რომელსაც აგრესიული ხასიათი ჰქონდა, ეს იყო 1846 წლის თავდასხმა მექსიკაზე. ამ თავდასხმით მექსიკამ დაჰკარგა დიდი ნაწილი თავისი ტერიტორიისა. ეს ომი გამოწვეული იყო კომპანიების ინტერესებით, როგორც მაშინდელი ისტორიკოსები სწერდენ. პეტიგრუ ამ ომს ნათლავს ამერიკის იმპერიალიზმის პირველ მსხვილ გამარჯვებათ; მექსიკის ტერიტორიის წართმევას მაშინ მიზნათ ჰქონდა შტატებისათვის ტერიტორიის შეპატება, რომლიდანაც შესაძლებელი გახდებოდა შექმნა მონების დიდი რეზერვის ამერიკის მიწად-მფლობელთათვის. (პეტიგრუ —გვ. 304.—5). მაკრამ, თუ წარსულში მონების შეძენის სურვილი ამოძრავებდა ამერიკის კაპიტალისტებს, დღეს სულ სხვა ფაქტორები იზიდავენ მათ მექსიკისაკენ. 1910 წლიდან ამერიკა დაუსრულებელ ინტრიგებს აწარმოებს მექსიკაში და ამ ინტრიგებს სარჩულად უდეგს მექსიკის ეკონომიური დოვლათის შეძენის სურვილი, —განსაკუთრებით კი ნავთის წარმოების საქმე. მექსიკის დამორჩილების საქმეში ამერიკას დიდი წინააღმდეგობას უწევდა ინგლისის პოლიტიკა და კაპიტალის ინტერესები. ნ. რუსანოვი თავის წერილში „მექსიკა“ გადმოგვცემს, რომ ომამდე მექსიკის აქციონერულ კაპიტალის შექმნაში და რკინის გზების ხაზების გაყვანაში დიდი წილი ეკუთნოდათ ამერიკელებს, ინგლისელებს და ბელგიელებს. მეტად დიდი მნიშვნელობა მოიპოვა ინტერნაციონალურ კაპიტალმა მადნების დამუშავების, ქვანახშირის მაღაროებისა და ნავთის წყაროების საქმეში. ამ დოვლათის ექსპლოატაცია ხდებოდა 26 შტატში. ინგლისის მიერ მექსიკის სხვა და სხვა წარმოების დარგებში მოთავსებულ კაპიტალის საერთო ღირებულება უდრიდა 1 მილიარდ მანეთს; ამერიკის კაპიტალისტების წილი, რომელთა შორის უდიდესი ნაწილი ეკუთვნის სასტიკ მილიარდერს როკფელერ—უნცროს,—მილიარდზე მეტი არის *).

ამერიკა—ინგლისის ასეთი დიდი კაპიტალის ჩაბანდვა და

---

*) იხ. ნ. რუსანოვი: „Мексика“ წიგნში „История Нашего Времени“. Вып. 25, გვ. 104—5.

მათი ეკონომიური ინტერესები მექსიკაში. დაეინებით მოითხოვდა მექსიკის მთავრობის თავიანთ მხარეზე გადაბირებას. მექსიკის მოხუცი პრეზიდენტი პორფილი დიაზი უფრო უთანაგრძნობდა ინგლისის კაპიტალისტებს. ამერიკამ ამ პრეზიდენტს დაუპირისპირა თავისი მორჩილი ფრანცისკო მადეერო, რომელიც უნდა გამხდარიყო ამერიკის კაპიტალის ინტერესების გამტარებელი მექსიკაში,—ეს ინტერესები კი უმთავრესად ნავთის პროდუქტებში გამოიხატებოდა. ამერიკის კარნახითა და გეგმებით მექსიკაში ფართოდ განვითარდა არეულობა და სამოქალაქო ომმა მეტად მწვავე ხასიათი მიიღო. ამერიკამ გადასწყვიტა ესარგებლა შემთხვევით და თავისი. მოქალაქეებისა და ინტერესების დაცვის მოტივებით დაემუქრა მექსიკას სამხედრო ძალების ჩარევით. ამერიკის ფლოტილია უკვე გაემგზავრა მექსიკის ნავთსადგურებისაკენ, მაგრამ დროებით მშვიდობიანმა ურთიერთობამ გაიმარჯვა და ამერიკის პრეზიდენტმა ტავტმა გაიწვია უკან თავისი ჯავშნოსნები. მექსიკაში რამდენიმე ხნით გამარჯვება წილად ხვდა მადეროს, მაგრამ არეულობა არ შეწყდა და ახლა ინგლისის კარნახით მწვავე სახე მიიღო. ბრიტანეთი და ამერიკა დაემუქრენ მექსიკას ახალი ჩარევით. მადეროს წინააღმდეგ მებრძოლ ჯგუფებიდან გამარჯვება წილად ხვდა უერტას, რომელმაც დაარღვია თავისუფალი არჩევნების წესი და გამოაცხადა თავისი თავი პრეზიდენტათ. მან გახსნა კონგრესი და დიდი ბრიტანეთის მიერ 1913 წელში ცნობილ იქმნა, როგორც მეთაური მექსიკის აღმასრულებელ ძალა-უფლებისა; მაგრამ ამერიკის მთავრობამ მას მხარი არ დაუჭირა, როგორც ინგლისის მომხრეს. ახლად არჩეულმა (1913 წ.) ვუდრო ვილსონმა უარი სთქვა უერტას ცნობაზე, როგორც კონსტიტუციის დამრღვევის. ამერიკის ასეთმა გამოსვლამ წაახალისა უერტას მოწინააღმდეგენი და მთელი წლის განმავლობაში იღვრებოდა სისხლი მექსიკის ტერიტორიაზე—ამერიკისა და ინგლისის გეგმების მიხედვით. ვილსონი ფორმალურ-ად არ ერეოდა მექსიკის საქმეში. ბოლოს ყოველად ძლიერი კაპიტალისტების ძალ-

დატანებით მან უღალატა თავის პაციფიურ პოლიტიკას და შეიარაღებული ძალებით დაიპირა 1914 წელს მექსიკის ქალაქი თავისი ფლოტილიის დახმარებით (იხ. დაწვრილებით იქვე.)

მექსიკის საკითხი დღესაც გადაუწყვეტელია და ამერიკას არ უცვნია მისი მთავრობა. მთელი ათეული წლების განმავლობაში მექსიკა გახდა ინგლის-ამერიკის ინტრიგების სარბიელათ და ვერ ეღირსა თავისუფალ ცხოვრებას.

ამერიკას სურს პოლიტიკურად დააყენოს მექსიკა თავის გავლენის ქვეშ, გახადოს იგი თავის კოლონიათ და ამ გვარად მისი. მდიდარი ნავთის ქები დაუბრკოლებლივ დაუმორჩილოს ამერიკის კაპიტალის ინტერესებს. ამ პოლიტიკას თავიდანვე წინააღმდეგობას უწევდა და უწევს დღესაც მექსიკის ზოგიერთი პოლიტიკური ხელმძღვანელები, რომელთა ნაწილი უფრო ინგლისის ორიენტაციას იკავდენ და ამით უდიდეს საფრთხეს ქმნიდენ ამერიკისათვის მექსიკაში. ეკონომიურად ამერიკა შეპრილი არის მექსიკაში. დღევანდელი პოლიტიკა ვაშიგტონისა მექსიკის მიმართ არსებითად წარმოადგენს ნავთის მაგნატებისა და ბანკირების პოლიტიკას.

ამერიკის ბანკების კონსორციუმი ცდილობს მიიღოს ფინანსიური და პოლიტიკური პროტექტორატი მექსიკაზე, დააწესოს თავისი კანტროლი ქვეყნის ბუნებრივ სიმდიდრესა და რკინის გზებზე; ამერიკის მთავრობის პოლიტიკაც ამ მთავარ მიზნებს ემსახურება.

მაგრამ მექსიკის მთავრობამ იანკის საწინააღმდეგოთ 1917 წელში გამოსცა ნავთის ნაციონალიზაციის კანონი და განსაზღვრულ რაიონებში აუკრძალა უცხოელებს ნავთის ექსპლოატაცია. ეს იყო ახალი ლახვარი ამერიკის ნავთის მეფეების წინააღმდეგ მიმართული.

ნავთის მრეწველებისა და ბანკირების ზეგავლენით ვაშინგტონმა ხელმეორეთ უარი განაცხადა მექსიკის მთავრობის ობრეგონას მეთაურობით ცნობაზე, რადგან უკანასკნელი წინააღმდეგია მექსიკის ამერიკის კოლონიად გადაქცევის. ამიტომ

მექსიკა დაისაჯა პოლიტიკური და ფინანსიური იზოლიაციით. კრედიტის დახურვა, რომელსაც მიმართა ამერიკამ მექსიკის მიმართ, უკანასკნელს აყენებს მეტად სამწუხარო მდგომარეობაში და ძლიერ უშლის ხელს წარმოების განვითარებას.

მაგრამ, თუ ამერიკა, ერთის მხრით, ქმნის კრიზისებს მექსიკაში, ანვითარებს რევოლიუციებს და ასეთ პოლიტიკურ-ეკონომიური ძალდატანებით გამოუვალ მდგომარეობაში აყენებს ამ რესპუბლიკას, მეორეს მხრით იგი გაფაციცებით თვალყურს ადევნებს საფრანგეთ-ინგლისის დამოკიდებულებას მექსიკისადმი და ხელს უშლის სხვადასხვა დიპლომატიური საშუალებით იცნონ ამ სახელმწიფოებმა მექსიკის მთავრობა.

დღესაც მექსიკის ამგვარი მდგომარეობა ასეთსავე პირობებში ვითარდება და გაგრძელდება მანამ, სანამ მექსიკა ქედს არ მოიხრის ამერიკის წინაშე პოლიტიკურადაც.

ასეთია ამერიკის ნავთის პოლიტიკის ერთი დამახასიათებელი მომენტი, რომელიც უტიფრათ ვითარდება ამ რამოდენიმე წლის განმავლობაში ყოვლად მახინჯი ფორმებით მექსიკაში.

ამ ცნობებთან ერთად ინგლის-ამერიკის კონფლიქტის დამახასიათებელია მათი ინტერესების დაპირისპირება კოსტარიკოს ნავთიანი ადგილების გარშემო. მექსიკის მდგომარეობა მით არის კრიტიკული, რომ ამერიკის შემოტევა სამხრეთიდანაც მოდის და ამ გვარად მექსიკა ამერიკის კაპიტალის რკალში არის მომწყვდეული. ჩრდილოეთ ამერიკის კაპიტალი თავის გავლენის ქვეშ აყენებს პატარა რესპუბლიკებს: ს. სალვადორს, კოსტარიკოს, გონდურას, გვატემალას, ნიკარაგუას, პანამას. ომის დროს ინგლისის კონცერმა მოიპოვა კოსტარიკოს რესპუბლიკის რევოლიუციონურ მთავრობისაგან ნავთიანი ადგილების დიდძალი კონცესიები. ამან გამოიწვია რევოლიუციონური მთავრობის ცნობა ინგლისის მთავრობის მხრით. მსგავსივე წინადადებით მიმართა ამერიკის მთავრობამაც; მაგრამ კოსტარიკოს მთავრობამ უარყო კონცესიების გაცემა ამერიკაზე. ამერიკამ თავის ჩვეულებრივ მეთოდს მიმართა და დასცა კოსტარიკოს რევოლიუციონური მთავრობა. ამ მთავრობის ჩამ-

გდების შემდეგ, ინგლისის კონცერმა მოითხოვა წინად მიცემული კონცესიების აღიარება. ამ წინადადებას ზურგს უმაგრებდა ინგლისის მთავრობა, რომელმაც გაუგზავნა კოსტარიკოს სენატს ულტიმატიმური მოთხოვნილება. 1921 წელს კოსტარიკოს სენატმა ამერიკის ზეგავლენით უარყო ინგლისზე გაცემული კონცესიები. ამ გვარად გამარჯვება წილად ხვდა ამერიკას.

ამერიკის ნავთის პოლიტიკა მარტო ამერიკის კონტინენტით არ ამოიწურება და იგი ენერგიულ ბრძოლას აწარმოებს ევროპისა და აზიის ნავთის წყაროების ხელში ჩასაგდებად. აქ კონტინენტებზე მთავრობის გვერდით სტანდარტ-ოილთან ერთად გამოდის ჩესტერისა და სინკლერის კომპანიები. 1920 წელს სტანდატ-ოილმა დაარსა საფრანგეთში კომპანია სტანდარტ-ფრანსე-ამერიკენ, რომელსაც მიზნად აქვს დასახული ნავთის აღმოჩენა და გამოკვლევა საფრანგეთსა და მის კოლონიებში.

1921 წელს სტანდარტ-ოილმა დაიპყრო გალიციაში (პოლონეთი) პოზიცია, სადაც ამდენხანს განსაკუთრებით გაბატონებული იყო საფრანგეთის კაპიტალი; აგრეთვე უკანასკნელ ხანებში მონოპოლია მიიღო ჩეხო-სლოვაკიის ნავთიან ადგილებზე.

ამერიკის ტრესტი რუმინიის ტერიტორიაზედაც შეიჭრა და აქაც მოიპოვა თავისი წილი. ამჟამად რუმინიის ნავთის წარმოება მეტად კრიტიკულ მდგომარეობაში არის ომისაგან გამოწვეულ მიზეზების გამო. მიუხედავათ ამისა რუმინიის ნავთის წარმოებას შეუძლია მაინც საპატიო ადგილი დაიჭიროს მსოფლიო მეურნეობაში. ამერიკელი გეოლოგების გამოანგარიშებით რუმინიაში არის 1,13 მილიარდი ბარელი ანუ 8,81 მილიარდი ფუთი ნავთის მარაგი მიწის სიღრმეში.

რუმინიაში სამი უმთავრესი აქციონერული საზოგადოება მოქმედობს; 1921 წ. რუმინიაში ამოღებულ ნავთის 1.161.000 ტონიდან, 1. 138.000 ანუ 98% ეკუთვნოდათ უცხო კომპანიებს.

1920 და 1921 წლებში რუმინეთის ნავთის ამოღება შემდეგ ნაირად იყო განაწილებული სამ უმთავრესს კომპანიის შორის:

	1921 წ. (ათასი ტონი)	1920 წ.
Astra rumana (ინგლისური კომპანია)	369,3	322,6
Z Americana (ამერიკული)	252,7	186,7
Zteana Pumana (ინგლის-ხოფრანგ.)	227,1	232,1 *)

ამერიკის ნავთის ტრესტი არც რუსეთის ნავთის წყაროებს მოსწყდა და სახალინისა და კამჩატკისაკენაც მიიწევს სინკლერის კომპანია. სახალინის ნავთის მარაგი მეტად მნიშვნელოვან რაოდენობას შეიცავს. ამ რაოდენობისაკენ განსაკუთრებული ყურადღებით იყო მიმართული იაპონიის იმპერიალისტების პოლიტიკა; იაპონიამ შეიარაღებული ძალით თავის გავლენის ქვეშ დააყენა შორეულ აღმოსავლეთის ნავთიანი რაიონები. ამერიკის უმთავრეს მიზანს შეადგენს დღეს გამოდენოს იაპონია ამ ტერიტორიებიდან და ამით მოსწყვიტოს იგი მრეწველობისათვის ერთს აუცილებელ წყაროს.

სინკლერის კომპანიამ (ამერიკული) შესძლო რუსეთის საბ. მთავრობასთან მოლაპარაკება და კონცესიების მიღება სახალინის კუნძულზე. ეს ნათლად მოწმობს ამერიკის ფართო გეგმებით ამოძრავებას წყნარ ოკეანეს ბასეინში და შორეულ აღმოსავლეთში.

მაგრამ მარტო ამ ტერიტორიებით არ შემოიზღუდება ამერიკის ნავთის პოლიტიკა. შუა აზია და ახლო აღმოსავლეთი-სპარსეთი და ოსმალეთი უმთავრესი საგანი შეიქნა ამერიკის მოქმედებისა და მათ მთელი თავიანთი ენერგია მიმართეს განსაკუთრებით ოსმალეთის ნავთის ხელში ჩასაგდებად. როგორც ვიცით ჩესტერის კონცესიებით ამერიკამ პრაქტიკული ნაბიჯი გადადგა ახლო აღმოსავლეთის ისტორიაში. სპარსეთსა და ოსმალეთში ნავთისათვის გამართული ბრძოლა საინტერესო პოლიტიკურ თემას წარმოადგენს და ამიტომ მას ცალკე შევეხებით.

*) იხ. მგრზინი გვ. 44.

ამ მიმოხილვით ირკვევა, რომ ამერიკამ რამდენიმეთ შეარყია ინგლისის გაბატონებული მდგომარეობა ნავთის მარაგის საქმეში და გაორკეცებული ენერგიით ეწევა მუშაობას მნიშვნელოვან ნავთიანი რაიონებიდან თავისი წილის მისაღებად.

3. ბრძოლა სპარსეთის ნავთისათვის.

ინგლის-ამერიკის კონფლიქტმა ნავთის საკითხში სპარსეთის ტერიტორიაზედაც იჩინა თავი.

სპარსეთის საკითხის განხილვა მრავალ მხრივ არის საინტერესო. სპარსეთი იურიდიულად ცნობილია, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო, მიუხედავათ ამისა, მისი მდგომარეობა ბევრით არ განსხვავდება კოლონიალურ ქვეყნების მდგომარეობისაგან და ევროპის კაპიტალი ყოველ მხრივ შეეიწროებულ მდგომარეობაში აყენებს მას. სპარსეთი ბუნებრივი დოვლათის მხრივ მდიდარი ქვეყანა არის, მაგრამ მისი საწარმოო ძალა არ არის სათანადოდ განვითარებული. სპარსეთის მრავალ რაიონებში მოიპოვება ქვა-ნახშირის, საუკეთესო რკინის ბაღნის და სპილენძის ფენები. ეს დარგები უმთავრეს წყაროს წარმოადგენენ თანამედროვე ინდუსტრიისათვის და ამიტომ ბუნებრივი არის, რომ ევროპის კაპიტალი ენერგიულად იბრძვის ამ მდიდარი ქვეყნის ხელში ჩასაგდებათ. არა ნაკლებ ძალას წარმოადგენს სპარსეთი, როგორც ევროპის ინდუსტრიალურ პროდუქტების გამსაღებელი ბაზარი. *)

მაგრამ ის, რაც განსაკუთრებით იზიდავს სპარსეთისაკენ დაწინაურებულ კაპიტალისტურ სახელმწიფოებს ამ ბოლო ხანებში, არის სპარსეთის ნავთის წყაროები. ამერიკის გეოლოგების გამოკვლევით სპარსეთსა და მესოპოტამიაში არის დახლოებით 5,820 მილიონი ბარელი ანუ 45,40 მილიარდი ფუთი ნავთის მარაგი.. თანამედროვე ამოღების მიხედვით მარტო სპარსეთის ნავთი მისცემს მომხმარებელს 390 წლის განმავლობაში განსაზღვრულ რაოდენობას ნავთისას. ასეთი მდიდარი

*) იხ. Султан-заде: „Современная Персия"—1922 წ.

რაიონი ნავთის წყაროებისა მართლაც უდიდეს მიმზიდველ ძალას წარმოადგენს თანამედროვე ნავთის ეპოქაში, როდესაც ნავთისათვის ბრძოლის საკითხმა პირველი ადგილი მოიპოვა კაპიტალისტურ სახელმწიფოთა შორის.

ნავთის წყაროებით მდიდარი რაიონები მდებარეობს სპარსეთში ათასი ვერსის მანძილზე სამხრეთ და ჩრდილოეთ სპარსეთში. არის აგრეთვე ხორასანის პროვინციაშიც, რომელიც გადაცემულია კონცესიების სახით კერძო პირებზე.

სპარსეთის მიმართ აგრესიული პოლიტიკით უმთავრესად გამოდის ინგლისი, რომელიც უაღრესად დაინტერესებულია სპარსეთის პოლიტიკური მდგომარეობითა და მისი ეკონომიური დოვლათით. მაგრამ სპარსეთი ინგლისის საგარეო პოლიტიკაში არ თამაშობს მარტო ეკონომიურ ფაქტორის როლს. ეს სახელმწიფო ინგლისისათვის არის ბუფერი ინდოეთის შესასვლელ კარებთან, დასაყრდნობი ბაზა საიდანაც ინგლისის პოლიტიკოსები ანვითარებენ თავიანთ აღმოსავლეთის პოლიტიკას. ამ მოსაზრებით ინგლისის ინტერესები სპარსეთისადმი ყოველითვის მეტად დიდი იყო და დღევანდელს პირობებში კი მან უფრო მეტი ღირებულება მოიპოვა.

დიდ ბრიტანეთის კონკურენტათ ამ სამეურნეო ერთეულში წინეთ გამოდიოდა რუსეთი, რომელიც უაღრესად დაინტერესებული იყო სპარსეთის ბაზრითა და მისი პოლიტიკური ცხოვრების ვითარებით. ამ ორი დიდი სახელმწიფოს ინტერესთა წინააღმდეგობანი სპარსეთში დიდათ აფერხებდა უკანასკნელის წარმატების საქმეს და დაუსრულებელ არეულობაში აყენებდა ქვეყანას. ინგლისისა და რუსეთის ინტერესთა ბრძოლა სპარსეთში 1907 წელში დასრულდა მათ შორის დადებულ კონვენციით, რომლის მიხედვითაც გადაყოფილი იქმნა სპარსეთი გავლენის სფეროებათ: ჩრდილოეთის ზონა მოხვდა ჩრდილოეთის (რუსეთის) იმპერიალისტების გავლენის ქვეშ; ცენტრალური ზონა გამოცხადდა ნეიტრალურად, ხოლო სამხრეთი გადაეცა თავის გავლენის ქვეშ დიდ ბრიტანეთს. ასე დამთავრდა დამოუკიდებელი სპარსეთის გა-

დაყოფა დიდ იმპერიალისტურ სახელმწიფოთა შორის ამ ხუთ-მეტიოდე წლის წინათ. ამ წლიდან სპარსეთი შეიქმნა ნამ-დვილი კოლონია ან ნახევრათ კოლონია, რომლის ბედი და მომავალი დაექვემდებარა დიდ იმპერიალისტების სურვილს.

ასეთი იყო სპარსეთის პოლიტიკური და ეკონომიური მდგომარეობა ომის დაწყებამდე; ამ მდგომარეობის გაგრძელე-ბას ხელს უწყობდა სხვა და სხვა იმპერიალისტურ სახელმწი-ფოთა ინტერესები აღმოსავლეთში. აქ შექმნილი სწორწო-ნობა უმთავრესად ეყრდნობოდა დიდ სახელმწიფოთა შორის დამკვიდრებულ ურთიერთობას. საერთაშორისო ომისა და რევო-ლიუციის ზეგავლენით დიდ სახელმწიფოთა რიგებს გამოეცა-ლა რუსეთი, გერმანეთი, ავტრო-უნგრეთი; ოსმალეთის სახე-ლმწიფო დაცარცხდა სასტიკად. ასეთ პირობებში აღმოსავლე-თის მდგომარეობამაც ცვლილება განიცადა. ინგლისს ფარ-თოდ გაეხსნა ხელები აღმოსავლეთში და შეუდგა მეტად დი-დი გეგმების განხორციელებას. ომის დასრულების შემდეგ ინგლისის პოლიტიკის მთავარ ამოცანას ახლო და შუა აღმო-სავლეთში შემდეგი ძირითადი პროგრამა ედვა სარჩულად: მას სურდა თავისი აფრიკის ტერიტორიები—სუდანითა და ეგვიპ-ტით მთლიან ტერიტორიალურ რკალში მოექცია—ოსმალე-თის ტერიტორიების ნაწილებით—პალესტინით, არაბეთით, მესოპოტამიით—სპარსეთით და ინდოეთით. ამ სახით, ასეთ დიდს ტერიტორიალურ ერთეულში განემტკიცებინა თავისი პოლიტიკური და ეკონომიური ბატონობა.

ინგლისის ამ დიდი გეგმების განხორციელებისათვის სა-ჭირო შეიქმნა ოსმალეთის რამოდენიმე სახელმწიფოდ დანა-წილება და სტამბოლისა და სრუტეების თავისი გავლენის ქვეშ დაყენება; აგრეთვე—სრული პოლიტიკური ბატონობა სპარსეთშიც.

ინგლისი ომამდეც აზიის უდიდესი მფლობელი იყო; ომის შემდეგ მისი გეგმები გრანდიოზულ შინაარსს ღებ-ულობს და მთელს ახლო და შუა აზიის მნიშვნელოვან ერ-თეულებს თავის კოლონიათ უპირებს გამოცხადებას.

ამ წერილის შინაარსს არ შეადგენს ინგლისის პოლიტიკის სავსებით გამორკვევა ახლო აღმოსავლეთსა და სპარსეთში. ამ პოლიტიკას ჩვენ იმდენათ შევეხებით რამდენათაც მას უახლოესი კავშირი აქვს ნავთის საკითხთან.

სპარსეთში ინგლისის პოლიტიკის გამტარებელი და ხელმძღვანელი არის სპარსეთის დიდი მცოდნე, ინდოეთის ყოფილი ვიცე-კოროლი, ამ ჟამად საგარეო საქმეთა მინისტრი ლორდ კერზონი, რომელმაც 1918 წლიდან გარკვეული პროგრამა წამოაყენა სპარსეთის მიმართ. კერზონის პოლიტიკას სპარსეთში პირველად ატარებდა სერ პერსი კოკსი, შემდეგ კი ნორმანი.

თავისი პოლიტიკის მთავარი მომენტი გარკვევით მოხაზა ლორდ კერზონმა 1920 წელში ლონდონის ბანკეტზე, რომელიც სპარსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის პატივსაცემათ გაიმართა. კერზონმა განაცხადა: „ოსმალეთის და რუსეთის სახელმწიფოების დაშლის გამო, შეიქმნა ცარიელი ადგილი, რომელიც ივსება ქაოსით. ინგლისს არ შეუძლია დაუშვას, რომ ამ ქაოსმა მიაღწიოს ინდოეთის საზღვრებამდე; მან უნდა მოიპოვოს სპარსეთის სახით ძლიერი მოკავშირე. *)

თუ რას ნიშნავს სპარსეთის სახით ძლიერი მოკავშირის შექმნა ინგლისის პოლიტიკის გეგმაში, ეს ადვილი გასაგები იქნება იმ ხელშეკრულების ზოგიერთ მომენტების გაცნობის შემდეგ, რომელიც 1919 წელს 9 აგვისტოს დასდვა ინგლისის მთავრობამ სპარსეთთან. ინგლისის პოლიტიკის პროგრამა იმაში მდგომარეობდა, რომ ისარგებლა რა მან რუსეთის გავლენის შეწყვეტით სპარსეთში, თვით შეეცადა ხელში ჩაეგდო ეს ქვეყანა, შეექმნა მაგარი ბუფერი ბოლშევიზმის მოსალოდნელ შეკრის საწინააღმდეგოთ სამხრეთში, მოინდომა შეეცვალა ინგლისის საოკუპაციო ჯარები ადგილობრივ ჯარებით, რომელნიც დაუმორჩილდებოდა ინგლისის შტაბს და მასთანვე შეექმნა სპარსეთის ცენტრალური მორჩილი მთავრობა, რომე-

*) იხ. სულთან-ზადე: „ეკონომიკა და ნაციონალური რევოლიუციების პრობლემები ახლობელ და შორეულ აღმოსავლეთის ქვეყნებში“. გვ. 44.

ლიც პირნათლად გაატარებდა ინგლისის პოლიტიკასა და დაიცავდა მისსავე ეკონომიურ ინტერესებს სპარსეთში. ამგვარად, ასეთი მთავრობა მხოლოდ იარაღი იქნებოდა ინგლისის ბატონობისა და პოლიტიკის გასამტკიცებლად შუა აღმოსავლეთის ტერიტორიებზე. *)

ჩვენ ქვემოთ დავინახავთ თუ როგორი მარცხი განიცადა ინგლისის ამ პოლიტიკამ სპარსეთში და როგორი არევ-დარევა შეიქმნა მის გარშემო.

ინგლისის ამ პოლიტიკის ხაზთან მთელ აღმოსავლეთში შეფარდებული არის მისი ნავთის პოლიტიკაც. ნავთის საკითხში ინგლისი გარკვეული პოლიტიკური პროგრამის მიხედვით გამოდის და თავის პოლიტიკურ ხაზსა და ნავთის წყაროების შეძენას გარკვევით უკავშირებს ერთი მეორეს. სპარსეთსა და ოსმალეთში ეს პოლიტიკური კომბინაცია გარკვეული ფერადებით მოსჩანს.

ჩვენ ზემოდ მოკლედ გვქონდა განმარტებული ინგლისის ნავთის პოლიტიკის შინაარსი. ინგლისი ფიქრობს გაბატონდეს მთელს ახლო აზიაში და ინდოეთის მიდამოები დაუკავშიროს პოლიტიკურად აზიის ამ ტერიტორიებს. ამ ტერიტორიაზე გაბატონებისათვის ინგლისს სჭირდება დიდ ზღვებსა და სრუტეებზე გაბატონება. წინათ მნიშვნელოვან საზღვაო ცენტრებსა და სრუტეებზე მოწყობილი იყო ინგლისის ნახშირის სადგურები. ამჟამად, გამოირკვა რა ნავთის დიდი მნიშვნელობა, ინგლისმა გადასწყვიტა ქვანახშირის სადგურებთან ერთად შექმნას მსოფლიოს თითქმის ყველა კუთხეებში ნავთის სადგურებიც, რომ ინგლისის საავარო და საზღვაო ფლოტს შეძლება ექნეს დააწესოს ყველაზე უფრო იაფი ნიფრახტი, რომელსაც ვერ გაუწევდა კონკურენციას უცხოეთის ფლოტი (იხ. სულთან-ზადე „ნავთის მსოფლიო მრეწველობა“ გვ. 123). თავის მეორე წერილში ამხ. სულთან-ზადე ამბობს ინგლისის ნავთის პოლიტიკის შესახებ შემდეგს: „თავიანთი

*) იხ. ე. ოსეტროვი: „Зигзаги английской политики в Персии“ ჟურ. „Международная жизнь“ № 16 (134) გვ. 15, 1922 წ.

საზღვაო უპირატესობის დასაცავად ინგლისის იმპერიალისტებმა მოაწყვეს გეგმა-შეწონილი რგოლები მცურავი ქვანახშირის სადგურებისა გიბრალტალ-კალკუტას გზაზე. ასეთსავე სადგურებს ამ ბოლო ხანებში ემატება ნავთის სადგურებიც.... თუ გულდასმით დავაკვირდებით ინგლისის ნავთის სადგურების მდგომარეობას, შევამჩნევთ რომ, გარდა ამისა რომ ისინი თავიანთ გეოგრაფიული მდგომარეობით გაფანტულნი არიან კაცობრიობის სხვადასხვა კუთხეებში, მისდევენ აგრეთვე წინასწარ გამორკვეულ გეგმებს: [1]) ისინი თავმოყრილნი არიან პანამის არხის გარშემო 2) გიბრალტარ-მოლტას ხაზითა და 3) სუეცის არხის გარშემო... საერთოდ გიბრალტარ-სუეცის-ადენის-სოკატრა-კალკუტა-ვარკეინის ხაზების გარშემო". *)

მაგრამ ნავთის ჰეგემონიის შესანარჩუნებლათ არ არის საკმარისი მარტო ნავთის სადგურების მოწესრიგება, საჭიროა თვით ნავთის წყაროების შეძენა და ნავთის პროდუქტებით უზრუნველყოფა. ინგლისის ნავთის პოლიტიკის მთავარი ხაზიც აქეთკენ არის მიმართული. ნავთის სადგურების მოწყობასთან ერთად ინგლისი გარკვეული გეგმით გამოდიოდა მნიშვნელოვანი ნავთის წყაროების ხელში ჩასაგდებათ, რითაც სურდა თავისი ჰეგემონიის დაწესება ნავთის პროდუქტებზე. ინგლისის ნავთის მრეწველები, ტრესტები და თვით მთავრობა ენერგიულად ცდილობდენ ნავთის კონცესიების შეძენას ან თავიანთი გავლენის ქვეშ დაყენებას იმ ტერიტორიებისას, რომელნიც გეოგრაფიულათ მდებარეობენ ინგლისის იმპერიალიზმის დიდ გზებზე. ინგლისი ნავთს ეძებდა შეერთებულ შტატებში, მექსიკაში, ეკვადორში (ამერიკა), მაროკოსა და ალჟირში, ეგვიპტეში (აფრიკა), სპარსეთსა, ოსმალეთსა და ინდოეთში (აზია), აგრეთვე რუმინიასა და ბაქოში (შავი ზღვა); ყველა ეს რაიონები თავს იყრიან იმ ხაზების მიმართულებით, რომელიც შეადგენს ინგლისის საზღვაო ბატონობის სავალ გზებს.

აქ უნდა აღინიშნოს ერთი ისტორიული ფაქტი. ომის პირველ პერიოდშივე მოკავშირეებმა ფარული ხელშეკრულე-

*) იხ. მისივე: „Борьба за мировые источники нефти" გვ. 132.

ბებით ერთმანეთს შორის გადაყვეს მთელი აზიის მნიშვნელოვანი სამეურნეო რაიონები. 1915 წ. ფარული ხელშეკრულებით ინგლისმა გადასცა რუსეთს სტამბოლი, სამაგიეროთ რუსეთისაგან მიიღო თანხმობა მხარი დაეჭირა „ინგლისის ეკონომიურ ინტერესებისათვის და აგრეთვე თანაგრძნობით მოპყრობოდა ინგლისის პოლიტიკურ მისწრაფებებს სხვა ქვეყნების მიმართ"; ამ „სხვა ქვეყნებში" იგულისხმებოდა სპარსეთი, მესოპოტამია და ეგვიპტე, ე. ი. უმთავრესათ ნავთიანი რაიონები. ამერიკელი მწერალი **რეი სტენარტ ბეიკერი** ამ საკითხის შესახებ სწერს, რომ 1915 წ. ხელშეკრულებით დიდმა ბრიტანეთმა მიიღო კონტროლი სპარსეთის ნეიტლარულ ზონაზე, ხოლო რუსეთს მიეცა „მოქმედების სრული თავისუფლება ჩრდილოეთ სპარსეთში". ავგვარად ბრიტანეთის მთავრობამ მოაქცია ნავთის ახალი წყაროები „თავისი გავლენის ახალ სფეროში."*)

ინგლისის იმპერიალიზმის საზღვაო გზების ხაზებზე იმყოფება სპარსეთის ნავთის რაიონები; მიუხედავათ იმისა, რომ ისინი დაშორებული არიან დიდი მანძილით ზღვიდან უკანასკნელ ხანებში სპარსეთის ნავთის დამმუშავებელთა შორის პირველ რიგში დადგა საკითხი გზების გაყვანის შესახებ სპარსეთიდან და მესოპოტამიიდან, რომელსაც შეტად დიდი კოლონიალური მნიშვნელობა აქვს. საზღვარ-გარეთის პრესა გულდასმით იხილავს სპარსეთის ნავთის ტრანზიტის საკითხს, რომელიც გაყვანილ უნდა იქნეს ინდოეთის ოკეანეს ბასეინიდან კასპიის ზღვისაკენ სპარსეთით. ამ ტრანზიტმა უნდა შეაერთოს სპარსეთის ყურეს ნავთსადგურები ენზელისა და შემდეგ ზაკასპიის რკინის გზებთან. ამ გვარად ინგლისის იმპერიალისტების მთავარი ყურადღება მიქცეული არის ნავთის გასატან გზების საკითხისაკენ, რომ ამით სპარსეთის ნავთი დაიუფლონ და მჭიდროდ დაუკავშირონ თავის ბაზრებს და ნავთის სადგურებს.

მაგრამ გადავიდეთ თვით ნავთის წარმოების საკითხზე

*) იხ. Беккер: „Вудро Вильсон, мировая война, версальский Мир". ტ. 83.—4, 1923 წ.

სპარსეთში. სპარსეთის ყველაზე უფრო მსხვილ დარგს წარ-მოებისას წარმოადგენს ნავთის მრეწველობა, რომელსაც ამუ-შავებენ უმთავრესად ინგლისელები. სპარსეთის ნავთის მდება-რეობა ორი ზონით მიდის: ჩრდილოეთით და სამხრეთ-დასავ-ლეთით. ჩრდილოეთი, რომელიც იყო რუსეთის გავლენის სფეროში არ იყო ცნობილი წინათ ნავთიან რაიონათ, მაგრამ შემდეგში, აღმოჩენილ იქნა ნავთის წყაროები. სამხრეთ სპარ-სეთის ზონა არის დაკავშირებული მესოპოტამიის წყაროებთან. ამ რაიონში ნავთის ექსპლოატაციის მონოპოლიური უფლე-ბებით სარგებლობს ინგლისური ტრესტი „ანგლო-პერ-სიან კომ.“ *)

პირველი ცდა სპარსეთის ნავთის დამუშავებისა ეკუთვნის ერთ პატარა ნავთის კომპანიას 1890 წ. ამის შემდეგ დრო გა-მოშვებით სხვა და სხვა საზოგადოებანი ცდილობდენ ინტენ-სიური ამოღება ეწარმოებიათ სპარსეთის ნავთისა, მაგრამ სა-გრძნობ შედეგებს ვერ აღწევდენ. რაციონალური და ინტენ-სიური ექსპლოატაცია სპარსეთის ნავთის დოვლათისა დაიწყო „ინგლის-სპარსეთის ნავთის კომპანიის“ დაფუძნებიდან 1909 წელს. ამ კომპანიას ქონდა ორი მილიონი გირვანქა სტერ-ლინგი, გარდა ამისა კომპანიას კიდევ გადაეცა 600 ათასი გირ-ვანქის ობლიგაციები. ინგლისს-სპარსეთის კომპანიამ თავის გავ-ლენის ქვეშ დააყენა სხვა წვრილი კომპანიები, რომელნიც სპარსეთში მოქმედებდენ. თანახმად ხელშეკრულებისა, ისინი ვალდებული იყვნენ სპარსეთის მთავრობისათვის მიეცათ ყო-ველწლიური წმინდა შემოსავალის 16%.

ინგლისს-სპარსეთის კომპანიის სამოღვაწეო სარბიელი იყო გადაშლილი სამხრეთ-სპარსეთის ტერიტორიაზე, უმთავრესად მაიდენი-ნაუტელის რაიონში. 1908 წელში აქ აღმოჩენილ იქნა დიდძალი ნედლი ნავთი. 1912 წლიდან აქ მუშაობს ნავ-თის გამტარებელი მილი, რომელიც გაყვანილია ნავთის გამწ-მედ ქარხანამდე. 1914 წელს მაისში ინგლისის მთავრობამ დს-

*) იხ. სულთან-ზადე: „ბრძოლა სპარსეთის ნავთისათვის“ ჟურ. „Вестник Н. К. И. Д.“ № 6. გვ. 58, 1922 წ.

და ხელშეკრულება ინგლისს-სპარსეთის კომპანიასთან, რომ-ლის ძალით კომპანია გადაიქცა ნახევრად სახელმწიფო დაწე-სებულებად. მასთანავე საზოგადოების კაპიტალი გაიზარდა მთავრობის მიერ შეტანილ წილით—2 მილიონ გირვანქა სტერლინგით. გამოშვებულ იქნა ახალი ობლიგაციები 199 ათასი გირვანქა სტერლინგის. ამ გვარად კომპანია გახადებდა 4.799.000 გირ. სტერლინგს.

ეს საზოგადოება-კომპანია დიდი ხნის განმავლობაში იყო მეტად მძიმე ფინანსიურ გასაჭირში. ომის დასაწყისიდან საზო-გადოების შემოსავალი გაიზარდა, ასე მაგ. საზოგადოების წმინდა შემოსავალს შეადგენდა:

1913—14 წ.	200.786	გირ. სტ.
1917—18 „	1.517.215	„ „
1918 – 19 „	2.287.886	„ „

ასე რომ ხუთი წლის განმავლობაში მისი შემოსავალი გაიზარდა 10 ჯერ (იხ. სულთან-ზადე „ეკონომიკა". გვ. 45—48).

ნავთის ამოღების საქმე ამ ბოლო ხანებში მეტად საგრძ-ნობი ნაბიჯით მიდის წინ და კოლოსალურად იზრდება: 1910 წელში ნავთი თითქმის არ ამოქონდათ 1916 წ. ნავთის ამოღება ჯერ კიდეე უმნიშვნელო იყო. შემდეგ წლებში კი თანდათან გაიზარდა:

	ამოღება შე-ადგენდა		% მონაწილეობა მსოფ-ლიო ამოღებაში.
1917 წ.	6.856	ათასი ბარელი.	1,3
1918 „	7.200.	„	1,4
1919 „	6.290		1,1
1920 „	12.632	„	1.8
1921 „	14.600	„	1,9 *)

მსოფლიო ნავთის წარმოებაში სპარსეთის ნავთის ამოღებას მე-5-თე ადგილი უჭირავს და წინ უსწრებს რუმინეთსა და

*) იხ. Бервин: „Мировая борьба за нефть".

გალიციას. ეგრეთ ეს ცნობები სავსებით ვერ ამოსწურავს სპარსეთის ნავთის წყაროების პოტენციალურ შესაძლებლობას. საჭირო ტექნიკური შეიარაღებითა და მოწყობით სპარსეთის ნავთის ამოღებას საპატიო ადგილის დაჭერა შეუძლია. ინგლისს-სპარსეთის კომპანიის გამოანგარიშებით, სპარსეთის ნავთის განსაკუთრებული სიმდიდრე იძლევა უფლებას ვიფიქროთ, რომ ქარხნების საკმაო მოწყობით ნავთის გასაწმენდათ და ტრანსპორტის შესაფერისი ორგანიზაციით სპარსეთის ნავთის მრეწველობას შეუძლია მოგვცეს ისეთი შედეგი, რომელიც ბევრით არ ჩამორჩება ამერიკის მრეწველობას. (იხ. სულთან-ზადე „ბრძოლა სპარსეთის ნავთისათვის" გვ. 58).

ამ მიმოხილვიდან ნათლად დაინახავს მკითხველი თუ რამდენად გადაჯაჭულია ინგლისის ინტერესები სპარსეთის ნავთის წარმოებაზე: ეკონომიურად ინგლისი შეიჭრა სპარსეთში და გაბატონდა იქ. ახლა მთელი მისი ცდა იქით არის მიმართული, რომ თავისი მტკიცე პოლიტიკური ბატონობაც დაიწესოს იქ და ამგვარად სპარსეთი გადააქციოს სრულს თავის მორჩილად. ლორდ კერზონის ამ პოლიტიკას, რომელიც გარკვევით გამოიხატა 1919 წ. დადებულ ხელშეკრულებაში სპარსეთის მთავრობასთან, წინ აღუდგა სპარსეთის პროგრესიული ელემენტები და უარყო თავისი სამშობლოს ინგლისის კოლონიათ გადაქცევა. ინგლისის პოლიტიკა სპარსეთში „ტიპიკში" მოექცა და მხარე, ანარქიისა და შინაურ აჯეულობის მორევში ჩაეფლო. 1921 წელში ლორდთა პალატაში კერზონი იძულებული შეიქნა განეცხადებინა: „სპარსეთის მთავრობამ სრულიად დამშვიდებით უარყო შემთხვევა განემტკიცება თავისი ბედი დიდი ბრიტანეთის დახმარებით და ემზადებია მოიპოვოს განწყობილება და ყურადღება საბჭოთა რუსეთისა". კერზონი დაასკვნის, რომ ის ვერ ხედავს შესაძლებლობას დღევანდელ პირობებში გაგრძელებულ იქნეს ამ მიმართულებით მუშაობა. ინგლის-სპარსეთის ხელშეკრულება ჩაიშალა, რადგან მან გამოიწვია დიდი ნაციონალური აღშფოთება ხალხისა ინგლისის პოლიტიკის წინააღმდეგ. მიუ-

ხედავთ იმისა, რომ მეჯლისის დიდი უბედურობა შესდგებო-
და აშკარა ინგლოფილებისაგან, მაინც ვერავინ ვერ გაბედა
სიტყვის დაძვრა ხელშეკრულების დასაცავად. სპარსულმ,
პრესამ ასტეხა შეტად სასტიკი კომპანია ინგლისის მეთოდე-
ბის წინააღმდეგ. თავის მხრით ეკონომიურად სპარსეთი მი-
იწევდა საბ. რუსეთისაკენ. ყველა ამ ფაქტებმა დაარწმუნეს
ინგლისის მთავრობა, რომ ძველი გზით სვლა,—ცენტრალურ
მთავრობის გამაგრება სპარსეთში,—ბოლოს და ბოლოს ინგ-
ლისის პოლიტიკის საწინააღმდეგო შედეგებს იძლეოდა. ინგ-
ლისმა გვერდი აუარა ძველ პოლიტიკას და მხარი დაუჭირ,
ცენტრალურ მთავრობის დამრღვეველ ელემენტებს: გაახანგრძ-
ლივა ფინანსიური კრიზისი, მოაწყო განაპირა პროვინციებში
აჯანყებები და დიდგა ფეოდალური წყობილების ერ ელემენ-
ტების მხარეზე, რომელნიც ანაწილებდენ სპარსეთს; ეს იყო
პოლიტიკა ახალი ინტრიგებისა და სპარსეთში გამოუვალი
ფინანსიური კრიზისებისა და აჯანყებისა. („ოსტროვ-
-зигзаги“ გვ. 16.)

მაგრამ ინგლისის პოლიტიკა სპარსეთისადმი უფრო გა-
ამწვავა ამერიკის ტრესტის ჩარევამ ნავთის საქმეებში. როგორც
ვიცით, ამერიკა გაცხარებული დაეძებს ნავთის კონცესიებს
მთელ მსოფლიოში. ამერიკისა და ევროპის კონტინენტიდან
ამერიკის მთავრობა და ნავთის ტრესტები აზიის კონტინენტი-
საკენ ვადავიდენ და დაკინებით მოითხოვენ ოსმალეთისა და
სპარსეთის ნავთის წილს.

ალმოსავლეთის კონტინენტზედაც ამერიკა არ დაკმაყო-
ფილდა მარტო დიპლომატიური ნოტების გადაგზავნ-გადმოგზავ-
ნით და ფართო ეკონომიური გეგმებით წამოვიდა წინა აზიისა და
სპარსეთის ქვეყნებისაკენ. სპარსეთის მდიდარი ნავთის ტერი-
ტორიაც ვერ ასცდა ამერიკის ეკონომიურ შემოტევას და ერთი
წლის მოლაპარაკების შემდეგ (1921 წ. 22 ნოემბერს) მეჯლი-
სმა დახურულ სხდომაზე ყოველგვარ კამათის გარეშე მიიღო
დადგენილება კონცესიების გაცემის შესახებ ჩრდილოეთ სპარ-
სეთის ოლქებში ამერიკის კომპანიის ხტანდარტ ოილზე. კონ-

ცესია გაცემული არის 50 წლის ვადით; სპარსეთის მთავრობა ღებულობს 12% წმინდა შემოსავლიდან.

ამ კონცესიების წინააღმდეგ საბჭოთა რუსეთის წარმომადგენელმა სპარსეთში როტშტეინმა გადასცა საპროტესტო ნოტა იმ მოტივებით, რომ 1907 წლის ხელშეკრულებით ჩრდილოეთ-სპარსეთის ყველა ნავთიანი ერთეულები ეკუთვნოდა საექსპლოატაციოთ რუსეთის მთავრობას და საბჭოთა მთავრობამ უარი განაცხადა თავის უფლებებზე იმ პირობებით, რომ ისინი არ გადასცემოდა უცხოელებს საექსპლოატაციოთ.

მაგრამ ამერიკის შეჭრამ სპარსეთში განსაკუთრებით დიდი აღშფოთება გამოიწვია ინგლისის სფეროებში. ინგლისმა ფართოდ განავითარა სამხრეთ-სპარსეთის ნავთის წარმოება, დახარჯა დიდძალი კაპიტალი, მოაწყო ქარხნები და ნავთის გადასაქაჩავი მილები და სპარსეთის ნავთის პროდუქტებით ამარაგებს არა მარტო ინდოეთს, არამედ ინგლისსაც. მაგრამ ინგლისი მარტო ამით არ კმაყოფილდებოდა და ფიქრობდა ხელში ჩაეგდო ჩრდილო სპარსეთის ნავთის რაიონებიც: და ასეთ პირობებში ამერიკის ტრესტი შეიჭრა სპარსეთში და მეჯლისს სრული დასტურით მიიღო დიდი კონცესიები. ეს მეტად საგრძნობი მახვილი იყო ინგლისის ინტერესების წინააღმდეგ მოქნეული სპარსეთში.. ინგლისის წარმომადგენელმა თეირანში დაყონებლივ პროტესტი განაცხადა ამ კონცესიების გაცემის გამო და აღნიშნა, სპარსეთის ჩრდილოეთის ნავთიანი რაიონებზე უფლება, რომელიც ეკუთვნოდა წინათ რუსეთს ქვეშევრდომს ხოშტარიას, უკვე გადმოვიდა ინგლისსპარსეთის კომპანიაზეო (იხ. „ბრძოლა სპარსეთის ნავთისათვის" გვ. 61.) ამ კონცესიებთან დაკავშირებულია ჩვენი ცნობილი კაპიტალისტის აკაკი ხოშტარიას სახელი. აღნიშნული კონცესიები 1916 წლიდან ეკუთვნოდა ხოშტარიას. ამიხ. სულთან ზადე შემდეგ ცნობებს გადმოგცემს ამ კონცესიების შესახებ. თანახმად ნარედინ შაჰის განკარგულებისა 1895 წ. ებოძა სპარსეთის მსხვილ მემამულეს უფლება ნავთის ექსპლოატაციისა განსაზღვრულ რაიონებში. 1916 წ.

ამ მემამულემ დაუთმო თავისი უფლება სრულიად უმნიშვნელო ფასებში კონცესიონერ ხოშტარიას. გარდა ამისა, მან მისცა უფლება ხოშტარიას ნავთის ექსპლოატაციისა სხვა რაიონებშიც: ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ დაშინებული ხოშტარია დიდი ხნის განმავლობაში ეძებდა ამ კონცესიების მყიდველს ჰოლანდიაში საფრანგეთში და სხვაგან, მაგრამ უშედეგოთ; ბოლოს იძულებული შეიქმნა თავის უფლება მიეყიდნა „ინგლის-სპარსეთის ნავთის კომპანიისათვის“ 1000 გირ. სტერლინგათ (იქვე 61-2). აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ჩვენი კაპიტალისტი მოქ. აკ. ხოშტარია ასეთ იაფად ჰყიდის მეკლეფელ ინგლისელებზე დაბეჩავებულ სპარსეთის ხალხის ქონებას... ინგლისის მთავარ მიზანს ამის შემდეგ შეადგენდა სპარსეთის მთავრობისაგან ამ კონცესიების უფლების ცნობა. ამიტომ ინგლისის მთავრობამ გეჭრიელი ლუკმის ხელში ჩაგდება სხვა და სხვა ხრიკებით მოინდომა და ქრთამიც გაუშვა მოქმედებაში, მაგრამ მეჯლისმა როგორც სჩანს, ამერიკის კარნახით უარი უთხრა ასეთ კონცესიებზე ინგლისის მთავრობას და არ დაამტკიცა ის. დღეს ამერიკამ დიდი სესხის აღთქმით შესძლო ამავე კონცესიებს მიღება სპარსეთის მეჯლისისაგან. ინგლისის საზოგადოებრივი აზრი შეშფოთდა ამ ახალი საფრთხის გამო, რომელსაც მას უმზადებდა ამერიკის ეკონომიური კავშირი სპარსეთთან.

ინგლისს-ამერიკას შორის უთანხმოებამ აშკარა ხასიათი მიიღო, მაგრამ ის მაინც დიპლომატიური ბრძოლის საგნად ვერ გადაიქცა მათ შორის. წინააღმდეგ, როგორც ირკვევა ბოლოს და ბოლოს ინგლისი იძულებული შეიქნა დათმობის გზას დადგომოდა და ამხანაგურად გაიყვეს სპარსეთის აღნიშნული რაიონი, სამაგიეროთ ინგლისის პრესა და საზოგადოებრივი აზრი ვერ დამშვიდდა. ამ საკითხის შესახებ ხშირად იწერებოდა წერილები შემდეგ თემაზე: ხომ არ არის ეს დასაწყისი ნავთის საერთაშორისო ომისაო.

1921 წ. 24 დეკემბ. სპარსეთის წარმომადგენელმა ლონდონში დაბეჭდა „ოილ ნუუზში“ შემდეგი განცხადება: იმ ხმე-

ბის შესახებ, რომელიც გამოცხადდა გაზეთებში, რომ კონცესია ჩრდილოეთ სპარსეთის ნავთიანი ადგილების – თითქოს წინედ გაცემული იყო ერთ ქართველზე და რომ უკანასკნელმა დაუთმო ეს კონცესია ინგლისის საზოგადოებას ამით ვაცხადებ, რომ კონცესია მაშინ სწორად არ იყო შედგენილი და ის არა კანონიერია. რაც შეეხება იმ კონცესიას, რომელიც ეხლახან იქმნა მოწონებული სპარსეთის მეჯლისის მიერ და გაცემული ამერიკელ სტანდარტ-ოილზე, ის შეიცავს განსაკუთრებულ პარაგრაფს, რომელშიაც ნათქვმია, რომ კონცესიონერს არა აქვს უფლება გადასცეს ეს კონცესია სხვას ან მოიწვიოს სხვა როგორც თანამოზიარე სპარსეთის მეჯლისის განსაკუთრებულ თანხმობის გარეშე. ამ ოფიციალურ განცხადების შესახებ ინგლის-სპარსეთის საზოგადოების თავმჯდომარემ სერ ჩალს გრინვეიმ იმავე ჟურნალში მოაგზავნა ოფიციალური საპასუხო წერილი, რომელშიაც იცავს აღნიშნულ კონცესიების კანონიერებას და ამბობს, რომ სადაო კითხვის გადაწყვეტა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნეს საერთაშორისო არბიტრაჟის საშუალებით. ავტორი აღნიშნავს, რომ 1919 წლამდე ეს კონცესია არ ყოფილა უარყოფილი სპარსეთის მთავრობის მხრივ და სხვა.

ბ. ხოშტარიას მიერ ათას გირვანქა სტერლინგათ გაყიდულმა კონცესიებმა ასეთი მწვავე ურთიერთობა გამოიწვია სპარსეთის მთავრობასა და ნახევრათ სახელმწიფო დაწესებულების შორის. აქ დიპლომატიური ენით არის საუბარი. ტრესტის თავმჯდომარეს პასუხი არსებითად მიმართული არის ამერიკის წინალმდეგ, რომელმაც უკვე გაცემული და კანონიერი კონცესია აიღო, მაგრამ ამ განცხადებაში მოხდენილათ შეპარული არის განხეთქილების დაწყების ცდა ამერიკა-სპარსეთ შორის. არა ოფიციალური ენით, კულისებში, როგორც აღნიშნეთ, ინგლის-ამერიკამ შეთანხმება მოახდინეს ჩრდილოეთ-სპარსეთის ნავთის გადაყოფის შესახებ.

მაგრამ თუ ოფიციალურათ ევროპის ჟურნალის ფურცელზე ინგლისმა ზრდილობიანი პასუხი გასცა სპარსეთის კონ-

სულს. და საერთაშორისო უფლებისა საფუძვლები და ობიტრაჟი მოახმარა თავის დასაცავად; იქ სპარსეთის ჩამორჩენილსა და მიყრუებულს ტერიტორიაზე სულ სხვა გვარი საშუალებები მოიხმარა სპარსეთის მთავრობის წინააღმდეგ.

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ ლორდ-კერზონმა შესცვალა თავის პოლიტიკა სპარსეთისადმი. თანახმად იმ პოლიტიკური გეზისა, რომელიც გამომუშავებული იყო იმავე ლორდის მიერ 1918 წ., ინგლისი ცდილობდა შეექმნა მტკიცე ცენტრალური მთავრობა სპარსეთში. ეხლა ეს პოლიტიკა შეიცვალა და ინგლისი ხელს უწყობს სპარსეთის დასუსტება-დაქსაქსვას და კრიზისების შექმნას. ინგლისის ახალმა წარმომადგენელმა სპარსეთში, სერ პერსი ლორენმა ახალი ნოტით მიმართა სპარსეთის მთავრობას 1921 წ. 16 დეკემბერს, თითქმის ერთი თვის შემდეგ ამერიკასთან დადებულ კონცესიისა, და მოითხოვა მცირე დროის განმავლობაში სპარსეთ ინგლისის ვალების მოწესრიგება. ეგრამ ვალების სია ისეთი ბუღალტერიით იყო შედგენილი, რომ ვერ უძლებდა ვერავითარ კრიტიკას. სპარსეთის მთავრობამ თავის საპასუხო ნოტაში აღნიშნა, რომ ინგლისმა მრავალი ავანსი თავისი პასუხისმგებლობით მისცა კერძო პირებს და ამიტომ სპარსეთის მთავრობა ვერ გაბედავს მისი პასუხისმგელლო. პრესამ გარკვევით გაილაშქრა ინგლისის ასეთი პოლიტიკის წინააღმდეგ და აღნიშნა, რომ ინგლისს სურს ამ გზით აინახლაღროს ის თანხები, რომელიც მან დახარჯა სპარსეთში ინტრიგების მოსაწყობად. „საერთაშორისო ცხოვრების“ მიმოხილველი ამბობს: მოლაპარაკება გაჭიანურდა, და ინგლისელებმა, ჰოითხოვეს ორ ვალების გადახდა და უარი სთქვეს ახალი ავანსების მიცემაზე. ჩაეყენეს სპარსეთის მთავრობა ახალ პერმანენტულ ფინანსიურ კრიზისის მდგომარეობაში. ვამოიყენა რა ფინანსიური კრიზისი, ინგლისის მისიამ წინადადება მისცა სპარსეთის მთავრობას ახალი ხელსახის მიცემის შესახებ, მაგრამ პირობად მოითხოვა **მეჯლისის გარეშე გაცემულ ინგლისის ყველა კონცესიების ცნობა.** მათ შორის კურეტ-თეირანის რკინის გზის

კონცესიის ცნობა, ხამარეთის ნავთზე ინგლისის კომპანიის უფლებისა ალიარება ხოშტარიას ნავთის კონცესიების უფლებისა ჩრდილოეთ სპარსეთში, უზრუნველ-ყოფა სესხისა ხამარეთის ნავთის შემოსავლის, ვალდებულებით არ მიიღონ მონაწილეობა უკანასკნელში სხვა კრედიტორებმა, უარყოფა ამერიკასთან მოლაპარაკებისა სესხის შესახებ და შემცირება სპარსეთის არმიისა ოცდა ათი ათასი კონტინენტით. მაგრამ სპარსეთის მთავრობამ ვერ გაბედა ამ წინადადების შეტანა მეჯლისში, — იმდენათ მიუღებელი იყო ის (იხ. ოსეტროვი: „ЗИГЗАГИ" გვ. 16—17).

როგორც აღვნიშნეთ, ამერიკისათვის ნავთის კონცენსიების მიცემა და ამერიკისგან სპარსეთისათვის სესხის გაცემა ვერ მოინელეს ინგლისის პოლიტიკოსებმა, რადგან ამერიკის კაპიტალის შეჭრა სპარსეთში მეტად ცუდ პერსპექტივებს უმზადებს ინგლისს მომავალში. უკანასკნელ ხანებში ინგლისის მისია თეირანში ენერგიულ მუშაობას აწარმოებდა ნავთის კონცესიების ინგლისის სასარგებლოთ გადასაწყვეტათ და ამ მიზნით ყოველგვარ ინტრიგებსა და საშვალებებს მიმართავდა.

ინგლისის დიპლომატიური კორპუსი თავდავიწყებით ცდილობდა 1922 წელში ხელი შეეშალა სპარსეთისათვის ამერიკისაგან სესხის მიღებაში. ამ ნიადაგზე დიპლომატიური ინტრიგებიც მოაწყო, რომელშაც ძლიერ დასცა ინგლისის გავლენა საზოგადოების თვალში. ეს ინტრიგები გამოწვეული იყო სპარსეთის მთავრობისა და სტანდარტ-ოილის წარმომადგენლების მიზნით, რომ ამით ორ სახელმწიფოთა შორის გაუგებრობა შეექმნა და განედევნა ამერიკა სპარსეთიდან. მაგრამ ასეთი დიპლომატიური ინტრიგები ინგლისისათვის სკანდალით გათავდა.

ინგლისის მთავრობა ნარტო ფინანსიური კრიზისების შექმნითა და დიპლომატიური ხრიკების მეთოდით არ ცდილობდა სპარსეთის დამონებას. **აჯანყებები და უწესრიგობა შეიქმნა ის მთავარი ფაქტორები, რომლითაც ხერხებდენ ინგლისის აგენტები სპარსეთის ცენტრალურ მთავრობის დასუსტებას:** როგორც ოსმალეთში, ისე სპარსეთშიაც ინგლი-

სის აგენტები იცავენ დამოუკიდებელი ქურთისტანის პროგრამას, და ამ ქურთებს უპირისპირებენ ცენტრალურ მთავრობას. მაგრამ ინგლისის პოლიტიკის ყველაზე უფრო მძლავრი გამტარებელი სპარსეთში ჰრიან **ბახტიარები**. ბახტრია წარმოადგენს ინგლისელებისათვის ბარიერს, რომელიც ფარავს მათ ნავთის რაიონებს თეირანის მთავრობის ცდებისაგან, დააყენოს ეს რაიონები თავის გავლენის ქვეშ. თვით ბახტიარების ხანები, რომელნიც ღებულობენ სპარსეთის ნავთის კომპანიისაგან მსხვილ თანხებს წარმოებისა და ნავთის გარეშე ძალებისაგან დაცვის საქმეში და აგრეთვე 3%-ს კომპანიის შემოსავლისგან, ეკონომიურად დაინტერესებულნ არიან ინგლისის წარმოების გაფართოებაში. ასეთი დამოკიდებულების გამო, ინგლისელებს არ დახარჯვიათ დიდი შრომა მიეჭცია ბახტიარების ყურადღება ჩრდილოეთიდან დაძრულ საფრთხისაკენ და ამ რიგათ შეექმნათ ბახტიარების ავანგარდი ცენტრალურ მთავრობის წინააღმდეგ. შეეშინდა რა ბახტიარებს თეირანის (ცენტრალურ) მთავრობის ზრდისა, მათ ინგლისელების დახმარებით მობილიზაცია მოახდინეს თავიანთი ძალების. ეს მობილიზაცია განსაკუთრებით გამოიხატა „ბახტიარეთის ვარსკვლავის" პარტიის ორგანიზაციაში, რომელიც წარმოადგენს ბახტიარეთის ნაციონალურ თავდაცვისა და გაერთიანების ძალას. ინგლისელების დახმარებით, ინგლისელები დიდ მნიშვნელობას აძლევენ ბახტიარების სამხედრო მომზადებას და დააწესეს იარაღების ტრანსპორტი ბუშირ-დან ისფაჰანში ბახტიარებს შესაიარაღებლათ. ინგლისელებმა 1922 წელს ბრიტანეთის პარლამენტის მდივნის-სეარტას დახმარებით შეკრეს მტკიცე კავშირი ბახტრიასთან, რომელიც სიგრძნობ ძალას წარმოადგენს ინგლისელების ხელში და ხდის მათ საშუალებას სპარსეთის რეალურ პატრონათ. ამ ხელშეკრულების შემდეგ ბახტიარებმა მიიღეს ინგლისელებისაგან 10 ზარბაზანი, ნაბ ათასი თოფი, 5 მილიონი ტყვია და მნიშვნელოვანი თანხა ავანსის სახით სპარსეთის ნავთის დაცვაში, აი ამ ძალებს უპირისპირებს ინგლისი სპარსეთის ცენტრალურ მთავრობას და ქმნის მისთვის გამოლეალ

მდგომარეობაზ. 1922 წელს ივლისს—აგვისტოს თვეებში ცენ-ტრალურ მთავრობას შეიარაღებული შეტაკება მოუხდა ბახტიარებთან. თეირანის მთავრობამ გაგზავნა ჯარი შუსტერში ინგლისელების ნავთის წარმოების ცენტრში, სადაც მთავრობას არასოდეს ან ყოლია ჯარი და სადაც სამხრეთის ნავთის კომპანია ვასალურ ტომების დახმარებით იყო ფაქტიური დიკტატორი. ბახტიარებმა ინგლისელების ეარნახით ორას კაცზე მეტი ამოწყვიტეს, რამაც მეტად დიდი აღშფოთება და აღელვება გამოიწვია სპარსეთის საზოგადოებაში.

პრესამ ხაზგასმით აღნიშნა ინგლისის ინტრიგები სპარსეთში, და ის მიზნები, რომელსაც ისახავს ინგლისის კაპიტალი ჩამორჩენილ სპარსეთის ერის მიმართ. ოპოზიციონურ პრესის ტონმა და აგიტაციამ უმწვავესს ხარისხს მიაღწია. ინგლისის მისიამ 23 აგვისტოს საგარეო საქმეთა მინისტრს მოსთხოვა პრესის ასეთი თავდასხმა ინგლისზე შეეჩერებიათ. მთავრობამ დაუყენებლივ დახურა თეირანის ყველა ოპოზიციონური გაზეთები. *)

აგრამ ინგლისელები მარტო ბახტიარებით არ კმაყოფილდებიან და ამ ბოლო ხანებში **კამკაიცის ტომთანაც** გააბეს ისეთივე სახის ურთიერთობა, როგორც აქვთ ბახტიარებთან. ინგლისელები მატერიალურად პირდებიან ამ ტომს დიდ დახმარებას ნავთის წყაროების დაცვის საქმეში და ამ—გვარად სეპერატიული მოლაპარაკებით სამხრეთის ნავთის კომპანია ინგლისის წარმომადგენელთ ერთად ჰქმნის რეალურ ძალას სპარსეთის ცენტრალურ მთავრობის წინააღმდეგ.

ამგვარად ჩვენ ვხედავთ, რომ ინგლისის დღევანდელი პოლიტიკა სპარსეთში აშკარა ავაზაკურ ხასიათს ატარებს და ქვეყნის დაქსაქსვასა და დანაწილებას უწყობს ხელს. ინგლისს სურს ბოლიტიკურად და ეკონომიურად თავისი ბატონობის სფეროთ გადააქციოს სპარსეთი. მისი ეკონომიური ინტერესი განსაკუთრებით გამოიხატება ნავთის რაიონების მიღებასა და

*) იხ. „Новый Востокъ“ № 2. წერილ: „Новое покушеніе“ прессы“ გვ. 622—9.

მისი რქ' პლატაციაში. ამ მიზნის მიღწევისათვის ინგლისი არ ზოგავს არც დიპლომატიური ხრიკებს, ფინანსიური კრიზისების შექმნას და აჯანყებების მოწყობას სპარსეთში. ყოველგვარი საშუალება პისთვის მისაღები შეიქმნა, რომ როგორმე მიაღწიოს თავის მიზანსა და ნავთის წყაროები უზრუნველყოს ყოველგვარ საფრთხისაგან.

ჩვენ განგებ შევაჩერეთ ასე ვრცლათ მკითხველის ყურადღება ინგლისის პოლიტიკაზე სპარსეთში. მოყვანილი ფაქტები ნათელსყოფენ საზოგადოთ იმპერიალისტურ პოლიტიკის შინაარს ჩამორჩენილ ქვეყნებში, სულ ერთია დამოუკიდებელი იქნება ეს ქვეყანა, თუ კოლონიალური; მეორეს მხრით სპარსეთის დღევანდელი მდგომარეობა ნათელ სურათს იძლევა იმის შესახებ, თუ როგორი მომავალი მოელოდა ჩვენს ქვეყანას ამიერ-კავკასიაში ანტანტის ძალების გამარჯვებით. ჩვენში იყვენ პოლიტიკოსები, — ესლა ისინი პარიზის ქუჩებს ამშვენებენ, რომელნიც ამტკიცებენ ანტანტის ძალების აუცილებელ საჭიროებას ჩვენი ქვეყნის აღორძინებისათვის. თუ როგორი დარა გზით ააღორძინებდენ ევროპის იმპერიალისტური სახელმწიფოები ჩვენს სამშობლოს, ამის ტიპიურ ისტორიულ ფაქტებს იძლევა სპარსეთის მაგალითი. საკმარისია ზერელეთ მაინც გავაანალიზოთ სპარსეთის ფაქტები და ინგლისის პოლიტიკის შედეგები. რომ ზიზღით უარყოთ ანტანტის ორიენტაცია და ეროვნული ჩვენი შეგნებით დასდგეთ იმ დროშის ქვეშ, რომელსაც ეხსახურება კომუნისტური ინტერნაციონალი.

სპარსეთი მდიდარია ეკონომიური დოვლათითა და ბუნებრივი ძალებით. დაუშრეტელია ნავთის წყაროები, რომელიც უდიდეს ეკონომიურ ფაქტორს წარმოადგენს; მიუხედავათ ამისა, სპარსეთის ეს ბუნებრივი დოვლათი ინგლისის პოლიტიკის წყალობით მისი ყვლეფის, დაჩაგვრის, დაპონებისა და სიღატაკის ფაქტორათ გადაიქცა.

ამაზე უფრო უკეთესს სურათს ჩვენ ვერ ვნახავთ იმპერიალისტურ ევროპის პოლიტიკის გასაცნობად.

თავი მეოთხე.

ნავთის საკითხი და დიპლომატია.

1. ვერსალიდან გენუამდე.

1919—1920 წ. დაიწყო ნავთის დიპლომატია, ნავთის იმპერიალიზმი გაცხოველდა, ნავთის პოლიტიკამ საერთაშორისო საკითხების ყოველ სფეროში ამოყო თავი. მთელ რიგ საერთაშორისო კონფერენციებზე სხვა საკითხებთან ერთად ნავთის საკითხიც ისმის პირველ რიგში სხვადასხვა სახით. წინათაც ერეოდენ იმპერიალისტური სახელმწიფოები ნავთის განაწილების საქმეში; როგორც აღნიშნული გვქონდა, ომის წინა თვეებში ინგლისსა და გერმანეთს შორის მოხდა დიპლომატიური საშვალებებით ოსმალეთის ნავთიანი ტერიტორიების გადაყოფა. 1916 წელში ფარული ხელშეკრულებით იგივე ნავთის ტერიტორიები გადაიყვეს ინგლისმა და საფრანგეთმა. 1918 წელში გერმანეთის წინააღმდეგ გაცხოველებული შეტევის მზადების წინ კლემანსომ ცნობილი ნოტით მიმართა ვუდრო ვილსონს ნავთის დათმობის შესახებ; მაგრამ ყოველივე ეს მხოლოდ მნიშვნელოვანი შტრიხებია ნავთის დიპლომატიის ისტორიაში. საერთაშორისო დიპლომატიის არსებით ფაქტორად ნავთი გადაიქცა 1919—1920 წლებიდან. ნავთის საკითხს ვერ ასცდა ვერსალის კონფერენციაც კონფერენციის კულისებს უკან ინგლისისა და საფრანგეთის ნავთის ტრესტების წარმომადგენლებმა აშკარა ვაჭრობა გამართეს ნავთის საკითხების გარშემო. ამ ვაჭრობამ ჩაითრია თვით დიპლომატები და ნავთის საკითხი სხვა კითხ-

ვებს დაუკავშირდა კონფერენციაზე *). 1920 წელს ინგლისმა მოინდომა, 1916 წ. საფრანგეთთან დადებულ ხელშეკრულების ფარულად დარღვევა და ოსმალეთის ნავთის ხელახალი გადანაწილება. 1920 წლის ივლისის 24 მოხდა სან-რემოში კონფერენცია, რომელიც ფაქტიურად გამოხატავდა ინგლის-საფრანგეთის ბრძოლას ოსმალეთის ნავთის შესახებ. ამ საკითხის გამო ჯიუტმა ლოიდ-ჯორჯმა დასცა კლემანსოს მთავრობა და მილერანი აიძულა ახალი პირობებისათვის მოეწერა ხელი. სან რემოს ხელშეკრულების პირველი პუნქტი გარკვევით ამბობს: „დადებული ხელშეკრულება დაყრდნობილია ძმურ თანამშრომლობის პრინციპსა და ურთიერთ დახმარებაზე ყველა იმ ქვეყნებში, სადაც შესაძლებელია ერთმანეთს შეხვდენ ორივე ერის ინტერესები ნავთის ექსპლოატაციის დროს. ამ მემორანდუმს ზედველობაში აქვს შემდეგი სახელმწიფოები და ქვეყნები: რუმინეთი, მცირე აზია, ყოფილი რუსეთის ტერიტორია, გალიცია, საფრანგეთისა და ბრიტანეთის კოლონიები".

ამ წლიდან ნავთი მუდმივად შეიპრა საერთაშორისო პოლიტიკაში და სხვა მნიშვნელოვან პრობლემებთან ერთად საპატიო ადგილი მოიპოვა.

ფრანსი დელეზი იხილავს რა ერცლათ ინგლისს-ამერიკის ურთერთობას ნავთის საქმეში, დაასკვნის: „ამის შეშდეგ საუბარი აღარ ეხება საზოგადოებათა შორის უბრალო კონკურენციას **რუქაზე წამოყენებულია ბატონობის საკითხი იმ პროდუქტებზე, რომლის ზედმეტ რაოდენობასაც ნაკლებლობის შეუძლია გამოიწვიოს იხედაც შერყეული საერთაშორისო სწორწონაობის დარღვევა.** ყოველი მოქმედი მთავრობა შზათ არის გაუშვას მოძრაობაში მათ განკარგულებაში არსებული ყველა ეკონომიური და სამხედრო რესურსები, ოღონდ დაიპყროს ან შეინარჩუნოს ეს პროდუქტი (ნავთი). მათ ბრძოლაში მეორე რანგის სახელმწიფონი მოხდენ, რო-

*) ამის შესახებ იხ. ბეკერის ზემოდ დასახელებული წიგნი — გვ. 102—110.

ბოლოც გრდემლსა და რკინას შორის, შეუჩერებელ ძალდატანებისა და დამუქრების საშუალებით. ერთი მათგანი აიძულებს მეორე რანგის სახელმწიფოს დაადგეს დახურული კარების პოლიტიკას, მეორე კი მოითხოვს.—გაიღოს კარები. ნავთის საკითხი დიპლომატიური მოკიმშპეობის საშიშ ხტ-დიაში შევიდა, რომელშიაც ყოველი სახელმწიფო იძულებული იქნება მონაწილეობა მიიღოს. (იქვე 34). როგორც ევროპით სან-რემოს, ვაშინგტონის, ბენუას, ჰაგას და ლოზანას კონფერენციებზე ნავთის საკითხი დიდ როლს თამაშობდა და ამ პოლიტიკურ შეჯახებებში თავი ისახელა ნავთის დიპლომატიამ.

ჩვენ უკვე დავინახეთ ინგლისის ნავთის პოლიტიკის ძირწევანი და ის საფრთხე, რომელსაც უმზადებდა ინგლისი ამერიკას ნავთის საკითხში. ვერსალის საზავო პირობებმა და გერმანეთის იმპერიალიზმის დამარცხებამ უდიდესი გამარჯვება მიანიჭა ინგლისს ევროპასაა და მის გარშემო არსებულ აფრიკასა და ახლო აღმოსავლეთის ტერიტორიებზე. ვერსალის, სევრისა და სან-რემოს კონფერენციების დადგენილებით, ინგლისმა ფორმალურად მაღლწია თავის მიზნებს და ნავთიანი რაიონები თავის გავლენის ქვეშ მოაქცია. მისი მდგომარეობა ახლა არსებითად შეიცვალა და ინგლისის პუბლიცისტები და პოლიტიკოსები თავდაცვიდან თავდასხმაზე გადავიდნენ და ამერიკას დაემუქრენ. 1923 წელში დიდი ბრიტანეთის კანტროლის ქვეშ იყო ყველა ცნობილ ნავთის წყაროების არა უმეტესი 2 ნახევარი პროცენტისა, ომის შემდეგ ინგლისის მონაწილეობა (საკითხი შეეხება ნავთის მარაგს მიწაში) მსოფლიო ნავთის სიმდიდრეში უდრის დაახლოვებით 75%-ს *) ინგლისის ზემოაღნიშნულ გამარჯვებებს ზედ დაერთო სან-რემოს კონფერენცია (1920 წელი 19-26 აპრილი), ინგლისმა დიდ გამარჯვებას მიაღწია მესოპოტამიის ნავთის ხელში ჩაგდებით. ამ ფარულმა ხელშეკრულებამ მეტად დიდ სასოწარკვეთილე-

*) იხ. Р. Борзин „Мировая борьба за нефть" გვ. 102.

ბაში ჩააგდო ამერიკის პოლიტიკოსები. ამერიკელი მწერალი **დავით ვიტე** ამ ხელშეკრულების შესახებ სწერდა: „ძნელი არის წარმოვიდგინოთ აქტი მომართული ჩვენი ინტერესების საწინააღმდეგოო, ვინემ არის ფარული შეთანხმება მოკავშირეების სან-რემოში“.

უცხო ქვეყნების ნავთის წყაროების ძებნაში ამერიკა მეტად დიდი გასაპირის წინაშე დადგა. მაისის 17, 1920 წელს ვილსონმა გარკვეული გეგმა წარმოადგინა იმ პოლიტიკისა, რომელსაც აწარმოებდა ინგლისი ნავთის საქმეში და რომელმაც დიდი შედეგები მისცა დიდ ბრიტანეთს. ამ რკალის გარღვევის მიზნით ამერიკამ წამოაყენა საგარეო საქმეში თავისი ღია კარების პოლიტიკა.

ჯერ სხვა და სხვა დაინტერესებულ ორგანიზაციებისა და ავტორიტეტულ პირების სახელით და მერე კი თვით მთავრობის დიპლომატიური ნოტით მან გარკვევით წამოაყენა „ღია კარების პოლიტიკა“ ნავთის საქმეში. პირველ ხანებში ბრძოლა ნავთის საგარეო ბაზრებისათვის დაიწყეს დაინტერესებულმა ორგანიზაციებმა და თვით მთავრობა კი რამოდენიმეთ გვერდზე იდგა და არ სჩანდა ასეთ ურთიერთობაში, ამით ამერიკელებს სურდათ ინგლისის მთავრობაც ჩამოეშორებინათ ნავთის საკითხიმ და თავისუფალი კონკურენცია დაეშვათ მხოლოდ ნავთის ტრესტებისათვის.

1920 წელში ივნისის 29 საერთაშორისო ვაჭრობის პალატის წინაშე ამერიკის მთავრობის კარნახით „ღია კარების პოლიტიკით“ გამოვიდა ნავთის საკითხში ამერიკის ნავთის ინსტიტუტის პრეზიდენტი **ტომას ო-დონელი**, რომელმაც თავის სიტყვაში ზრდილობიანი ფორმით დაიცვა ეს პრინციპი. ორატორი ამბობდა.

„მთავრობები არ უნდა შედიოდენ საქმიან კომბინაციებში თავიანთ ან სხვა სახელმწიფოს მოქალაქეებთან სხვა და სხვა პრივილეგიების მიწოდებით ნავთის საქმეში. **სახელმწიფოს ასეთი მონაწილეობა ამ კომბინაციებში არ არის სასარგებლო მშვიდობიანობისათვის მომავალში**; მას შეუ-

ძლია შეიტანოს, მხოლოდ ბოროტი ნებისყოფის ელემენტი, კომერციული კონკურენცია და გაართულოს ისედაც გართულებული საერთაშორისო დიპლომატიის მნიშვნელოვანი პრობლემები".

მაგრამ, როგორც ვიცით, საერთაშორისო პოლიტიკაში ასე ძლიერად არ მოქმედობს მორალური პრინციპები, აქ უფრო გაბატონებული არის ჩარჩობა და მოგების ინტერესი. მოგერიებითი—მორიდებითი ტონიდან ამერიკის პოლიტიკოსები უფრო ენერგიულ ტონზე გადავიდენ და თავდაცვიდან—თავდასხმის პოლიტიკა წამოაყენეს. ოდონელის სიტყვას წარმოთქვის მეორე დღესვე ყოფილმა შინაგან საქმეების სტატ-სეკრეტარმა **ფრანკლინ ლეიგმა** შემდეგი საგულისხმიერო სიტყვა წარმოსთქვა:

„ამ პოლიტიკამ დაუბადა ამერიკელებს შიში, რომ ინგლისი მოქმედებს რა ამგვარი სახით, მიისწრაფის შეაფერხოს შეერთებული შტატის ფლოტის განვითარება. მაგრამ **ხომ მივუცემართ ასეთი წესი მოქმედებისა, ომისა თუ ზავისაკენ?** განა დასაშვებია ის, რომ ინგლისი—არა ბრიტანეთის კაპიტალისტები,—არამედ სახელმწიფო და თვით დიდი ბრიტანეთის მთავრობა იპყრობს ამდენათ მნიშვნელოვან ბაზარსა და დანარჩენ მსოფლიოს მიერეკება იქედან? განა ცხადი არ უნდა იყოს ის, რომ თუ თვით სახელმწიფოები, როგორც პოლიტიკური ერთეულები, თავიანთ მთავრობების სახით ჩაერევიან ეკონომიურ კონკურენციაში და გადაიქცევიან სავაჭრო სახლათ ან საერეწველო დაწესებულებათ, უკვე შეუძლებელი შეიქმნება შერბილება კონფლიქტებისა"?

მაგრამ კერძო ავტორიტეტიულ პირების განცხადებით და პროტესტებით ამერიკის პოლიტიკოსები არ დაკმაყოფილდენ და თვით მთავრობა ვამოვიდა ენერგიული ნოტით ნაეთის საკითხში. სან-რემოში დადებულ ხელშეკრულების შესახებ ამერიკის გარეშე საქმეთა სტატ-სეკრეტარმა **კოლბიმ** მიმართა ამერიკის მთავრობის სახელით 1920 წელს 27 ნოემბერს ნოტით ინგლისის მთავრობას და პროტესტი განაცხადა მის მი-

ერ მესოპოტამიის ნავთზე მონოპოლიის გამოცხადების ვამო. ამერიკამ მოითხოვა „ვაკროპისა და მრეწველობის თანასწორი და ერთნაირი უფლებები ყველა იმ ტერიტორიებში, რომელნიც მოხვდენ ანა თუ იმ სახელმწიფოთა ძალა-უფლებაში ომის წყალობით. **შეერთებული შტატები, რომელიც დაეხმარა გამარჯვებაში მოკავშირეებს, არავის ნებას არ მისცემს უარყონ ამერიკის ინტერესები ომისგან გამომდინარე საკითხებში“.** ამ ნოტით ამერიკა პირველად გამოვიდა დეკონსტრატიულათ ნავთის საერთაშორისო დიპლომატიაში და კატეგორიულად წამოაყენა თავისი ღია კარების პოლიტიკა. ინგლისმა ამ ნოტაზე განმარტებით უპასუხა და მიუთითა 1914 წელში დადებულ ხელშეკრულებაზე, რომლის ძალითაც გადაყოფილი იყო მესოპოტამიის ნავთი ინგლისსა, გერმანეთსა და ოსმალეთს შორის. ამერიკის მთავრობა ამ ისტორიულ ექსკურსიაზე აგებულმა ნოტამ ვერ დააკმაყოფილა და ამერიკის სენატმა გადასწყვიტა რეპრესიული ზომების მიღება, თუ ინგლისი არ შეცვლიდა თავის პოლიტიკას ამერიკის მიმართ. ამგვარად დამოკიდებულება ინგლის-ამერიკას შორის ნავთის საკითხის გამო ძლიერ გამწვავდა. ამ გაწვავებას ხელი შეუწყო მოსულის ნავთის საკითხმაც.

ნავთის დიპლომატიის ისტორიაში აუცილებლათ აღნიშნება ვაშინგტონის კონფერენცია და იმ ბრძოლის ხასიათი, რომელიც გაიმართა იქ ამ სიტხის გარშემო. კონფერენციის წინა დღეებში ყველა ქვეყნის ბურჟუაზიული ორგანოები ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ ქვანახშირისა და ნავთის პრობლემები ხელმძღვანელ ფაქტორების როლში გამოვლენ ვაშინგტონის კონფერენციაზე სახელმწიფოთა პოლიტიკაშია. საფრანგეთის ცნობილი კომუნისტი **ამხ. კაშენი** ვაშინგტონის კონფერენციის პროცესში „ლუმანიტეს“ ფურცლებზე თავის წერილში „დიპლომატია და ნავთი“ სწერდა, რომ მთელი ვაშინგტონის კონფერენცია არის სხვა არაფერი თუ არა ბრძოლა მსხვილ კაპიტალისტებისა ნავთის განაწილებისათვის.

რაში გამოიხატა ნავთის საკითხი ვაშინგტონის კონფე-

რენციაზე? ამ კონფერენციაზე დასმული იყო ორი ძირითადი საკითხი: 1) საკითხი შეიარაღებულ საზღვაო ძალების შემცირებისა და 2) წყნარ ოკეანეს პრობლემა.

პირველი საკითხის განმარტების დროს საქმე ეხებოდა ნავთის მოხმარას სამხედრო გემებზე; უკეთ, ის სახელმწიფონი, რომელთაც ნავთი ცოტა ჰქონდათ და ეხლაც მის სიმცირეს განიცდიან, აყენებდენ პროგრამას შეემცირებინათ ის გემები, რომელიც ნავთის სათბობს ხმარობდა, ისინი კი ვინც ამ სითხით მდიდარნი არიან ამის საწინააღმდეგო გეგმებს აყენებდენ. როცორც ვიცით ნავთი შედარებით ქვანახშირთან მეტად სასარგებლოა როგორც სათბობი ეფექტის მომცემი მასალა. ამიტომ ნათელი შეიქმნა, რომ ნავთის გარეშე ყველაზე უფრო ძლიერი ფლოტიც (წყალ-ქვეშა, წყალ-ზედითა და საჰაერო) ვერ ითამაშებდა დიდ როლს და იმ სახელმწიფოს მიეცემოდა უპირატესობა, რომელიც ამ სათბობით მოაწყობდა გემების მამოძრავებელ ძალას. ამით ირღვეოდა საზღვაო შეიარაღებული ძალების პროპორცია. აი, რა მხრივ იყო დაკავშირებული ნავთის საკითხი განიარაღების საკითხთან და საერთოდ ვაშინგტონის კონფერენციასთან.

მეორე საკითხში (წყნარ ოკეანის პრობლემა) მჭიდროდ გადაჯაჭვული არის ერთმანეთზე დიდ სახელმწიფოთა მთელი რიგი ეკონომიური ინტერესებისა, რომელნიც ახალი ომით ემუქრება კაცობრიობას. ამ საკითხთა შორის საპატიო ადგილი უჭირავს ნედლი მასალის საქმეს, მათ შორის კი ნავთის საკითხს. ამ წინააღმდეგობას, უფრო ამწვავებს ამერიკა—იაპონიის ინტერესთა წინააღმდეგობანი, რომელნიც ყოველ დარგში მწვავე ხასიათს ღებულობს. იაპონია ენერგიულათ ემზადება გახდეს დიდი იმპერიალისტური სახელმწიფო შორეულ აღმოსავლეთში და მთელი აღმოსავლეთი თავის გავლენის ქვეშ დააყენოს. მისი საზღვაო ძალები კოლოსალური სიძლიერით იზრდება, მაგრამ იაპონიას არა აქვს ის სითხე, რომელიც მეტათ სასარგებლო არის გემების ამოძრაებისათვის. ამიტომ ის გაკილებით დიდ ენერგიას ხარჯავს და თავიდანვე დიდი ყუ-

რადღება მიაპყრო ციმბირის ნავთის წყაროებს. 1920 წელში იაპონიაში ამოღებული იყო მხოლოდ 175 ათასი ტონი ნავთი.. ეს იმდენად მცირე არის, რომ ვერ აკმაყოფილებს იაპონიის მოთხოვნილებებს. ამ დეფექტის შევსებას იაპონია ცდილობს ნავთის იმპორტითა და მარაგის შექმნით, მაგრამ ეს მარაგი ომის შემთხვევაში ამერიკასთან იაპონიას ეყოფა მხოლოდ 1—1½ წელი, მაშინ როდესაც ყველა გზები ნავთის მისაღებად გადაჭრილ იქნება ამერიკის ფლოტის მიერ. ამიტომ იაპონია ცდილობს მოიმარაგოს ნავთი სხვა საშუალებით. მან მიაპყრო თავისი ყურადღება სახალინს და რუსეთის თვთრ გვარდიელების დახმარებით დაიპყრო ეს კუნძული. 1918 წლიდან იაპონიის ბურჟუაზია შეუდგა სახალინის ნავთის ექსპლოატაციას და ჩადვა ამ დაწესებულებაში დაახლოვებით 50 მილიონ იენამდე. 1921 წელში აქ ამოღებული იყო 100 ათას ტონზე მეტი ნავთი; გააფართოვა აგრეთვე ქვანახშირის ამოღებაც, რომლითაც მდიდარია ეს კუნძული. ყველა ეს გარემოებანი აიძულებენ ამერიკელებს ხელი შეუშალონ იაპონელებს სახალინის დაპყრობაში *)

ამერიკის მთელი ყურადღება იაპონიის იმპერიალიზმის გაფართოებისაკენ იყო მიპყრობილი ვაშინგტონის კონფერენციაზე და ის ყოველგვარი საშუალებით ცდილობდა ხელი შეეშალა ამ ზრდისათვის. სახალინის საკითხი პირდაპირ არ დასმულა კონფერენციაზე, მაგრამ მის გარშემო მაინც საკმაო ინტერესთა დაპირისპირებას ჰქონდა ადგილი. უმთავრესათ ნავთის საკითხმა აიძულა იაპონია დაეჭირა სახალინი: ნავთისავე საკითხი აიძულებს ამერიკას მოითხოვოს მისი გაწმენდა იაპონელებისაგან.

საჭიროა ყურადღება მიექცეს ერთ დიდ გარემოებასაც. ამ ჟამად ბევრს ლაპარაკობენ იაპონიის ორიენტაციის შეცვლისა და საბ. რუსეთთან დაახლოვების შესახებ. ამ მოვლენას

---

*) იხ ზელიკმანის წერილი; „От Вашингтона к Генуе", კრებულში იმავე სათაურით, გვ. 65—7, 1922 წ.

მეტად საინტერესო მიზეზები აქვს. ვაშინგტონის კონფერენციის მუშაობამ გამოაშკარავა ანგლო-საქსონური სახელმწიფოების ბლოკი — ინგლისისა და ამერიკ-ს სახით. ეს გარემოება არც ისე სასარგებლო შეიქმნა იაპონიისათვის, რადგან ინგლისი ამ ბლოკით იძულებული ხდება ხელი აიღოს დროებით იაპ-ნიის ორიენტაციაზე. მეორეს მხრით, როგორც იაპონური გაზ. „ხოცი სიმბუნდი" აღნიშნავს, იაპონიის მთავრობის პოლიტიკა საბ. რუსეთის მიმართ ჩიხში მოემწყვდა — და ვერავითარი რეალური ნაყოფი ვერ მოუტანა იაპონიას... მიუხედავად იმისა, რომ ამერიკის მთავრობა ასე ადვილად არ თანხმდება საბჭოთა მთავრობის ცნობას, ამერიკელები მაინც იჭერებიან რუსეთის ტერიტორიის საზღვრებში და გაფაციცებით ცდილობენ კონცესიების მიღებას. *)

სინკლერის კონცესიის გაცემით იაპონიის საოკუპაციო პოლიტიკამ აშკარა დამარცხება განიცადა. ვაშინგტონის კონფერენციამ მას ჩამოაცილა პოლიტიკური მოკავშირე, ხოლო საბ. რუსეთთან მტრულმა დამოკიდებულებამ ეკონომიური ცხოვრების სასწორი შორეულ აღმოსავლეთში ამერიკისაკენ გადახარა. ამ გარემოებამ გააძლიერა ოპოზიცია იაპონიის მთავრობის წინააღმდეგ და აახმაურა პრესა. 2 თებერვლის მოწინავე წერილში „ტოკიო ასახი" სინკლერის კონცესიის შესახებ სწერდა: „დადგა მომენტი, როდესაც პარლამენტმა უნდა მიაქციოს მთელი თავისი ყურადღება ერთ მეტად მნიშვნელოვან საკითხს. ეს საკითხია ნავთის სიმდიდრის პრობლემა ჩრდ-ლოეთ სახალინზე... შეუძლებელია პლიუსად ჩაეთვალოს იაპონიას ის, რომ ეს კონკესია აღებულია ამერიკის კომპანიის მიერ იმ ტერიტორიაზე, რომელიც იაპონიას უპირავს ხელში. უდავოა, რომ რუსეთს აქვს უფლება ისე მოექცეს მთელ თავის კონცესიებს საკუთარ ტერიტორიაზე, როგორც მას სურს. არსებულ მდგომარეობის გამოსასწორებლად ყველაზე უფრო სწორ გზას წარმოადგენს ცნობა საბ. რუსე-

*) იხ. „Новый Восток" № 8, 1923 წ. — გვ. 492—3.

თისა. საკითხის გადაწყვეტა სამ. რუ ეთის ფორმალურ ცნობის სასარგებლოდ გასწმენდს გზას არა მარტო ჩრდილოეთ სახალინის საკითხის გადასაჭრელად, არამედ ყველა საკითხების, რომელიც სდგას ამ ორი ქვეყნის წინ. შე- *) მეორე გაზეთი - „ნიკი-ნიკა"—8 თებერვლის მოწინავეში სწერდა: „სრულიად მართალი არის ბ ნ ი ოფე, რომ ეკონომიური კონცესიების მიღება შესაძლებელი არის ეკონომიური თანბირებითა და არა სამხედრო ძალის დახმარებით. ამ შემთხვევაში უნდა გამოეტყუდეთ, რომ ამერიკა მისდევს უფრო ფართო პროგრამას, ვინემ იაპონია, რომელიც ხარჯავს დიდძალ თანხებს ექსპედიციებისათვის. იმის ნაცვლად რომ ხელი შეუწყოს კონცესიების მიღებას რუსეთის მხრით, იაპონია სტოვებს თავის ქონებას იმ ადგილებში, საიდანაც ხდება იაპონიის ჯარების ევაკუაცია. სისულელეა დავუტოვოთ რუსებს ის, რაც შექმნილია იაპონელებისაგან და რაზედაც დაიხარჯა დიდძალი თანხა, მაგრამ უფრო ცუდია, უფრო დიდი საფრთხე გვემუქრება იმ შემთხვევაში, თუ ეს ქონება ჩრდილოეთ სახალინზე ჩაუვარდება ხელში მესამე სახელმწიფოს (ამერიკას) ამ რაიონის ბუნებრივ დოვლათთან ერთად" **).

მაგონდება ამხ. ლენინის სიტყვა 1920 წ. ჯენოდგოშის მიწურულებში სახალინისა და კამჩატკის კონცესიების გაცემის შესახებ ამერიკაზე. ამხ. ლენინი ამბობდა: სულ ერთია დღესდღეობით ამ რაიონების დოვლათს ჩვენ ვერ დავამუშავებთ, ამერიკაზე გადაცემით კი შევქმნით ხელსაყრელ პირობებს ჩვენთვის აღმოსავლეთში, დაუპირისპირებთ რა ერთი მეორეს ორ იმპერიალისტურ სახელმწიფოსო. მაშინ ეს პროგნოზი ბევრს არ სჯეროდა, მაგრამ ცხოვრების ვითარებამ საესებით გაამართლა იგი.

ნავთის საკითხმა იაპონიის საზოგადოებრივ წრეების ორიენტაციის შეცვლის საქმეში სხვა ფაქტორებთან ერთად შეტად მნიშვნელოვანი როლი ითამაშა და ფაქტიურად გააუ-

*) იქვე—493.

**) იქვე—191.

ჯობესა საბ. რესპუბლიკების კავშირის მდგომარეობა შორეულ აღმოსავლეთში.

2. გენუას კონფერენცია და რუსეთის ნავთის საკითხი.

ჩვენ მივადექით ნავთის დიპლომატიურ და პოლიტიკურ ბრძოლის ისეთ მომენტს, რომელიც მრავალის მხრით არის საინტერესო და მნიშვნელოვანი. გენუა-ჰაგას კონფერენციები ფორმალურად მოწვეული იყო საბჭოთა რუსეთთან ურთიერთობის დასამყარებლად. ფაქტიურად ეს კონფერენციები გადაიქცა ნავთის „მეფეების“ მიერ რუსეთის ნავთის დაპყრობის ცდათ.

რუსეთის ნავთის გარშემო ორი საზომით წამოიჭრა ბრძოლა: 1) კაპიტალისტების სურვილი და ინტერესი მოითხოვდა რუსეთის ნავთის წყაროების ხელში ჩაგდებას, 2) რუსეთის ნავთის წარმოებაში ევროპის კაპიტალისტებს მრავალი თანხა ქონდა ჩაბანდული და მათი ინტერესი მოითხოვს ამ კაპიტალის უკან დაბრუნებას. როგორც ვიცით, რუსეთის დიდმა რევოლიუციამ ძირიანათ შესცვალა რუსეთში არსებული ეკონომიური ურთიერთობა და ახალ ნიადაგზე მოაწყო ეკონომიური ცხოვრება. წარმოების ნაციონალიზაციამ მოსწყვიტა კაპიტალისტური ელემენტები დოვლათიან სამეურნეო ადგილებს და გადასცა იგი მუშურ-გლეხურ მთავრობას ხალხის ინტერესებისათვის საექსპლოატაციოთ. ამგვარად ოქტომბრის აქტით უცხოელთა კაპიტალისტების უფლებები უარყოფილი იქმნა. დღეს ევროპიელთა მთელი ყურადღება მიქცეული არის ამ უფლების აღდგენისაკენ.

რუსეთი თავისი ნავთის წარმოებით ერთი უმდიდრესი ქვეყანა არ ს. ამერიკის გეოლოგიურ კომიტეტის გამოანგარიშებით, რუსეთის ნავთის მარაგი მიწაში უდრის 6,75 მილიარდ ტონს, ან 52,65 მილიარდ ფუთს. ეს მარაგი ეყოფა რუ-

სეთს 75 წლის განმავლობაში. თუ რამდენათ დაინტერესებულნ იყვენ რუსეთის ნავთის წყაროებით უცხოეთის კაპიტალისტები, ამას მოწმობს ის თანხა უცხოელებისა, რომელიც ჩაბანდული იყო რუსეთის წარმოებაში საერთოდ და კერძოთ ნავთის საქმეში. რ. სახკომფინის გამოცემულ მასალებითა და ოილისის შრომიდან („უცხოელთა კაპიტალი რუსეთში") მტკიცდება, რომ რუსეთის წარმოების სხვადასხვა დარგებში ჩადებული იყო უცხოელთა 2.242.974.100 მანეთი ოქროთი. აქედან ნავთის ამოღებას ხვარდებოდა (ნავთის გადამდნობ ქარხნების გამოკლებით) 253.520.100 მანეთი, ან 11 %; სულ ნავთის საქმეში ჩადებული იყო 257.857.700 მანეთი ან 11,4% უცხოეთის ყველა კაპიტალისა. თუ შევადარებთ ნავთის საქმეში ჩადებულ კაპიტალის რაოდენობას სამთო წარმოებაში ჩადებულ კაპიტალის რაოდენობასთან, ჩვენ დავინახავთ რომ ნავთის საქმეს ამ მხრივ მეორე ადგილი ეჭირა და თანდ თან იზრდებოდა 1910 წლიდან.

ს. ვიშეტრავსკი თავის წიგნში („რუსეთის ნავთის მეურნეობა") გვაძლევს იმის ცნობებს. თუ რომელი წლიდან რამდენი კაპიტალი შემოვიდა რუსეთის ნავთის წარმოებაში უცხოეთიდან. ამ ცნობებით 1901 წლიდან ამ დარგში ჩადებული იყო უცხოელთა 92 მილიონი მან შემდეგი წლები ცვალებადობას განიცდის და დიდ თანხას არ იძლევა. დაწყებული 1909 წლიდან რუსეთის ნავთის წარმოებით სერიოზულათ დაინტერესდა საერთაშორისო ნავთის ტრესტები, რაც გამოიხატა უცხო კაპიტალის აჩქარებული ნაბიჯით შეკრაში რუსეთის ნავთის წარმოებაში.

მეორე საინტერესო საკითხს წარმოადგენს ის, თუ რომელ სახელმწიფოს რამდენი თანხა აქვს ჩადებული რუსეთის ნავთის წარმოებაში; ამას ჩვენ დავინახავთ შემდეგი ცხრილიდან: (1000 მანეთი).

სახელმწიფოები	უცხოელთა საერთო კაპიტალი ნაციონალიზაციამდე	აქედან ნავთის საქმეში	% ნავთის საქმეში
საფრანგეთი	731,747,6	51,415,1	7,02%
ინგლისი	507,479,3	172,799,3	34,05%
გერმანია	441,593,2	14,268,2	3,2%
ბელგია	321,602,5	7,375,1	2,3%
ამერიკა	1,7,750,0	1,200,0	1,01%
ჰოლანდია	36,456,7	10,500,0	28,5%
სულ სხვა სახელმწიფოებთან ერთად	2,242,974,1	257,857,7	—

ვიშეტრავსკის გამოანგარიშებით მთელი კაპიტალი უცხოელებისა რუსეთის ნავთის საქმეში უდრიდა 269.857.700 მან. ამგვარად მეტად დიდი მნიშვნელოვანი თანხა უცხოელებისა იყო მოთავსებული რუსეთის წარმოებაში. ვიშეტრავსკი სწერს: „რუსეთის ნავთის წარმოება მხოლოდ სახელად იწოდებოდა ასეთად; ფაქტიურად კი ის იყო უცხოელების ფინანსიურ და ტექნიკურ კანტროლის ქვეშ“ (იხ. „რუსეთის ნავთის მეურნეობა“ გვ. 82)

თუ ჩვენ მივიღებთ ამ ფაქტებს მხედველობაში, ჩვენთვის ნათელი გახდება ის პოლიტიკური ხაზი, რომელსაც დაადგენ გენუას კონფერენციაზე სხვადასხვა სახელმწიფოები: პოლიტიკის კურს საზღვრავს და არკვევს არა ტკბილი და ოცნებიანი დიპლომატიური ნოტები, არამედ ფაქტიური მდგომარეობა და დიდი ეკონომიური ინტერესები.

ევროპის კაპიტალისტების პროგრამას გენუაში ფორმა-

ლურად შეადგენდა ევროპის ეკონომიური აღდგენა. ეს იყო მთავარი მომენტი, რომლისთვისაც იწვევდენ ამ კონფერენციას. მაგრამ ეს საკითხი შეიცავდა მთელ რიგ საერთაშორისო კითხვებს, რომელთა შორის პირველხარისხოვანი იყო რეპარაციის საკითხი, განიარაღების კითხვა, საბჭოთა რუსეთთან ურთიერთობის დაპერა და ვერსალის პირობების გადასინჯვა. ინგლის-საფრანგეთის ინტერესთა წინააღმდეგობა გენუას კონფერენციის წინა დღეებში იმდენად გამწვავდა და გაფართოვდა, რომ მათ შორის შეუძლებელი შეიქნა გარკვეული პოლიტიკური ხაზის გამონახვა ზემოდ დასახელებულ კითხვების გარშემო. ამ დამოკიდებულების გამწვავებას განსაკუთრებით ხელი შეუწყო საფრანგეთის პოლიტიკამ ახლო აღმოსავლეთში და ანგორასთან დადებულ ხელშეკრულებამ 1921 წელში, რომელიც ინგლისის იმპერიალიზმის გავლენის წინააღმდეგ იყო მიმართული. საფრანგეთის კაპიტალისტები მთელი თავიანთ ენერგიით ცდილობდენ სან-რემოში დადებული ხელშეკრულება გაებათილებინათ და ინგლისი მოსულის ახალ გადაყოფაზე აეძულებინათ.

ამ წინააღმდეგობის შესანელებლად 1922 წელს 4 იანვარს კანაში ინგლისმა მოინდომა შესარიგებელი ხაზის გამონახვა საფრანგეთთან. მან აღუთქვა საფრანგეთს გარანტია გერმანეთის შემოტევისაგან ათი წლის განმავლობაში, მისცა წინადადება შეთანხმებულათ ხელშეკრულების დადებისა რუსეთთან და თავიანთი ინტერესების დასაცავად რუსეთის საკითხში. სამაგიეროთ მოითხოვა საფრანგეთისაგან ახლო აღმოსავლეთში ინგლისის საწინააღმდეგო პოლიტიკის უარყოფა, წყალქვეშა ნავების შეიების შეწყვეტა, რომელშიაც ინგლისი ხედავდა თავის წინააღმდეგ მიმართულ მუქარას და ზომიერი მოთხოვნილების დაპერას გერმანეთის მიმართ. (იხ. კ. რადეკი „საბჭოთა რუსეთის საგარეო პოლიტიკა“ გვ. 86). ბრიანმა ამ პროგრამაზე თავისი თანხმობა განაცხადა, მაგრამ საფრანგეთის ბურჟუაზიამ საწინააღმდეგო გეზი აიღო და ბრიანი თავის პოსტს გამოესალმა. მიუხედავად ამისა ინგლისმა მაინც

შესძლო საფრანგეთის გენუაში ჩაყვანა და ოსმალეთის გამორიცხვა კონფერენციის მონაწილეთა სიიდან.

თავის თავად ასეთს პირობებში გენუას კონფერენციის ფართო პროგრამა შემოიზღუდა მხოლოდ რუსეთის საკითხით. ინგლის-საფრანგეთის შორის არსებულ წინააღმდეგობის გამო რეპარაციისა და განიარაღების საკითხი არ იქმნა დაშვებული კონფერენციის დღის წესრიგში. ანტანტამ შესძლო წინასწარი შეთანხმება ექსპერტების დახმარებით რუსეთთან ურთიერთობის დამყარების საკითხში. რუსეთის ეკონომიური აღდგენა ექსპერტების პროგრამით, რაც იმავ დროს იყო ანტანტის მთავრობათა პროგრამა, უნდა დაწყებულიყო რუსეთის ძველი ვალების აღიარებით, ქარხნების ნაციონალიზაციისაგან განთავისუფლებით და უცხოელ კაპიტალისტებისათვის მიყენებულ ზარალის ანაზღაურებით. უკეთ, **საბჭოთა რუსეთს უნდა აღიდგინა უცხოეთის კაპიტალისტები მათ ძველს უფლებებში.** ანტანტის პოლიტიკოსების ასეთი ხაზი თავის თავად მოითხოვდა რუსეთის საქმეებში მათ ჩარევას. ის, რაც მათ ვერ შესძლეს რუსეთის შიგ. რეაქციის დახმარებით, გენუას კონფერენციაზე აპირებდენ დიპლომატიური ხრიკებითა და ოინებით, მაგრამ რუსეთის რევოლიუციის ბელადებმა კარგათ შეიგნეს ეს და ლორდ ჩესანი შნავი პასუხი გასცეს ევროპის მოძალადეებს; ლოიდ ჯორჯის სიტყვები რომ ვიხმაროთ, ბოლშევიკები განსაკუთრებული ნიჭის ხალხი აღმოჩნდენ და დიდებულათ შეიგნეს საერთაშორისო მდგომარეობა.

ამრიგად გენუას კონფერენციაზე ინგლისი და საფრანგეთი გაერთიანებული პროგრამით წარდგენ და ასე შეიქმნა ერთი მთლიანი ფრონტი კაპიტალისტური ევროპისა საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ, რომელიც პირველად გამოდიოდა დიდ პოლიტიკურ-დიპლომატიურ ბრძოლის სარბიელზე. მიუხედავათ ასეთი წინასწარი შეთანხმებისა საფრანგეთ-ინგლის-ბელგიას შორის, ისინი მაინც ვერ ასცდენ წინააღმდეგობებს და საფრანგეთმა და ბელგიამ ორი მაისის მემორანდუმს არ მოაწერა ხელი. ეს ფაქტიურად უდრიდა ანტანტის დაშლას, რის

შესახებ ასე გაჰკიოდენ მაშინ ევროპის გაზეთები. საფრანგეთისა და ბელგიის მიერ რური მაისის მემორანდუმის უარყოფა გამოწვეული იყო ამერიკის პოლიტიკით, უკეთ ნავთის საკითხით. ამერიკას ფორმალურად არავითარი მონაწილეობა არ მიუღია კონფერენციის ვითარებაში, ფაქტიურად კი მან გადამჭრელი როლი ითამაშა კონფერენციაზე და მისი უშედეგოთ დაშთავრების საქმეში.

ამერიკის უმთავრესი ყურადღება გენუას კონფერენციის დროს მიქცეული იყო ნავთის საკითხისაკენ. სანამ კონფერენციის საქმიანობა სხვა კითხვებისკენ იყო მიპყრობილი ამერიკა არავითარ აქტივობას არ იჩენდა და ჩუმათ იყო. მაგრამ საკმარისი შეიქმნა ნავთის სუნი დატრიალებულიყო კონფერენციაზე, რომ ამერიკის აგენტები აამაურებულიყვენ და კონფერენციის ბედი საეჭვო გაეხადათ. ამს. რადეკი თავის მიმოხილვაში სწერს: „პალაკო დიორიამ, რომელშიაც მოთავსდენ სტანდარტ-ოილის აგენტები ითამაშა გენუას კონფერენციის ისტორიაში უფრო დიდი როლი, ვიდრე ვილა „ალბერტისმა“, რომელშიაც სცხოვრობდა ლოიდ ჯორჯი ან და „ოტელ ასტორიამ“ — ბარტუს დასასვენებელმა ადგილმა“ (იქვე 97).

ამრიგად ნავთის საკითხმა გადამჭრელი როლი ითამაშა გენუას კონფერენციის ვითარების საქმეში. მაგრამ რაში გამოიხატა ნავთის ეს გავლენა და როლი? როგორც ვიცით ინგლისს ამერიკის ბრძოლამ ნავთის საკითხში 1920 წლიდან მეტად მწვავე ხასიათი მიიღო. ეს ურთიერთობა რამოდენიმეთ შენელდა ვაშინგტონის კონფერენციის წინა დღეებში და მის პროცესშიაც იმ მოლაპარაკების გამო, რომელსაც აწარმოებდენ „შელ დოიჩის“ ტრესტი ს სტანდარტ ოილის წარმომადგენელნი. ინგლისის წარმომადგენელის ჯომ კედმანის ცნობით ამ ორ ტრესტთა შორის მიხწეულ იქნა წინასწარი შეთანხმება იმის შესახებ, რომ ინგლისელები მისცემდენ თავიანთ კოლონიებსა და გავლენის რაიონებში ამერიკელებს ნავთის ექსპლოატაციის საშვალებას. მაგრამ ეს წინასწარი შეთანხმება, მხოლოდ ფორმალური აქტი იყო ორ ტრესტთა შორის, რომლის ძალა არც

ერთ მხარეს არ სწამდა და არც მთავრობას დაუდასტურებია. ეს უპრალო შესვენების პერიოდი იყო ნავთის ბრძოლის პროცესში, რომელიც უნდა შეცვლილიყო ახალ შეტაკებებითა და გაცხარებულ ბრძოლებით ნავთის გარშემო, როდესაც ეს საკითხი დაისმებოდა საერთაშორისო პოლიტიკის მორიგ ამოცანათ. გენუას კონფერენციამ მორიგ საკითხად დასვა რუსეთის საკითხი. რუსეთი კი უმდიდრესი ქვეყანა არის ნავთის დოვლათის მხრით. ანტანტის კავშირმა წინასწარი შეთანხმება მოახდინა რუსეთის ეკონომიური აღდგენის შესახებ და ერთ მუხლათ მოითხოვა უცხოელთა საკუთრებისა და უფლებების აღდგენა რუსეთში. როგორც დავინახეთ, რუსეთის ნავთის წყაროების უმეტესი ნაწილი ინგლის-საფრანგეთ-ბელგიის ხელში იყო მოქცეული. აღდგენა მათი უფლებებისა ფაქტიურად ნიშნავდა ამ მდიდარი ნავთის რაიონების ევროპისა და განსაკუთრებით ინგლისის ხელში გადავლას. ფაქტიურად აქ განმეორდებოდა ის, რაც ამერიკას დაემართა ოსმალეთის ნავთის გადაყოფის საქმეში. სან-რემოს ხელშეკრულებით ამერიკა გამორიცხულ იქმნა ინგლისის პოლიტიკის წყალობით ოსმალეთის ნავთის ექსპლოატაციისაგან. აღსანიშნავია ისიც, რომ ინგლის-ამერიკის ტრესტებმა და მთავრობებმა ვერ მიაღწიეს შეთანხმებას რუსეთის ნავთის გადაყოფის საქმეში. ასეთმა მდგომარეობამ ამერიკის პოლიტიკა და მთელი მისი დიპლომატიურ-ფინანსიური აპარატი აამოძრავა ნავთის ინტერესების დასაცავად. ამერიკის ინტერესების დამცველმა — ამერიკის წარმომადგენელმა რომში ჩაილდმა და სტანდარ-ოილის აგენტებმა ფაქტიურად ჩაშალეს გენუას კონფერენცია და რადეკის სიტყვები რომ ვიხმაროთ, ამ დიდ საერთაშორისო დიპლომატიურ ბრძოლის დროს იმ ძალის როლი ითამაშეს, რომელიც თივაზე მოთავსებულა და არავის არ უშვებს, რომ თივით ისარგებლოს.

გენუას კონფერენცია ფაქტიურად გადაიქცა ნავთის აგენტებისა და ნავთის საკითხის კონფერენციათ. ჯერ კიდევ კონფერენციის დასაწყისში ამხ. კაშენი „ლუმანიტეს“ ფურცლებზე აღნი-

შნავდა, რომ გენუას კონფერენცია არსებითად გადაიქცევა ნავთის ბრძოლის საგნათ და გამოსახავს ბაქოს, გროზნასა და ემბას ნავთის წყაროებისათვის ბრძოლას.

ჩვენ დავინახავთ რომ აეს. კაშენის პროგნოზი სავსებით გამართლდა, ნავთის საკითხი მთავარ კითხვად გადაიქცა კონფერენციაზე და რანვე ჩაშალა ეს დიდი დიპლომატიური ვარჯიშობა უშედეგოთ. ინგლისის პოლიტიკოსები თავიდანვე გრძნობდენ იმ როლს, რომელსაც ითამაშებდა ამერიკა თავის გავლენით გენუას კონფერენციაზე. როგორც ვიცით, ამერიკა ულიდესი კრედიტორი არის ანტანტის ქვეყნებისა და ასეთი ფინანსიური დამოკიდებულებით საკმაო გავლენას ახდენს ამა თუ იმ მეთოდით ევროპის სახელმწიფოების პოლიტიკის ვითარებაზე. ამერიკის ასეთი გავლენისა და მისი პოლიტიკის შედეგების მომლოდინე ინგლისი ყოველი ხერხით ცდილობდა თავიდან აეშორებია ეს საფრთხე და ევროპა თავისი კარნახის მიხედვით მიემართა. ამ გარემოების შესამსუბუქებლად ლორდ კერზონმა ამერიკის კაცობრიობაზედაც მოინდომა გავლენის მოხდენა. ამერიკის მთავრობისადმი გაგზავნილ 1922 წლის 21 აპრილის ნოტაში სხვათა შორის ის სწერდა: „დიდი ბრიტანეთი მეერთებულ შტატების შემდეგ მსოფლიოში ყველაზე უფრო დიდი მომხმარებელია ნავთის. ნავთის მაძრზე გადაყვანილია 90% მეტი მისი სამხედრო გემებისა, წინააღმდეგ 45%-სა ომამდე. სავაჭრო ფლოტზედაც ნავთის გამოყენება იზრდება ასეთივე პროპორციით. შინაგანი რესურსები დიდი ბრიტანეთისა ამოიწურება ჭეოლოდ შოტლანდიით, რომელიც იძლევა დაახლოვებით 165 ათას ტონს წელიწადში, მაშინ როდესაც ინგლისმა მხოლოდ 1920 წელში შემოიტანა 3.363.000 ტონი ნავთი. ამავე დროს ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებული შტატები თავის ხელში და თავის ტერიტორიაზე განაგებს ორ მესამედს მთელი მსოფლიოს საერთო ნავთის ამოღებისას“.

ამ ნოტით ლოიდ-ჯორჯი ლმობიერი კილოთი ეუბნებოდა ამერიკას: შენ ისედაც მდიდარი ხარ შენი ნავთის წყა-

როებით, მე კი ვიხრჩობი ნავთის უქონლობით და ამიტომ მომეცი საშუალება რუსეთს პირდაპირ მოველაპარაკოო. ფაქტიურად აღნიშნული ნოტა ნავთის საკითხის მხოლოდ ერთ მხარეს ეხებოდა: **ნავთის ამოღების საქმეს თანამედროვე პირობებში**, რომელშიაც ამერიკას დიდი წილი აქვს, მხოლოდ ინგლისი კი ერთობ ღარიბია, მაგრამ **მიწის სიღრმეში ნავთის მარაგის მხრით ინგლისი ყველაზე** უფრო მდიდარია და მასთანვე დიდი ხნის მარაგი აქვს, მაშინ როდესაც ამერიკა 15-18 წლის შემდეგ ულარიბეს ქვეყნად გადაიქცევა. როგორც დავინახეთ ეს გარემოება საუცხოოდ გამოარკვიეს ამერიკის გეოლოგებმა და ნავთის ტრესტებმა გარკვეული დირექტივები მისცეს ამერიკის მთავრობას ნავთის პოლიტიკის საქმეში. ამ გარემოებამ გამოიწვია ის, რომ ამერიკამ ფაქტიურად დიდი მონაწილეობა მიიღო გენუას კონფერენციის ვითარებაში.

იტალიის შშვენიერ ქალაქს, როგორც ყორნები ისე შეესივნენ დიპლომატიურ კორპუსებთან ერთად ნავთის ტრესტების აგენტებიც. გაზეთ „ინტერნაციონალის" ცნობით ორივე ტრესტებმა — ინგლისის როიალ დეჩმა და ამერიკის სტანდარტ-ოილმა-ფართო ქსელი გააბეს ნავთის საკითხების გარშემო გენუას კონფერენციასთან დაკავშირებით უდიდეს ცენტრებთან. ტრესტებმა მოიყიდეს როგორც მსხვილი, ისე წვრილი პრესა ყოველ ქვეყანაში; აგრეთვე მრავალი წარჩინებული პირი, როგორც პრესა იუწყებოდა. თვით კონფერენციის დიპლომატიურ კორპუსებშიაც ტრესტებს ყავდათ თავიანთი აშკარა წარმომადგენლები.

მაგრამ რაში გამოიხატა ამერიკისა და მისი ნავთის ტრესტის სტანდარტ-ოილის პოლიტიკა გენუას კონფერენციაზე? როგორც ვიცით ამერიკა მხოლოდ მაყურებლის როლში გამოვიდა გენუაში. მოკავშირეთა შეთანხმება და მათი გაერთიანებული ფრონტით გამოსვლა არც ისე სახარბიელო შეიქნა ამერიკისათვის, რადგან აქეს შეეძლო საბჭოთა რუსეთთან ამა თუ იმ სახით შეთანხმების მიღწევა და ნავთის რაიონების ძველი ყოფილი მეპატრონეებისა ტ ევროპის კონცესიონერების ხელში

გადასვლა. ამ გზით ინგლისს შეეძლო ხელში ჩაეგდო დიდი ნაწილი რუსეთის ნავთისა. რომ ეს შეუძლებელი გამხდარიყო, ამერიკამ მიმართა ხრიკსა და შეეცადა თვით მოკავშირეთა შორის ჩამოეგდო უთანხმოება. მოკავშირეთა შორის წინააღმდეგობის ჩამოგდება და მათი პროგრამის სხვა და სხვა გზით მიმართვა ერთი მთავარი საშუალება შეიქმნა ამერიკისათვის. ამ მიზნის მისაღწევად სტანდარტ-ოილმა და ამერიკელებმა გაავრცელეს ცნობა, თითქოს საბჭოთა მთავრობასა და ინგლისის ტრესტის „შელს“ შორის უკვე არსებობდეს შეთანხმება და თითქოს ინგლისზე გადაცემული ყოფილიყოს რუსეთის ნავთის თითქმის მთელი რაიონები. ამ ცნობებმა შეაშფოთა საფრანგეთისა და ბელგიის წარმომადგენლები. მათ ლოიდ ჯორჯის პროგრამაში დაინახეს დიდი საფრთხე ამ სახელმწიფოთა ინტერესებისათვის; ლოიდ ჯორჯის გეგმები მოითხოვდა ძველი საკუთრების დაბრუნების ნაცვლად მხოლოდ ზარალის ანაზღაურებას უცხოელთათვის საბჭოთა მთავრობის მხრით; საფრანგეთ-ბელგიას აფიქრებდათ, რომ ლოიდ ჯორჯს ამ გზით სურდა საფრანგეთ-ბელგიისათვის უარი ეთქვევინებია მათ ყოფილ საკუთრებაზე და უფლებებზე რუსეთში საერთაშორისო კონფერენციაზე თანახმობით, შემდეგ კი თითონ ინგლისს პირდაპირი მოლაპარაკება გაემართა საბჭოთა მთავრობასთან ამ წყაროების ინგლისზე გადაცემის შესახებ კონცესიების სახით. როგორც ასეთი ცნობების გავრცელებით, ისე პირდაპირი მოლაპარაკებით ამერიკამ დიდი გავლენა იქონია საფრანგეთ-ბელგიაზე და უკანასკნელმაც უარი სთქვა მაისის ორის მემორანდუმის ხელის მოწერაზე. ამ გვარად გენუას კონფერენციაზე ნავთის საკითხვა და ამერიკის ფარულმა გამოსვლამ დიდი წინააღმდეგობა დაბადა თვით მოკავშირეთა შორის, რომელშიაც ბევრმა დაინახა ანტანტის დასასრულის დასაწყისი და თვით გენუას კონფერენციაც უშედეგოთ დამთავრდა.

თავის მხრით ამერიკამ ოფიციალურად გარკვევით აგრძნობინა ინგლისს, რომ იგი არას შემთხვევაში არ დასთანხმდება და არ დაადასტურებს რუსეთთან ამგვარი წესით დადებულ

ხელშეკრულებას. მან ენერგიულად გაილაშქრა ინგლისის წინააღმდეგ, რომელსაც სურდა კავკასიის ნავთი თავის მონოპოლიათ გაეხადა და წამოაყენა თავისი ღია კარების პოლიტიკა რუსეთის ნავთის საკითხშიაც. „ტანის“ გადმოცემით, ამერიკის საელჩომ იტალიაში, რომელსაც მეთაურობდა ჩაილდი, თავის ოფიციალურ განცხადებაში გარკვევით წამოაყენა ეს პრინციპი გენუას კონფერენციის პროცესში: **„შეერთებული შტატები არასოდეს არ დათანხმდება, რომ ცხოვრებაში გატარებულ იქმნას რომელიმე პროექტი (ნავთის შესახებ) ეროვნულ ან საერთაშორისო ფარგლებში ისე, რომ არ იქნეს დაცული ღია კარების პრინციპი, რომელიც ყველას თანასწორ-უფლებებს მიანიჭებს“.** ეს უკვე ნიშნავდა იმას, რომ ამერიკა ყოველის გზით შეეცდებოდა თავისი გავლენა მოეხდინა გენუას კონფერენციის მონაწილე სახელმწიფოებზე და არ დაეშვა არავითარი ისეთი შეთანხმება, რომელიც დაარღვევდა ამერიკის ინტერესებს რუსეთის ნავთის საკითხში.

როგორც ვიცით, უშედეგოთ დამთავრებული გენუას კონფერენცია გაგრძელებულ იქმნა ჰაგაში.

თითქმის იგივე განმეორდა ჰაგაში, რასაც ადგილი ჰქონდა გენუაში. ამერიკა აქაც ნავთის პოლიტიკით გამოვიდა უმთავრესად. პოლონეთის გაზეთი აღნიშნავდა მაშინ, რომ „ამერიკისათვის ჰაგას საკითხი შეერთებულია ნავთის კონცესიების საკითხთან». ასეთი იყო საერთოდ ამ ორი საერთაშორისო კონფერენციის ვითარება და ნავთის როლი მათ საქმეში.

მართალია ამ კონფერენციებმა რეალურად ნაყოფი ვერ გამოიღო და შეუძლებელი გახდა შეთანხმების მიღწევა საბჭოთა რუსეთსა და ევროპის შორის, მიუხედავათ ამისა მან დიდი სარგებლობა მოუტანა საბჭოთა ხელისუფლებას საერთაშორისო მასშტაბით: 1) აქამდე ევროპის კაპიტალისტები უარს აცხადებდენ მოსკოვის ბანდიტებთან რაიმე დიპლომატიური მოლაპარაკება გაემართათ; მაშინ რუსეთი გარშემორტყ-

მული იყო მოწინააღმდეგე კონტრ-რევოლიუციონური ძალებით და ანტანტას იმედი ჰქონდა ამ გზით მუშურ-გლეხური ხელისუფლების დამხობისა. საბ. რესპუბლიკების ძლევამოსილმა წითელმა არმიამ თავისი ენერგიულ წინააღმდეგობით განამტკიცა ახალი ხელისუფლება. ამ გარემოებისათვის ანგარიშის გაწევა დასჭირდა ევროპას და მანაც მოისურვა რუსეთი დიპლომატიური საშუალებით გადაექცია თავის კოლონიათ. ფაქტიურად საბჭოთა რესპუბლიკების საერთაშორისო კონფერენციაზე მიწვევა უდრიდა მათს ფაქტიურ ცნობას და იმას, რომ მუშურ-გლეხური ხელისუფლება უკვე გადაიქცა საერთაშორისო პოლიტიკის ერთ-ერთ ცენტრალურ ძალათ, რომლისთვის ანგარიშის გაწევის გარეშე შეუძლებელი ხდება რაიმე ღირსშესანიშნავი შედეგების მიღწევა; 2) გენუამ გამოაშკარავა აგრეთვე ის წინააღმდეგობანი, რომელიც არსებობს ანტანტის მოკავშირეთა შორის და ყველა ის მიზნები, რისთვისაც იბრძვის საერთაშორისო ბურჟუაზია.

გენუას კონფერენციას შედეგათ მოჰყვა საფრანგეთ-ბელგიის ნავთის სინდიკატის დაარსება, რომელსაც შეუთანხმდა ამერიკაც; ამ სინდიკატის ამოცანას შეადგენდა ბელგიისა და საფრანგეთის ნავთის ინტერესების დაცვა.

3. საქართველოს საკითხი გენუას კონფერენციაზე და მენშევიკები.

მკითხველმა ალბათ უკვე იცის, რომ გენუას კონფერენციას დაუკავშირეს საქართველოს საკითხი და ჩვენი მდგომარეობის შესახებ საკმაოდ გაცხოველებული ბრძოლა გაიმართა როგორც კონფერენციაზე დიპლომატიური ნოტებით, ისე ევროპის თითქმის ყველა ჟურნალ-გაზეთბში. როგორც ვიცით, ყოფილი მენშევიკური მთავრობა ყოველი ძალღონით ცდილობს დაიბრუნოს თავისი დაკარგული ბედნიერება და კვლავ აღადგინოს მენშევიკური რეჟიმი საქართველოში, რაც თავის თავად ნიშნავს ბურჟუაზიული წესწყობილების რესტავრაციას და საქართვე-

ლოს ევროპის კაპიტალიზმის საექსპლოატაციოდ გადაქცევას. თავისი მიზნების მიღწევისათვის მენშევიკები ენერგიულად იყენებენ ყოველ საშვალებას და პირობებს. ნ. ჟორდანია ერთ თავის პარიზიდან გამოგზავნილ წერილში აბრალებდა, რომ „ჩვენ მომხრეები ვართ საქართველოს საქმეებში სოციალისტური ინტერვენციის მოხდენისაო“. ფორმალურად საკითხის ასე დაყენება თავის თავად ამბობს, რომ საქართველოს საქმეებში მენშევიკები აპირობენ უცხო ძალების, თუ გინდ სოციალისტურის ჩარევას; მათ ხელები გაუპოტინეს „თავიანთ“ მოძმეებს 2 და 2 ნახ. ინტერნაციონალებიდან და სთხოვეს რეალური დამხმარე ძალა. მაგრამ, თუ არსებითად შევხედავთ საკითხს, მაშინ დავინახავთ, რომ აქ სოციალისტურ ინტერვენციაზე ლაპარაკია მხოლოდ, იგი შირმა არის სხვა გარკვეული საშუალების გამოსანახავად. ფაქტიურად კი მენშევიკები იმპერიალისტურ ინტერვენციას აპირებენ საქართველოში. რეფორმისტურ ინტერნაციონალს არა აქვს არავითარი რეალური ძალა და რესურსები ინტერვენციის მოსახდენათ: მენშევიკებს სურთ ევროპის იმპერიალისტური ძალები დაიხმარონ თავიანთ მიზნების მიღწევის საქმეში ე. ი. მენშევიკური ხელის უფლების აღდგენაში.

ამ ძალების გამოყენებას ისინი ფიქრობენ ორი გზით: 1) დიპლომატიური, მშვიდობიანობის საშვალებით, ე. ი. ევროპის სახელმწიფოებმა დიპლომატიური გზით ძალდატანება უნდა მოახდინონ საბჭოთა ხელისუფლებაზე და აღადგინონ მენშევიკური რეჟიმი საქართველოში; 2) თუ ამ გზით შეუძლებელი შეიქნა მიზნის განხორციელება, მაშინ ისინი არ მოერიდებიან ჩვენს საქმეში ევროპის სახელმწიფოების შეიარაღებულ ჩარევას. არის მესამე გზაც, რომელიც შინაურ არეულობასა და კრიზისების შექმნაში გამოიხატება. 1922 წელს საქართველოს პოლიტიკური პარტიები საზღვარ-გარეთ აქვეყნებენ დეკლარაციას, რომლის მეოთხე მუხლი შემდეგს ღაღადებს: „თუ ეს სამართლიანი მოთხოვნილება არ იქმნა დაკმაყოფილებული მშვიდობიანი გზით, არსებულ საერთაშორისო უფლებრივ ნორმათა

თანახმად, ქართველი ხალხი იძულებული იქნება მიმართოს ბრძოლის ყოველნაირ საშუალებებს კანონიერი სახელმწიფოებრივ უფლებათა აღსადგენათ, და რუსეთის საოკუპაციო მართველობისა და უკანასკნელის კარნახით ქვეყნის ბუნებრივ სიმდიდრეთა მოსალოდნელი გაფლანგვის თავიდან ასაცილებლად". (იხ. „თავისუფალი საქართველო" № 20 გვ., 3).

თავი დავანებოთ იმას, რომ მენშევიკები დღესაც ვერ განთავისუფლდენ ქართველი ხალხის სახელით ექსპლოატაციისა და ინსინუაციების გავრცელებისაგან. თავის თავად ეს დადგენილება, რომელსაც ანტისაბჭოთა პოლიტიკურ პარტიების წარმომადგენლთა ხელის მოწერა აქვს, ნათლად ღაღადებს, რომ ისინი ყოველგვარ საშვალებას მიმართავენ საბჭოთა ხელისუფლების ჩამოსაგდებად. ასეთ მიზანს ემსახურება, როგორც შინაური აჯანყების მოწყობის ცდები, ისე ბარტუ—პუანკარეს დიპლომატიური ნოტები და სამხედრო მუქარა.

გენუას კონფერენციის მზადების პერიოდებში მენშევიკების ყოფილი მინისტრები ნოტებს ნოტებზე უკზავნიდენ ანტანტის მთავრობებს და აგონებდნენ მათ, თუ როგორი დიდი მნიშვნელობა აქვს კაპიტალისტებისათვის ამიერ-კავკასიის თუთუნის, ნავთის, ბაშის, ხე-ტყის, ქვანახშირის სამეურნეო რაიონებს საუცხოო გზებითა და ტრანსპორტით მოწყობილს. მენშევიკებმა გამოცდილებით იცოდენ, რომ ამიერ-კავკასიას იმპერიალისტურ ევროპისათვის მეტად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა როგორც ეკონომიურად, ისე სტრატეგიულ-პოლიტიკური მოსაზრებით. მათ სურდათ ამ გარემოებით ესარგებლათ და ანტანტის ხელისუფლება რეალურად დაეინტერესებიათ საქართველოს საკითხით. მიუხედავათ ამისა კანნაში მოკავშირეებმა დაადგინეს საქართველოს საკითხი არ დაესვათ გენუას კონფერენციაზე—იმ ფორმალური მოსაზრებით, რომ საქართველო აზიაში მდებარეობს და გენუას კონფერენცია არ იხილავს აზიის ქვეყნების საკითხსო; ფაქტიურად ამ დადგენილების მთავარი წყარო ინგლისის პოლიტიკის გამარჯვებიდან გამო-

მდინარეობდა, რომელსაც სურდა საერთო ენა მოენახა საბ-
რესპუბლიკელთან და ამიტომ ფორმალურად ხელი აიღო მათ
შინაურ საქმეებში ჩარევიდან. ინგლისის ასეთი პოლიტიკა
არ მოეწონათ ჩვენ მენშევიკებს და თავიანთი კურსი აშკარად
გადახარეს საფრანგეთისაკენ, რომელიც მოურიდებელი მტერი
შეიქმნა საბჭოთა მთავრობის. როგორც აღნიშნული გვაქვს,
მოკავშირეთა მთლიანობა რამოდენიმეთ დაირღვა და მათ შო-
რის ინტერესთა წინააღმდეგობამ იჩინა თავი. ამ საკითხის შე-
სახებ მენშევიკების ორგანო სწერს: „გენუას კონფერენციაზ
წინააღმდეგობათა დიდი ხლართი გამოაშკარავა დიდ სახელმწი-
ფოთა შორის. ანტანტა, რომლის მთავარი ძალა, საკითხების
თანხმობით გადაწყვეტაში მდგომარეობდა, დღეს შეიძლება
ითქვას უკვე აღარ არსებობს. იგი გარეგნულადაც ველარ იცავს
თავის მთლიანობას. აშკარა წინააღმდეგობაა რუსეთთან ეკო-
ნომიურ თუ პოლიტიკურ ურთიერთობის დაპერაში, წინააღ-
მდეგობაა საერთო პოლიტიკის ყველა დარგში. საფუძველი
ეყრება ძალთა ახალ გადაჯგუფებას.

ასე სდგას საკითხი კონფერენციაზე.

მაგრამ იმის გარეშეც არა ნაკლებ წინააღმდეგობებს აქვს
ადგილი და ჩვენ გვგონია, რომ მთავარი ძარღვი ბრძოლის
სწორეთ იმაშია, რაზედაც ოფიციალური სხდომები მდუმარე-
ბენ: **ეხება ბაქოს ნავთის წყაროები.** იგი ბულონის შეთანხმე-
ბის თანახმად საჯაროდ განსახილველად აკრძალულია, რადგან
იგი ეკუთვნის არა რუსეთს, არამედ აზერბეიჯანის რესპუბლი-
კას, რომელიც კონფერენციაზე მოწვეული არაა. მაგრამ მის
კულისებში ბ-ნ კრასინს, რუსეთის ახალ აუქციონერს, ეს სა-
განი ერთად ერთ რეალურ და ყველაზედ მიმზიდველ სავაჭრო
საქონლად აქვს გამოფენილი ევროპიელთა თვალების ასაკრე-
ლებლად.

ბაქოა ცენტრი ბრძოლის და ყურადღების. აქ ინგლისი
ცდილობს თავის მონოპოლიურ ბატონობაზე; საფრანგეთი და
ამერიკაც, რომელიც კონფერენციაზე წარმოდგენილი არ არის,

—თავის მიუცილებელ მონაწილეობაზე". (იხ. „თავისუფ. საქართ." № 21 წერილი: „ბაქო და ტფილისი".)

ამგვარად მენშევიკებმა ნათლად შეიგნეს, რომ 1) ნავთი გადაიქცა საერთაშორისო პოლიტიკის უდიდეს ამოცანათ და ასეთ პირობებში ბაქოს ნავთმა პირველი ადგილი მოიპოვა გენუას კონფერენციაზე, 2) ამ ნავთის რაიონის გარშემო ინტერესთა წინააღმდეგობამ იჩინა თავი მოკავშირეთა შორის. მენშევიკებმა გადასწყვიტეს ესარგებლათ შექმნილი მდგომარეობით და ნავთის საკითხი გამოეყენებიათ თავიანთი უმთავრესი მისწრაფებების განხორციელების საქმეში. ზემოდ დასახელებულ წერილში მენშევიკები უხსნიან ევროპის სახელმწიფოებს: თუ თქვენ გინდათ ისარგებლოთ ბაქოს ნავთის წყაროებით, მაშინ უპირველეს ყოვლისა საქართველო უნდა გაანთავისუფლოთ ბოლშევიკურ ხელისუფლებისაგან და შემდეგ მოგეცემათ საშუალება ნავთის ხელში ჩაგდებისა და მისი გამტარებელი მილით თავისუფალი სარგებლობის. აღდგენა მენშევიკური ხელისუფლებისა შექმნის საზღვარგარეთელ კაპიტალისტებისათვის „პირობებს ბაქოს სიჰდიდრით დაუბრკოლებელი და თავისუფალი სარგებლობისათვის". (იქვე) ამ წერილიდან („ბაქო და ტფილისი") და მენშევიკების მთელ რიგ ნოტებიდან მკითხველი ნათლად ხედავს, თუ ვინ აპირებს იაფად და ნისიად არა მარტო საქართველოს ქონების, არამედ მთელი ამიერ-კავკასიის დოვლათის გაყიდვასა და განიავებას. მენშევიკებმა საქართველოს „განთავისუფლების" საქმეში აღუთქვეს ევროპის იმპერიალისტებს ბაქოს ნავთით თავისუფალი სარგებლობა და მთელი ამიერ-კავკასიის დოვლათის თავისუფალი ექსპლოატაცია. ასეთი ძვირფასი საჩუქრებით ეპატიჟებოდენ მენშევიკები დასავლეთის იმპერიალისტებს ჩვენ მიწა-წყალზე; ტყუილა კი არ ამბობდენ მათი ბელადები: **„დასავლეთის იმპერიალისტები გვირჩევნია აღმოსავლეთის ფანატიკოსებსო"**.

გენუას კონფერენციამ მართლაც გააცხოველა „ინტერესი" ჩვენი ერისადმი: ბაქოს ნავთმა თავისი გაიტანა და სა-

ერთაშორისო დიპლომატიის სარბიელზე საქართველოს საკითხიც გამოიტანა. მენშევიკების „თავისუფალი საქართველო“ შემდეგ ნომერში (22) სწერდა: „მკითხველს ეცოდინება, რომ ჯენუას კონფერენციაზე უდიდესი როლი ითამაშა კავკასიის ნავთის საკითხმა. კონფერენციის უკანასკნელი ორი კვირის განმავლობაში, მთავარი კომბინაციები და მთავარი დავა ფაქტიურად ნავთის საკითხის ირგვლივ ტრიალებდა, ამ გარემოებამ ძლიერ გააცხოველა კავკასიისა და კერძოდ საქართველოს საკითხი. უკანასკნელი გადაეხლართა უდიდეს საერთაშორისო საკითხებს და მომავალშიაც ამ საკითხების გადაჭრის ცდის დროს შეუძლებელი იქნება საქართველოს ბედის გვერდის ავლა“. (იხ. წერილი: „ნავთის საკითხი, ამერიკა, საფრანგეთი და საქართველო“).

უმთავრესად ინტერესი საქართველოსადმი გააცხოველა საფრანგეთ-ინგლის-ამერიკის ინტერესთა წინააღმდეგობამ ბაქოს ნავთის გარშემო. საფრანგეთისა და ამერიკის საზოგადოებრივი წრეები აშკარად დადგენ მენშევიზმის მხარეზე, რომ ამით შეექმნათ ინგლისის დასაპირისპირებელი ფაქტორები. იმავე წერილში მენშევიკები სწერენ: „ნავთის საკითხის წამოჭრამ კავკასიის და კერძოდ საქართველოს ბედში დააინტერესა ამერიკის არა მარტო მთავრობა, არამედ ფართო საზოგადოებრივი წრეებიც. ამას მოწმობს ამერიკის უძლიერესი მუშათა ორგანიზაციების კავშირის თავმჯდომარის ცნობილ გომპერს-ს რადიო-დეპეშა, სადაც ამბობს: ამერიკისათვის გამორკვეულია საბჭოთა რუსეთის ნამდვილი სახე საერთაშორისო პოლიტიკაში. რუსეთის საბჭოები შეუთანხმდენ საერთაშორისო კაპიტალისტებს. **საქართველოს ერთად-ერთი დანაშაული იმაში მდგომარეობს, რომ მას მოეპოება ნავთის წყაროები და მის ტერიტორიაზე ძევს ნავთის მილის დიდი ნაწილი.** რუსეთის ბოლშევიკები თავს დაესხენ საქართველოს რესპუბლიკას და იმსხვერპლეს იგი საერთაშორისო კაპიტალთან წინასწარ შეთანხმებით, რათა შეძლება ქონოდათ და გადაეცათ უკანასკნელისათვის ორ მილიარდ დოლარათ

ღირებული ნავთის კონცესიები. ასე გარკვეულად სდგას კავკასიისა და საქართველოს საკითხი ამერიკის დემოკრატიის თვალში“ (იქვე).

მკითხველმა უნდა იცოდეს, რომ ეს ის გომპერსი არის, რომელიც ამერიკის კაპიტალისტებს **მოყიდული ყავს და მათი აგენტის როლს ასრულებს მუშათა წრეებში.** აღნიშნულ რადიოდან და გომპერსის განმარტებებიდან მკითხველი ნათლად დაინახავს, თუ როგორ გადააჯაჭვეს ნავთის საკითხს საქართველოს ბედი გარკვეულ პოლიტიკურ-ეკონომიური მიზნებით. აქ გარკვევით მოქმედებს ახალგაზრდა ამერიკის იმპერიალისტების ნავთის ინტერესები, რომელსაც სურდა ინგლისის საწინააღმდეგო მდგომარეობა შეექმნა რუსეთსა და მთელს ამიერ-კავკასიაში.

თუ რამდენად დაუკავშირა საქართველოს საკითხი ნავთის საკითხს საფრანგეთის იმპერიალისტებმა, ამის ილიუსტრაციისთვის ჩვენ მოვიყვანთ ფრანგ დეპუტატის ერნესტ უტროის წერილის ნაწილს („ნავთის პრობლემა—ჯენუას კონფერენცია და კავკასიის სახელმწიფონი“), რომელიც შავრაზმული გაზ. „ექო დე პარი“-ს ფურცელზე იყო მოთავსებული და შემდეგ გადაბეჭდილი „თავისუფალ საქართველოში“.

„საფრანგეთის პარლამენტში დებატების დროს მთავრობის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ კავკასიის სახელმწიფონი არ იქნებიან მოწვეულნი ჯენუას კონფერენციაზედ, რადგან ეს სახელმწიფონი ევროპაში არ არიან მოქცეულნი. მთავრობის თავმჯდომარემ აგრეთვე განაცხადა, რომ საბჭოების, ან უფრო სწორეთ რომ ვსთქვათ, კავკასიის სახელმწიფოთა ყალბ წარმომადგენლების პრეტენზია ჯენუაში დაშვებისთვის, უყურადღებოდ იქნება დატოვებული.

„საფრანგეთის მიერ საკითხი ნათლად არის გარკვეული; საჭიროა, რომ ჩვენი პოზიცია ამ საკითხში მტკიცე და ურყევი იყვეს. არ უნდა დავივიწყოთ, რომ ჩვენ განვიცდით ეკონომიური ბრძოლის მეტად მძიმე პერიოდს. **და ამა თუ იმ ერის კეთილდღეობა დამოკიდებულია ამ ერის ნავთის პო-**

ლიტიკაზე. ჩვენ გვახსოვს თუ რა დიდი როლი ითამაშა „ნავთის ფაქტორმა“ გავლილი ომის უკანასკნელ თვეებში და არა ნაკლებ როლს თამაშობს იგი მშვიდობიან დროსაც, თუ მხედველობაში მივიღებთ თანამედროვე ეპოქის განვითარებულ მაშინიზმსა და ინდუსტრიას.

„ეს გარემოება, როგორც სჩანს, სავსებით დააფასა საბჭოთა მთავრობამ, რომ უმნიშვნელო მიზეზის გამო თავს დაესხა დამოუკიდებელ რესპუბლიკებს და თვით საბჭოთა მთავრობის მიერ ცნობილ კავკასიის რესპუბლიკათ და 1921 წლის იანვარ-თებერვალში თავისი მრავალ-რიცხოვანი ჯარების საშვალებით დაიპყრო.

„ხიშტებზე დაყრდნობილი ძალის მეოხებით კავკასია და საქართველო გახადეს რა საბჭოთა ფედერაციის წევრებათ, დაუყონებლივ გაავრცელეს მასზედ კომუნისტური რუსეთის ყველა კანონები და დეკრეტები და ნავთის უძვირფასეს მადნეულობას რუსეთის მთავრობამ ნაციონალიზაცია უყო. ამბობენ, რომ ლორდ კერზონმა მიიღო კანაში პირობა რომლის მიხედვით, გენუას კონფერენციაზე არ იქნება აღძრული კამათი იქ წარმოდგენილ ქვეყნების შინაური საქმეების შესახებ—**ეს იმას ნიშნავს, რომ იქ არ შეეხებიან რუსეთის და კავკასიის საკითხს და იმ პირობებს, რომლებშიაც ანხორციელებს დამპყრობელი რუსეთი თავის კომუნისტურ კანონმდებლობას; თუ არ იქნება აღძრული საკითხი იმის შესახებ თუ რამდენად კანონიერია საბჭოების მიერ კავკასიის დაპყრობა, ეს იქნება გაგებული როგორც შერიგება და დადასტურება ნავთის მადნეულობის ნაციონალიზაციის კანონიერებისა წითელი ჯარების მიერ.**

„მაგრამ ჩვენ ვიცით, საბჭოებმა პირობა დასდვეს ინგლისის ნავთის მრეწველთა ერთ ჯგუფთან, რომლის მიხედვით საბჭოთა ვაუბატონები ბრიტანეთის ნავთის გამყიდველთა სინდიკატს აძლევენ უპირატესობას ნავთის წარმოების საქმეში. ჩვენ ვიღებთ თავზე სითამამეს განვაცხადოთ, რომ წითელი რუსეთი იქცევა კავკასიაში როგორც უზურპატორი, **ხოლო ამ სახელ-**

მწიფოთ უნდა ანგარიში გაუწიოთ როგორც დამოუკიდებელ ქვეყნებს და მათი უფლების საერთაშორისო ცნობით უზრუნველვყოთ ის პირობები, როგორც კერძო პირთა, ისე დიდი კამპანიების, რომელნიც წინად მიღებული ჰქონდათ ამ ქვეყნებში ფრანგებს, ბელგიელებს და თვით ინგლისელებს. უნდა ვიმედოვნოთ რომ ეს განცხადება შეაჩერებს ამ მყვლეფელი სინდიკატების წადილს უსირცხვილო საშუალებით ჩაიგდონ ხელში კავკასიის ნავთი:

„ბ-ნმა პუანკარემ განაცხადა, რომ რუსეთს არ მიეცემა უფლება წარმოადგინოს გენუაში კავკასიის ფსევდო დელეგატები. ძალიან კარგი, მაგრამ ეს არ არის საკმარისი—**კავკასიის საკითხი უნდა დაისვას გენუას კონფერენციაზე—თუ ეს არ იქნება, უდიდესი და უძვირფასესი წარმოებანი ბაქოს და გროზნის რაიონისა, რომელიც ჩამორთმეული აქვთ მათ კანონიერ მესაკუთრეთ და საბჭოების ხელში იმყოფება, ისევ მათ დარჩებათ და ბოლშევიკებს მიეცემათ უძლიერესი ფაქტორი მათი რეჟიმის გამაგრებისათვის“.**

ეს წერილი ძვირფასი დოკუმენტია საფრანგეთის იმპერიალისტების პოლიტიკის ასახსნელათ ჩვენს საკითხში. მენშევიკებს ეს წერილი დიდი სიხარულით მოყავთ თავის ჟურნალის ფურცლებზე: აბა, ხომ ხედავთ საფრანგეთი როგორი სიმპატიით გვიცქერისო. ფაქტიურად ეს წერილი აგრეთვე უძვირფასესი დოკუმენტია მენშევიკების ყალბი პოზიციების გასაბათილებლად, რომელნიც თავიანთი გეგმებით ჩვენ საბშობლოს ევროპის საექსპლოატაციოდ გადაქცევას უპირებენ. ამ წერილის შესახებ მე სხვა ადგილას, წარსული წლის ივლისში შემთხვევა მქონდა მეთქვა შემდეგი:

„როგორც მკითხველსაც მოეხსენება, ნავთის საკითხს დღეს დიდი და გადამჭრელი მნიშვნელობა აქვს საერთაშორისო პოლიტიკაში. საქართველოს და მთელს ამიერ-კავკასიას ნავთის საკითხთან უახლოესი კავშირი აქვს: ამიტომ დიდი სახელმწიფოთა ინტერესი ჩვენი საკითხისადმი გაცხოველდა და ყოველი მათგანი თავიანთ ინტერესების მიხედვით ცდილობს შე-

საფერისი პოლიტიკა შეიმუშავოს. ამ მხრივ საფრანგეთისა და ინგლისის პოლიტიკა ამ საკითხშიაც დაუპირისპირდა ერთი მეორეს. ინგლისი ცდილობს საბჭოთა ფედერაციასთან მორიგების გზით ჩაიგდოს ხელში ნავთის კონცესიები, რაც ეწინააღმდეგება საფრანგეთის ინტერესებს. საფრანგეთსა და ბელგიას საკმაო ნაწილი კავკასიის ნავთისა ეკუთვნოდათ წინათ. დღეს ეს მთავრობანი იმის ცდაში არიან, რომ როგორმე ნაციონალიზაცია ქმნილი ქონებანი უკანვე დააბრუნონ და ამით გახდნენ რეალურად ბატონ-პატრონი დიდი დოვლათისა. საბჭოთა ფედერაციამ კატეგორიულად უარი განაცხადა ასეთს მოთხოვნილებებზე და აღუთქვა მხოლოდ ანაზღაურება, ერთგვარი კომპენსაცია. მაგრამ საფრანგეთის იმპერიალისტები არ სცხრებიან და მათი პოლიტიკა დღეს განაპირა რესპუბლიკებისა, და მათ შორის ამიერ-კავკასიისაც, საბჭოთა რუსეთის გავლენისაგან განთავისუფლებისაკენ არის მიმართული. მათ სურთ ამით დასცეს ამიერ კავკასიაში საბჭოთა ხელისუფლება და აღადგინონ ჩვენში მმართველობა მუსავატ-მენშევიკ-დაშნაკელებისა, რომ შემდეგ პოლიტიკურად და ეკონომიურადაც დაეპატრონონ მთელს ამიერკავკასიას. ჩვენ კარგად გვახსოვს საფრანგეთის პოლიტიკა სულ ახლო წარსულში ჩვენდამი. მაშინ საფრანგეთი დიდი „განუყოფელ რუსეთის“ ლოზუნგით გამოდიოდა და ყველაზე მეტათ ებრძოდა ჩვენს დამოუკიდებლობას, რადგან იმედი ჰქონდა დენიკინ-კოლჩაკების ბანდები აღადგენდენ მთლიან რუსეთს. მაგრამ ისტორიულმა ვითარებამ და დიადი წითელი ლაშქრის უდრეკმა ნებისყოფამ საფრანგეთის იმედები დაამსხვრია და რუსეთში მუშურ-გლეხური ხელისუფლება მთელი თავისი სიძლიერით განმტკიცდა. დღეს საბჭოთა რუსეთი საერთაშორისო რეალურს ძალას წარმოადგენს და მისი შინაური კონტრ-რევოლიუციით დამარცხება შეუძლებელი ხდება. ამიტომ საფრანგეთმაც პოლიტიკა შეიცვალა და დიპლომატიური ვარჯიშობით ცდილობს ფონს გასვლას. დღეს რეაქციონური საფრანგეთი მენშევიკურ საქართველოს აღდგენის მხურვალე დამცველი არის.

ეს. ეისი პოლიტიკა ლოლიკურად გამომდინარეობს იმ საერთო პოლიტიკიდან, რომელსაც დაადგა საფრანგეთი რუსეთის მიმართ. რასაკვირველია ამ შემთხვევაში მას აინტერესებს არა საქართველოს ეროვნული ინტერესები და განდევნილ მენშევიკების შელახული უფლებები, არამედ თავისი იმპერიალისტური გეგმები და უწინარეს ყოველისა ნავთის საკითხი. ზემოთ მოყვანილი წერილი ნათლად გამოხატავს საფრანგეთის ამ პოლიტიკას და იმ გეზს, რომელსაც დაადგენ რეაქციის მოციქულები ამიერკავკასიის საკითხში".

აღსანიშნავია ერთი გარემოებაც: უტროის საუცხოოდ ესმის ნავთის მნიშვნელობა და მისი ღირებულება მრეწველობის საქმეში; იგი სწერს: „**ამა თუ იმ ერის კეთილდღეობა დამოკიდებულია ამ ერის ნავთის პოლიტიკაზე... ნავთის რაიონების ბოლშევიკების ხელში დატოვებით ბოლშევიკებს მიეცემათ უძლიერესი ფაქტორი მათი რეჟიმის გამაგრებისათვის**". ამიტომ უტროი ადგენს გარკვეულ პროგრამას საბჭოთა ხელის-უფლებიდან ნავთის რაიონების წართმევის შესახებ; მასთანავე ის იძლევა გარკვეულ საშუალებებს ამ მიზნის მიღწევისათვის; ამ საშუალებათა შორის ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ამიერ-კავკასიის ყოფილ მთავრობების მოწვევასა და მათი დახმარებით ბრძოლის გაჩაღებას საბჭოების წინააღმდეგ.

პუანკარეს მთავრობამ დაუჯერა დეპუტატ უტროის რჩევას, რომ კავკასიის საკითხი დაესვათ გენუას კონფერენციაზე და პოლიტიკურ ქვე-კომისიაში წამოაყენა ბარტუს პირით ჟორდანიას მთავრობის კონფერენციაზე მიწვევის საკითხი. ასეთი პოლიტიკა საფრანგეთს სპირდებოდა აგრეთვე ინგლისის წინააღმდეგაც, რომელიც დაუპირისპირდა საფრანგეთს ნავთის საკითხში, უკანასკნელი კი ამერიკის კარნახით მოქმედებდა. ინგლის-საფრანგეთის წინააღმდეგობაზე გაკვრით უტროიც მიგვითითებს. „ტანი" საფრანგეთის ოფიციოზი გარკვეულ კომპანიას ეწეოდა ინგლისის წინააღმდეგ წერილში: „ანტანტა გრძელდება", რომელშიაც შემდეგს ვკითხულობთ: „როგორც

სჩანს ინგლისის დელეგაციაში უნდა ფიქრობდენ, რომ გენუაში საქართველოს კანონიერად წარმოადგენს ერთი ბოლშევიკი, რომელიც თავის თავს ქართველს უწოდებს და რომელიც საბჭოების დელეგაციაში შედის. **ალბათ ამ მოსაზრებით ბრიტანეთის დელეგაციას შესაძლებლად უნდა მიაჩნდეს რუსეთის ნავთის საკითხი გადაჭრა საქართველოს ძველი იურიდიულათ ცნობილ მთავრობის და ქართველი ხალხის დაუკითხავად, რომელზედაც დღეს ბოლშევიკები გაბატონდნენ.** ჩვენ არ ვართ გაცნობილი ყველა იმას, რაც ამ საქმის უკან ხდება, მაგრამ ჩვენ გვგონია, რომ ბრიტანეთის დელეგაციის აზრი არ ეთანხმება სავსებით არც იმ პრინციპებს, რომლებიც დღემდე იყო აღიარებული და არც შეერთებულ შტატებში გამეფებულ შეხედულებას".

როგორც ვიცით საქართველოს საკითხის გარშემო დიპლომატიურ ნოტების გაცვლა-გამოცვლასაც ჰქონდა ადგილი მოკავშირეთა და საბჭოების წარმომადგენელთა შორის. საფრანგეთის პრესამ მენშევიკების ცნობის თანახმად ასტეხა აურზაური, აუწყა მთელ მსოფლიოს ის საშინელებანი, რომელიც ხდებოდა „დაპყრობილ საქართველოში ბოლშევიკების ვანდალურ ძალების წყალობით": ხალხი გმინავს საშინელ ტვირთის ქვეშ და აჯანყება აჯანყებაზე ვითარდება, **ისეთი სამრეწველო რაიონი, როგორც არის სვანეთი, ფართო რკინის გზებითა და კულტურული დონით,** აჯანყების ცეცხლში არის გახვეული და სხვა.

ასეთა იყო მენშევიკების ლაბორატორიაში შეთხზული ცნობები, რასაც გულმოდგინეთ იყენებდა საფრანგეთის წარმომადგენელი თავისი მიზნებისათვის. ფაქტიურად ჩამორჩენილსა და უკულტურო სვანეთში, სადაც ყაჩაღობა და ბანდიტიზმი ყოველთვის განვითარებული იყო, რამოდენიმე ბანდიტმა უწესოება მოახდინა და ამ გარემოებამ საშვალება მისცა ევროპის აწეწილ საქმეებით დატვირთულ დიპლომატებს თავიანთი მეტად ლმობიერი გულისყური კულტურულ სვანეთისაკენაც მიეპყრათ. ასეთ პირობებში საბჭოთა დელეგაციას ბე-

ვრი ენერგია არ დახარჯვია შეთხზულ სიცრუის გასაბათილებლად და ბარტუც იძულებული შეიქმნა მთელი თავისი დოკუმენტები მენშევიკების დიპლომატებთან ერთად თავის დიპლომატიურ პორთფელში უკანვე ჩაემალა.

ეს ფაქტები ახლა უკვე ისტორიას ეკუთვნის, მაგრამ მენშევიკების პოლიტიკის დასახასიათებლად მაინც საინტერესოა მათი მოგონება. მათ შესწევთ გამბედაობა, თავიანთ ორგანოს ფურცლებზე განაცხადონ, რომ გენუამ მათი „ეროვნული მთავრობა იცნო“ და სხვ. თუ რამდენათ სწორი იყო ეს, ამას მოწმობს ის დიდი სკანდალი, რომელიც მოუვიდა მათ პროტეჟეს ბარტუს, როდესაც ის **იძულებული შეიქმნა თავისი წინადადება მოეხსნა და მენშევიკების წარმომადგენელის მოწვევის საკითხზე უარი ეთქვა.**

გარდა ამისა, როგორც ვიცით, ლოზანას კონფერენციაზე მოწვეული იყო საბ. რუსეთისა და უკრაინის მთავრობებთან ერთათ საბჭოთა საქართველოს წარმომადგენელიც. ეს ფაქტები ამტკიცებენ მას, რომ კაპიტალისტური ევროპა ანგარიშს უწევს რეალურ ძალას და არა მათ სასახლეების შესასვლელ კარებში მოხეტიალე მენშევიკებს.

P. S. საქართველოში მრავალ ადგილას მოიპოება ნავთიანი ადგილები (სიღნაღის მაზრა, ოზურგეთის და სხვ.) სიღნაღის მაზრაში, შირაქის რაიონში ნავთის პროდუქტების ამოღება დიდი ხანია სწარმოებს. ჯერ კიდევ 1876 წ. აქ ათ სებობდა 62 ბურღვილი, რომელთა სიღრმე 20—33 საჟენს აღწევდა. 1872—1879 წლებში საშუალო წლიური მოპოება ნავთობის 106.000 და ნავთის 19.000 ფუთს უდრიდა. (დაწვრილებით საქართველოში ნავთის რაიონების შესახებ იხ. ინჟ. ვ. კაკაბაძის წიგნაკი: „საქართველოს ბუნებრივი სიმდიდრენი“ გვ. 14—29, 1922 წ.) საქართველოს ეკონომიურმა ჩამორჩენილობამ და ტეხნიკურმა განუვითარებლობამ, აგრეთვე ბაქოს ნავთის მრეწველობის დაწინაურებამ ბუნებრივად გამოიწვია ჩვენი ნავთის მრეწველობის შეჩერება. ამ ჟამად საბ. ხელისუფლება განაგრძობს ნავთის რაიონების დამუშა-

ვებას სიღნაღის მაზრაში, მაგრამ მისი ინტენსიურად განვითარება და სათანადო დონეზე დაყენება დღეს-დღეობით შეუძლებელი ხდება კაპიტალის უქონლობის გამო.

ზემოდ გაკეთებულ მიმოხილვიდან მკითხველს ადვილად შეუძლია წარმოიდგინოს, თუ როგორი დიდი ფაქტორის როლი შეუძლია ითამაშოს ჩვენს ნავთის რაიონებს საქართველოს ეკონომიური აღორძინების საქმეში.

უცხოელთა კაპიტალისტებს არ გამოპარვიათ საქართველოს ნავთიანი რაიონები და დიდი ხნიდან როგორც ინგლისის, ისე ამერიკის კომპანიები ცდილობდენ აეღოთ კონცესიები ჩვენში. ამ 1—2 წლის წინად გაზეთები გვაუწყებდენ ინგლისის კომპანიებთან მოლაპარაკებებს ოზურგეთის ნავთის კონცესიების შესახებ. სულ ახლო ხანში საქ. მთავრობამ ხელშეკრულება ღასდვა. ი ალია-ბელგიის სამთო-სამრეწველო საზოგადოებასთან **შირაქის ნავთის ადგილების ექსპლოატაციის შესახებ.** კონცესიის საერთო ვადა ორ პერიოდათ არის განაწილებული: გამოკვლევის და საექსპლოატაციო პერიოდებად. პირველი პერიოდის დამთავრების შემდეგ კონცესიონერს ეძლევა საექსპლოატაციოდ 100 დესიატინა განსაზღვრულ რაიონიდან 30 წლის ვადით. ეს არის პირველი შემთხვევა საქართველოში უცხოეთის კაპიტალის ჩაბმისა. (იხ. „საქ. სახალხო მეურნეობა“ № 7, 1923 წ.)

თუ მივიღებთ მხედველობაში იმ გაცხარებულ ბრძოლას, რომელიც სწარმოებს დიდ-ტანიან კაპიტალისტურ სახელმწიფოთა შორის ნავთიან რაიონების დაპყრობის გარშემო, საქართველოს მთავრობას მიზანშეწონილი პოლიტიკის წარმოებით შეუძლია შესაფერისად გამოიყენოს შექმნილი კონიუქტურა და ევროპის კაპიტალის დახმარებით ფართოდ განავითაროს ჩვენში ნავთის მეურნეობა.

თანამედროვე პერიოდი ჩვენი რევოლიუციონური ეპოქისა ჩვენგან მოითხოვს ევროპის კაპიტალისა და ტეხნიკის გამოყენებას ჩვენი სამეურნეო ცხოვრების საქმეში. სანამ ევროპის პროლეტარიატს არ აუღია ძალა-უფლება ხელში, ჩვენ

იძულებული ვიქნებით კაპიტალისტებთან მოლაპარაკებითა და მორიგებით გამოვიყენოთ ევროპის ძალა. ამ შემთხვევაში ჩვენს მუშურ-გლეხურ მთავრობას აინტერესებს არა ზედმეტი მოგების მიღება, არამედ ჩვენი საშეურნეო ცხოვრების აყვავება და საწარმოო ძალთა განვითარება; იმდენათ, რამდენათაც ევროპის კაპიტალი ჩვენ ხელს შეგვიწყობს ამ დიად საქმის განხორციელებაში, ჩვენ ის უნდა გამოვიყენოთ და მოვიხმაროთ.

თავი მეხუთე.

ბრძოლა ოსმალეთის გარშემო და მოსულის ნავთის საკითხი *).

ამ წერილში ჩვენ ვეხებით იმ ტერიტორიალურ ერთეულს, რომელსაც მეტად დიდი ისტორია აქვს იმპერიალისტურ სახელმწიფოთა ბრძოლაში ყოველის მხრით. მიუხედავათ იმისა, რომ ოსმალეთი ფორმალურად დამოუკიდებელი სახელმწიფო არის და ერთ დროს რისხვის მგვრელიც იყო თანამედროვე ევროპის მპყრობელთათვის, მეცხრამეტე და მეოცე საუკუნეში ფაქტიურად იგი დაყვანილ იქმნა კოლონიალურ მდგომარეობამდე და საერთაშორისო ომმა არსებითად დასვა მისი მოსპობის საკითხი.

იმპერიალისტური სახელმწიფოების პოლიტიკას ჩამორჩენილ ქვეყნებში ჩვენ ვერ ავხსნით თუ არსებული ყურადღება არ მივაქციეთ თანამედროვე კაპიტალიზმსა და არ გამოვარკვიეთ მისი განვითარების მთავარი მომენტები. მე-19-ე საუკუნის მიწურულიდან ძველი სამრეწველო კაპიტალი ადგილს უთმობს ფინანსიურ კაპიტალსა და გაცხოველებულ იმპერიალისტურ პოლიტიკას. ფინანსიური კაპიტალი ნიშნავს კაპიტალის უმაღლეს კონცენტრაციას მონოპოლიურ ტრესტებისა და სინდიკატების საშუალებით, სამრეწველო კაპიტალის საბანკო კაპიტალთან გაერთიანებას, რაც იწვევს კაპიტალის უმაღლესად განვითარებასა და **კაპიტალის ექსპორტის ინტენსიურ წარმოებას.** კაპიტალი ედება მთელს მსოფლიოს

---

*) ეს თავი დაწერილი იყო დამოუკიდებელი წერილის სახით და აქ მცირეოდენი ცვლილებით იბეჭდება. ავტორი.

და სხვადასხვა სახით იკრება ყოველი ჩამორჩენილ სახელმწიფოსა, თუ ხალხის ცხოვრებაში; მაგრამ კაპიტალის ექსპორტი განსაკუთრებით მოითხოვს პოლიტიკურ უზრუნველყოფას, ის განსაკუთრებით იქითკენ მიილტვის, სადაც მას არავითარი ხიფათი არ მოელის. ასეთს პირობებში საექსპორტო კაპიტალის ინტერესები პირდაპირ მოითხოვს მაგარ პოლიტიკურ ძალას თავისი მეტროპოლიის მხრით. ის უწინარეს ყოველისა იმ ტერიტორიალურ რაიონებში მიილტვის, რომელიც პოლიტიკურად დამოკიდებულნი, ან კავშირში არიან მეტროპოლიის მთავრობასთან. კაპიტალის ასეთი ტენდენცია იწვევს გაორკეცებულ აგრესიულ პოლიტიკასა და ძებნას ახალი სამეურნეო რაიონების მეტროპოლიის ბატონობის ქვეშ დასაყენებლად. კაპიტალის ინტერესი მოითხოვს თავისი სამეურნეო რაიონის გაფართოებასა და მის ზრდას. იმპერიალიზმის მთავარი საფუძველები ეკონომიკის სიღრმეში მარხია. ინგლისელ ბურჟუა:იული მწერალი ლ. ვულფი სწერს: „ევროპის იმპერიალისტურ გაფართოების პროცესში ეკონომიური მიზეზების გავლენა ყოველი ფეხის ნაბიჯზე მეღავნდება... **თანამედროვე იაპერიალიზმის მამოძრავებელი ძალა—ეკონომიური ხასიათისაა და გამომდინარეობს ეკონომიური სურვილებისა და მიზნებისაგან.** მოძრაობა, რომელმაც მიიყვანა აფრიკა და აზია ევროპის გზაზე დაყენებამდე, გამოწვეული იყო აგრეთვე სხვა ზოგიერთ გარეშე პირობებითაც; მაგრამ ეს პირობებიც რომ არ ყოფილიყო და მხოლოდ ეკონომიურ მიზეზებსა და მოტივებს ჰქონოდათ ადგილი, მაშინაც შედეგები იგივე იქნებოდა“. *) უმთავრესათ ეკონომიურ ნიადაგზე იბადება საერთაშორისო კონფლიქტები დიდტანიან იმპერიალისტურ სახელმწიფოთა შორის და ვითარდება კოლონიალური პოლიტიკა.

ჩვენ არა ერთხელ აღგვინიშნავს, რომ თანამედროვე ფინანსიურ კაპიტალიზმისა და იმპერიალიზმის ხანაში წვრილ და

*) Л. С. Вульф: «Экономический империализм в Азии и Африке» გვ. 40, 46 1923 წ.

ჩამორჩენილ ერთა დამოუკიდებლობის საქმის განხორციელება მეტად ძნელი საქმე არის, რადგან თანამედროვე კაპიტალიზმის სტრუქტურა და ტენდენციები ვერ ითმენენ ასეთს დამოუკიდებლობას. კაპიტალისტური მეურნეობა იმ წერტილს მიადგა, საიდანაც მას გაპოსელა და არსებობა შეუძლია მხოლოდ ჩამორჩენილ და განუვითარებელ ერთა ხარჯებზედ. იმპერიალისტური პოლიტიკის მთავარი მიზანი იმაში გამოიხატება, რომ ეს სამრეწველო და სამეურნეო ერთეულები დაუმორჩილოს ნაციონალურ კაპიტალს და გახადოს მის საექსპლოატაციო ობიექტად. ამ მიზანს იმპერიალისტები სხვა-და-სხვა საშვალებებით აღწევენ; მეთოდი ერთა დამონებისა მრავალ გვარი არ!ებობს: პირველი მეთოდი ასეთი დამონებისა ჩამორჩენილ ხალხთა სრულს დაპყრობაში გამოიხატება. ისტორიულად იმპერიალისტების პოლიტიკა უსპობდა აზიის, აფრიკის, ამერიკისა და ავსტრალიის ერებს პოლიტიკურს დამოუკიდებლობას და უმორჩილებდა მათ ყოველის მხრით თავისი მეტროპოლიის ბატონობას; ეს იყო ერების სრული დამონება. (კოლონიები). მაგრამ ისტორიულისა და საერთაშორისო პირობების გამო შემუშავდა მეორე სახეს დამონებაც. დიდტანიანი სახელმწიფოების კაპიტალი იპრება დაბალი მეურნეობის მქონე ხალხში სამრეწველო, სავაჭრო და საკრედიტო დახმარების მიზნებით და მთელს მის ეკონომიკას უმორჩილებს მეტროპოლიის ბატონობას; დიპლომატია ამ შემთხვევაში ასრულებს ნაციონალური კაპიტალის დაქირავებული ნოქრის როლს: ის ატარებს იმ პოლიტიკას, რომელიც საჭირო არის კაპიტალისტური მაგნატებისათვის. მეტროპოლიის კაპიტალს ჩამორჩენილი ერის ეკონომიკის ხელში ჩაგდებით გააქვს თავის სამშობლოში იქ არსებული დოვლათი და ამ-თ მას წარმატებისა და აღორძინების საშვალებას უსპობს. უცხო კაპიტალის მიერ შექმნილი სიმდიდრე და ზედმეტი მოგება შეუჩერებლად მიეშურება მეტროპოლიისაკენ და ამით ჩამორჩენილი ერი იცვლიფება ევროპის ავაზაკებისაგან. მარტო კაპიტალის ბატანისაგან უკანასკნელთ ქონდათ შემოსავალი კოლონიებიდან 8—10,

მილიარდ ფრანკამდე ომის წინა წლებში. დღეს ეს თანხა მეტად გაიზარდა. ასეთს შემთხვევაში იმპერიალისტური კაპიტალი ვერ უსპობს ერებს თავიანთ სახელმწიფოებრივობასა და დამოუკიდებლობას, ფორმალურად ეს ატრიბუტები არსებობენ და საერთაშორისო პოლიტიკაში კაპიტალის საექსპლოატაციო ობიექტად გადაქცეული სახელმწიფოები ცნობილნი არიან როგორც დამოუკიდებელნი ერთეულნი მაგრამ ფაქტიურად მთელი მათი პოლიტიკა და ეკონომიკა დამოკიდებულია რომელიმე დიდი მპყრობელისაგან და ის განაგებს მთელს მათს ცხოვრებას ეს არის ნახევრად კოლონიების ტიპი. სპარსეთი, ოსმალეთი, ჩინეთი ისტორიაში ცნობილნი არიან, როგორც ნახევრად კოლონიალურ მდგომარეობაში მყოფი ერები *).

იგივე ბურჟუაზული მწერალი ვულფი თავის წიგნში „ეკონომიური იმპერიალიზმი აზიასა და აფრიკაში“ ჩამოთვლის რა ყველა იმ ქვეყნებს აზიაში, რომელნიც გადაიქცევენ ევროპის სახელმწიფოების კოლონიებად, დასძენს: „მაგრამ აზიის დანარჩენი ნაწილიც, — ოტომანიის იმპერია, სპარსეთი, ჩინეთი და იაპონია არ იყო თავისუფლად დატოვებული ევროპის მიერ. ამ ქვეყნებში ევროპის ცივილიზაცია, განსაკუთრებით თავისი ეკონომიური მიზნებით ღრმად შეიჭრა, და თუმცა ეს ქვეყნები არ იყვენ პირდაპირ დამორჩილებული ევროპის პოლიტიკურ სისტემიდან, ყველა ისინი იაპონიის გამოკლებით, მაინც მოყვენ ევროპის სახელმწიფოთა არაპირდაპირ კონტროლის ქვეშ. სხვა სიტყვებით. ოსმალეთის, სპარსეთის ან ჩინეთის აშკარა გადაყოფა ან ანექსია არ მომხდარა, მიუხედავად ამისა ევროპის სახელმწიფოთა არა პირდაპირი გავლენა, განსაკუთრებით ევროპელთა ეკონომიური ინტერესების დაცვის მიზნით, გატარებული იქნა მათზე საკმაო სიძლიერით“ (იქვე — 73).

მაგრამ ისტორიულმა ვითარებამ ეს ხალხი მარტო არ დასტოვა; მთელი რიგი ახლად აღმოცენებულ სახელმწიფოებისაც ნახევრად კოლონიალურ მდგომარეობამდე არის დაყვანილი ევროპის კონტინენტზედაც.

ამ სახელმწიფოთა შორის ოსმალეთის ბედი განსაკუთრე-

---

*) ამ საკითხის შესახებ იხ. ლენინის წიგნი: „იმპერიალიზმი, როგორ უახლოესი ეტაპი კაპიტალიზმისა“, 1923 წ.

ბით საინტერესოა კოლონიალურ პოლიტიკის ისტორიისათვის. ეკონომიურად ოსმალეთი მდიდარი არის ოაავისი ბუნებრივი დოვლათითა და ნიადაგის ნოყიერებით. მაგრამ მისი ღარებულება არ ამოიწურება მარტო სამეურნეო ფაქტორებით.

„კონსტანტინოპოლი და სრუტეები ასე ვსთქვათ გზაჯვარადინია, რომელიც ოთხი მხრიდან აერთებს საერთაშორისო გზებს. ოსმალეთი შემაერთებელი რგოლია ევროპასა და ინდოეთს შორის; ის ღირსშენანიშნავი ხიდია, რომელიც აერთებს იმპერიალისტურ ევროპას აღმოსავლეთის ქვეყნებთან. და ვის ხელშიაც ეს დიდი სტრატეგიული პუნქტი იქნება, მას ყოველთვის საშუალება ეძლევა დაიმონოს ახლობელი და შორეული მხარეები. იმპერიალისტური ევროპის სახელმწიფოები გატაცებით ცდილობდენ ხელში ჩაეგდოთ ეს დიდი ცენტრი ზოგი დიპლომატიის გზით, ზოგი კიდევ სამხედრო საშვალებით. ოსმალეთის ყოველმხრივი მნიშვნელობა ევროპის კაპიტალისა და წარმატებისათვის ხსნის და მარტავს იმ კითხვას, თუ რატომ ასე დაინტერესებული იყვენ და არიან იმპერიალისტური სახელმწიფოები ოტომანიის სამეფოთი. ოსმალეთში, როგორც აღვნიშნეთ, მრავალის გზით დაუპირისპირდა ერთმანეთს იმპერიალისტურ სახელმწიფოთა ინტერესები და ის საერთაშორისო კონფლიქტის ბაზათ გადაიქცა. საკმარისია გავიხსენოთ გერმანული იმპერიალიზმის მიდრეკილება აღმოსავლეთისაკენ, რომელიც ბალკანეთის, მცირე აზიისა და მესოპოტამიის გზებით ცდილობდა შეერთებოდა ახლო აღმოსავლეთის, შუა აზიისა და ინდოეთის ბაზრებს, რომ ნათლად წარმოგვიდგეს ოსმალეთის ეკონომიურ და პოლიტიკურ-სტრატეგიული მნიშვნელობა თანამედროვე უაღრესად განვითარებულ კაპიტალიზმისათვის. გერმანეთის იმპერიალისტურ კაპიტალის მიზანი იყო შეერთებინა გერმანეთის ზღვა ინდოეთის წინა კარებისათვის ბერლინ-ბაღდადის რკინის გზის საშვალებით და ამ დიდი არტერიის გარშემო შემოეკრიბა პოლიტიკურად და ეკონომიურად ახლო მდებარე ქვეყნები. ეს გეგმა საშვალებას აძლევდა გერმანეთის იმპერიალისტებს ერთის მხრით

დადებითად გადაეწყვიტათ შუა ევროპის კავშირი, ბალკანეთის პრობლემა და საკითხი ოსმალეთის მემკვიდრეობის შესახებ და გამოეწუწნათ აღმოსავლეთში დაგროვილი სიმდიდრე და დოვლათი; მეორეს მხრით კი გადაეკრათ ინგლისიდან ინდოეთსა და ეგვიპტეში მიმავალი გზები და გაენადგურებინათ ინგლისის კაპიტალის ბატონობა აღნიშნულ ქვეყნებში. თვით ინგლისი სამხრეთ აღმოსავლეთიდან რკალივით შემოერტყა ოსმალეთს და განსაკუთრებით ზღვითა და სრუტეებით შეუჩერებელი იერიში მიქონდა, როგორც ოსმალეთის დასაპყრობათ, აგრეთვე გერმანული კაპიტალის გასანადგურებლად. ჩრდილოეთით, ძველი რეჟიმის დროს, რუსული შინაარსის იმპერიალიზმი დიდი ზეიმით მიექანებოდა ახლო აღმოსავლეთისაკენ კონსტანტინოპოლისა და სრუტეების ხელში ჩასაგდებათ. ჩრდილოეთის იმპერიალისტები მომხრენი იყვნენ ოსმალეთის დანაწილებისა და მცირე აზიის, ანატოლიის, მესოპოტამიის ნაწილისა და ალექსანდრეტის რუსეთისათვის შეერთების. როგორც ვხედავთ სულ უახლოეს წარსულში ოტომანიის იმპერიის კაოებზე ოთხი მხრით მიმდგარი იყო სხვადასხვა ხარისხისა და ღირებულების იმპერიალიზმი და შესაფერ მოვენტს უცდიდენ „დაავადებულ ადამიანის“ ოჯახში შესაპრალად და დასამონებლად. ასეთ მდგომარეობის წინაშე იდგა ოსმალეთი წარსულში. ომმა და საერთაშორისო რევოლიუციამ რამდენიმეთ შესცვალა ეს მდგომარეობა“. (იხ. ჩემი წერილი: „ავადმყოფი ადამიანის ბედი“ „სახალხო საქმე“ 1919 წ. № 683).

ომის დამთავრების შემდეგ საერთოდ მთელს აზიაში დაირღვა ძველი სწორწონობა და იმპერიალისტური სახელმწიფონი ახალი ფაქტის წინაშე დასდგენ. აქ განსაკუთრებით ერთი მეორეს დაეჯახა ინგლისს-საფრანგეთის ინტერესები. ეს ორი სახელმწიფო, რომელთაც ომის ღვერთმა სრული გამარჯვება მიანიჭა, გაცხოველებული ენერგიით იბრძვიან ევროპაში ჰეგემონიის მოსაპოვებლად.

ინგლისის პირდაპირი ინტერესი მოითხოვდა დაენაწილე-

ბია ოტომანიის იმპერია წვრილ სახელმწიფოებად და ამ გვარად მთელი წინა აზია თავისი გავლენის ქვეშ დაეყენებინა. ინგლისის აღმოსავლეთის პოლიტიკა გარკვევით მოითხოვს მთელი თავისი გავლენის ქვეშ არსებულ ტერიტორიების ერთ მთლიან რკალით შემოხაზვას და ამ გვარად აფრიკისა და აზიის სამფლობელოების ერთმანეთზე განუყრელი რგოლებით გადაბმას. ამ მიზნით ინგლისმა კვლავ თავის გავლენაში დასტოვა სუეცის არხი და დარდანელი, ადანი და სინგაპური, ხველა ესენი კი მას აძლევს საშუალებას განამტკიცოს თავისი ბატონობა ხმელთაშუა ზღვასა და ინდოეთის ოკეანეზე. აგრეთვე ოსმალეთიდან ინგლისის ხელშია მესოპოტამია, გადასულია არაბეთი და პალესტინა, და მისივე გავლენის ქვეშაა დაყენებული სპარსეთის ყურე და წითელ ზღვა. ამ ტერიტორიალურ რგოლების საშუალებით ინგლისმა ერთი მეორეს გადააჯაჭვა ეგვიპტე და ინდოეთი. ტყვილა ხომ არ სწერდენ ინგლისის იმპერიალისტები: „ეგვიპტე სუეცის არხთან ერთად სრულიად სამართლიანად ითვლება გასაღებათ ბრიტანეთის კოლონიების უძვირფასეს მარგალიტის—ინდოეთისა“. ამ ძვირფასი მარგალიტის გასაღები და მეტად მნიშვნელოვანი გზები მისკენ მიმართულნი ინგლისმა თავის გავლენის ქვეშ მოაქცია და ამ გვარად ფაქტიურად შეიქმნა მთელი აზიის დიდი ნაწილის ბატონ-პატრონი. მეორეს მხრით, ინგლისის ინტერესს სრულიად არ შეადგენს გერმანეთის მრეწველობის განადგურება და გერმანეთის სავსებით ამოშლა საერთაშორისო მოქმედების რუქიდან; ეკონომიურად გერმანეთის მრეწველობა ინგლისს ესაჭიროება როგორც თავისი ფაბრიკატების გამსაღებელი ბაზარი; პოლიტიკურად კი გერმანეთი სჭირია მას როგორც კოზირი საფრანგეთის იმპერიალიზმის წინააღმდეგ.

ასეთს პოლიტიკას არსებითად ეწინააღმდეგება საფრანგეთის იმპერიალისტების მისწრაფებანი; მათ სურთ ფიზიკურად გაანადგურონ თავისი ისტორიული მტერი, გერმანეთის მრეწველობა და პოლიტიკა; მასთანვე ოსმალეთის მთლიანობის შენარჩუნებით მაგარი ძალა ყავდეს ახლო აღმოსავლეთში ინ-

გლისის იმპერიალიზმის დასაპირისპირებლად. ინგლის-საფრანგეთის პოლიტიკა ასეთს ინტერესთა წინააღმდეგობაზე არის აღმ-ცენებული.

მაგრამ ოსმალეთის საკითხი მეტად გაამწვავა მოსულის ნავთიანი რაიონის საკითხმა. მოსულის რაიონი გადაიქცა საერთაშორისო პოლიტიკის ერთ მეტად მნიშვნელოვან ამოცანად და ამ კითხვის გადაწყვეტას დაუკავშირეს ოსმალეთის ბედიც. როგორც ვიცით ნავთის პროდუქტს მეტად დიდი ადგილი უჭირავს სამხედრო ინდუსტრიაში და ინგლისის პოლიტიკის მთავარი ყურადღება ნავთიანი რაიონების დაპყრობისაკენ არის მიმართული. ახლო აღმოსავლეთის საკითხში თავიიმპერიალისტურ პოლიტიკას ინგლისმა მიზანშეწონილად შეუფარდა თავისი ნავთის პოლიტიკაც. 1921 წელს 17 ოქტომბერს ლონდონის სავაჭრო პალატაში მისტერ ა. ვიბი—ტომსონმა მეტად საინტერესო დასკვნა გაუკეთა ინგლისის ნავთის პოლიტიკის შედეგებს. ორატორი აღნიშნავდა, რომ გარდა ინგლისისა, ბრიტანეთის იმპერიას აქვს ნამდვილი კონტროლი აშკარა და პოტენციალურ ნავთის წყაროებზე ინგლისისაგან დამოკიდებულს სამფლობელოებსა და საპანდატო ქვეყნებში: ინდოეთის, ტრინიდადს, ეგვიპტესა, კანადასა, ბარბადოსა, სპარსეთსა, მესოპოტამიასა, პალესტინასა, ახალ გვინეიასა, ახალ ზელანდიასა, საპოლესა და ბორნეოში. ორატორი დასძენდა, რომ ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში ინგლისმა დიდ გამარჯვებას მიაღწია ნავთის საკითხში და მთელ რიგ მხარეებში კვლავ სწარმოებს ძებნა ნავთიანი ადგილებისაო. თუ დავაკვირდებით ამ პოლიტიკას ჩვენ დავინახავთ, რომ ინგლისი ცდილობს ნავთის წყაროები ჩაიგდოს ხელში იქ, სადაც მიემართება და გადის მისი იმპერიალიზმის გზები. მოსულის ნავთის საკითხს ამ პოლიტიკის გეგმაში ფართო ადგილი უჭირავს. ჯერ კიდევ 1916 წ. ინგლისის პოლიტიკოსები სწერდენ: „მოსულში სწყდება ინდოეთის ბედი და ინგლისის ჰეგემონია ზღვებზე“. პრესის ზოგიერთი ორგანოები ამტკიცებდენ, რომ „სახელმწიფო, რომელიც განმტკიცდება მოსულში, შეს-

ძლევს თავის ხელში ჩაიგდოს ბაღდადის რკინის გზა, შემოფარგლოს სუეცის არხი და შეუტიოს ინდოეთს ზურგით".

ამგვარად მესოპოტამიის ნავთის საკითხი ღრმათ არის გადაჯაჭვული ინგლისის პოლიტიკურ და სამხედრო ბატონობის საკითხთან, 1921 წ. ნოემბრის „ტანი" მოწინავე წერილში სწერდა, რომ ინგლისის ომი ქემალის წინააღმდეგ აიხსნება მით, რომ ინგლისს არ სურს საშუალება მისცეს ძლიერი დამოუკიდებელი ოსმალეთის არსებობას, რომელსაც შეძლება ექნება ევროპასა და ამერიკასთან დასდგას ხელშეკრულებანი და ნება მისცეს სხვა სახელმწიფოებსაც დაამუშაონ მისი ნავთის წყაროები, რაც მოსპობდა ინგლისის ნავთის მონოპოლიას მცირე აზიაში. ამ პოლიტიკას ინგლისი არ ღალატობდა ლოზანას კონფერენციაზედაც. ინგლისის ლიბერალიზმის ხელმძღვანელმა ორგანომ „ნეიშემ" 1922 წელს გარკვევით გამოსთქვა ის აზრი თუ როგორ არის დაკავშირებული სრუტეებისა და მთელი ოსმალეთის კითხვა ნავთის საკითხთან. ორგანო სწერდა: „რას ნიშნავს სრუტეების გახსნის ფეტიში, ეს სამხედრო გამოთქმა, რომელიც ეშუქრება მილიონთა სიცოცხლესა და მშვიდობიანობას? ის სხვას არაფერს არ ნიშნავს თუ არა მოთხოვნას სამხედრო გემების გაგზავნის უფლებისას, პირველ რიგში კი ინგლისის, შავ ზღვაზე. თანამედროვე საქმის ვითარებაში არსებობს მხოლოდ ორი მოტივი ამ მოთხოვნისათვის: პირველი მოტივი შეიკავს ომის შიშს საბჭოთა რუსეთთან; მეორე — ზრუნვა ნავთისათვის".[1])

სხვა მომენტებთან ერთად აქ მიღებული არის მხედველობაში ის გარემოებაც, რომ მესოპოტამიიდან ნავთის გამტარებელი მილი გაყვანილი უნდა იქნეს სირიის ტერიტორიით და რაოდენთაც მოკავშირეებს არ ეყოლებათ კონსტანტინოპოლი თავისი დრედნოუტების შიშის ქვეშ, იმდენათ ოსმალეთის მთავრობას შეძლება ექნება, განსაკუთრებით ომის დროს, შეაჩეროს ნავთის ტრანსპორტი. ამგვარად, სრუტეებში ბატონო-

[1]) იხ. К. Радек: „Нефтяное освещение Дарданельского вопроса"; „Правда" № 229, 1922 г.

ბა წარმოადგენს ინგლისის იმპერიალიზმის მუდმივ ინტერესს. ამ ცნობებიდან ნათელი ხდება, თუ რამდენად გადაჯაჭვული არის ინგლისის ინტერესებთან მესოპოტამიის ნავთის საკითხი.

მესოპოტამიის საკითხი, როგორც ნავთის მდიდარი რაიონის საკითხი, განსაკუთრებული სიძლიერით წამოიჭრა ომის პროცესში. ომის წინა ხანებში ამ რაიონის ნავთის საკითხი არ იტარებდა მწვავე ხასიათს. გერმანეთის იმპერიალიზმის პროგრამაში, რომელმაც ფართო გეგმები დაისახა ბაღდადის რკინისგზის გაყვანით ოსმალეთის ექსპლოატაციის საქმეში, ნავთის საკითხი არ შედიოდა როგორც დამოუკიდებელი მიზანი. როგორც ამხანაგი პავლოვიჩი აღნიშნავს, მესოპოტამია აინტერესებდა გერმანეთის ბურჟუაზიას უწინარეს ყოვლისა ბამბის კულტურის შექმნისა და განვითარების საზოვით, რომ ამით გაედევნა ამერიკა საერთაშორისო ბამბის ბაზრებიდან. ნავთი მოსულში აღმოაჩინეს გერმანელებმა, მაგრამ გერმანეთის ბანკს არ გამოუყენებია ოსმალეთისაგან მიცემული კონცესია ნავთის წყაროების დასამუშავებლად[1]).

1914 წელს ინგლისის მთავრობამ შეძლო გერმანეთის კაპიტალისტებთან და ოსმალეთის მთავრობასთან მოლაპარაკების გამართვა და ხელშეკრულების დადება, რომლის მიხედვითაც ინგლისს უნდა მიეღო მესოპოტამიის ნავთის 50%, გერმანეთს 25 და ოსმალეთის მთავრობას 25; ეს იყო ომის წინა ხანებში.

ომის პროცესში ყოველი იმპერიალისტური სახელმწიფო ცდილობდა გარკვეულ ფორმებში ჩამოეყალიბებია თავისი მოთხოვნილებანი ოსმალეთის მიმართ.

ამ მხრივ საგულისხმიერია გერმანეთის იმპერიალისტების პროგრამა; ოფიციალური თეორეტიკოსი გერმანეთის იმპერიალიზმისა პოლ რორბახი სწერდა 1915 წელში: „რა შედეგი მოჰყვება, რომ მოკავშირეებმა გაიყოს ურთიერთშორის ტერი-

---

[1]) დაწვრილებითი ცნობები მესოპოტამიის შესახებ იხ. ვ. კრიაჟინის წერილში „Месопотамия" ჟურ. „Новый Восток" № 2, 1922 წ

ტორია მდებარე ბოსფორსა და სპარსეთის ყურეს შორის, ერთის მხრით, და სუეცის არსა და არარატს შორის, მეორეს ხბრით, ან და რომ ჩვენ დავკარგოთ ყოველგვარი გავლენა ამ რაიონებზე? პასუხი ამ კითხვაზე ნათელია. ეს იქნება გერმანეთის დასახული როგორც მსოფლიო მპყრობელისა, მისი გამორიცხვა პირველ ხარისხოვან სახელმწიფოთა რიგიდან. ოტომანიის იმპერია ჰფლობს ეხლა მიწა-წყალს, რომლის მნიშვნელობა საერთაშორისო ეკონომიკასა და პოლიტიკაში იზრდება იმისდა მიხედვით, რამდენათაც ეს მხარეები კულტურის გზაზე დგება და ექსპლოატაციის საგანი ხდება. ქვეყანა ამ მიდამოებისაგან უკუგდებული ჰკარგავს მთელს თავის საერთაშორისო მნიშვნილობას". მეორე წერილში იგივე რორბახი სწერდა: „გერმანეთის მომავალი აღმოსავლეთშია— მცირე აზიაში, სირიასა, მესოპოტამიასა და პალესტინაში. ნინევიის მეზობლად, იქ სადაც გადის ბაღდადის რკინის გზა, იმყოფება მსოფლიო ნავთის ერთი უმდიდრესი წყაროთაგანი. ტავრის სიღრმეში—სპილენძისა და სხვა ლითონების უდიდესი ფენებია. ბაბილონის ველ-ბლობი შეიძლება გადაიქცეს პურისა და ბამბის უდიდეს მომწოდებლათ მსოფლიოში. მესოპოტამიაში საძოვრებია ცხვრის მილიონიან ფარებისათვის. აქ ჩვენ შეგვიძლია მოვიპოვოთ უმეტესი ნაწილი ჩვენთვის საჭირო ნედლ მასალისა ისიც ერთ ადგილზე დაგროვილი" [1]). რორბახის ამ სიტყვებში გამოთქმული არის მთელი კვიტ-ესენცია გერმანეთის იმპერიალისტური პროგრამის ახლო აღმოსავლეთის მიმართ.

მოკავშირეთა მხრით უკვე ომის პროცესში იქმნა მთელი მსოფლიო გადაყოფილი 1915, 16 და 17 წლების ფარულ ხელშეკრულებებით. თუ როგორი გავლენა იქონია ამ ფარულმა ხელშეკრულებებმა ვერსალის საზავო კონფერენციაზე, ამის საუცხოვო ნიმუშებს გვაწვდის ამერიკელი მწერალი ბეკერი. [2])

---

[1]) М. Павлович: „Борьба за Азию и Африку", გვ. 34, 1923 წ.

[2]) იხ მისი: „Вудро Вильсон, мировая война, версальский мир", გვ. 56-125, 1922 წ.

თანახმად 1916 წლის დიდ ბრიტანეთსა, საფრანგეთსა და რუსეთს შორის დადებულ ხელშეკრულებისა, ოსმალეთი გადაყოფილ იქმნა, რაც შეეხება მესოპოტამიის დოვლათიან რაიონს, იგი შემდეგნაირად იქმნა გაყოფილი: საფრანგეთმა მიიღო სამხრეთ ნაწილი ქურთისტანისა, დანარჩენი ნაწილი გადაეცა რუსეთს, ინგლისს ერგო სამხრეთ მესოპოტამია ბაღდადით. ამ გვარად მთელი შუა ნაწილი მესოპოტამიისა მოსულის ნავთის რაიონით გადაუყოფელი დარჩა. ამ რაიონის ბედი, რომელიც ყველაზე უფრო მდიდარი არის ნავთის წყაროებით, გადასწყვიტა საფრანგეთმა და ინგლისმა რუსეთის დაუკითხავად ფარული ხელშეკრულებით 1916 წლის მაისში, რომელმაც გაანაწილა სირია და მოსული ამ ორ მპყრობელთა შორის. მოსულის ვილაიეტი ამ ხელშეკრულებით ერგო საფრანგეთს. მასთანვე ნავთის საქმეში მონაწილეობის საკითხი მოწესრიგებული იქმნა ხელშეკრულების რამდენიმე მუხლით.

ამგვარად მოსულის ნავთის რაიონის მეორე გადაყოფა ინგლისისათვის დამთავრდა მეტად სამწუხაროთ, მაგრამ იძულებული იყო ომის მიზეზების გამო დამორჩილებოდა ხელშეკრულებას. ომის პროცესშიც ინგლისი არ ივიწყებდა თავის ნავთის პოლიტიკასა და სამხედრო ოპერაციებს განსაკუთრებით მ.ბართავდა იმ რაიონებისაკენ, რომელიც მდიდარი იყო ნავთით.

„სამხედრო მინისტრ ს უისტონ ჩერჩილის მთავარი პოლიტიკა იმაში მდგომარეობდა, რომ ის ინგლისის ჯარების საშუალებით იკავებდა ნავთით მდიდარ რაიონებს. ასე მაგალ. ინგლისის ჯარებმა ომის დროს დაიკავეს ნავთის ქვეყნები როდეზიაში, პალესტინაში, ოსმალეთში და კავკასიაში. კაპსტონ-გიბენმა, რომელმაც „ენდუსტრიალ დიდერეესტში“ 1922 წელს განაცხადა, რომ ბაქოს და გროზნოს ნავთის წყაროებს შეუძლია 10 მილ. ტონი ნავთის მოცემაო,—სწერდა: „როცა 1918 წლის ნოემბერში უკანასკნელად გაისმა თოფის გასროლა, ყველა, მომავალზე დაფიქრებულ შორსმჭვეტელ ხალხისათვის ნათელი იყო, რომ მსოფლიოში არის ნავთის სამი რაიონი, რომლის ხელში ჩაგდება შეიძლება.—მესოპო-

ტამია, სპარსეთი, რუსეთი და კიდევ ერთი—მეოთხე, რომლის შესახებ საჭიროა მოლაპარაკება, რადგან ის მოკავშირე საბელმწიფოში—რუმინიაში იმყოფება" (იხ. გ. მარტენის წერილი: „ომი ნავთის თვის" გაზ. «კომუნისტი» № 182).

ინგლისის პოლიტიკას თავიდანვე დაედვა სარჩულად ნავთის ინტერესები და ამას იგი ენერგიულად იცავდა. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ინგლისი ოსმალეთში თავისთვის ხელსაყრელ პირობების შექმნასთან ერთად არ იკიწყებდა ბაქოს ნავთის რაიონებსაც და ამ საქმეში იგი ცდილობდა გამოეყენებია ოსმალეთის ნაციონალურ უმცირესობათა საკითხი. ამ პოლიტიკის წინაღმდეგ მთელი თავისი სიმკაცრით ილაშქრებდენ საფრანგეთის იმპერიალისტები: ლოზანას კონფერენციის დროს „ტანი" სწერდა: „საფრანგეთს არ შეუძლია, დაუშვას, რომ ნაციონალურ უმცირესობათა ფაცვის წინადადებით ხდებოდეს ამ უმცირესობათა უცხოეთის პოლიტიკის აგენტებად გადაქცევ-ს ცდები, რომელსაც სურს დაანაწილოს ან დაიმონოს ოსმალეთი. კერზონი თავის სიტყვაში მოითხოვდა „სომეხთა კერის" შექმნას კავკასიის ნავთ.ს წყაროების მეზობლად და საკანტროლო კომისიის დაწესებას კონსტანტინეპოლში—სროუტეეის ცენტრ ლურ პუნქტში". (იხ. პავლოვიჩის „ბრძოლა"... გვ. 104—5) ეს ფაქტები ჩვენ გარკვევით გვიმელავნებენ იმას, თუ რისთვის და რა მიზნით „იცავდენ" ინგლისის იმპერიალისტები ოსმალეთში ნაციონალურ უმცირესობათა ინტერესებს, მაშინ როდესაც საკუთარ სახლში სისხლის შმორებს აყენებდენ ირლანდიის შოძრაობის ჩასაქრობად.

მესოპოტამიის მიმართულებით ინგლისმა დაიწყო შემოტევა საერთაშორისო ომის დაწყების შემდეგ. 1917 წელში განაახლა ეს შემოტევა მესოპოტამიისაკენ. მარტში აიღეს ბაღდადი, რომლის შემდეგ შეუჩერებლივ გაეშურნენ რომორც ტიგროსის, ისე ეფრატის მ მართულებით და დაამთავრეს მესოპოტამიის კომპანია ოსმალეთის ჯარის განადგურებით. დროებითი ზავის შემდეგ ინგლისელები აყოვნებდენ გა-

მოეცხადებიათ თავის პროტექტორატი მესოპოტამიაზე, თუმცა განაგრძნობდენ ინგლის-ინდოეთის გარნიზონის ყოლას მესოპოტამიაში (იხ. კრიაკინის წერილი—234).

ამ ლოდინის მთავარი მიზეზი იყო ის, რომ ინგლისელებს არ სურდათ თანახმად 1916 წ. დადებულ ხელშეკრულებისა გადაეცათ მოსულის ნავთიანი რაიონები საფრანგეთისათვის: ინგლისელებმა თავის შეიარაღებულ ძალით დაიპყრეს ოსმალეთის ტერიტორია და ცდილობდენ რაიმე მახინაცეების საშუალებით დაეღვიათ 1916 წლის ხელშეკრულება. ამ საკითხის გარშემო მეტად მკაცრი დიპლომატიური დუელი გაიმართა კლემანსოსა და ლოიდ ჯორჯს შორის. ინგლისელებს არ სურდათ გადაეცათ ფრანგებისათვის არა მარტო მოსულის ვილაიეტები, არამედ სირიაცა და ალექსანდრეტიაც.

ინგლისი თავისი მიზნების მიღწევას ცდილობდა ინტრიგებითა და საფრანგეთისათვის აღმოსავლეთში გაჭიერებულ მდგომარეობის შექმნით. ინგლისი, ერთი მხრით, მასზე აქეზებდა ანატოლიის ნაციონალისტებს და მეორეს მხრით კი, მესოპოტამიის ემირს ფეისალს. მესამე მხრით—განსაკუთრებული სიძლიერით აწვებოდა სარეპერაციო საკითხს, რომლის საშუალებითაც მას სურდა დათმობაზე წაეყვანა საფრანგეთი ახლო-აღმოსავლეთის საკითხში. დელეზი თავის წიგნში სწერს:

„საფრანგეთი, რომელსაც ინგლის-საფრანგეთის შეთანხმებამ 1916 წელს გადასცა უდიდესი სფერო გავლენისა ალექსანდრეტის ყურეჯან სპარსეთამდე, იმყოფებოდა მძიმე მდგომარეობაში. მუსტაფა ქემალმა და ოსმალეთის ნაციონალისტებმა გადეკეტეს ის კილიკიიდან. ემირ ფეისალი ავიწროებდაგენ. გუროს სენეგალის ბატალიონებს სიროიის სანაპიროებისაკენ. ეს იყო მით უფრო საგრძნობი თავდასხმა ნაციონალურ პრესტიჟისათვის, რომ ჩვენ ფინანსებს ემუქრებოდა დაკარგვა კონტროლისა ბაირუტ-დამასკისა და რამიაკ-ალეპოს რკინის გზებზე და ნავთ-სადგურებზე, რომელნიც მილებული გექონდა ჩვენ ოსმალეთის დროს. ყველაზე უფრო საინტერესო ის იყო, რომ ფეისალის ძალა-უფლება,—და ეს არავითარ ეთვის არ იყო

საიდუმლოება,—გამაგრებული იყო მხოლოდ ჩვენი კეთილი მეგობრების—ინგლისელების იარაღით, ფულითა და დახმარებით მაშინ ლორდ კერზონმა მოგვმართა: „მოაწერეთ ხელი შეთანხმებას როიალ დეჩთან (ინგლისური ნავთის ტრესტია ს. ხ.) და სირია თქვენ დაგრჩებათ“. ბატონი მილერანი დასთანხმდა: ფეისალი იმ წამშივე დატოვებული იქნა თავისი ძალების ამარა. ამგვარად გენერალ გუროს ტრიუფალური შესვლა დამასკში ნაყიდი იყო ყველა ჩვენი ნავთის მინდვრების დაკარგვით“. (იხ. ელეზი „ნავთი“ გვ. 51).

ეს ცნობა მეტად საინტერესო ამბავს გადმოგვცემს იმ ინტრიგების შესახებ, რომელსაც მიმართავდენ მოკავშირე—მეგობარი სახელმწიფოები ერთმანეთის წინააღმდეგ ახლო-აღმოსავლეთში: ლოიდ-ჯორჯმა აუჯანყა ფეისალი საფრანგეთს, ჩააგდო იგი ამით უხერხულ მდგომარეობაში და შემდეგ პოლიტიკური ძალდატანების გზით აიძულა ხელი მოეწერა მოსულის ნავთის რაიონის ინგლისელებზე გადაცემის შესახებ. მაგრამ ინგლისი მარტო ამით არ დაკმაყოფილდა და ევროპის მდგომარეობაც გამოიყენა მოსულის წყაროების შეძენის საქმეში. მეორე მომენტი, რომელიც გამოადგა ინგლისს მოსულის საკითხში, ეს იყო რეპარაციის საკითხი. საფრანგეთს გერმანეთის სარეპარაციო გადასახადიდან ეკუთვნოდა 52 პრ. მთელი გადასახადისა: ინგლისმა თავისი ტორი სწორედ აქ დააჭირა და რეპარაციის საკითხის დახმარებაში მოითხოვა მოსულის წყაროების დათმობა.

აღმოსავლეთსა და ევროპაში შექმნილ პირობების გამო კლემანსო იძულებული შეიქმნა თავისი პოსტი დაეტოვებინა და მილიერანმა ხელი მოაწერა მოსულის დათმობას სანრემოში (1920 წ.).

თანახმად სანრემოში დადგენილ კონვენციისა, რომელშიაც გადაყოფილ იქმნა მნიშვნელოვან ნავთის ტერიტორიები საფრანგეთსა და ინგლისს შორის, მოსოპოტამიის ნავთის მთელი წყაროები გადავიდა ინგლისის განკარგულებაში, მხოლოდ იგი იძულებული იყო 25 პროც. ამოღებული ნედლი

ნავთისა დაეთმო საფრანგეთისათვის ბაზრის ფასებში. ამის ნაცვლად საფრანგეთმა მისცა თანხმობა გაეყვანათ ინგლისელებს ორი ნავთის გამტარებელი მილი და რკინის გზა საფრანგეთის გავლენის ქვეშ მოყოლილ ზონაში, აგრეთვე იგი იძულებული ხდება ყოველგვარ ეადასახადის გარეშე გაატაროს ნავთი და მასთანავე შესაფერისი დახმარება უნდა აღმოუჩინოს იმ ნავთსადგურების აშენებაში ხმელთა შუა ზღვაზე, სადაც უნდა გათავებულიყო ნავთის გამტარებელი მილები.

აქედან ჩვენ ვხედავთ თუ რ ოგორ დიდ გამარჯვებას მიაღწიეს ინგლისელებმა ახლო აღმოსავლეთში ომის დამთავრების შემდეგ პერიოდში: მათ მრავალი მნიშვნელოვანი სამეურნეო ტერიტორიები და სტრატეგიული პუნქტები თავიანთ გავლენის ქვეშ დააყენეს და რეალურად შეუდგენ თავიანთ აღმოსავლეთის იმპერიალისტურ პროგრამის სისრულეში მოყვანას.

„დროებითი ზავის ხელის მოწერის პირველ თვიდანვე ინგლისის იმპერიალისტები იმყოფებოდენ მეტად დიდ აღტაცებაში მათ წინ გადაშლილ მესოპოტამიასა და სპარსეთის ნავთისა და რკინის გზების პერსპექტივების გამო,—სწერს ვ. კრიაჟინი,—მართლაც უწინარეს ყოვლისა მათ დააწესეს თავიანთი კანტროლი ბაღდადის რკინის გზაზე (1919 წელი, იანვარი), რომელიც ამგვარად ინდოეთისათვის საფრთხიდან მისი სიძლიერის იარაღად გადაიქცა. რკინის გზების გაყვანა შეუწყვეტლივ გრძელდებოდა ომის დროს გერმანეთის მხრით: მათ მოასწრეს დამთავრება თავრის დიდი ტონელისა, გადვეს ხის ხიდი ეფრატზე და მიიყვანეს აღმოსავლეთით მაგისტრალი რას-ელ-აინით ნახევარ გზაზე მეტით მოსულამდე. გარდა ამისა უკვე მუშაობდა ხაზი სამარამდე და ბოლოს თვით ინგლისელებმა დაამთავრეს რაიონი ბაღდადსა და ბასრას შორის“. (იქვე გვ. 235).

როგორც ვხედავთ ინგლისმა ოტომანიის ყველაზე უფრო მნიშვნელოვანსა და დოვლათიანს რაიონში საკმაო სიძლიერით მოიკიდა ფეხი და პოლიტიკურადაც და ეკონომიურადაც გამა-

გრდა. ამ შეგრძნობარეობას თავისი სანქცია უყო სანრემოს ხელ-შეკრულებამ საფრანგეთსა და ინგლისს შორის დადებულ კონ-ვენციით.

მაგრამ ეს კონვენცია არ იყო მიმართული მარტო საფ-რანგეთის ინტერესების წინააღმდეგ. ის პირდაპირ ემუქრებოდა ამერიკის სასიცოცხლო ინტერესებს ნავთის საკითხში; ეს ორი სახელმწიფო ასე იოლად ვერ შეხედავდა ინგლისის ასეთ გა-ბატონებას აღმოსავლეთში და ოსმალეთის ნავთის რაიონების მისი გავლენის ქვეშ დატოვებას.

სანრემოს ხელშეკრულებამ უსაზღვრო მწუხარებაში ჩააგ-დო საფრანგეთის პოლიტიკური წრეები. მოსულის დაკარგვა-სა და ინგლისის გამარჯვებაში ისინი ხედავდენ საფრანგეთის ნაციონალურ პრესტიჟის დაკარგვას. მოსულის საკითხი გადა-იქცა ფართო დისკუსიის საგნად საფრანგეთში და პოლიტი-კური პარტიები ამ ფაქტორს ხშირად ხმარობდენ ერთმანეთთან ბრძოლის დროს. ნავთის სუნი პარლამენტის ტრიბუნამდეც მივიდა. მოსულის რაიონის დაკარგვის შესახებ 1922 წელს „რევიუ დეპარის“ თანამშრომელი სწერდა: „საფრანგეთის სა-ზოგადოებრივმა აზრმა იცის, რომ სევრის ხელშეკრულება დადებული იყო მხოლოდ იმისათვის, რომ ამერიკელების მო-შორებით, საფრანგეთზე გადმოსული ოსმალეთის ნაწილი მი-ეთვისებიათ და დაეწესებინათ ბრიტანეთის კანტროლი ნავთზე. ბრიტანეთმა მიითვისა გერმანეთის უწინდელი უფლებები; მაგ-რამ მან (საფრანგეთმა) არ იცის, რომ ხელს აწერდა რა ფარულსა და უცნაურ ხელშეკრულებას სანრემოში, საფრანგეთის მჯა-ვრობა, ამით ხელს აწერდა თავის პოლიტიკური დამოუკიდე-ბლობის უარყოფას. ამრიგად უთმობდა ინგლისს არა მარტო თავის მესოპოტამიის ნავთის წყაროებს, არამედ ყოველივეს, რაც ჩვენ შეგვეძლო მოგვეპოებინა კოლონიებსა და სხვა ქვეყნებში... წარმოიდგინეთ,— განაგრძობს ავტორი,—რომ მო-მავალში საფრანგეთი იძულებული იქნება განკერძოებულად აწარმოოს ომი იმ სახელმწიფოთა სურვილების წინააღმდეგ, რო-მელთაც ხელთ ეპყრიათ ნავთი. რა სარგებლობას მოუტანს ასეთ პირობებში მას (საფრანგეთს) ყოლა ძლევა-მოსილი არ-

მიისა, რომელიც მომარაგებული იქნება უხვად ჰაეროპლანებით, ტანკებით და ჯავშნოსნებით? საკმარისი იქნება ჩუმად მოწესრიგებული ნავთის ბლოკადა, რომ ერთი კვირის განმავლობაში შეაპრან ფრთები ჰაეროპლანებს, შეაჩერონ ტანკები და მიაჯაჭვონ მიწაზე ჯარის მძიმე მსვლელობა, რომელსაც აღარ ექნება გადასაყვანი საშუალება". ამ სიტყვებში იყო გამოხატული საფრანგეთის იმპერიალისტების მთელი გულის ტკივილი. სანრემოს კონფერენციის მეორე დღესვე საფრანგეთის პრესამ გარკვევით წამოაყენა დებულება, რომ „გადასინჯვა სანრემოს ხელშეკრულების პირობებისა ყველაზე უფრო მისაღებია ოსმალეთისათვის და ყველაზე უფრო სასურველი საფრანგეთის ინტერესებისათვის". (ტანი 21 ივლისი 1920 წ.) სრულიად ადვილი ასახსნელი არის ის გარემოება, რომ საფრანგეთის პოლიტიკოსებმა აღმოსავლეთში, წაგებული პირობების აღდგენა მოისურვეს ანგორის მთავრობასთან უახლოესი კავშირის დაპერით. საფრანგეთის პოლიტიკოსები ფარული გზით შეუდგენ ოსმალეთის ნაციონალურ მოძრაობასთან ურთი-ერთობა გაებათ, რომ ამით ინგლისისათვის რეალური მოწინააღმდეგე ძალა დაეპირისპირებიათ აღმოსავლეთში. თავის მხრით ინგლისელებმა საბერძნეთის იმპერიალისტები შეაიარაღეს და ამით რეალური ძალა შექმნეს თავის მომხრეთ და თავისი პოლიტიკის გამტარებლად.

მაგრამ საფრანგეთი ამ შემთხვევაში მარტო არ მოქმედებდა და მას გარკვეულ დირექტივებს აძლევდა შორეული იმპერიალისტური სახელმწიფო—ამერიკა.

როგორც აღვნიშნეთ, ინგლისის პოლიტიკა არ არის მიმართული მარტო საფრანგეთის წინააღმდეგ, მას საფრანგეთზე უფრო დიდი მტერი ყავს ნავთის საკითხში—ეს არის ამერიკა, რომლის წინააღმდეგ ინგლისი ენერგიულად ემზადება. სანრემოს ხელშეკრულებით ინგლისმა გზები შეუკრა ამერიკას ოსმალეთში და მოსწყვიტა იგი ნავთის რაიონებს. ამხ. კრიაჟინი ამის შესახებ სწერს: „ინგლისელების ოპერაციებმა მესოპოტამიის ნავთის მიმართ ყველაზე უფრო აღაშფოთა და უფ-

რო აამოქმედა მის მოკავშირეთა შორის ოკეანეს გადაღმა მხარეზე მყოფი იანკები. დაპყრობა მოსულის წყაროებისა, დაპყრობა ინგლისის მიერ ყველაზე უფრო ინტერნაციონალურ ნავთის ტრესტის (ყოფ. ჰოლანდიის) და ბოლოს დადება ზემოხსენებულ შეთანხმებისა საფრანგეთთან ყველა ამან საკმაოდ დაანახა ამერიკელებს, რომ დიდი ბრიტანეთი, რომელიც უკვე ფლობს სპარსეთისა და ინდოეთის ნავთის წყაროებს, ცდილობს გადაიქცეს ნავთის მსოფლიო მონოპოლისტად.— „მაშინ, როდესაც ამერიკელები თავზე ახვევდენ მთელს მსოფლიოს თავის ალტრუიზმს—ამბობდა ამერიკის ახალი პრეზიდენტი—ინგლისელებმა დააწესეს კანტროლი მთელი მსოფლიოს 90% ნავთის წყაროებზე“ (კრიაკინი—235).

ამერიკელი პოლიტიკოსები და მწერლები სანრემოს კონვენციაში ხედავდენ ამერიკის ინტერესების წინააღმდეგ მომართულ ყველაზე უფრო საშინელ აქტს.

სანრემოს ხელშეკრულების დადება მოხდა მას შემდეგ, როდესაც ვილსონმა დასტოვა ევროპის კონტინენტი და ვერსალის გმირებს გადასცა ევროპის საქმეები. ფაქტიურად ინგლისმა ისარგებლა ასეთი მდგომარეობით და სხვადასხვა ხრიკებით მოახერხა საფრანგეთის დათანხმება ნავთის გადაყოფის შესახებ. არსებითად ამით ინგლისმა იზოლიაციაში დასტოვა ამერიკა და ერთხელ კიდევ გადადგა დიდი ნაბიჯი ნავთის დიდ მპყრობელად გადაქცევისაკენ. ამის შემდეგ ამერიკასა და ინგლისს შორის ურთიერთობა ძლიერ გამწვავდა.*) ამერიკის პოლიტიკოსები არ დაკმაყოფილდენ მარტო საპროტესტო ნოტებით ინგლისის მიმართ და სხვა გზაც აირჩიეს თავის მიზნების მისაღწევად:

1. მათ გადასწყვიტეს უშუალოდ, ინგლისის გარეშე, ეკონომიური კავშირი გაებათ აღმოსავლეთთან და ოსმალეთის დიდი სამეფურნეო ტერიტორიები თავიანთ საექსპლოატაციოთ გადაექციათ. ამ გეგმის განხორციელებას ისინი ფიქრობდენ

---

*) იხ. ზევით თავი მეოთხე: „ნავთის საკითხი და დიპლომატია.“

ეკონომიურ — ფინანსიურ ურთიერთობის გაბმით ახლო აღმოსავლეთთან, რომლის შედეგი უკვე მივიღეთ ჩესტერის კონცესიების სახით. ამაზე ცოტა ქვევით

2. მაგრამ იყო მეორე გზაც; ამერიკა კვლავ დიპლომატიურ-პოლიტიკურ მეთოდებით ხელშეძღვანელობდა და მიზნათ ჰქონდა ინგლისისათვის გამწვავებული მდგომარეობა შეექმნა აღმოსავლეთში. როგორც ვიცით სანრემოს ხელშეკრულებით უკმაყოფილო იყო საფრანგეთის პოლიტიკოსები და კაპიტალისტები; ისინი მომენტს უკდიდენ, რომ ინგლისისათვის სამაგიერო გადაეხადათ და დაებრუნებიათ დაკარგული ბედნიერება. ამ გარემოებით ისარგებლა ამერიკამ და საფრანგეთის წაქეზება დაიწყო ინგლისის წინააღმდეგ. საფრანგეთსა და ამერიკას შორის მოინახა საერთო ენა და ორივე ისინი ნავთის საკითხში დაახლოვების გზას დაადგენ. 1920 წლის დასასრულს პარიეში შესდგა გიგანტიური ტრესტი „ფრანკო ამერიკული სტანდარტი". საქმე ამით არ დამთავრდა. ამერიკის კარნახითა და მის მიერ ზურგის გამაგრებით საფრანგეთმა 1921 წელს 20 ოქტომბერს ფარული ხელშეკრულება დასდვა ანგორასთან. 5 ნოემბერს კერზონმა ნოტით მოითხოვა ამ ხელშეკრულების უარყოფა იმ მოტივებით, რომ ხელშეკრულებაში არის საიდუმლო მუხლები (მსხვილი სამხედრო სესხი ოსმალეთისათვის, მომარაგება ოსმალეთის ჯარისა საფრანგეთის იარაღით), რომელსაც შეეძლო გამოეწვიათ მესოპოტამიაში მოძრაობა ინგლისის წინააღმდეგ. საფრანგეთმა უარყო ასეთი პუნქტების არსებობა. (იხ. ბერზინი „ბრძოლა ნავთისათვის" გვ. 106).

ამერიკა აშკარად არ გამოდიოდა საერთაშორისო საბიელზე; ის სხვისი ხელებით ფიქრობდა თავისი საქმეების გაკეთებას და ინგლისის გამოდენას თუ არა, დათანხმებას მაინც მოსულის ნავთის ახალ გადაყოფის შესახებ. საფრანგეთის გარდა მას ფარული მოლაპარაკება ჰქონდა ანგორის მთავრობასთანაც. ჯელალ-ედინ-არეფ—ბეიმ, ყოფილმა დელეგატმა პარიზში ჟურნალისტებთან საუბარის დროს განაცხადა, რომ ფაქტი ამერიკის მიერ ინგლის—საფრანგეთის ხელშეკრულების

არ ცნობის გამო მოსულის ნავთის შესახებ, ნიშნავს უდიდეს დამტკიცებას იმისას, რომ ამერიკის კაპიტალი მიილტვის ოსმალეთისაკენ. „მე დარწმუნებული ვარ,—განაგრძობდა დელეგატი,—რომ ბოლოს და ბოლოს ამ საკითხში ამერიკა აიძულებს ინგლისსა და საფრანგეთს ანგარიში გაუწიოს ამერიკის რესპუბლიკის ინტერესებს, რადგან ასეთ მნიშვნელოვან ეკონომიურ პრობლემების გადაწყვეტის დროს ინგლისი იძულებულია უსმინოს ამერიკას". („ხილიალი" 21 თებ. 1921 წ.)

ინგლის-საფრანგეთის უთანხმოება უფრო გამწვავდა და უმაღლეს ხარისხს მიაღწია სევრის ხელშეკრულების დადებით (1920 წ). ამ ხელშეკრულებამ ფორმალურად ჩაანაწილა ოსმალეთი და შეზღუდა მისი სუვერენიტეტი, ჩამოაცილა მთელი რიგი ტერიტორიებისა და მათი დიდი უმეტესობა მოაქცია ინგლისის ბატონობის ქვეშ. *) მართალია ეს ხელშეკრულება მიიღეს, მაგრამ მის რატიფიკაციას არ ფიქრობდა საფრანგეთი. საფრანგეთის საზოგადოებრივი აზრი აღშფოთებული იყო ინგლისის ასეთი პოლიტიკით. „ინგლისი თავისი ფლოტის წყალობით ფლობს სრუტეებსა და აღმოსავლეთის ზღვებს,—სწერდა „ტანი"—ინგლისის გენერალი გარინგტონი კი ბატონობს კონსტანტინოპოლსა და მცირე აზიაში". როგორც ერთად ერთი გამოსავალი საშუალება ასეთ პირობებიდან საფრანგეთის პოლიტიკოსები მიუთითებდენ მთავრობას აუცილებლობაზე უშუალო კავშირის დაჭერის შესახებ ოსმალეთის ნაციონალისტებთან. (დაწვრილებით იხ. წერილი: „ოსმალეთის საკითხი ს

ბამდე. თავის მხრით საფრანგეთმა დაუთმო სირიის სახელმწიფოს ნაწილი ოსმალეთს და გადასცა სირიის მესოპოტამიასთან შემაერთებელი ხაზის ორივე მხარეზე არსებული მიწები, რითაც საგრძნობლათ დაარღვია ინგლისის ინტერესები.

ჩვენ აქ დაწვრილებით ვერ განვიხილავთ აღმოსავლეთის საკითხს. როგორც ვიცით ერთის მხრით მოკავშირეთა ინტერესების დაპირისპირებამ აღმოსავლეთში და მეორეს მხრით, საბერძნეთის ჯარების განადგურებით ოსმალეთის გამარჯვებამ ოსმალეთის საკითხი კვლავ პირველ რიგში დააყენა და აიძულა მოკავშირეები ახალი კონფერენცია მოეწვიათ. თუ წინათ ინგლისის მდგომარეობა აღმოსავლეთში მტკიცე იყო, ახლა მას რამოდენიმეთ ნიადაგი გამოეცალა და ოსმალეთის საკითხში ლოიდ-ჯორჯმა დამარცხება განიცადა. პუანკარემ მას მეტად მოხდენილი მახინაციები მოუწყო და ლოიდ ჯორჯი დაეცა სწორედ იმ საკითხის გამო, რამაც დასცა კლემანსო: საბერძნეთის ჯარების დამარცხება გამოწვეული იყო უმთავრესად საფრანგეთ-ანგლიის შეთანხმებითა და საფრანგეთისაგან იარაღის მიწოდებით.

ლოზანას კონფერენციაზე საფრანგეთი წარსდგა როგორც დამცველი ოსმალეთის ინტერესებისა; ინგლისს უფრო თავდაცვითი პოლიტიკის წარმოება დასჭირდა.

ინგლისის მდგომარეობა გაართულა კიდევ ერთმა გარემოებამ: ამერიკის აქტიურმა ჩარევამ ახლო აღმოსავლეთის საქმეებში. სანრემოსა და სევრის ხელშეკრულების გამომუშავების დროს (1920 წ.) ამერიკა გვერდზე იდგა ევროპის საქმეებიდან და არავითარ როლს არ თამაშობდა. ამ პოლიტიკით ხაკმაოდ ისარგებლა ლოიდ ჯორჯმა და მთელ რიგ საკითხებში გამარჯვებას მიაღწია ამერიკის საზარალოდ. ამერიკამ აშკარად იწვნია ამ პოლიტიკის შედეგები და შემდეგში გაბუტვის მეთოდს თავი დაანება. იგი დღესაც არ ერევა ოფიციალურად ევროპის საქმეებში, სამაგიეროდ ფაქტიურად კულისების ზურგიდან მისი კარნახით სწყდება ესა თუ ის საერთაშორისო საკითხი. გენუას კონფერენციაზე ამერიკის არა ოფიციალურმა

წარმომადგენელმა უფრო მეტი როლი ითამაშა კონფერენციის ვითარების საქმეში, ვინემ ოფიციალურმა დიპლომატიურმა კორპუსებმა.

ლოზანას კონფერენციასაც ეწვია ამერიკის არა ოფიციალური წარმომადგენელი და ენერგიულად დაცვა დაიწყო ამერიკის ინტერესებისა ახლო აღმოსავლეთში.

ამერიკის ინტერესები კი ახლო აღმოსავლეთისადმი მეტად დიდი აღმოჩნდა. როგორც ვიცით საერთაშორისო ომმა მსოფლიოში ყველაზე მეტი გამარჯვება წილად არგუნა ამერიკის კაპიტალისტებს: ომის ზეგავლენით იგი უდიდეს კაპიტალისტურ ქვეყნად გადაიქცა, რომელიც მეტად დაინტერესებული არის საგარეო ბაზრებით თავის პროდუქტების გასასაღებლად და უმუშევრად დარჩენილ კაპიტალის ასამოძრავებლად. ომამდე ამერიკა არ იყო დიდი ექსპორტიორი არც სამრეწველო პროდუქტებისა და არც კაპიტალის. წინაომდეგ, იგი ამ დარგების იმპორტს ახდენდა უცხო ქვეყნებიდან.

ომმა რადიკალურად შესცვალა ეს დამოკიდებულება ამერიკისათვის და იგი კაპიტალის იმპორტის ქვეყნიდან მისი ექსპორტის ქვეყნად გადაიქცა; ეს ნათელი გახდება შემდეგი შედარებითი ცხრილიდან ამერიკისა და ინგლისის კაპიტალის ექსპორტის შესახებ (მილიონი დოლარით):

წელი	ინგლისი	ამერიკა
1913	422	78
1920	40	464
1921	111	596
1922	276	654

მაშინ როდესაც ინგლისის კაპიტალის ექსპორტი დაეცა 65 პროც, ამერიკის გაიზარდა 810 პროცენტით.

ამ დიდძალი თანხის ასამოძრავებლად და ინდუსტრიის პროდუქტების გასასაღებლად ამერიკა გაცხარებული ეძებს საგარეო ბაზრებს. ამ მხრივ ახლო აღმოსავლეთი მისთვის მეტად მიმზიდველი შეიქმნა და ამერიკამაც თავისი ბოლიტიკა

მიმართა წინა აზიის კარებისაკენ: ამერიკას ახლო აღმოსავლეთში უმთავრესად აინტერესებს ეკონომიური ურთიერთობა და განსაკუთრებით ნავთის საკითხი; მაშინ, როდესაც ევროპის სახელმწიფოები პოლიტიკურ მიზნებსაც ისახავენ ოსმალეთის მიმართ ეკონომიურ მიზნებთან ერთად, ამერიკა მხოლოდ უკანასკნელით კმაყოფილდება; ეს გარემოება თავის თავად იწვევს ინტერესს ოსმალეთის მთავრობის მხრით ამერიკისადმი, რომელსაც ძლიერ ეშინია თავისი პოლიტიკური სუვერენიტეტის შეზღუდვის.

ომის წინა ხანებშიაც ამერიკის ნავთის ტრესტი მრავალჯერ ცდილობდა უზრუნველეყო თავისთვის მესოპოტამიის ნავთის წყაროები, რისთვისაც წინადადებას აძლევდა ოსმალეთის მთავრობას მთელი რიგი შეღავათის სახით, გარდა იმისა, რომ პირდებოდა 12,500.000 ფრანკს ყოველწლიურ მოგებიდან. მაგრამ ინგლისმა შესძლო ამ საფრთხის მოსპობა გერმანეთის ბანკთან შეთანხმებით, რომელმაც დაუთმო ინგლისის ჯგუფს უპირატესობა მესოპოტამიის ნავთის საქმეში.

ამ ჟამად ამერიკა ფართო ეკონომიური გეგმებით მიიწევს ოსმალეთისაკენ და თავისი მძიმე წონიანი სახელმწიფო აპარატის საშუალებით ცდილობს გამოასწოროს ის შეცდომა, რომელიც მან დაუშვა ომის დამთავრების შემდეგ ხანებში, რითაც საკმაოდ ისარგებლა ინგლისმა და განმტკიცდა ოსმალეთში: სანრემოს ხელშეკრულებით ინგლისმა პირდაპირ იზოლიაცია უყო ამერიკას და მოსწყვიტა იგი ნავთის წყაროებს. ამერიკა დაჟინებით მოითხოვდა 25 პროც. დათმობას მესოპოტამიის ნავთის წყაროებიდან, მაგრამ უშედეგოთ. დღეს ამერიკა ოფიციალურ ნოტების განცხადებიდან პირდაპირ შეტევაზე გადავიდა და ცდილობს ოსმალეთთან ეკონომიური ურთიერთობის გაბმას. ამერიკის ამ პოლიტიკის შედეგი არის ჩესტერის კონცესიები. 28 აპრილის თარიღით „დეილი ტელეგრაფის“ დიპლომატიური კორესპოდენტი აღნიშნავდა, რომ ჩესტერის კონცესია არის მხოლოდ ნაწილი ამერიკის კაპიტალის ფართო კომერციული ოფენზივისა ახლო და შუა აღმოსავლე-

თში, რომელიც უნდა გავრცელდეს ცენტრალურ აზიაზედაც. ამერიკა—განაგრძობდა კორესპონდენტი,—მიილტვის ეკონომიურად დაიპყროს არა მარტო ოსმალეთი და ბულგარეთი, არამედ კავკასია და სპარსეთიც. ამერიკის წრეებში არსებობს აზრი, რომ ეხლა უკვე დადგა ყველაზე უფრო ხელსაყრელი მომენტი ამ გეგმის განსახორციელებლად, რადგან ევროპის კაპიტალისტები გათიშულნი არიან წინააღმდეგობებით ფინანსიურ საკითხების გამო". კორესპოდენტი დასძენს, რომ ამერიკის კაპიტალისტები აყენებენ აგრეთვე ამოცანას „ბოლშევიკების გავლენის მოსპობის" შესახებ აზიაში. (იხ. „პრავდა" № 90, IV. 1923 წ.)

ქემალ—ფაშა „ჩიკაგო ტრიბუნას" კორესპოდენტის შეკითხვაზე შემდეგ საყურადღებო პასუხს იძლევა; „მე არ ვფიქრობ, რომ ნავთის ექსპლოატაციისათვის ამ ოლქში (მოსულში) საჭირო იყოს პოლიტიკური ბატონობის განმტკიცება და მისი დაპყრობა. მაგალ. არავინ არ ეწინააღმდეგება ამერიკის მიერ ოსმალეთის ნავთის ექსპლოატაციას, რადგან ამერიკა არ ისახავს ჩვენ ქვეყანაში პოლიტიკურ მიზნებს. ინგლისიც რომ ამ თვალსაზრისზე დადგებოდეს, ეს იქნებოდა ყველაზე უფრო გონივრული ნაბიჯი მისივე სარგებლიანობის საზომით" (იხ. რადეკის წერილი).

ამის შემდეგ ჩვენთვის ნათელი გახდება, თუ რატომ ასე იოლათ შესძლო ამერიკის ტრესტმა ე. წ. ჩესტერის კონცესიების აღება ოსმალეთში. ჩვენს გეგმაში არ შედის ამ კონცესიის ფარგო შინაარსის გადმოცემა. კონცესია მიზნათ ისახავს უწინარეს ყოვლისა რკინის გზის გაყვანას ოსმალეთში, რომლის საერთო სიგრძე 1300 კილომეტრს აღწევს. მაგისტრალი უნდა დაიწყოს—ხმელთა შუა ზღვის—ალექსანდრატის ყურედან სივასის გავლით სამსუნამდე; აქედან სხვადასხვა ხაზები შავი ზღვის ტრაპიზონის ნავთსადგურამდე; ჩრდილოეთით ეს ხაზები გაყვანილ უნდა იქნეს ისეთ ცენტრებისაკენ, როგორიც არის ერზერუმი, ეზერჯანი და სხვა. სამხრეთით მაგისტრალიდან ცალკე ხაზები მიემართება მოსულისა და სპარ-

სეთის სამ-ოთხ პუნქტისაკენ. გარდა ამისა ჩესტერის ჯგუფი ღებულობს კონცესიას სივას—ბაღდადის გზის დამთავრების შესახებ—900 კილომეტრით. ამგვარად, თუ ჩესტერის კონ-ცესია სისრულეში იქნება მოყვანილი, ოსმალეთის ყველაზე უფრო მდიდარი ადგილები რკინის მადნითა და ნავთით მო-ყვება მისი მაგისტრალისა და ტოტების ზონებში. გარდა ამისა ამ ჯგუფმა მიიღო აგრეთვე უფლება ამუშაოს მთელს თავის კონცესიის ზონაში ქარხნები და ფაბრიკები, გაიყვა-ნოს ნავთის გამტარებელი მილები, გახსნას მაღაზიები, საწ-ყობები და სხვა.

ჩესტერის კონსეცია ვრცელდება იმ ტერიტორიაზედაც, რომელზედაც გადის საფრანგეთის და ინგლისის რკინის გზე-ბი, და აგრეთვე ეხება მოსულის რაიონის ყველაზე უფრო მდიდარ ნაწილს (კერკუკი, სულეიმანიე), რომელზედაც თავის პრეტენზიებს აცხადებდა ინგლისი.

ომამდე ევროპის სამ დიდ სახელმწიფოს კაპიტალისტებს შემდეგნაირად ქონდათ აღებული კონცესიები რკინის გზების გაყვანისა ოსმალეთში: საფრანგეთს აღებული ქონდა 2.077 კილომეტრი რკინის გზის შტოებისა და შიგ მოთავსებული ქონ-და 550 მილიონი ფრანკი; გერმანელებს—2.565 კილომეტრი 466 მილიონ თანხით, ხოლო ინგლისელებს —610 კილ. 114 მილ. თანხით. ამერიკის კონცესია შეეხო, როგორც საფრან-გეთის, ისე ინგლისის ინტერესებსა და მათს ძველს უფლებებს.

ჩესტერის კონცესიის ზერელეთ გაცნობაც კი ნათელს ფენს იმას, თუ როგორი დიდი გეგმებით გამოდის ამერიკა აღმოსავლეთის საკითხში და ამ გეგმებით დატვირთულს ამე-რიკის წარმომადგენელს როგორი პოლიტიკური ხაზი უნდა დაეცვა ლოზანაში. როგორც აღვნიშნეთ, ამერიკის კარნახით საფრანგეთმა კავშირი გააბა ანგორის მთავრობასთან, მეორეს მხრით, თვით ამერიკამ პირდაპირი დამოკიდებულება დაიპირა ქემალ ფაშის მთავრობასთან და ამით ინგლისი იზოლიაცია-ში მოაქცია.

ლოზანას კონფერენციის პირველ ხანებში მოსულის ნავ-

თის საკითხმა მეტად დიდი როლი ითამაშა. ანგორის მთავრობა დაჟინებით მოითხოვდა მოსულის რაიონის დაბრუნებასა და მასზე ოსმალეთის სუვერენიტეტის აღდგენას. ინგლისს მოსული და მთელი მესოპოტამია გადაცემული ქონდა ერთა ლიგისაგან და ამიტომ ფორმალურის მოსაზრებით უარს აცხადებდა ამ კითხვის წამოყენებაზე კონფერენციის დღიურ წესრიგში.

ამგვარად მოსულის ნავთის საკითხმა ლოზანას კონფერენციაზე თვალსაჩინო როლი ითამაშა, თუმცა ოფიციალურ სიტყვებში ნავთის შესახებ არაფერი თქმულა. „**მხოლოდ იმიტომ, რომ ინგლისს სურს შეინარჩუნოს მოსულის ნავთის რაიონი**, მოკავშირეები ეწინააღმდეგებიან ლოზანას კონფერენციის კეთილ-მშვიდობიან დასასრულს“ განმარტავს „Matin“ კონფერენციის ყოველგვარ გართულებას (29/III—22 წ.) ისეტ-ფაშამ „Matin“-ის სპეციალ კორესპოდენტს ჟიულ ზაუერვეინს განუცხადა: „**კრიზისს, რომელსაც განიცდის კონფერენცია, არ ექნებოდა ადგილი, რომ ჩვენ დაგვეთმო ინგლისელებისათვის მოსულის საკითხში**, ე. ი. **ნავთის საკითხში. მოსულის საკითხმა**, რომელიც ძალზე უხეშათ არის დაყენებული, **მოლაპარაკებას თითქმის ტრაგიკული ხასიათი მისცა**. ბრიტანეთის დელეგაცია, რომელიც მშვენიერად ხედავდა, რომ შეუძლებელია რაიმე შეთანხმება მოსულის ტერიტორიის დათმობის საკითხში, ცდილობს მოლაპარაკება სხვა ნიადაგზე გადაიტანოს, რათა თავის მხარეზე იყოლიოს სახელმწიფოები, თუ აუცილებელი იქნება მოლაპარაკების ჩაშლა. მოსულის საკითხი რამდენიმე სიტყვით შეიძლება დახასიათდეს: ინგლისელებმა პირველათ ჩვენ გაგვიცხადეს, რომ ისინი მოსულის დათმობას არაბებს დაპირდენ. ჩვენ კი მათ დაუმტკიცეთ, რომ არაბები მოსულის ვილაიეტის მოსახლეობის ერთ მეათედსაც არ შეადგენენ. შემდეგ ისინი შეეცადენ დაემტკიცებიათ ჩვენთვის, რომ მოსული მესოპოტამიის გეოგრაფიულ წაწილს შეადგენს. ჩვენ კი პირიქით მათ დაუმტკიცეთ, რომ მოსულის ვილაეტი ანატოლიასთან ერთად წარმოადგენს

განჯყოფელ ერთეულს და ბოლოს, ინგლისელებმა, არგუმენ-ტების უქონლობის გამო, საეკვო საშვალებას მიმართეს: იმათ განაცხადეს, რომ მოსული გამარჯვებულმა ჯარმა დაიპირა და ამიტომ შისი ტერიტორია ეკუთვნის მათ დაპყრობის უფლებით. დაუშვათ ერთი წამით ეს არგუმენტი, თუმცა, რასაკვირველია, უფლების მხრით მას ძლიერ მცირე ფასი აქვს. მათ არგუმენტზე მე ვუპასუხე, რომ ყველაფერი ეს არ შეეფერება ჟენშარიტებას, და რომ ინგლისელებმა დაიპირეს მოსული დროებითი ზავის დადების რამოდენიმე კვირის შემდეგ და არ შეხვედრიათ სრულიად არავითარი წინააღმდეგობა, სწორეთ ისე, როგორც მათ დაიკავეს კონსტანტინეპოლი, და როგორც თავისი მოკავშირე ბერძნების საშვალებით დაიპირეს სმირნა". (იხ. პაველოვიჩი: „ბრძოლა"... გვ. 105—6) აქ საუცხოოთ არის გადმოცემული მოსულის გარშემო გამართულ ვაჭრობის ნიმუშები.

ამერიკა და საფრანგეთი ასეთ პირობებში წამქეზებელის როლში გამოდიოდენ და ანგორის მთავრობას უკარნახებდენ რადიკალური მოთხოვნით გამოსვლას. ამ ბრძოლის დროს საფრანგეთი ოსმალეთის მხარეზე იყო და რამდენიმეთ შეამავლობდა ანგორასა და ინგლისს შორის.

მაგრამ, როდესაც ლოზანას მეორე კონფერენცია მოიწვიეს, საფრანგეთის პოლიტიკაც საგრძნობლად შეიცვალა. ლოზანას კონფერენციის წინა ხანებში მოხდა ჩესტერის კონცესიების გამოაშკარავება. ეს კონცესიები რაზოდენადმე იმ ადგილებს ეხება, რომელიც ომის წინა ხანებში გადაცემული ქონდა საფრანგეთს (ხაზი სივას-სამსუნი და მისი შტოები) და ამგვარად ჩესტერთან შეთანხმებაში საფრანგეთმა დაინახა თავისი-უფლებების დარღვევა, რადგან იგი ეხებოდა მის ყველაზე უფრო მნიშვნელოვან ინტერესებს ახლო აღმოსავლეთში.

მეორე მხრით, ახლო აღმოსავლეთის საკითხში და განსაკუთრებით ნავთის გადაყოფის საქმეში ინგლის-ამერიკამ რამოდენიმედ მიაღწიეს შეთანხმებას, როგორც ამას აღნიშნავ-

და გერმანეთის პრესა. ამ ბოლო ხანებში ამ ორ სახელმწიფოთა შორის თანდათან მყარდება დროებითი ზავი.

ამ ფაქტს აღნიშნავდა ინგლისის საერთაშორისო ნავთის კომიტეტის თავმჯდომარე ჯონ კადმანი. 1922 წ. 6 ივლისის ნომერში კეინსის ჟურნალ „ევროპის აღდგენა"-ში—მან მოათავსა წერილი: „ინგლის-ამერიკის დამოკიდებულება და ნავთის საკითხი". კადმანმა რამოდენიმე ხანი დაყო ამერიკაში, რომლის დროსაც მხურვალე მოლაპარაკებას აწარმოებდა ამერიკის მთავრობასთან და ნავთის ტრესტებთან. ავტორი სწერს: „უდავოა, რომ რამოდენიმე ხნის განმავლობაში არსებობდა დავის შესაძლებლობა, უნდობლობა და ეჭვიანობა ამერიკელებისა ჩვენი პოლიტიკის გამო მესოპოტამიაში გამოიხატა გარკვეულ კონკრეტიულ ფორმებში ცენტრალურსა და სამხრეთ ამერიკაში, სადაც ინგლისელებზე გადაცემულ ნავთის კონცესიებს ბლოკადა შემოარტყეს ან და უკანვე დაიბრუნეს. მაგრამ მე ვბედავ გამოვსთქვა იმედი, რომ ეს მეტად სამწუხარო პერიოდი უკვე ეკუთვნის წარსულს და რომ მომავალში შეძლება მოგვეცემა დავამყაროთ გონივრული პოლიტიკა ურთიერთ შეთანხმებისა და დათმობისა ორივე მხარის ყველაზე მნიშვნელოვან ჯგუფებს შორის. მიუტევებელი ნაბიჯი იქნებოდა დიპლომატიური სიბრძნის, სავაჭრო მოქმედებისა და პოლიტიკისათვის თუ ნავთის საკითხში არ დაიწყებოდა დასასრული ინგლის-ამერიკის უთანხმოების, ამ ორი ეროვნების კონცესიების პატრონთა შორის, რომელნიც აწარმოებენ რა ურთიერთ შორის მიწის ქვეშ ბრძოლას, ხშირად მიმართავენ ხოლმე მათ მთავრობებს დასახმარებლად". (გვ. 155). კეინსის ჟურნალი, წერილში „ნავთის საკითხის პოლიტიკური მხარე", შემდეგნაირად ახასიათებს კადმანის მოღვაწეობას: „ამერიკაში ყოფნის დროს ჯონ კადმანმა შესძლო დაედვა შეთანხმება სტანდარტ-ოილისა და ინგლის-სპარსეთის კომპანიის შორის ჩრდილოეთ სპარსეთის ექსპლოატაციის შესათანხმებლად. ხელშეკრულება მხედველობაში იღებდა აგრეთვე შეთანხმებულ მოღვაწეობას სტანდარტ-ოილთან რუსეთის კონცესიებში. ამ

გვარად დამყარდა ნავთის ზაეი და ხელშეკრულება სანრემოსი დროებით დავიწყებას მიეცა". (იხ. „სოციალისტური მეურნეობა" № 1, 1923 წ. გვ. 158).

ინგლისის ასეთი დათმობის გზაზე დადგომა გამოწვეული არის იმ გენერალური შემოტევით, რომელიც ამერიკის მთავრობამ და ტრესტებმა გამართეს ნავთის საქმეში ინგლისის წინააღმდეგ. ასეთ პირობებში ინგლისი თავდასხმიდან თავდაცვის პოლიტიკაზე გადავიდა და შეთანხმების გზას დაადგა ამერიკის მიმართ:

ოსმალეთის საკითხშიაც ინგლისი იძულებული შეიქნა ამერიკის ინტერესებისათვის ანგარიში გაეწია, რომ ბრწყინვალე იზოლიაციაში არ მოყოლოდა. ჯერ კიდევ ლოზანას პირველ კონფერენციის დროს ინგლისის ოფიციალური ცნობა გადმოგვცემდა, რომ ინგლისსა და ამერიკას შორის ნავთის საკითხში სრული შეთანხმება არის მიღწეულია. მაშინდელი ცნობით 60 პროც. მოსულის ნავთისა რჩებოდა ინგლისს, 20 პროც. საფრანგეთს და 20 პროც. ამერიკას [1]). შექმნილ პირობების გამო ახლო აღმოსავლეთის საქმეების მოწესრიგებაში ინგლისს დასჭირდა დათმობის გზაზე წასვლა და ამერიკასთან მორიგების გზით საქმის მოწესრიგება, მით უფრო რომ ამერიკის პოლიტიკამ შესძლო პირდაპირის გზით ანგორის მთავრობასთან ურთიერთობის გაბმა, ფაქტიურად კონცესიების მიღება და აგრეთვე საფრანგეთის დახმარებით საკმაო მოზრდილ გამარჯვების მიღწევა.

ლოზანას კონფერენციის მეორე სესიის დროს საფრანგეთისა და ინგლისის როლები რამოდენიმეთ შეიცვალა. თუ პირველ კონფერენციაზე საფრანგეთი ოსმალეთის დამცველად გამოდიოდა, ახლა მან თავის გეზი ოსმალეთის წინააღმდეგ მიმართა და კერზონი შეიქმნა ოსმალეთის ინტერესების „დამცველი". ეს გამოიწვია განსაკუთრებით შემდეგმა ფაქტებმა. ლოზანას კონფერენციის მეორე სესიაზე პირველ რიგში დადგა

---

[1]) იხ. ჩვენი წერილი: „ნავთის საკითხი და ლოზანას კონფერენცია". გაზ. „ტრიბუნა" № 357, 1922 წ.

არა ტერიტორიის საკითხი, არამედ ვალებისა და გადასახადების კითხვა, ფინანსების პრობლემა. ინგლისმა აქ თავისი გეზი შეაბრუნა და ოსმალეთს ეხმარებოდა, რომ ამით მისი ყურადღება მოეშორებია ტერიტორიის კითხვებისაგან. ფაქტიურად ოსმალეთის უდიდესი კრედიტორი იყო წარსულში საფრანგეთის კაპიტალისტები და ბანკირები; როგორც სესხის სახით, ისე კაპიტალის მოთავსების მხრით ოსმალეთის წარმოებაში საფრანგეთს პირველი ადგილი ეჭირა ევროპის სახელმწიფოთა შორის. ეს ცხადი გახდება ჩვენთვის შემდეგი ცხრილიდან, რომელიც მოგვცემს სურათს უცხოეთის კაპიტალის მონაწილეობის შესახებ ოსმალეთის მხოლოდ სამრეწველო დაწესებულებებში:

ქვეყნები	კ ა პ ი ტ ა ლ ი	პროცენტები
საფრანგეთი	. 902.893.000 ფრანკი	53,55 %
ინგლისი	. 230.458.671	13,68 %
გერმანეთი .	. 552.623.000 „	32,77 % [2])

გარდა ამისა კაპიტალი, რომელიც შეადგენდა ოსმალეთის ვალს, შემდეგნაირად იყო განაწილებლი:

საფრანგეთის	2.454.417.877	ფრანკი.
ინგლისის	577.499.821	„
გერმანეთის	867.583.506	„ [3])

საერთო ჯამი რომ ავიღოთ, ომის დასაწყისში საფრანგეთს ჰქონდა ოსმალეთის როგორც სახელმწიფო ფონდში, ისე კერძო დაწესებულებებში ჩადებული დაახლოებით $3^1/_2$ მილიარდი ფრანკი. ერთი სიტყვით, 60% ოსმალეთის ვალებისა ეხებოდა საფრანგეთის ინტერესებს. (იქვე—477).

აქედან ცხადია, რომ შემსუბუქება ოსმალეთის ვალებისა და პროცენტების გადახდისა განსაკუთრებული სიძლიერით ეხებოდა საფრანგეთის ინტერესებს.

---

[2]) იხ. Арслан: „Современная Турция გვ. 67, 1923 წ.

[3]) იხ. „Новый Восток“ № 3, 1923 წ. წერილი: „Французские интересы в Турции“ გვ. 475.

გარდა ამისა საფრანგეთის ინტერესები შელახული იქნა, როგორც აღვნიშნეთ, ჩესტერის კონცესიების წყალობითაც. ამერიკამ საფრანგეთი გამოიყენა როგორც კოზირი ინგლისის წინააღმდეგ ახლო აღმოსავლეთში, მაგრამ ფაქტიურად საფრანგეთისავე ხარჯზე საგრძნობ გამარჯვებას მიაღწია კონცესიების სახით და რამოდენადვე ინგლისთანაც შესათანხმებელი ენა გამონახა.

ამჟამად ლოზანას კონფერენცია უკვე დამთავრდა და ოსმალეთთან შრავალ წლების გაცხარებულ დიპლომატიურ მუშაობის შემდეგ ასე თუ ისე საზავო ურთიერთობა აღდგენილია. ფორმალურად ლოზანას კონფერენციამ მოსულის და ნავთის საკითხი ვერ გადასწყვიტა, რადგან იგი შედის ერთა ლიგის კონპენტენციაში. ინგლისს მთელი მესოპოტამია ერთა ლიგის სანქციით აქვს მიღებული თავის პროტექტორატის ქვეშ. მაგრამ როგორც ვიცით ინგლის-ამერიკას შორის ოსმალეთის ნავთის საკითხში უკვე დაიწყო შეთანხმების პერიოდი და იგი უწინარეს ყოვლისა გადაწყდება ყოველგვარ საერთაშორისო კონფერენციების კულისებს უკან.

ლოზანას კონფერენცის დათავების გამო ლონდონიდან გამოგზავნილი რადიო გადმოგვცემდა: ლოზანაში საზავო ხელშეკრულებაზე ხელის მოწერის გამო, ჩესტერის კონცესიების საკითხი, ალბათ, რამოდენიმე თვით გადაიდება, ვინაიდან საზავო ხელშეკრულებაში არ არის ნაჩვენები ოსმალეთისა და ირაკის საზღვრები, კერძოდ მოსულის ვილაიეტისა, რომელიც ოსმალეთ-ირაკს შუა მდებარეობს. ამიტომ თუ მოსულის საკითხი 9 თვის განმავლობაში გადაუჭრელი დარჩა, ნაციათა ლიგა ან ერთ ერთი მისი ორგანო არბიტრობას იკისრებს ამ საკითხში. საზღვრების საკითხის ასეთი გადაწყვეტა ჩესტერის კონცესიების იმ ნაწილს ეხება, რომელიც მოსულთან არის დაკავშირებული. თუ კონცესიონერებს ხელიდან გამოეცლებათ მოსულის ნავთი, მაშინ კონცესიას საერთოდ აღარ ექნება ის მნიშვნელობა.

ეს ცნობა რომ პირდაპირ გავიგოთ შემდეგი დასკვნა უნდა

გამოვიტანოთ: ინგლის-ამერიკის შორის მოსულის ნავთის საქმეში ჯერ კიდევ ვერ არის მიღწეული სრული შეთანხმება და ცხადია ვაჭრობის პროცესი ტრესტებსა და მთავრობებს შორის თავისი ტემპით გაგრძელდება ლოზანას კონფერენციის შემდეგაც. სწორედ ამ შეთანხმების ნიადაგზე აღმოცენდება ერთა ლიგის ახალი სანქციაც.

ამ მიმოხილვიდან მკითხველი ნათლად დაინახავს, რომ მთელი ათეული წლების განმავლობაში ოსმალეთის (მოსულის) ნავთის საკითხი შეადგენდა იმპერიალისტურ სახელმწიფოების ბრძოლის საგანს: ომის წინა ხანებში ამ ნავთიანი რაიონის შესახებ იბრძოდენ გერმანეთი და ინგლისი, რაც 1914 წ. შეთანხმებით დამთავრდა. ომის დაწყების შემდეგ იგი გარდაიქცა ბრძოლის ობიექტად საფრანგეთ-ინგლისს შორის, რომლის დროსაც გამარჯვება ერგო 1916 წ. ხელშეკრულებით საფრანგეთს. ომის დამთავრების შემდეგ კვლავ იგივე სახელმწიფონი დაუპირისპირდენ ერთიმეორეს, ამ შემთხვევაში გამარჯვება წილად ხვდა ინგლისს (1920 წ.). ოსმალეთის ფაქტების შემდეგმა ვითარებამ ნავთის საკითხი კვლავ წამოაყენა პი-ველ რიგში და ახლა ბრძოლის მოედანზე გამოვიდა ამერიკაც. ფაქტიურად ლოზანას კონფერენციაზე მოსულის საკითხი იდგა არა მისი დაბრუნების გამო ოსმალეთისათვის, არამედ ახალ გადაყოფის მიზნით იმპერიალისტურ სახელმწიფოთა შორის.

თავი მეექვსე.

კაპიტალისტური მეურნეობის ანარქია და პროლეტარიატის ინტერესები.

ჩვენ ვრცლათ განვიხილეთ ერთი იმ დარგთაგანის საკითხი, რომელსაც მეტად დიდი ადგილი უჭირავს თანამედროვე მეურნეობის და პოლიტიკის საქმეში. ამ თავში ჩვენ გვინდა ვრცელ მიმოხილვას ერთგვარი დასკვნები გაუკეთოთ და პროლეტარიატის ინტერესების საზომით შევაფასოთ ის ბრძოლა, რომელიც დღეს სწარმოებს ნავთის საკითხის გარშემო მთელს მსოფლიოში.

ნავთი თავის თავად მექანიკური ენერგიის მომცემი ძალაა და როგორც ასეთი იგი წარმოადგენს მეურნეობის წარმატების უდიდეს ფაქტორს. ამ მხრივ ნავთი ჩვენთვის ტეხნიკურ-ეკონომიურ მოვლენაა და მისი გამოყენება შეიძლება მრეწველობის ყოველ დარგში. მოწესრიგება ნავთის წარმოების საქმისა — ნიშნავს საერთო დმთელი მრეწველობის წარმატების საქმის მოწესრიგებასა და ამ სახით იგი საწარმოო ძალთა განვითარებას იწვევს. ამ საზომით საკითხი შემდეგნაირად სდგას: რომელ სამეურნეო წყობილებაში — კაპიტალისტურსა თუ სოციალისტურში — არის შესაძლებელი ნავთის წარმოების მიზანშეწონილად მოწესრიგება და მისი რაციონალურად გამოყენება მრეწველობისა და საწარმოო ძალთა განვითარების საქმეში? საკითხის ამგვარი სახით დაყენება ჩვენგან მოითხოვს ორივე სამეურნეო ფორმაციის, კაპიტალიზმისა და სოციალიზმის ორგანიზაციულ სტრუქტურისა და საფუძვლების გამორკვევას, რასაც ჩვენ ცოტა ქვემოთ შევეხებით მოკლეთ.

მაგრამ ნავთის საკითხს აქვს მეორე მხარეც და ეს გამოიხატება **ნავთის საკითხის პოლიტიკურ მომენტში.** როგორც ავღნიშნეთ, ნავთი შეიქმნა ეკონომიური ცხოვრების წარმატების ერთი მეტად მნიშვნელოვანი ფაქტორი და მან სამხედრო წარმოებაში საპატიო ადგილი მოიპოვა. კაპიტალისტური მსოფლიო ენერგიულათ ცდილობს გამოიყენოს ეს ფაქტორი თავისი ბატონობის გასამტკიცებლათ და ყოველი იმპერიალისტური სახელმწიფოს სამოქმედო გეგმა ამ სითხის მონოპოლიის მოპოებისაკენ არის მიმართული.

კაპიტალისტური მსოფლიო ინტერესთა წინააღმდეგობის გარდუვალ რკალში არის მომწყვდეული და მას არ ძალუძს მშვიდობიანი ცხოვრების შექმნა და სოლიდარული განვითარება. თვით ბუნება და შინაარსი კაპიტალისტური მეურნეობისა არ იძლევა შესაძლებლობას ბურჟუაზიული ძალების ჰარმონიული განვითარებისათვის. მუდმივი საერთაშორისო კონფლიქტები და ომები ბუნებრივი თანამგზავრებია კაპიტალიზმისა და როგორც ასეთი იგი თან ატარებს თავის სიღრმეში გარდუვალ წინააღმდეგობათა მიზეზებს. მეცნიერების ყოველი ახალი აღმოჩენა, ყოველი ახალი სამეურნეო ფაქტორი კაპიტალიზმის ბატონობისა და იმპერიალისტური პერიოდის ხანაში ხდება სახელმწიფოთა დაპირისპირებისა და ახალი ომების წარმომშობ მიზეზათ. სრულიათ სამართლიანათ სწერდა ამ საკითხის შესახებ ამხ. მ. პავლოვიჩი:

„ბურჟუაზიული წყობილება აუცილებლივ ბადებს თავის სიღრმიდან ახალ საერთაშორისო კონფლიქტებსა და უფრო საშინელი ომების საფრთხეს, ვინემ იყო ახლო წარსულის ომი. 1914—1918 წ. წ. საერთაშორისო ომი გამოწვეული იყო უწინარეს ყოვლისა ნახშირისა და რკინისათვის, ახლა ამ საერთაშორისო შეტაკებების გამომწვევ საშიშ ფაქტორებს მიემატა ახალი ფაქტორი—ნავთი...

„მომავალი საერთაშორისო ომი შეიძლება გამოწვეული იქნეს მესოპოტამიისა და სპარსეთის ნავთისათვის, კავჩატკის, სახალინის, ჩინეთისა და სხვათა ნავთიანი წყაროებისათვის. კა-

პიტალისტური წყობილების პერიოდში საბრეწველო სიმ-
დიდრის ყოველი ახალი წყარო, მეცნიერების ყოველი ახა-
ლი ახსნა ბუნების საიდუმლოებისა და დედამიწის და-
უშრეტელი ხაუნჯის იწვევს, იაპონის მიერ დათესილ დრა-
კონის კბილების მსგავსათ, თავის წიალიდან ხასხლი:ნ კო-
ნფლიქტებს." *)

ასეთი მოსაზრებანი არ ეკუთვნის მარტო კომუნისტურ პუბლიცისტებსა და პოლიტიკოსებს. მთელი რიგი ბურჟუაზიული პოლიტიკოსებისა, სწორედ ისინი, რომელნიც აქტიურ როლს თამაშობდენ საერთაშორისო ომის წარმოებაში, მივიდენ იმ დასკვნამდი, რომ მეცნიერებისა და ტეხნიკის დაწინაურება დღევანდელ ვითარებაში კაცობრიობის კულტურის განადგურებისაკენ არის მიმართული. 1918 წ. ლორდ-გრეი ამბობდა: „ქარტაზე დასმული არის მთელი ცივილიზაციის საკითხი. მსგავსად წარსულ საუკუნეთა ძველი კულტურისა, დაეცემა ის და დაიღუპება, თუ იარსებებს და აყვავდება დამოკიდებული არის იმაზე, თუ როგორი გამოცდილება გამოიტანეს თანამედროვე ომიდან როგორც იმ ერებმა, რომლებიც მონაწილეობას იღებდენ საერთაშორისო ომში, ი'ე. იმათაც, რომელნიც შორიდან ჰაყურებელნი იყვენ და გვერდზე იჯგენ. ომში მეცნიერული ცოდნისა და მეცნიერული ალმოჩენათა გამოყენებამ მისცა მას (ომს) საშინელი და გამანადგურებელი შინაარსი... და თუ ოცი ან ოცდაათი წლის შემდეგ კვლავ დაიწყება ომი, რა მოხდება მაშინ? ნუთუ მეცნიერულ ძიებათა მიხწევანი გამოყენებული იქნება მომავალი ომის ახალი გამანადგურებელი საშუალებების მოსამზადებლათ, ახალი იარაღების გამოსაძებნათ კაცობრიობის გადასაშენ'ლათ? ეს ახალი საშვალებანი არ შეიძლება მოქცეული იქნეს ერთი რომელიმე ეროვნების ფარგალში; მათი ბიზანი—ადამიანთა

*) იხ. М. Павлович: „Империализм и борьба"... წიგნი პირველი, გვ. 162—3. 1922 წ.

მასიური მოსპობა— მაშინ განხორციელდება უფრო გადაჭრით, ვიბემ თანამედროვე ომებში"*).

მართლაც, სამხედრო მრეწველობამ მეცნიერების აღმოჩენათა წყალობით კულმინაციურ წერტილს მიაღწია და კვლავ განაგრძობს შეუჩერებელი ტემპით წინ სვლას.

ეს საკითხი მთელი თავის სიმძიმით წამოიჭრა ვერსალის საზავო კონფერენციაზე და ამერიკის პავლე მოციქულის— ვუდრო ვილსონისაგან კონფერენციის წევრებმა კვლავ მოისმინეს ალტრუიზმის მშვენიერი გაკვეთილები. ვილსონი ამბობდა 1919 წ. აპრილის სხდომაზე: „განა არ გვანცვიფრებს ჩვენი ის გარემოება, რომ დიდი მეცნიერული აღმოჩენები და ლაბორატორიების მშვიდობიანი ძიებანი ახლა მიმართული არის კულტურის განადგურებისაკენ?.. მხოლოდ ხალხთა დაკვირვებული განუწყვეტელი თანამშრომლობა შესძლებს იმას, რომ მეცნიერება და შეიარაღებული ძალა მოთავსდეს კულტურის ფარგლებში." (იქვე—426) კონფერენციაზე დამსწრე ყოველი სახელმწიფოს წარმომადგენელი გრძნობდა თუ როგორი საშინელების წინაშე იდგა კაცობრიობა ასეთი განუწყვეტელი შეიარაღების გამო, მაგრამ არცერთი მათგანი არ იყო თანახმა თვითონ დაეყარა ფარხმალი და სამაგიეროთ კატეგორიულათ მოითხოვდა მოწინააღმდეგეთა განიარაღებას. ამგვარათ კონფერენციამ ნაცვლათ განიარაღებისა, რასაც მოითხოვდა ამერიკის პრეზიდენტის მიერ წარმოდგენილი ერთა ლიგას სტატუტები, ფაქტიურათ შეიარაღებას დაუჭირა მხარი და მხოლოდ ბრძოლის ველზედ დამარცხებულთ ახადა ყოველგვარი უფლება შეიარაღებისა. კაპიტალისტური კულტურა და მისი მესვეურები უძლურნი შეიქნენ რაიმე რადიკალური პრაქტიკული ნაბიჯი გადაედგათ თვითლიკვიდაციისაკენ. რეი სტენარტ ბეკერი, რომელმაც ამერიკელი იმპერიალისტების საზომით განიხილა ვერსალის საზავო კონფერენციის საქმიანობა თავის ზემოდ დასახელებულ წიგნში, დაასკვნის: „საშიშროება ახალი, შეიძლება უფრო

*.) იხ. Ст. Беккер: „В. Вильсон, мировая война, версальский мир" зз.-424.

კატასტროფიული ომისა იბატონებს ჩვენზე მანამ, სანამ არ შეიქმნება ახალი აპარატი საერთაშორისო წინააღმდეგობათა გადასაჭრელათ." (იქვე —436) ასეთი აპარატის შექმნა შეუძლებელი არის თანამედროვე სამეურნეო სტრუქტურის პირობებში. კაპიტალისტურმა მეურნეობამ არ იცის და ვერც განახორციელებს სოლიდარალურსა და მუდმივ ჰარმონიულს თანამშრომლობას იმპერიალისტურ ძალთა შორის.

ასეთია ბუნება და შინაარსი კაპიტალისტური მეურნეობისა.

ზემოთ მოყვანილ ერცელ მიმოხილვიდან ჩვენ დავინახეთ, თუ როგორ მწვავეთ სდგას მხოლოდ ნავთის საკითხი იმპერიალისტურ სახელმწიფოთა წინაშე და როგორ აღრმავებს ეს სამეურნეო ფაქტორი ამ სახელმწიფოთა წინააღმდეგობას.

დღეს-დღეობით ბრძოლა ნავთის წყაროების გარშემო სწარმოებს დიპლომატიური საშუალებებითა და რამოდენადმე მშვიდობიან ხასიათს ატარებს. ამ ბრძოლის მთავარ ამოცანას შეადგენს **ნავთიანი სამეურნეო რაიონის ხელახალი გადაყოფა** დაინტერესებულ სახელმწიფოთა შორის. ამ მხრივ სახელმწიფოები და ნავთის ტრესტები ახერხებენ პერმანენტულ შეთანხმებების მიღწევასა და **დროებითი ზავის** ჩამოგდებას. მაგრამ როგორც წარსულში გერმანეთისა და ინგლისის კოალიციების შორის დროებითი ზავის ჩამოგდებასა და მშვიდობიანობის მიღწევას თან ახლდა იარაღის მზადება, ისე დღესაც „მშვიდობიან პერიოდს" თან ახლავს მზადება შეიარაღებული ძალების გამოყენებისა. დიპლომატიური გზით შეუძლებელი ხდება ნავთით დაინტერესებულ ყველა სახელმწიფოების დაკმაყოფილება. ბოლოს სხვა საერთაშორისო პირველხარისხოვან მიზეზებთან ერთად ნავთის საკითხიც გაამწვავებს ურთიერთობას დიდ-ტანიან სახელმწიფოთა შორის და ჩვენც დავდგებით ახალი ომის წინაშე, რომლის ერთ-ერთი მიზანი იქნება ნავთიანი რაიონების შეიარაღებული ძალით ხელახალი გადაყოფა. ლაიპციგის უნივერსიტეტის პროფესორი შულცე ხაზგასმით აღნიშნავს, რომ თუ გაგრძელდა სახელმწიფოთა უნდობლობა, ერთმანეთის გაიც-

ხვა და მსგავსი მოსაზრებანი, შეიძლება წამოიჭრეს საერთაშორისო ომი ნავთის გამოო. *) ეს მომენტი შეეხება ნავთის საკითხის პოლიტიკურ მხარეს, რომელიც გაორკეცებული ენერგიით აფერხებს კაპიტალისტური მეურნეობის მშვიდობიან განვითარებას და შლის მისი არსებობის საფუძვლებს: კაპიტალიზმი დაუსრულებელ საერთაშორისო ომებისა და სახელმწიფოთა პოლიტიკური კონფლიქტების გამო ვერ ახერხებს თავისუფალ, ინტენსიურ განვითარებას; მეორეს მხრით ამ კონფლიქტებს დაეინებით იწვევს თვით კაპიტალიზმისა და იმპერიალისტურ სახელმწიფოთა ინტერესები. ასეთს გამოუვალ რკალში არის მომწყვდეული კაპიტალისტური მეურნეობა.

ავენ უკვე გვქონდა ითქვა ამ წიგნის დასაწყისში ის პოლიტიკური შეფასება, ო

ელიც გაუკეთა ვერსალის საზავო კონფერენციის ნამოღვაწარს ამერიკელმა ლიბერალმა **პეტრუმ.** აქ სურათის შესავსებათ ზედმეტი არ იქნება მოვიყვანოთ ინგლისის ყოფილ ელჩის ამერიკაში—ვიკონტ **ჯეკს ბრაისის** მოსაზრებანიც. ბრაისი ამბობდა:

„ვერსალის ხელშეკრულება შეიცავს ახალ ომების მიზეზებს. ცაზე მოსჩანს შავი ღრუბლები, რომელმაც შეიძლება მთელს ევროპაზე დიდ ტალღებათ გადიაროს. ევროპაში ბევრი ამაფეთქებელი ნავთიერებაა. მცირედი ალტყინება შეიძლება შეიარაღებულ შეტაკებამდი მივიდეს. როგორც ომის წინათ, ისე ახლაც გამარჯვებულები დამარცხებულთ ემუქრებიან და პირუკუმ. ვერსალის კონფერენციას თუ შევადარებთ 1815 წ. ვენის კონგრესს, ჩვენთვის ცხადი გახდება ძველი დიპლომატიის უპირატესობა. **1919-20 წლის ხელშეკრულებებს პირდაპირ ომამდი მივყევართ.** ვერსალის ავტორებს ფიქრადაც არ გაუვლიათ მათ მიერ წინათ აღიარებულ პრინციპების ცხოვრებაში განხორციელება ტ ხელმძღვანელობდენ მხოლოდ უახლოეს არჩევნების საარჩევნო მოსაზრებით. **უდიდეს კონფლიქტების ახალმა საფრთხემ შეიძლე-**

*) იხ. Э. Шульце: „Развал мирового хозяйства“ გვ. 163; აგრეთვე მისივე: „Борьба за персидскую и месопотамскую нефть“.

ბა იფეთქოს რეინსა, ტიროლს, ბალკანეთსა, რუსეთსა და ოსმალეთში.“ *)

ასეთს შედეგებს იწვევს თანამედროვე კაპიტალისტური მეურნეობის პოლიტიკური მოღვაწეობა.

მაგრამ არის სხვა პირველხარისხოვანი მომენტებიც, რომელნიც გარკვევით ამჟღავნებენ კაპიტალიზმის ანარქიულ ხასიათსა და მის მოუწესრიგებლობას.

კაპიტალისტური მეურნეობისა და მაგნატების მთავარ მიზანს შეადგენს არა წარმოების მოწესრიგება და საწარმოო ძალთა განვითარება, არამედ რაც შეიძლება მეტი მოგების მიღება. კაპიტალისტი იბრძვის ზედმეტი მოგებისათვის და წარმოების განვითარებას, საწარმოო ძალთა წარმატებასა და მოწესრიგებას იმდენად უწყობს ხელს, რამდენათაც ეს საჭირო და აუცილებელია მისი მთავარი მიზნის—მეტი მოგების მიღებისათვის. ამ მოგებისა და სარგებლობისათვის კაპიტალისტური მაგნატები ძლიერ ხშირად მსხვერპლად სწირავენ და აჩანაგებენ უამრავ დოვლათსა და სიმდიდრეს. როგორც შეიძლებული ძალებისა და გამანადგურებელ ელემენტების ჩარევით სხვა და სხვა რაიონების ხელში ჩაგდების მიზნით, ისე წარმოების მოუწესრიგებლობითა და უაზროური საწარმოო მეთოდებით ადგილი აქვს დიდძალ დოვლათის დაკარგვასა და გაფანტვას კაპიტალიზმის ბატონობის პერიოდში.

კაპიტალისტი ახერეხებს მოგების მიღებას როგორც წარმოების სფეროდან—პროლეტარიატის შრომის ექსპლოტაციის გზით—ა. წ. **ზედმეტი ღირებულების მითვისებით**, ისე წარმოების გარეშე არსებულ სფეროდანაც—**ზედმეტი მოგების** (сверх-прибыль) აღებით; ორივე ეს სფერო კაპიტალის დაგროვების და მისი წარმატების ერთ მთლიან დაუშრეტელ წყაროს წარმოადგენს **). კაპიტალისტები ყოველგვარი ხერხით სცდილობენ **წარმოების სფეროში** რაც შეიძლება ნაკლები კაპიტალი დახარჯონ, რაც შეიძლება ნაკლები ენერ-

*) იხ. შულცეს წიგნი—გვ. 354.

**) იხ. რ. ლუქსენბურგი: „კაპიტალის დაგროვება“, გვ. 325, 1921 წ.

გიის დახარჯვით მეტი სარგებლობა ნახონ; ამ მიზნით ისინი ამცირებენ მუშათა საშუშაო ხელფას, ადიდებენ მის სამუშაო დროს და მასთანვე ნაკლებად ეტანებიან სავსებით დაამუშავონ სამეურნეო დარგების (განსაკუთრებით ქვანახშირის, რკინისა და ნავთის ამოღების საქმეში) მთელი პოტენციალური შესაძლებლობა, როდესაც ეს არ იძლევა ზედმეტ მოგებას. ევროპის, გასაღების სფეროში კაპიტალისტების მთელი გულისყური პროდუქტების ზედმეტ ფასებში გასაღებისაკენ არის მიქცეული და ამას ისინი ახერხებენ სხვა და სხვა მახინაციებით.

ანარქიული ხასიათი, კაპიტალისტური მეურნეობისა და მისი მიზანშეუწონელობა წარმოების საქმეში განსაკუთრებით მეღავნდება ნავთის მრეწველობაში. მთელი ისტორია ნავთის მრეწველობისა ნათლად ამტკიცებს, რომ კაპიტალისტური მაგნატების მიერ ნავთის ამოღების და მისი ორგანიზაციის საქმე ყველაზე უფრო მხეცური მეთოდებით სწარმოებდა, რამაც დიდი ზარალი მიაყენა მთელს კაცობრიობას.

ამხ. ფ. კაპელიუში ერთ თავის მიმოხილვაში სწერდა: „თუ კაპიტალისტური მეურნეობა თავისი ბუნებით ანარქიულია, ნავთის მრეწველობა კი, რომელმაც განიცადა ამ უკანასკნელ ათეულ წლებში ასეთი ფენომენალური განვითარება, სწარმოებს უკვე სავსებით როგორც საბჭოთა თამაში“ *).

ზერელედ გაცნობა ნავთის წარმოების საქმისა რუსეთსა და ამერიკაში ჩვენ ნათელ სურათს გადაგვიშლის იმის შესახებ თუ რამდენათ მხეცურათ, რამდენათ ყაჩაღურათ აწარმოებენ ნავთის მრეწველობის საქმეს კაპიტალისტური მაგნატები.

ბაქოს ნავთის წყაროების მიმართ როგორც უცხოეთის, ისე რუსეთის კაპიტალისტურმა ტრესტებმა და კომპანიებმა დიდი ისტორიული დანაშაული ჩაიდინეს და ამ მეტად მნიშვნელოვანი სიმდიდრის დიდი რაოდენობა სრულიად დაუკარგეს ხალხს.

---

*) იხ. მისი: „Анархия капиталистического хозяйства“, „Известия“ № 193. 1922 წ.

როგორც უკვე აღნიშნეთ, დიდი უმეტესობა ბაქოს ნავთისა მოქცეული იყო ევროპის კაპიტალისტების ხელში და მათ ამოძრავებდათ არა წარმოების შესაფერისად მოწყობა, არამედ—მეტი მოგება. აქედან ცხადია, თუ როგორ მოექცეოდენ ისინი ბაქოს ნავთის წყაროებს.

რუსეთის გეოლოგები დ. გოლუბიატნიკოვი და დ. გუბკინი თავიდანვე აქცევდენ საზოგადოების ყურადღებას იმ გარემოებაზე, თუ რამდენათ ყაჩაღურათ ექცეოდენ ნავთის მრეწველები ნავთის ამოღების საქმეს, მაგრამ გონიერსა და მიზანშეწონილს გეგმებს ძარშივე სპობდა კაპიტალისტური მაგნატების ინტერესები—მეტი ჰოგება, რასაც ფაქტიურათ მხარს უჭერდა ნიკოლოზის მთავრობა.

პირველმა მათგანმა 1922 წ. ივნ. „Топливное дело"-ს №-8-ში მოათავსა წერილი, რომელშიაც ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ტრესტების პოლიტიკის წყალობით ბაქოს ნავთის რაიონების მრავალი ადგილები არ იყო საკვლევით დამუშავებული და გამოკვლეული. კაპიტალისტები განსაკუთრებით ეტანებოდენ ნავთის ზედა ფენებს და არავითარს ყურადღებას არ აქცევდენ ქვედა ნაწილის დამუშავება, რადგან ეს დიდ ხარჯებს იწვევდა.

ს. ვიშეტრავსკი იმავე საკითხის შესახებ სწერს: „მიზეზი ნავთის ამოღების დაცემისა მდგომარეობდა ახალი ხვრეტების არა საკმარის გაბურღვის და ნავთის მრეწველების უარყოფაში ჩაედვათ კაპიტალის საკმარ რაოდენობა ახალი გასაბურღვი ხვრეტების გასაყვანად; მათთვის სასარგებლო იყო შეემცირებინათ ნავთის ამოღება, ამავე დროს კი აეწიათ ფასები ნავთზე და თავისუფალი კაპიტალი ჩაედგათ სხვა წარმოებაში." ავტორს ურყევი ცნობები მოყავს იმის დასამტკიცებლად, რომ ბაქოს ნავთის ამოღების შემცირება გამოწვეული იყო ხელოვნურად, ნავთის მრეწველების არა კეთილსინდისიერი მოპყრობით საქმისადმი; მათ არ სურდათ ზედმეტი კაპიტალი ჩაედვათ წარმოებაში ნავთის ქვედა ფენების დასამუშავებლათ, ან რად მოისურვებდენ ამას, ზედმეტი გასავალის შექმნას, თუ ამოღების შემცირება აღიდებდა ნავთზე ფასებსა და ამით ნა-

ვთის მრეწველების მოგებასაც. ავტორის ცნობით, ხუთი წლის განმავლობაში ბაქოს რაიონში ნავთის ამოღება დაეცა 25%-ით, მრეწველთა მოგება კი გაიზარდა 75%-ით. ეს ნათელი შეიქმნება შემდეგი ცხრილიდან:

წლები:	საშუალო ბირჟის ფასი ფუთზე	ამოღება მილიონ ფუთით	ამოგება ათასი მანეთით
1910	15,0 კაპ.	478,2	71,730
1912	35,2 „	419,0	14 ,488
1913	42,7	390,3	166,658
1914	36,8	338,0	124,424
1916	45,0	329,4	238,815
1917	96,0	262,9	252,384 *)

ეს ცხრილი ნათელ წარმოდგენას იძლევა იმის შესახებ, თუ როგორ ეპყრობოდენ ნავთის წარმოების საქმეს კერძო კაპიტალისტები და რა შეადგენდა მათ მთავარ მიზანს. განსაკვირი არ არის ის ფაქტი, რომ 1910 წ. 478,2 ამოღებულ მილიონ ფუთ ნავთიდან კაპიტალისტებმა ამოიგეს (выручили) მხოლოდ 71.730. 000 მან., მაშინ როდესაც 1917 წელს თითქმის ამის ნახევარ—262, 9 ამოღებულ მილიონ ფუთიდან ამოგება დარჩა 252. 384. 000. მან. ე. ი. თითქმის ექვსჯერ მეტი. ეს ფაქტები ნათელსყოფენ იმას, თუ როგორ ათამაშებს ბაზარსა და თვით წარმოების საქმეს კაპიტალისტების ჯიბის ინტერესი. ამაში მოსჩანს მთელი ამორალიზმი და ანარქიული მხარე კაპიტალისტური მეურნეობისა

ბაქოს ნავთის წარმოების მიმოხილვიდან ნათელი ხდება. შემდეგი: 1) ზედმეტი მოგების სურვილმა ნავთის მრეწველების მხრივ გამოიწვია მხეცური, პირდაპირ დამღუპველი და მთელი წარმოებისათვის საზარალო მეთოდების მიმართვა მათ განკარგულებაში არსებულ ნავთის რაიონების დამუშავების საქმეში: კაპიტალისტები არ ახდენდენ ნავთის ბომბეემ წყაროების რა-

*) იხ. ბერზინის წიგნი—91—95.

ციონალურ დამუშავებას და იქ მოთავსებულ პოტენციონურ ნავთის ამოღებას. მათ უმთავრესად იტაცებდა მდიდარი ნავთის ფანტანების მიღების სურვილი; 2) ხელოვნურად ამცირებდენ ნავთის ამოღებას და ამით იწვევდენ ნავთზე ფასების ზრდას, რაც აძლევდა მათ დიდ მოგებას და მძიმე ტვირთად აწვებოდა ფართო მომხმარებელ მასას. ამის შემდეგ სრულიად გასაგები იქნება თუ როგორი კრიზისი უნდა განეცადა ნავთის წარმოების საქმეს.

1917 წ. ოქტომბრის დიდი რევოლიუციის პრინციპების თანახმად საბჭოთა ხელისუფლებამ ხელიდან გამოსტაცა ეს მეტად შემოსავლიანი წყარო კაპიტალისტურ მაგნატებს და გადააქცია იგი მთელი ხალხის კუთვნილებათ. ამ აქტით არ მომხდარა მარტო საკუთრების ფორმის შეცვლა და წმინდა იურიდიულ—ფორმალური აქტი. ოქტომბრის როვოლუციამ კერძო საკუთრების მოსპობასთან ერთად ძირითადი რეორგანიზაცია მოახდინა წარმოების საქმისა, დაუკარგა მას ის შინაარსი, რასაც აძლევდენ კაპიტალისტური მაგნატები. ამ უკანასკნელთა მიზანი იყო ზედმეტი მოგება; ახალი ხელისუფლების მთავარი მიზანიარის არა ზედმეტი მოგების მიღება, არამედ წინააღმდეგ, წარმოების გაფართოება და საწარმოო ძალთა გაზრდა, ამით მატერიალური დოვლათის დაგროვება და ხალხის ეკონომიური დაწინაურება. ეს ორი სხვადასხვა, დიამეტრალურათ საწინააღმდეგო მიზანი ორი მოპირდაპირე სოციალური კლასისა გარკვეულ ხასიათს და შინაარს აძლევს საერთოდ მრეწველობისა და კერძოთ ნავთის წარმოების საქმეს. ხალხის დოვლათის მხეცური, ყაჩაღური გაპარტახების ნაცვლათ, საბჭოთა ხელისუფლებამ წინ წამოაყენა მიზანშეწონილი ორგანიზაცია ნავთის წარმოებისა, რომლის საშვალებით გამოყენებული და დამუშავებული უნდა იქნეს ნავთის წყაროების მთელი პოტენციალური შესაძლებლობა. *)

---

*) ნაციონალიზაციის შემდეგ ნავთის წარმოების საქმის შესახებ იხ: „Обзор бакинской нефтяной промышленности за два года национализации—1920—1922 г. г.“

ეხლა ვნახოთ ჩვენ როგორ მდგომარეობაში არის ნავთის წარმოების საქმე თანამედროვე კაპიტალიზმის ყველაზე უფრო დაწინაურებულ, ახალგაზრდა იმპერიალიზმს სამეფოში —ამერიკაში.

ამერიკის კაპიტალიზმი ცნობილია მთელს მსოფლიოში თავისი მონოპოლიური ხასიათითა და ტეხნიკის სიმაღლით. მიუხედავათ ამისა ნავთის საქმის წარმოება იქაც ვერ არის სათანადო დონემდე მიყვანილი, რაც გარკვევით აღნიშნეს ამერიკის გეოლოგებმა და გეოლოგიურმა კომისიებმა. ეს განსაკუთრებით გამოწვეული არის ამერიკელი კაპიტალისტების არა უკულტურობითა და უცოდინარობით, არამედ უმთავრესად თვით კაპიტალისტური მეურნეობის ბუნებით.

ამერიკაში ნავთის საქმის ორგანიზაცია თავიდანვე ხელში ჩაუვარდათ „ბურჟუაზიის პირატებს,“ რომელთაც აინტერესებდათ არა საწარმოო ძალთა განვითარება, არამედ ზედმეტი მოგების მიღება *)...

პირველ ხანებში, როდესაც ნავთი აღმოაჩინეს ამერიკაში, ათასეული „ბურჟუაზიული პირატები“ გაეშურნენ ნავთიან რაიონებში ბედნიერების მოსაპოვებლათ. ამოძრავდა კაპიტალი, გათხრილი იქმნა მრავალი ხვრეტები, მაგრამ ნავთის ამოღების და მის წარმოების საქმე, რომელიც დაიწყო პანსილვანიაში 1858 წლიდან, სპეკულიანტური ხასიათს ატარებდა და თავიდანვე სწარმოებდა როგორც სათამაშო ლატარია. მეტად დიდარი ნავთიანი საბურღავი ჭები იტაცებდა ათასეულ ბედნიერების მაძიებელთ; ისინი გაშმაგებით დაეძებენ ნავთის დიდი ფონტანის მოვცემ წყაროებს, ამის გამო ყოველ რაიონში შეხვდებოდით ასეულ და ათასეულ დამშრალ არამწარმოებელ ნაბურღვ ხვრეტებს, ა. წ. „გარეულ კატების ხვრელებს.“ ასეთი მეთოდით ნავთის მომცემ წყაროების ძებნამ მიწის სიღრმეში, მეტად დიდი ზარალი გამოიწვია და შექმნა ანარქია ნავთის წარმოების საქმეში. გეოლოგების მიერ დამტკიცე-

*) დაწვრილებით ამის შესახებ იხ. პოლ ლაფარგი ს: „Американские трусы“ №№ 47—56, 1906 წ.

ბულია, რომ მეცნიერულ გამოკვლევის შემდეგ დაწყებულსა და გარკვეულ გეგმით წარმოებულ ნავთის მომცემს წყაროების ძებნის დროს ყველა ნაბურღვის 85% იძლევა დადებით შედეგებს, მაშინ როდესაც „გარეულ კატების“ სისტემით მხოლოდ 5% არის მიღწეული. (იხ. კაპელიუში დასახელებული წერილი).

სისტემის უვარგისობასთან ერთად კაპიტალისტების კონკურენციამ უკიდურეს ხარისხს მიაღწია, რამაც დიდათ აზარალა ნავთის წარმოების საქმეს. 1872 წ. ამერიკის ნავთის წარმოებაში მოხდა დიდი კრიზისი; შემდეგმა გამოძიებამ დაამტკიცა, რომ გაკოტრება მთელი რიგი დაწესებულებისა გამოწვეული იყო სტანდარტ ოილის კომპანიის მახინაციებით, რომელმაც სხვების უბედურებაზე ააგო თავის ბედნიერება; ეს საზოგადოება დაფუძნებული აღმოჩნდა თორმეტი ავანტიურისტის მიერ ჯონ როკფელერის მეთაურობით. მათ შორის იყვენ: ერთი მეგაზეთე, რამოდენიმე ვექილი, ბანკის მოსამსახურე, ბამბის მაკლიორი, შაქრის მექარხნე და სხვა ასეთი პროფესიის პირები. „ეს ბურჟუაზიული პირატები — დასძენს პოლ ლაფარგი, — რომელთაგან არცერთი არ ცხოვრობდა ნავთის რაიონში, არ ფლობდა არცერთ ნავთის შადრევანს, ნავთიანი მიწის არცერთ ნაკერს, — განაგებდენ ნავთის ამოღებისა და გაწმენდის საქმეს. მათ მიითვისეს არა მარტო მონოპოლია ნავთის გაყიდვისა მომხმარებელზე, არამედ ჯეფლებაც ეკარნახათ მწარმოებელთათვის გასაყიდი ფასები ნავთზე“. (იქვე — 49).

ამის შემდეგ განვლო ათეულმა წლებმა. ამერიკის პოლიტიკური და ეკონომიური ცხოვრება გიგანტიურის ნაბიჯით წავიდა წინ, კაპიტალისტურმა მონოპოლიამ უმაღლეს ხარისხს მიაღწია. ნავთის მეურნეობაც თავის ტემპით განვითარდა და მისი წარმოების საქმე კაპიტალისტურათ მოეწყო; ამ განვითარებასთან ერთად სულ სხვა გვარი სახე და შინაარსი მიიღო უწინდელი „ნავთის პირატების“ მდგომარეობამაც; ისინი დღეს ნავთის „მეფეებათ“ და ბატონებათ გადაიქცენ. ლაფარგი სწერს: „მონოპოლია ნავთის ტრესტის — ჯეი-

ლო ფაქტია, რომელსაც დღეს ტრესტის არცერთი მოწინააღმდეგე არ ფიქრობს უარყოს. მაგრამ, როგორც ყოველთვის ხდება ხოლმე კაპიტალისტურ ქვეყნებში, იგივე როკფელერი და მისი თანამშრომელნი, რომელთათვის 1872 წ. დარბეული და გაკოტრებულნი ნავთის მრეწველები მოითხოვდენ საკატორგო სამუშაოზე გაგზავნას, ეხლა შეიქნენ ბურჟუაზიული საზოგადოების ყველაზე უფრო საპატიო და, მათ მიერ განუსაზღვრელათ ნაცარცვ ქონების წყალობით, ყველაზედ უფრო პატივსაცემი წევრები, ქებისა და დაბალი სალამის ობიექტი— ყველა პარტიების პოლიტიკოსების, ყველა ქრისტიანული სამღვდელოებისა და ყოველი სახის ინტელიგენციის მხრით". (გვ. 56).

ეს მცირეოდენი ცნობები ჩვენ გვიხსნის იმ მეტად დიდ მნიშვნელობის მოვლენას, თუ როგორ შეიძინეს კაპიტალისტურმა მაგნატებმა ეს აურაცხელი სიმდიდრე—დოვლათი და ვინ განაგებს დღეს კაპიტალისტურ ქვეყნების ბედს.

მაგრამ კითხვა იბადება, როგორ არის ნავთის წარმოების საქმე მოწესრიგებული ამერიკის მონოპოლიურ ტრესტების ხელში?

ვალაპარაკოთ ამის შესახებ ამერიკის გეოლოგები და გეოლოგიური კომისიები.

„გეოლოგიკალ სიურ-ვეის" დირექტორი 1917 წ. სწერდა: „ჩვენი ნავთის მეურნეობაში ჩვენ ვიჩენთ მეტად დიდს მფლანგველობას, მოუფიქრებლობასა და ქარაფშუტაობას. ჩვენ ვანებებდით თავს ისეთი რაიონების დამუშავებას, რომლის სიღრმეშიაც ჯერ კიდევ იყო დიდძალი რაოდენობა ნავთისა; ჩვენ სრულიად შეგნებულათ გავფანტეთ ჰაერში დიდძალი ნავთის გაზები, ისე რომ ვერ გამოვიყენეთ ისინი; ჩვენი დაუფიქრებლობით დაიღუპა ნავთის სილის მომცემი დიდძალი წყაროები ქვემო ნიადაგის წყლით. ჩვენ არ ვიცოდით, ერთის მხრით, ამოღება ჩვენთვის საჭირო პროდუქტებისა საკმაო რაოდენობით, ხოლო მეორეს მხრით გვერდი ვერ აუარეთ ნაკლებათ მოსახმარ პროდუქტების ზედმეტ წარმოებას"; შემდეგ ავ-

ტორი აღნიშნავს, რომ ნავთის წარმოების პირველ ხანებში განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდენ ნავთის აპოღებას; გაზოლინი კი უკუგდებული იყო როგორც უვარგისი რამ. შემდეგში, როდესაც დაიწყო განვითარება ავტომობილის მრეწველობის ეპოქისა, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეს გაზოლინს, მაგრამ მისი დიდი უმეტესობა უშედეგოთ აღმოჩნდა გაფანტული".

„სმიგას" დაწესებულება ამერიკაში ასეთ დასკვნას უკეთებს თავის გეოლოგიურ ექსპერტიზას: „მიწის ზედა პირზე ამოგვაქვს ნავთის ფენების მხოლოდ 25%, მათგან ნახევარზე მეტი იკარგება ჩვენი მფლანგველობითი მეთოდის წყალობით. ასე რომ ჩვენ მიერ გამოყენებულია ნავთის მომცემ წყაროებში არსებულ ნავთის მხოლოდ 10%".

ჟურნალი „ახალი რესპუბლიკა" სწერს: „ნავთის მრეწველობა ამეღავნებს ჩვენი ეკონომიკის დამახასიათებელ მოვლენას; ის წარმოადგენს სიმოლოსა და წინასწარმეტყველებას ერთად. ჩვენი ნავთის წარმოება ეყრდნობა ბირჟის თამაშსა და სპეკულიაციას, სწარმოებს შეუდარებელი უმეცრებითა და მფლანგველობით. მისი მმართველობა საშვალო საუკუნესებურია, მანქანები და ფინანსები უახლოესი დროის, ხოლო მისი სოციალური ხასიათით კი ბორტ-მოქმედებას წარმოადგენს. ის აჩქარებული ნაბიჯით მიექანება საბოლოო კრახისაკენ".

— ნავთის წარმოებაში ასეთი ანარქიული და მფლანგველობითი მეთოდის გამეფების გამო, ნავთი, რომელიც რამოდენიმე ასეული წელს ეყოფოდა კაცობრიობას, თითქმის ამოიწურება მთელ მსოფლიოში 50 წლის განმავლობაში. ეს არის დასკვნები გეოლოგიური კომისიების და სპეციალისტების ბურჟუაზიული სახელმწიფოებში ნავთის წარმოების შესახებ. (იხ. კაპელიუშის დასახელებული წერილი).

როგორი დასკვნები შეიძლება გამოვიტანოთ ამ მიმოხილვიდან?

მხოლოდ და მხოლოდ ისეთი, როგორიც გამოუტანა,— თუმცა სხვა მოსაზრებით,—კაპიტალისტურ პოლიტიკას ინგ-

ლისის ლიბერალური პარტიის ცნობილმა და გავლენიანმა წევრმა და ედინბურგის უნივერსიტეტის პროფესორმა, როდესაც სწერდა: „იქ, სადაც (კაპიტალიზმის) სამხედრო იარაღები ანადგურებს მთელ ჯარებს, (კაპიტალიზმის) სამეურნეო იარაღები სპობს მთელ ერებს. **ეს უკანასკნელი იარაღი ერთნაირათ ანადგურებს ნეიტრალურ სახელმწიფოებს, მტრებსა და მოკავშირეებს.** განადგურების რკალში ხვდება არა მარტო გერმანეთი, არამედ ჩეხია და პოლონეთი, სერბია და ბელგია; განადგურება ვრცელდება დამნაშავეზე და არა დამნაშავეზედაც. ყოველივე ამას შედეგათ მოსდევს შიმშილით სიკვდილი და შიმშილობის ნიადაგზე ტიფი, გაკოტრება და ბოლშევიზმი. უკეთ რომ ვსთქვათ, ესაა მშვიდობიანობა არა ჭეშმარიტი გამარჯვებით, ან არაჭეშმარიტი გამარჯვება უზავოთ: თანდათანობით ცხადი ხდება, რომ ეკონომიური მილიტარიზმი როგორც ბლოკადის, ისე გაკარცვის მიზნით ეკონომიურ კომპენსაციის ფორმაში არ უწყობს მშვიდობიანობის დამყარებას ხელს და წარმოადგენს ორივე პირით გალესილ იარაღს, რომელიც ვნებს არა მარტო მათ, ვისაც მას სცემენ, არამედ მასაც, ვინც მას ხმარობს“[1]).

კაპიტალიზმის პოლიტიკის ასეთს შეფასებას თვისი შესაფერისი დასკვნები რომ გავუკეთოთ უნდა ვსთქვათ, რომ კაპიტალისტური მეურნეობა და კაპიტალისტური მეთოდები წარმოებისა აღარ შეესაბამება ეკონომიური ცხოვრების წარმატების საქმეს და იგი კაცობრიობის პროგრესის შემაფერხებელ ფაქტორად გადაიქცა. ამიტომ შეცვლა ამ დახავსებული სამეურნეო ფორმაციისა ახალი ეკონომიური წყობილებით მორიგ ამოცანას წარმოადგენს რევოლიუციონური პროლეტარიატისათვის.

პოლიტიკურათ კაპიტალისტური მეურნეობა ბადებს ინტერესთა გარდუვალ წინააღმდეგობას დიდ სახელმწიფოთა შორის, აძლიერებს იმპერიალიზმს და მილიტარიზმს და ამით

---

[1]) იხ. შილცეს წიგნი—353—4.

ახალ გამანადგურებელ ომებს უმზადებს კაცობრიობას; ეკონომიურათ იგი ვეღარ აწყვეტინებს სამეურნეო ცხოვრებას, მისი მეთოდებით შეუძლებელი ხდება ცხოვრების პროგრესი და ახალი მეცნიერულ აღმოჩენათა მიზანშეწონილი გამოყენება სამეურნეო დარგების ასაყვავებლათ. ყოველი მეცნიერული აღმოჩენა, ყოველი ტეხნიკური დაწინაურება და ახალი ფაქტორები ბურჟუაზიის ხელში ხდება ომის წარმოებისა და მეურნეობის წინ წამწევ ძალად, არამედ მისი გამანადგურებელ მოვლენათ. ნავთის საკითხშიაც ასე მოიქცა ბურჟუაზია.

ნავთი უდიდესი ფაქტორია მრეწველობის ასაყვავებლათ და სამეურნეო ცხოვრების დასაწინაურებლათ, მაგრამ ბურჟუაზიის ხელში იგი შეიძლება გადაიქცეს კაცობრიობის დამანგრეველ ფაქტორათ, რადგან იმპერიალისტური პოლიტიკის პროგრამაში ნავთი წარმოადგენს, როგორც მიზანს ნავთიანი რაიონების შეძენა), ისე საშუალებას (გამოყენება ტეხნიკურათ ნავთისა სამხედრო დარგებში) ახალი უფრო საშინელი საერთაშორისო ომების საწარმოებლათ. ასეთ პირობებში კაცობრიობის ხსნა მხოლოდ ახალ სამეურნეო ფორმაციის შექმნაში მარხია: პროლეტარიატის გამარჯვება ბურჟუაზიაზე და ცხოვრების კომუნისტურ საფუძვლებზე მოწყობა, ეს არის ერთად ერთი გზა და საშუალება კაცობრიობის გადასარჩენად გამანადგურებელ ომებისაგან, ეს არის ერთად ერთი პირობა ეკონომიური ცხოვრების წარძატებისა და კულტურული აყვავებისათვის.

უმთავრესი შეცთომები.

	დაბეჭდილია:	უნდა იყოს:
გვერდი:		
3	იქმნებიან წინასწარი პირობები.	მზადდება და სხვა
8	ყურადღებას ამ რამდენიმე თვის განმავლობაში. საფრანგეთის..	ყურადღებას. ამ რამდენიმე ოვის წინათ საფრანგეთის...
16	აგრეთვე საარის რკინის ბასეინსაც,	აგრეთვე საარის ქვანახშირის ბასეინსაც,
17	ყველაზე უფრო საშინელი გადახადენები.	...გადასახადები.
114	გარკვევით გამოხატა 189 წ.	..1919 წ.
115	ფინანსიური კრიზისებისა და აჯანყებისა	.. აჯანყების შექმნის.
122	„обзор периодической пресы.	„Обзор периодической прессы".
125	ზედმეტ რაოდენობას, ნაკლებობას.	ზედმეტ რაოდენობას. ან ლებობას
126	1923 წელში დიდი ბოიტანეთის	1913 წელში...

ს ა რ ჩ ე ვ ი:

თავი პირველი:

	გვერდი:
რკინის, ნახშირისა და ნავთის იმპერიალისტური პოლიტიკა	3—29

თავი მეორე:

ნავთის როლი მსოფლიო მეურნეობაში	30—70
1. ნავთის ტეხნიკური მნიშვნელობა .	30
2. ნავთის როლი საერთაშორისო ომში .	40
3. ნავთი ომის შემდგომ ფარმოებაში	57

თავი მესამე:

იმპერიალისტურ სახელმწ. პოლიტიკა ნავთის საკითხში	71—123
1. ინგლისს-ამერიკის კონფლიქტი	71
2. ამერიკის ნავთის პოლიტიკა	85
3. ბრძოლა სპარსეთის ნავთისათვის	105

თავი მეოთხე:

ნავთის საკითხი და დიპლომატია	124—159
1. ტერსალიდან გენუამდე . . .	124
2. გენუას კონფერენცია და რუსეთის ნავთის საკითხი	134
3. საქართველოს საკითხი გენუის კონფერენციაზე და შენშეკიები	145

თავი მეხუთე:

ბრძოლა ოსმალეთის ვარშემო და მოსულის ნავთის საკითხი	160—192

თავი მეექვსე:

კაპიტალისტური მეურნეობის ანარქია და პროლეტარიატის ინტერესები	193—209